

චෙතුව්‍යම් තීඛ  
සාමාන්‍ය විද්‍යා

VII

ÄØÅÈÉÍÄ ÈÀÙÀÉÛÅÉË ÉÓ ÓÀáÄË Ì ÁÉÓ ÓÀØÀÒÈÅÄË Ì Ó  
ÓÀÉÓÔÏ ØÉÏ ØÀÆÌ ÅÀÄÌ ÄÀÀ

À×áÀÆÄÈÉÓ Ì ØÀÀÍÉÆÀÝÉÀ

ÓÀÉÓÔÏ ØÉÏ ÞÉÄÁÀÍÉ

## VII

*ΒÄËËΒÄËÖËË*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ  
სოხუმის ფილიალის გამომცემლობა  
თბილისი – 2004

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების აფხაზეთის ორგანიზაციის ყოველწლიური სამეცნიერო გამოცემის (წელიწლეულის) „საისტორიო ძიებანი“-ს მე-7 წიგნში შესულია სტატიები საქართველოს ისტორიის, მსოფლიო ისტორიის, არქოლოგიის, ეთნოგრაფიის აქტუალურ პრობლემებზე.

წელიწლეული განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ასევე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

## ІЕАÀÀОÉ ԸÀÀÀØÔÍ ØÉ

## ÆÖØÀÁ ԹÀÐÀØØÉØÉ

**ØÀØÀÀÀØÝÉÍ ҈Í ҈ ÄÆÄ:** არჩილ ათანელიშვილი, თენგიზ ანთელავა, ჯამბულ ანჩაბაძე, მალხაზ ბარაძიძე, ბორის კვარაცხელია, ავთანდილ კილასონია, თეიმურაზ მიბჩუანი, თეიმურაზ პაპასქირი, ოთარ უორდანია, ბეჟან ხორავა, ვახტანგ ჯაფარიძე, დაზმირ კოჯუა.

- © ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება, აფხაზეთის ორგანიზაცია, 2004

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება  
აფხაზეთის ორგანიზაცია  
საისტორიო ძეგლი, 7, 2004

## ა ვ ხ ა ზ ე თ ი - ტ კ ი ვ ი ლ ი ჩ ვ ე ბ ი

### ზურაბ პაპასეჩილი

#### ს ე პ ა რ ა ტ ი ს ფ უ ლ ი გ ა მ ი ს ვ ლ ე ბ ი ა ფ ხ ა ზ ე თ შ ი XX ს ა უ კ უ ნ ი ს 50-60-იან ჭ ლ ე ბ შ ი

1953 წლის გაზაფხულზე, ი. სტალინის გარდაცვალებისა და, ოდნავ მოგვიანებით, ლ. ბერიას პოლიტიკური არენიდან გაქრობის შემდეგ, სსრ კავშირში შეიქმნა სრულიად ახალი პოლიტიკური კონიუნქტურა. სკპ ცენტრალური კომიტეტის ახალმა ხელმძღვანელობამ, ნიკიტა ხრუშჩოვის მეთაურობით, ერთი შეხედვით, თითქოს დაიწყო სტალინური სისტემის დემონტაჟი. გაჩაღდა ფართო კამპანია პიროვნების კულტისა და ე.წ. „ბერიევშჩინის“ პერიოდში დაშვებული შეცდომების აღმოსაფხვრელად. ერთერთ ასეთ შეცდომად გამოცხადდა სასკოლო რეფორმა აფხაზეთში და აფხაზური დამწერლობის ქართულ ანბანზე გადაყვანა. უკვე 1954წ. სახელდახელოდ შეიცვალა აფხაზური ანბანი და ის გადაყვანილ იქნა „კირილიცაზე“. „ალადვინეს“ ე.წ. „აფხაზური სკოლები“, რაც იმაში გამოიხატა, რომ აფხაზურად სწავლება შემოიღეს მხოლოდ დაწყებით კლასებში, ხოლო V-X კლასებში სწავლება გადაიყვანეს რუსულ ენაზე. ყოველივე ეს, როგორც სავსებით სამართლიანად მიუთითებს გ. ლეუვა, „чётко обозначили возврат к прежней тенденции создания условий для обрушения абхазского населения и пресечения попыток их огрудинивания“.<sup>1</sup>

სკპ XX ყრილობამ და 1956 წლის მარტის ტრაგიკულ დღეებში ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობის თავგანწირულმა აქციამ, რომელიც ხელისუფლებამ სისხლში ჩაახმო, ახალი იმპულსი მისცა ანტიქართული განწყობილებების გამოვლინებას აფ-

<sup>1</sup> Г. П. Лежава. Между Грузией и Россией. М., 1997, გვ. 163.

ხაზეთში. სეპარატისტულად განწყობილმა ძალებმა ერთი მეორის მიყოლებით დაიწყეს დაბეჭდებითი საჩივრის წერილების გაგზავნა მოსკოვში. ამ წერილებში მკაცრად იყო გაკრიტიკებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში. უფრო ძეგლი, აფხაზი მოღვაწეები გამოდიოდნენ რა ერთგვარი ბრალმდებლის როლში, ზედგომი ორგანოებისაგან თითქმის პროკურორის ტონით მოითხოვდნენ: „Привлечь к строжайшей партийной и политической ответственности всех организаторов, активных участников и попустителей националистической демонстрации в Грузии и Абхазии 5-9 марта 1956 г.“<sup>2</sup> აფხაზი სეპარატისტების გადიზიანება არ იყო შემთხვევითი. ისინი დააფრთხო იმ ენთუზიაზმა, რომლითაც გამოეხმაურა აფხაზეთის ქართველობა (პირველ რიგში, ახალგაზრდობა) თბილისში განვითარებულ მოვლენებს.

ამ პერიოდში აფხაზურ სეპარატისტულ მოძრაობას გაუჩნდა ახალი ლიდერები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოიკვეთა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროკაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ასლან ოტირბას პიროვნება. სწორედ ა. ოტირბა ჩაუდგა სათავეში მაშინ ეწ. „აფხაზურ ფრონტს“ პარტიულ-იდეოლოგიურ უბანზე. ამავე დროს, ის ყოველნაირად ცდილობდა, წაწეულიყო წინ პარტიულ-იერარქიულ კობეზე და დაეკავებინა უფრო მაღალი პარტიული თანამდებობა. აღსანიშნავია, რომ მისი ეს ამბიციები მთლად უსაფუძლო არ იყო. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1953 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე განიხილებოდა საკითხი ა. ოტირბას საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის თანამდებობაზე შესაძლო არჩევის შესახებ, მაგრამ ამ საკითხის დადებითად გადაჭრას ხელი თვით ა. ოტირბამ შეუშალა, რომელმაც იქვე, ბიუროზე, ღიად მოითხოვა 1937-1953 წლებში აფხაზეთში ჩასახლებული ქართველების გამოსახლება<sup>3</sup>.

სსრ კავშირის უმაღლეს ხელისუფლებაში ნიკიტა ხრუშჩო-

<sup>2</sup> Г. П. Лежава. Между Грузией и Россией.., გვ. 171.

<sup>3</sup> Г. П. Лежава. Между Грузией и Россией.., გვ. 183.

ვის პოზიციების შემდგომ განმტკიცებასთან ერთად, სეპარატისტულად განწყობილმა ძალებმა აფხაზეთში კიდევ უფრო გააქტიურეს თავიანთი ანტიქართული პროპაგანდა. ასეთ ვითარებაში ვერ გამოიჩინა სათანადო პრინციპულობა ვერც საქართველოს კომბარტის ცენტრალურმა კომიტეტმა და ვერც აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა. ორივე ამ ორგანომ ვერ გაუძლო, ერთი მხრივ, აფხაზი ნაციონალისტების შემოტევის, ხოლო, მეორე მხრივ, კრემლის ახალი ხელმძღვანელობის ზეწოლას და ფაქტობრივად კაპიტულაცია გამოიაცხადა. ამის ნათელი დადასტურებაა თუნდაც საქართველოს კომბარტის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ოთარ გოცირიძის გამოსვლა აფხაზეთის პარტიული აქტივის კრებაზე 1956 წლის 16 აგვისტოს. აფხაზეთის კომუნისტების ამ თავყრილობაზე, რომელმაც განიხილა საკითხი: „О Постановлении Президиума ЦК КПСС от 10 июля 1956г. „Об ошибках и недостатках в работе ЦК КП Грузии“ и итогах II пленума ЦК КП Грузии и задачах Абхазской областной партийной организации“, ო. გოცირიძემ, არც მეტი, არც ნაკლები, განაცხადა: „В Абхазии и Южной Осетии искусственно разжигалась рознь между грузинами, абхазами, армянами, осетинами, умышленно проводилась линия по ликвидации национальной культуры местного абхазского, армянского и осетинского населения, осуществлялась его насильтвенная ассимиляция“.<sup>4</sup>

მაგრამ აფხაზური სეპარატიზმის მდროინდელი ლიდერები არ დაკმაყოფილდნენ პარტიული ხელმძღვანელობის მხრიდან „ჩადენილი შეცდომების“ აღიარებით და 1957 წელს ისინი თბილის წინააღმდეგ ახალ გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ. ამჯერად საბაბად გამოყენებულ იქნა ცნობილი ქართველი ფილოლოგის პავლე ინგოროვგას წიგნი „გიორგი მერჩულე“. პ. ინგოროვგას ეს ფუნდამენტური გამოკვლევა გამოიკავა 1954 წელს, მაგრამ ის ერთბაშად არ გამხდარა ფართო საზოგადოების მსჯელობის საგანი. პ. ინგოროვგას აღნიშნული ნაშრომი ყურადღების ცენტრში მოექცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1955 წლის ივლისში გაზეთ „Заря востока“-ში გამოქვეყნდა აკადემიკოს გიორგი ახვ-

<sup>4</sup> Г. П. Лежава. Между Грузией и Россией.., გვ. 163.

ლედიანის რეცენზია ამ წიგნზე. რეცენზიაში ავტორმა მხარი დაუჭირა პ. ინგოროვას თვალსაზრისის იმის შესახებ, რომ თანამედროვე აფხაზები არ არიან გვიან ანტიკური ხანისა და ადრეული შუა საუკუნეების „აბაზე“-, „აფსილთა“ და „აფხაზების“ შთამომავალნი და რომ ადრინდელი „აფხაზები“ ეთნიკურად ქართველურ სამყაროს განეკუთვნებოდნენ.

აკად. გ. ახვლედიანის რეცენზიის პუბლიკაციაში სეპარატისტულად განწყობილი ინტელიგენციის წარმომადგენლების აღშეოთება გამოიწვია. მათ ნამდვილი ულტიმატუმი წაუკენეს საქართველოს ხელისუფლებას და კატეგორიულად მოითხოვეს პ. ინგოროვას წიგნის აკრძალვა. სიტუაცია ვერ განმუხტა ქართული ისტორიოგრაფიული სკოლის მაშინდელი ლიდერის აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილისა და ცნობილი აფხაზმცოდნე-ფილოლოგის ქეთევან ლომთათიძის სტატიებისა, რომლებიც გამოქვეყნდა უკრნალ „მნათობის“ 1956 წლის მე-12 ნომერში. ამ სტატიებში საკმაოდ მკაცრად იქნა გაკრიტიკებული აფხაზთა ეთნიკური ვინაობის საკითხზე პ. ინგოროვას ნაშრომში გამოქვეყნებული თვალსაზრისი. ამის საპასუხოდ, იმავე „მნათობის“ 1957 წლის მე-2 ნომერში გაჩნდა აკად. გ. ახვლედიანისა და პროფესორების სიმონ ყაუხებიშვილისა და დავით კობიძის პუბლიკაციები, რომლებშიც ავტორები იცავდნენ პ. ინგოროვას შეხედულებათა სისწორეს.

ამ ფაქტმა აფხაზ სეპარატისტთა მოთმინების ფიალა აავსო. 1957 წლის 11 აპრილს სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნიკიტა ხრუშჩოვის სახელზე გაიგზავნა დეპეშები, რომელთაც აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად ხელს აწერდნენ პარტიული მუშაკებიც. მათ შორის იყენებ: იმუამად საქართველოს კომპარტიის გუდაუთის რაიონული განყოფილების გამგის მოადგილე, შემდგომში ცნობილი მეცნიერი-ისტორიკოსი ბაჯგურ საღარია და რუფეტ ბუთბა (80-იან წლებში საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი იდეოლოგიის დარგში). ამ დეპეშა-საჩივრებში, რომელიც იგზავნებოდა უმაღლეს პარტიულ და სახელმწიფო ინსტანციებში – სკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრკ უმაღლეს საბჭოში, არც მეტი, არც ნაკ-

ლები, დაყენებული იყო აფხაზეთის ასსრ-ის საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან გამოყვანის საკითხი.

პარალელურად, 1957წ. 11-12-13 აპრილს სოხუმში დაიწყო მღელვარება. აფხაზური მოსახლეობის ცალკეულმა ჯგუფებმა ალყა შემოარტყეს პარტიის საოლქო კომიტეტის შენობას. შეწყვიტეს ძეცადინებობები აფხაზი ეროვნების სტუდენტებმა სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტსა და პედაგოგიურ სასწავლებელში. მოწვეულ იქნა პედაგოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელმაც დაგმო ჟურნალ „მნათობის“ 1957 წლის მე-2 ნომრის ზემოხსენებული პუბლიკაციები. ამავე დროს აფხაზური ინტელიგენციის ცალკეული წარმომადგენლები გავიდნენ ავტონომიური რესპუბლიკის სოფლებში და მოუწოდეს ხალხს საპროტესტო გამოსვლებისაკენ. დემონსტრაციულად უარი განაცხადა რეპეტიციებზე სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის აფხაზურმა დასმა. პროტესტის ნიშნად ასევე უარი თქვა თბილისში კონცერტში მონაწილეობაზე აფხაზური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ხელმძღვანელმა ჩიჩბაძე<sup>5</sup>.

ამრიგად, შეიქმნა აფხაზური მოსახლეობის „საყოველთაო დაუმორჩილებლობის“ ფონი. საქართველოს პარტიულმა ხელმძღვანელობამ უმაღვე მოახდინა რეგაგირება აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებზე და უკვე 12 აპრილს სასწრაფოდ მოიწვია ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომა, რომელზეც განიხილეს საკითხი შემდეგი ფორმულირებით: „Об ошибочной дискуссии организованной журналом „Мнатоби“ по книге П. Ингороква „Гиорги Мерчуле“. ბიუროს მუშაობაში მონაწილეობა მიღეს და თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს ივანე თარბამ – ცნობილმა აფხაზმა პოეტმა, იმჟამად პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანმა იდეოლოგის დარგში, არხიპო ლაბაზუამ (პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, იმჟამად აფხაზეთის ასსრ-ის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე), ხუხუტი ბლაჟბამ (ცნობილი ენათმეცნიერი და ლიტერატურაომცოდნე, პროფესორი) და ზემოთ ნახსენებმა ასლან ოტირბამ. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიურომ

<sup>5</sup> Г. П. Лежава. Между Грузией и Россией.., გვ. 181.

დაგმო უერნალ „მნათობის“ 1957 წლის მე-2 ნომრის პუბლიკაციები და შეცდომად მიიჩნია დისკუსია საკითხზე, რომელიც არ-სებითად საეჭვოდ მიიჩნევდა აფხაზი ხალხის ისტორიულ წარსულს. განსაკუთრებით ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ „публикация подобных материалов на страницах республиканских журналов и газет наносит большой вред делу воспитания, укрепления дружбы между народами и создаёт условия для различного рода националистических проявлений“.<sup>6</sup> ამასთან, საქართველოს კპ ცკ-ის ბიურომ გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა ვერ მოახერხა ცალკეული მტრული ელემენტების ანტისაზოგადოებრივი ქმედებების აღკვეთა<sup>7</sup>.

1957 წლის 15-16 აპრილს ჩატარდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის სხდომა, რომელმაც განიხილა საკითხი: „О решении бюро ЦК КП Грузии от 12 апреля 1957 г. „Об ошибочной дискусии, организованной журналом „Мнатоби“ по книге П. Ингороква „Гиорги Мерчуле“. А玲ნიშ-ნულ სხდომაზე მოიწონეს საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიუროს გადაწყვეტილებები და მიიღეს ისინი „К неукоснительному руководству и исполнению“.<sup>8</sup> საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა ერთგვარად ჩააცხრო ვნებათაღელვა სეპარატისტების ბანაკში და საერთო პოლიტიკური ვითარება ავტონომიურ რესპუბლიკაში მეტ-ნაკლებად სტაბილური გახდა.

ასე დასრულდა პირველი „საყოველთაო-აფხაზური ამბოხი“ 1957 წელს. როგორც დავინახეთ, სეპარატისტულად განწყობილმა ძალებმა აფხაზეთში ზუსტად შეარჩიეს მომენტი თბილის წინააღმდეგ გადამწყვეტი დარტყმის მისაყენებლად. კერძოდ, მათ კარგად გამოიყენეს საქართველოში 1956 წლის 5-9 მარტის „ანტისაბჭოური გამოსვლების“ შედეგად გამოწვეული კრემლის გაღიზიანება. ისარგებლეს რა ამგვარი ანტიქართული ფონით მოს-

<sup>6</sup> **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией.., გვ. 182-183.

<sup>7</sup> **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией.., გვ. 182.

<sup>8</sup> **Г. П. Лежава.** Между Грузией и Россией.., გვ. 184.

კოვში, მათ თავიანთი დამაბეზღებელი დეპუშა-წერილებითა და მიმართვებით „ცეცხლზე ნავთი დაასხეს“ და ამ გზით დამატებითი იმპულსი შესძინეს ანტიქაროულ ისტერიას ცენტრში. სავსებით სწორია გ. ლეჟავა, როდესაც აღნიშნავს, რომ „Под прикрытием исправления ошибок сталинского руководства в национальной политике, создавались условия для возобновления националистического движения в Абхазии“.<sup>9</sup>

რაც შეეხება საბაბს, რომელიც გამოყენებულ იქნა აფხაზი სეპარატისტების მიერ ხალხის ასამშედრებლად, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ის ხელოვნურად იქნა გაზვიადებული. თავის დროზე, ჩვენ არაერთხელ გამოვხატეთ ჩვენი დამოკიდებულება პავლე ინგოროვას შეხედულებისადმი აფხაზთა ეთნიკური ვინაობის საკითხთან დაკავშირებით და აღვნიშნეთ, რომ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფია მოლიანობაში (ზოგიერთი მეცნიერის გამოკლებით) არ იზიარებს პ. ინგოროვას თვალსაზრისს და არ მიიჩნევს საეჭვოდ ადრეული შუა საუკუნების „აფხილ“, „აბაზგთა“ და „აფხაზთა“ აფხაზურ-ადილეურ წარმომავლობას<sup>10</sup>.

მაგრამ, ამავე დროს, მოელი კატეგორიულობით შეიძლება გამტკიცოთ, რომ პავლე ინგოროვას კონცეფცია არ იშვა შემთხვევით. ეს იყო ერთგვარი საპასუხო რეაცია ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიული წარსულის იმ უხეში გაყალბებისა, რომელიც თავის დროზე (1907 წელს) წამოიწყო ვინმე ნ. ვორონოვმა და XX საუკუნის 20-იან წლებში, ნესტორ ლაკობას ნაციონალისტურ-სეპარატისტული რეჟიმის პარპაშის პირობებში, წარმატებით განაგრძეს სემიონ ბასარიამ, სემიონ აშხაცავამ, კონსტანტინე კუდრიავცევმა და სხვ.<sup>11</sup> მართებულად აღნიშნავს გ. ლე-

<sup>9</sup> Г. П. Лежава. Между Грузией и Россией.., გვ. 170.

<sup>10</sup> ამის შესახებ იხ.: ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკ. I. უძველესი დროიდან 1917 წლამდე. თბ., 2004, გვ. 87-95.

<sup>11</sup> ამის შესახებ იხ.: ზ. პაპასქირი. მითი ქართველთა მხრიდან აფხაზი ხალხის ეთნოკულტურული ინდივიდუალობის მოშლის „მცდელობის“ შესახებ XX საუკუნის 30-იანი წლების მიწურულსა და 40-იანი წლებში – „საისტორიო ძიებას“, წელიწლები, VI. თბ., 2003, გვ. 3-32.

უავა, რომ პ. ინგოროვებას ამ ნოვაციებისაკენ უბიძგა აფხაზთა სეპარატისტულმა გამოხდომებმა, კერძოდ, მათმა მცდელობამ, გამოუცხადებინათ აფხაზები ერთადერთ აბორიგენებად „თავიანთ ტერიტორიაზე“ და ამის საფუძველზე დაესვათ საკითხი „ინიციატივის განვითარების სამინისტროს მიერთების მიზანისათვის“<sup>12</sup>

და ბოლოს, არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს საქართველოს მაშინდელი კომუნისტური ხელმძღვანელობის (ვასილ მეგაზანაძის მეთაურობით) ერთგვარ კაპიტულიანტურ პოზიციას, რომელმაც იმთავითვე ჩათვალა „Ошибочный“-დ ქართული მხარის ქმედება და სამაგალითოდ დასაჯა მხოლოდ ამ „დრამის“ ქართველი მონაწილენი: უურნალ მნათობის რედაქტორი, პოეტი სიმონ ჩიქოვანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი დავით მჭედლიშვილი, ცენტრალური კომიტეტის მეცნიერების, სკოლებისა და კულტურის განყოფილების გამგე მიხეილ კვესელავა. ერთი იიტყვით, საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ გამოამჟღავნა თავისი სისუსტე, რითაც ფაქტობრივად წაახალისა სეპარატისტულად განწყობილი ძალები ახალი „გმირობებისაკენ“ თავიანთ „ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში“. ამგვარი კაპიტულანტური პოლიტიკის ნაყოფი საქართველოს კომუნისტურმა ხელისუფლებამ მოიძკო ზუსტად 10 წლის შემდეგ – 1967 წელს, როდესაც აფხაზეთში იფეთქა მორიგმა ანტიქართულმა ამბოხმა.

ნაციონალისტური ისტერიის ახალი ტალღის აგორების საბაბად კვლავ იქნა გამოყენებული ცალკეული სამეცნიერო პუბლიკაციები, რომლებშიც, აფხაზური სეპარატისტული მოძრაობის იდეოლოგების აზრით, გაყალბებული იყო აფხაზი ხალხის ისტორიული წარსული. მომავალი „საერთო-სახალხო“ პროტესტის სიმპოზიუმი გაჩნდა ჯერ კიდევ 1965 წელს, როდესაც სეპარატისტებმა „ანათემას გადასცეს“ გამოჩენილი აფხაზი ფილოლოგის, ლინგვისტისა და ლიტერატურათმცოდნის პროფ. ხუხუჭი ბლაჟბას მონოგრაფია: „Бзыбский диалект абхазского языка“<sup>13</sup> ჩადენილი ცოდვებისათვის (სეპარატისტთა განმარტებით, წიგნში არა-

<sup>12</sup> Г. П. Лежава. Между Грузией и Россией.., გვ. 178.

<sup>13</sup> Х. С. Бгажба. Бзыбский диалект абхазского языка. Сухуми, 1965.

სწორად იყო ახსნილი ცალკეული აფხაზური გვარები), ხუხუტი ბლაქბა გადაყენებულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულაის სახელობის აფხაზეთის ენის, ღიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან.

1966 წელს თბილისში გამოიცა დიდი ქართველი ისტორიკოსის აკად. ნიკო ბერძენიშვილის თხზულებათა კრებულის: „საქართველოს ისტორიის საკითხების“ III ტომი, რომელშიც მოთავსებული იყო მეცნიერის წერილი: „მცირე შენიშვნა დიდი საკითხის გამო“. ამ წერილში განვითარებული ცალკეული დებულებები მიუღებელი აღმოჩნდა აფხაზური სეპარატიზმის „მამებისთვის“, რომლებმაც მათში „დაინახეს“ აფხაზი ხალხის ეთნიკური ინდივიდუალობის უარყოფის მცდელობა. სინამდვილეში კი აღნიშნულ სტატიაში (ისევე, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილის სხვა შრომებში) მსჯელობა იყო აფხაზთა „ისტორიულ-კულტურულ“ ქართველობაზე. რაც შეეხება აფხაზთა ეთნიკურ-ტომობრივ წარმომავლობას, ამ საკითხზე ცალსახა პასუხი მეცნიერს არ ჰქონია, თუმცა ამ წერილში (სხვა შრომებში ეს ფაქტობრივად არ გვხვდება) ნ. ბერძენიშვილი თთქმს არ გამორიცხავდა იმას, რომ „ძველი აფხაზები“ შეიძლება ტომობრივადაც ეპუთვნოდნენ ქართველურ ეთნიკურ სამყაროს.

ამაზე მიგანიშნებს ოუნდაც მეცნიერის მსჯელობა ამჟამინდელ აზერბაიჯანელთა ეთნიკურ იერ-სახეზე. მას არ მიაჩნია „ენის მომენტი... ერთადერთ განმსაზღვრელ მომენტად“ ამა თუ მი ხალხის ეთნიკური წარმომავლობის დადგენისას<sup>14</sup>. „დღეს აზერბაიჯანელები, – წერს აკად. ნ. ბერძენიშვილი, – ენით თავანკარი თურქები არიან, მაგრამ ასეთივე თურქები არიან განა ისინი წარმოშობით? ვის შეუძლია უარყოს, რომ ისინი წარმოშობით სანახევროდ მაინც, თუ უფრო მეტად არა, კავკასიური მოდგმის „ალბანელები“ არიან?“<sup>15</sup> საკუთრივ აფხაზებთან დაბავშირებით კი მეცნიერი აღნიშნავს, რომ ანტიკურ პერიოდში დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ ტომთა სიმრავლე „საქართველოს ისტო-

<sup>14</sup> 6. ბერძენიშვილი. მცირე შენიშვნა დიდი საკითხის გამო. – წგნ.: 6. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. III. თბ., 1966, გვ. 278.

<sup>15</sup> 6. ბერძენიშვილი. მცირე შენიშვნა..., გვ. 278.

რიის ფეოდალურ ხანაში... დიდად შემცირებული ჩანს და აწინ-დელი აფხაზეთის ტერიტორია წარმოადგენდა რიგს ერთიმეორი-საგან დამოუკიდებელ საერისთავოს... და მხოლოდ ერთ მათგანს ეწოდებოდა „აფხაზთა საერისთავო“ (ხაზგასმა 6. ბერძენიშვილი-სეულია), რომელიც მოიცავდა ქვეყანას აწინდელი ახალი ათონის (ანაკოფიის) დასავლეთით ვიდრე კაპოეტის მდინარემდე (ბზი-ფამდე) ან, შეიძლება გაგრის ვიწროებამდეც“. აქვე, 6. ბერძენიშვილი საგანგებოდ ხაზს უსვამს იმას, რომ „ფეოდალური ხანის ადმინისტრაციული ერთეულის – საერისთავოს – შექმნისათვის ამოსავალი პრინციპი ტომობრივი მომენტი იყო“.<sup>16</sup>

ამ მსჯელობიდან თამამად შეიძლება დავასკვნათ, რომ 6. ბერძენიშვილი „აფხაზთა-საერისთავოში“ მცხოვრები „აფხაზური ტომების“ ეთნო-ტომობრივ გამორჩეულობას ნამდვილად აღიარებს. თუმცა, ის იქვე შენიშნავს, რომ „მაინცდამაინც მეცნიერებას არ მოებოვება იმის საბუთი, რომ აფხაზეთში მობინადრე ტომები (საფიქრებელია, მეცნიერს მხედველობაში ჰქონდა სწორედ აფხაზები) უფრო შორის იდგნენ იბერ-ლაზებისაგან, ვიდრე, ვოქვათ, სვანები, მესხები, ჰერები. ამასთან დაკავშირებით, მეცნიერი ყურადღებას ამახვილებს ქართული საისტორიო ტრადიციის („ქართლის ცხოვრება“) მიერ დაფიქსირებულ ფაქტზე იმის შესახებ, რომ „აფხაზთა საერისთავო“ უძველესი დროიდანვე ეგროსის წილწვედრი ქვენის ნაწილი იყო. „ეს გადმოცემა, – წერს აკად. 6. ბერძენიშვილი, – ანგარიშგასაწევი მოწმობაა დასავლეთ საქართველოს ტომთა, როგორც ეთნიკური მონათესავეობისა, ისე მათი მრავალ-საუკუნოვანი ისტორიულ-კულტურული თანამშრომლობისა“.<sup>17</sup> ე.ი. როგორც ვხედავთ, აკად. 6. ბერძენიშვილი ამ სტატიაში, მართალია, არა გადაჭრით, მაგრამ რამდენადმე მაინც უშვებდა „ძველი აფხაზეთის“ დასავლეთ საქართველოს სხვა ტომებთან „ეთნიკური მონათესავეობის“ შესაძლებლობას, რაც ერთი შეხედვით, პ. ინგოროვას თვალსაზრისის ფონზე, მართლაც შეიძლება გამაღიზინებელი ყოფილიყო სეპარატისტული იდეოლოგიისათვის.

<sup>16</sup> 6. ბერძენიშვილი. მცირე შენიშვნა..., გვ. 278.

<sup>17</sup> 6. ბერძენიშვილი. მცირე შენიშვნა..., გვ. 278-279, ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.

მიუხედავად ამისა, სეპარატისტების მიერ აკად. ნ. ბერძენიშვილის ამ პუბლიკაციის გამოყენება პოლიტიკური სპეცულაციებისათვის სრულიად გაუქმართლებელი იყო, რადგანაც მეცნიერის მთავარი მიზანი ამჯერად იყო არა აფხაზთა ეთნიკური ვინაობის დადგენა, არამედ იმ აუცილებელი ფაქტის წარმოჩენა, „რომ აფხაზეთი კულტურულ-ისტორიულად საქართველოს ორგანული ნაწილია, რომ კულტურულ-ისტორიულად (ხაზს ვუსვამო კულტურულ-ისტორიულად, და არა ეთნიკურად – ზ.პ.) საქართველოში „აფხაზი“ იძღვნადვე (და არა უფრო მეტად) არსებობდა, რამდენადაც ქართი, ჰერი, კახი, მესხი, ჯავახი, კლარჯი, შავში, ეგრი, სვანი, ზანი და სხვ. ან კიდევ „ყახელი“, „ქართლელი“, „გურული“, „მეგრელი“, „იმერელი“, „აჭარელი“ და ა.შ. რომ ფეოდალური აფხაზეთი მხოლოდ „ქართული“ შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ აფხაზი კულტურულ-ისტორიულად „ქართველი“ იყო“ (ხაზგასმა ავტორისაა).<sup>18</sup>

ამრიგად, სრულიად აშკარაა, რომ აქ, ამ შემთხვევაში, ეთნო-ტომობრივი მომენტი სულაც არ არის ნაგულისხმევი. უფრო მეტიც, სტატიის მეორე ნაწილში, რომელშიც აკად. ნ. ბერძენიშვილი იძღვნა აფხაზეთის მთავრის ქელაიშ აპმედ ბეგ შარვაშიძის პიროვნების შეფასებას (სეპარატისტები არანაკლებ გააღიზანა ამ შეფასებამ), მეცნიერი ამჟამინდელ აფხაზებს ერთნიშნად მოიაზრებს ქართველთა მოძმე ხალხად, ის საყვედურობს იმათ, ვინც მოინდომა ქელეშ ბეი შარვაშიძის აფხაზი ხალხის გმირად გამოცხადება. „ქელაიშ ბეგები, – წერს ნ. ბერძენიშვილი, – ეს აფხაზეთის ისტორიის ათასწლიანი უარყოფაა, თანამოშმეებთან ათასწლოვანი კულტურულ-ისტორიული თანამშრომლობის უარყოფაა, ქართველობისაგან გამოთიშვაა, საქართველოს (და თვით აფხაზეთის) დალატია. და როგორ შეუძლია დღეს აფხაზ საბჭოთა მოქალაქეს (ე.ი. ამჟამინდელ აფხაზ-აფხაზს – ზ.პ.) უარყოს საკუთარი წარსული, საკუთარი სახელოვანი ისტორია და გმირი სწორედ ამ ისტორიის შემგინებელ-უარისმყოფელში დაიგულოს? გმირი იყო ლეონ I, ლიხთიქითის გამაერთიანებელი, გმირები იყვნენ ის გიორგი-კონსტანტინები, საქართველო-კავკასიის გაერ-

<sup>18</sup> ნ. ბერძენიშვილი. მცირე შენიშვნა..., გვ. 279-280.

თიანებას რომ ალევდნენ ძალებს, გმირები იყვნენ მოქვის, ბედი-ისა და ლიხნის თუ ანაკოფიის მაშენებელნი, გაერთიანებული საქართველოს მაშენებელნი და არა ქელაიშ-აპტედ-ბეგები – სულ-ტნის ყურმოჭრილი მონები. გმირი იყო ის ახალგაზრდა აფხაზი (მთავრის შვილი), ხრესილის ომში სოლომონ მეფესთან ერთად რომ ოსმალთა წინააღმდეგ იბრძოდა და არა ქელაიშ აპტედ ბე-გი, რუხის ომში რომ ოსმალეთის გადამწყვეტ შემოტევას ხელ-მძღვანელობდა... მოქვი, ანაკოფია, ბედია, ლიხნი, ბიჭვინტა თუ სხვა ხომ ყველა ქართველ მოძმეუბთან უმჭიდროეს თანამშრომ-ლობაში შეუქმნილი ძეგლებია და ამ ისტორიული თანამშრომლო-ბის მოწმობანია“<sup>19</sup>.

ობიექტური მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილის ამ ციტატაში სრულიად გარკვევითაა აღიარებუ-ლი ამჟამინდელ აფხაზთა უპირობო უფლება იამაყონ საკუთარი ისტორიული წარსულით, დასავლეთ საქართველო-აფხაზეთის იმ დიდი მოღვაწეებით, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ერთიან ძლიერ საქართველოს, იამაყონ იმ სწორუპოვარი ძეგლებით, რომ-ლებიც მათ წინაპრებს „ქართველ მოძმეუბთან უმჭიდროეს თანამ-შრომლობაში“ შეუქმნიათ. და ყოველივე ამის შემდეგ განა შეიძ-ლება ვინმე დაუკვდეს იმაში, რომ აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშ-ნულ სტატიაშიც (სხვა ნაშრომებზე რომ არაფერი ვთქვათ) ფაქ-ტობრივად ადასტურებდა ე.წ. „ძველ“ და „ახალ“ აფხაზთა იდენ-ტურობას. მაგრამ, ბუნებრივია, ეს გარემოება ოდნავადაც არ შე-აჩერებდა სეპარატისტთა იდეოლოგებს, რომლებმაც ნ. ბერძენი-შვილის შრომების III ტომის გამოსვლა გამოიყენეს ახალი პრო-ვოკაციული ანტიქართული კამპანიის წამოსაწყებად. ნ. ბერძენი-შვილის თხზულებების III ტომის პარალელურად აფხაზ სეპარა-ტისტთა ლიდერების მწვავე კრიტიკა დაატყდათ თავს აგრეთვე გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, აკად. სიმონ ყაუხჩიშვილს, „გე-ორგიკის“ (ბიზანტიელ მწერალთა ცნობები საქართველოს შესა-ხებ) VI ტომისათვის (თბ., 1966) დართული კომენტარების გამო და ნათელა კეჭაყმამეს, „ფლავიუს არიანეს „პერიპლუსის“ ქარ-

<sup>19</sup> ნ. ბერძენიშვილი. მცირე შენიშვნა დიდი საკითხის გამო..., გვ. 285-286. ხაზგასხვა ჩვენია – ზ.პ.

თული თარგმანისათვის (თბ., 1961) დართული კომენტარებისათვის. ამ მასალებში ფლავიუს არიანეს „აბაზგები“ და „აფსილები“ ქართველურ ტომებად იყვნენ გამოცხადებულნი. ასევე კრიტიკულად მიიღეს მათ ზურაბ ჭუმბურიძის წიგნი: „რა გქვია შენ?“ (თბ., 1966), რომელშიც აფხაზეთის ცალკეული ტოპონიმები იხსნებოდა ქართულად.

ვნებათაღელვა დაიწყო მას შემდეგ, რაც თბილისიდან სოხუმში გაიგზავნა თბილისის უმაღლესი სასწავლებლების აფხაზ სტუდენტთა არა ერთი წერილი-საჩივარი. ამ წერილების ადრესატები იყვნენ როგორც სტუდენტთა ახლობლები, ისე ავტონომიური რესპუბლიკის ოფიციალური სტრუქტურები. საჩივრის წერილებს, პირველ რიგში, მ. გორგის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის აფხაზი სტუდენტები და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები გამოეხმაურნენ. ასე დაიწყო მღელვარება, რომელმაც თავის აპოვებას 1967 წლის 7-9 აპრილს მიაღწია<sup>20</sup>.

ის, რომ აფხაზთა მორიგი „ამბოხის“ დრო საგანგებოდ იყო შერჩეული, რასაკვირველია, არავითარ ეჭვს არ იწვევს – ის „არითმეტიკული სიზუსტით“ იყო გამოანგარიშებული და ემთხვეოდა აფხაზთა პირველი ამბოხის 10 წლისთავს. ახალი „ამბოხის“ ინიციატივა მიანდეს ახალგაზრდობას. ჯერ კიდევ 1967 წლის მარტის შუა რიცხვებში სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა ჯგუფმა (სულ 45 ხელმოწერა) მიმართვა გაუგზავნა აფხაზეთის ასირ-ის სახელისუფლებო ორგანოებს. ამ მიმართვაში ისინი ულტიმატუმის ფორმით კატეგორიულად მოითხოვდნენ აფხაზეთის ცალკეული ქართული ტოპონიმების აფხაზურით შეცვლას<sup>21</sup>. 1967 წლის 28 მარტს სეპარატისტებმა უკვე თვითნებურად დაიწყეს აღნიშნული მოთხოვნის სისრულეში მოყვანა. ასე, ქ. სოხუმის ავტომატური სატელეფონო სადგურის ტექნიკოსმა ვინმე აბგაჯავამ და მძღოლმა ცკუამ საღებავებით გადაშალეს ყველა

<sup>20</sup> Г. П. Лежава. Между Грузией и Россией..., გვ. 186-187.

<sup>21</sup> Г. П. Лежава. Между Грузией и Россией..., გვ. 186.

ქართული წარწერა საგზაო ნიშნებზე დაწყებული საქართველო-რუსეთის საზღვრიდან ბიჭვინთამდე. ამ ქმედებისათვის ორივე ეს პიროვნება დააპატიმრეს. პასუხად, 1967 წლის 31 მარტს გაგრის მცხოვრებთა ერთი ჯგუფი ჩამოვიდა სოხუმში, სადაც მათ შეუერთდა რამდენიმე ათეული ადგილობრივი მაცხოვრებელი და ისინი (სულ 150 კაცამდე) ერთდროულად – ორ ნაწილად გაყოფილი გაემართნენ საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შენობებისაკენ. აფხაზეთის ოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები შეაშინა პროტესტის ასე ღიად გამოხატვამ და მათ მოსალოდნელი კრიზისის შემდგომი ესკალაციის თავიდან აცილების მიზნით დაუყონებლივ გაათავისუფლეს დაკავებულნი<sup>22</sup>. მაგრამ სეპარატისტები ამან არ დააკმაყოფილა და ისინი გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდნენ.

1967 წლის 7 აპრილს აფხაზური მოსახლეობის წარმომადგენლებმა (400 კაცამდე) აღყარ შემოარტყეს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის შენობას, ხოლო მოგვიანებით გაემართნენ საზაფხულო თეატრისკენ და თვითნებურად დაიკავეს ის<sup>23</sup>. აქ შუაღამისას, 12 საათზე მოეწყო შეხვედრა ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან. „ამბოხებულები“ ვერ დააკმაყოფილა ხელმძღვანელობის განმარტებებმა და მათ უშუალოდ მოსკოვის ჩარევა მოითხოვეს. რატომლაც დაისვა საკითხი მაინცდამაინც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი მდივნის ჩამოსვლის შესახებ. ამავე დროს, მომზადდა წერილი სკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, რომელშიც კვლავ იქნა დაყენებული აფხაზეთის ასერის საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან გამოყვანისა და მისი „დამოუკიდებელ“ მოკავშირე რესპუბლიკად გარდაქმნის საკითხი.

1967 წლის 9 აპრილს შედგა კიდევ ერთ შეხვედრა „ამბოხებულებსა“ და ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელებს შორის, რომლის შემდეგაც მომიტინგეთა დიდმა ნაწილმა დატოვა საზაფხულო თეატრის შენობა. დარჩნენ მხოლოდ აქტივისტები

<sup>22</sup> Г. П. Лежава. Между Грузией и Россией..., გვ. 186-187.

<sup>23</sup> Г. П. Лежава. Между Грузией и Россией..., გვ. 187.

(100-მდე კაცი), რომლებმაც აირჩიეს სარედაქციო კომისია (20 კაცის შემადგენლობით) სკპ ცენტრალურ კომიტეტში გასაგზავნი მიმართვის მოსამზადებლად. ამ კომისიაში შევიდნენ სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი თამარ შავრილი<sup>24</sup>, ახალგაზრდა მწერალი ჯუმა ახუბა, იურისტი ნიკოლოზ ყოლბაია – ქ. სოხუმის პროკურორის თანაშემწერი, საქართველოს სსრ-ისა და აფხაზეთის ასსრ-ის სახალხო არტისტი აზიზ აგრძა, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი კ. ვარდანია და სხვა. 10 აპრილს დოკუმენტი უკვე მომზადებული იყო. იმავდროულად შეირჩა დელეგაცია, რომელიც უნდა ჩასულიყო მოსკოვში. ამ დელეგაციაში შევიდნენ თამარ შავრილი, ჯუმა ახუბა, აზიზ აგრძა, ხ. ჭამალუა, ო. შამბა, აგრეთვე ანატოლი ზუბა და ოლეგ დომენია, რომლებიც დელეგაციას მოსკოვში უნდა შეერთებოდნენ<sup>25</sup>.

სხვა დასახელებულ პირთაგან უკანასკნელ მომენტში მოსკოვში წასვლისაგან თავი შეიკავეს ცნობილმა ტყვარჩელელმა მემახტემ ნ. შამბამ, კოლმეურნე კ. შლარბამ, აგრეთვე სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დეკანის მოადგილემ ვალერი ყურასქუამ. მათ ნაცვლად, დელეგაციის ხელმძღვანელმა თამარ შავრილმა, თავისი ინიციატივით, დელეგაციაში შეიყვანა შ. ხაჯიმბა, იგორ მარხოლია, ა. შლარბა. დელეგაციას თან ახლდა 10 ახალგაზრდისაგან შემდგარი ერთგვარი „დაცვა“. დელეგაცია მოსკოვში მატარებლით ადლერიდან გაემგზავრა<sup>26</sup>.

სკპ ცენტრალური კომიტეტისადმი მიმართვაში მოყვანილი იყო თბილისის მხრიდან აფხაზეთის შევიწროების „უტყუარი ფაქტები“. კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ყველა საბჭოთა მეურნეობა, აგრეთვე სამრეწველო საწარმოების 90% და სავაჭრო ობიექტების 83% უმუალოდ თბილისისადმი იყო დაქვემდებარებული; რომ კურორტებისა და ტურიზ-

<sup>24</sup> ეს სწორედ ის თამარ შავრილია, რომელიც დაიღუპა 2004 წლის მიწურულს, აფხაზეთში განვითარებული პოლიტიკური კრიზისის დღეებში, სერგეი ბადავზის მომხრევების მიერ პარლამენტის შენბის შტურმისას.

<sup>25</sup> Г. П. Лежава. Между Грузией и Россией..., გვ. 188.

<sup>26</sup> Г. П. Лежава. Между Грузией и Россией..., გვ. 188.

მის მთელი შემოსავალი (აფხაზეთის ასსრ-ის საერთო ბიუჯეტის 50%) ირიცხებოდა საქართველოს სსრ-ის ბიუჯეტში; რომ მიმდინარებს აფხაზეთის ტყის სიმდიდრეების დაუნდობელი განადგურება<sup>27</sup> და ა.შ. ამავე დროს, სკპ ცენტრალურ კომიტეტში გაგზავნილ ღოკუმენტებში სეპარატისტები აყენებდნენ აფხაზეთის ცალკეული ტოპონიმების აფხაზურად გადარქმევის, აფხაზი ეროვნების ადამიანებისათვის ქალაქებში ჩაწერისას უპირატესობის მინიჭებისა და მათი შრომითი მოწყობისათვის მაქსიმალურად ხელის შეწყობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სკოლაში აფხაზური ენის სავალდებულო სწავლების შემოღების, ხელმძღვანელ თანამდებობებზე მხოლოდ აფხაზი ეროვნების წარმომადგენელთა დანიშნვის, თურქეთიდან 200 ათასი მუჰაკირ-აფხაზთა შთამომავლის გადმოსახლების ორგანიზაციის, საქმის წარმოების აფხაზურ ენაზე გადაყვანისა და ა.შ. მოთხოვნებს. სეპარატისტთა ლიდერების განცხადებით, ამ და აფხაზი ხალხისათვის „სასიცოცხლო“ სხვა საკითხების გადაჭრა შეუძლებელი იყო აფხაზეთის ასსრ-ის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში ყოფნის პირობებში. აქედან გამომდინარე, ისინი მოითხოვდნენ აფხაზეთის გამოსვლას საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან და მისი მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსში აყვანას<sup>28</sup>.

1967 წლის 18 აპრილს სეპარატისტთა „დელეგაცია“ მიიღო სკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელმა მუშაკმა ვიქტორ ვასილიევმა, (ის კურიორებას უწევდა საქართველოს), თუმცა „ოფიციალური ღოკუმენტები“ მისთვის არ გადაუციათ. თ. შავრილი და მისი ჯგუფი ითხოვდა შეხვედრას უშუალოდ სკპ ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ მდივანთან (თუ ვისთან კონკრეტულად, არ სახელდება), ან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ალექსეი კოსიგინთან. მაგრამ სეპარატისტების ეს მცდელობა უშედეგოდ დასრულდა. აუდიენცია ასეთ მაღალ დონეზე არ შედგა, რის გამოც „დელეგაცია“ იძულებული შეიქმნა „ღოკუმენტები“ სკპ ცენტრალური კომიტეტის მისაღებ-

<sup>27</sup> Г. П. Лежава. Между Грузией и Россией..., გვ. 188-189.

<sup>28</sup> Г. П. Лежава. Между Грузией и Россией..., გვ. 189.

ში ჩაებარებინა და სოხუმში დაბრუნებულიყო<sup>29</sup>.

ამასობაში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კო-  
მიტებმა აფხაზეთში სიტუაციის განსამუხტავად გარკვეული სა-  
მუშაო ჩაატარა. ჯერ კიდევ 31 მარტს შედგა ცენტრალური კო-  
მიტების ბიუროს სხდომა, რომელზეც განიხილეს მოხსენებითი  
ბარათი. ამ ბარათს ხელს აწერდნენ საქართველოს კომპარტიის  
აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვალერიან კო-  
ბახია, აფხაზეთის ასსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავ-  
მჯდომარე ბაგრატ შინკუბა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომა-  
რე მიხეილ ჩიქოვანი. ბიუროს სხდომაზე მათ გარდა მოწვეული  
იყვნენ აფხაზეთის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირვე-  
ლი მდივები: ს. ალანია (გუდაუთა), ი. ამიჩბა (ოჩამჩირე), კვა-  
რანძია (ტყვარჩელი), ხ. ჯიქია (გაგრა), ა. ძაძუა (გალი), ვ. კო-  
კაია (სოხუმის რ-ნი). რაიმე კონკრეტული გადაწყვეტილება ბი-  
უროს სხდომაზე არ მიუღიათ და მხოლოდ საკითხის განხილ-  
ვით დაკმაყოფილდნენ, თუმცა აკად. ნ. ბერძენიშვილის წიგნისა  
და ზოგიერთი სხვა ნაშრომის პუბლიკაცია შეცდომად იქნა აღი-  
არებული. ბიუროზე ასევე მართებულად მიიჩნიეს მოთხოვნა ცალ-  
კეული დასახლებული პუნქტებისათვის აფხაზური სახლწოდე-  
ბების დარწენების შესახებ და სხვ.<sup>30</sup>

1967 წლის 12 აპრილს, საქართველოს სსრ-ის უმაღლესი  
საბჭოს მორიგი სესიის დამთავრებისთანავე, საქართველოს კომ-  
პარტიის ცენტრალურ კომიტეტში შედგა შეხვედრა აფხაზეთი-  
დან წარმოდგენილ დეპუტატებთან, რომლის დროსაც შეხვედრის  
მონაწილეებმა ერთსულოვნად დაგმეს „неправильные действия  
отдельных представителей интеллигенции Абхазии“.<sup>31</sup>

14 აპრილს უკვე შედგა საქართველოს კომპარტიის ცენტ-  
რალური კომიტეტის ბიუროს საგანგებო სხდომა, რომელზედაც  
მოიწვიეს წამყვანი მეცნიერები: აკად. გიორგი წერეთელი, აკად.  
გიორგი მელიქიშვილი; პროფესორები: შოთა მესხია, მამა დუმ-  
ბაძე, ორაკლი ანთელავა, ნიკოლოზ სტურუა, მარიამ ლორთქი-

<sup>29</sup> Г. П. Лежава. Между Грузией и Россией..., გვ. 189-190.

<sup>30</sup> Г. П. Лежава. Между Грузией и Россией..., გვ. 192.

<sup>31</sup> Г. П. Лежава. Между Грузией и Россией..., გვ. 198.

ფანიძე და სხვ. ბიუროზე განიხილეს შემდეგი საკითხები: „1. О нездоровых проявлениях в Абхазии, 2. О серьезной оплошности, допущенной при издании III тома избранных сочинений академика Н. А. Бердзенишвили. 3. О переименовании некоторых сёл Абхазской АССР“.<sup>32</sup> ბიუროს სხდომის მსვლელობისას, ქართველმა მეცნიერებმა მოახერხეს აკად. ნ. ბერძენიშვილის წიგნის დაცვა და, მიუხდავად სეპარატისტების კატეგორიული მოთხოვნისა, ის გადაურჩა აკრძალვას. ამავე სხდომაზე მოწონებულ იქნა საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება: „აფხაზეთის ასსრ-ის ზოგიერთი სოფლისათვის სახელის გადარქმევის შესახებ“. ბიუროს სხდომაზე საგანგებოდ აღინიშნა, რომ „Некоторые лица в Абхазии использовав в качестве повода недостаточно тщательно отредактированную статью.., включенную в третий том избранных сочинений академика Бердзенишвили, стали на путь подстрекательства абхазского населения к выступлению в знак протesta против, якобы ущемляемых интересов абхазского народа“.<sup>33</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ დაავალა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტს, სოხუმის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, „принять исчерпывающие меры, исключающие в дальнейшем нездоровье проявления“.<sup>34</sup>

ბიუხდავად იმისა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილებაში პოლიტიკური აქცენტები სწორად იყო დასმული<sup>35</sup> და აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს საკმაოდ მკაცრი შეფასებაც მიეცა, მოქმედებებში ერთგვარი წინააღმდეგობრიობა მაინც შეიმჩნეოდა. პირველ რიგში, ეს გამოვლინდა იმაში, რომ საქართველოს უმაღლესმა პარტიულმა ორგანომ, მოუწოდა რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის, მეცნიერებისა და სასწავლო დაწესებულებების

<sup>32</sup> Д. Стуруа. Сепаратистское движение в Абхазии в шестидесятие и семидесятие годы нашего столетия. Тб., 1995, გვ. 30.

<sup>33</sup> Д. Стуруа. Сепаратистское движение в Абхазии..., გვ. 31.

<sup>34</sup> Д. Стуруа. Сепаратистское движение в Абхазии..., გვ. 31-32.

<sup>35</sup> Д. Стуруа. Сепаратистское движение в Абхазии..., გვ. 32.

განვითარებებს „осуществлять постоянный контроль и оказать помощь(?)“ научно-издательским учреждениям и высшим учебным заведениям в дальнейшем повышении теоретического и идеиного уровня издаваемой печатной продукции“,<sup>36</sup> ფაქტობრივად მკაცრი ცალმხრივი ცენზურა დააწესა. შედეგად, ქართველ მეცნიერებს დიდი ხნის მანძილზე არ ეძღვოდათ საშუალება, სათანადო პასუხი გაუცათ სეპარატისტულად განწყობილი აფხაზი ისტორიკოსებისა და სხვა მოღვაწეთა ფალსიფიკაციური პროპაგანდისათვის, რომელიც ფართოდ გაიშალა აფხაზეთში 70-იან წლებში. ცალკეულ ქართველ მკვლევართა ნებისმიერი მცდელობა (უნდა ითქვას, რომ ასეთ „სითამამეს“ მხოლოდ ერთულები იჩენდნენ), როგორმე წინ აღდგომოდნენ აფხაზი კოლეგების „ისტორიოგრაფიულ თარეშს“, ხელისუფლების მხრიდან ძირშივე იკვეთებოდა, ხოლო სეპარატისტული პროპაგანდა მაშინათვე აკერძლდა ამ მეცნიერებს აფხაზი ხალხის „მტრის“ იარღიყს. 70-იან წლებში ეს „პატივი“ წილად ხვდათ აკად. მ. ლორთქიფანიძეს, პროფ. ნ. ლომოურს და სხვ.<sup>37</sup>

მაგრამ დავუბრუნდეთ 1967 წლის გაზაფხულის მოვლენებს. 18 აპრილს სოხუმში შედგა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პარტიულ-სამურნეო აქტივის კრება, რომელზედაც ვრცელი მოხსენებით წარსდგა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მუგანაძე. კრების მონაწილეებმა ერთნიშნად დაგმეს „самочинный сход, состоявшийся в г. Сухуми 7-9 апреля 1967 г.“ და მოუწოდეს პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, „...настороживо укреплять трудовую и государственную дисциплину, проявлять непримиримость к любым нарушениям советского правопорядка и социалистической законности“.<sup>38</sup>

<sup>36</sup> Г. П. Лежава. Между Грузией и Россией..., გვ. 199. ხაზგასმა ჩვენია – ზ. პ.

<sup>37</sup> ამ მხრივ არაერთი უსიამოვნება შეხვედრია ამ სტრიქონების ავტორსაც, განსაკუთრებით 80-იანი წლების დამდეგს, როდესაც აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოკალათებულმა სეპარატისტული მოძრაობის იდეოლოგებმა, ოლებ დომენიას მეთაურობით, ის ფაქტობრივად „პერსონა ნონ გრატა“-დ გამოაცხადეს.

<sup>38</sup> Г. П. Лежава. Между Грузией и Россией..., გვ. 201.

სერიოზული მსჯელობა ამავე საკითხზე გაგრძელდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის VII პლენურზე, რომელზეც საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვალერიან კობახიამ დაგმო ანტიქართული ამბოხის ინსპირატორთა ქმედებები. „Нельзя мириться, — а孜бішбаазда აფხაზეთის პარტიული ხელმძღვანელი, — с любыми проявлениями национальной ограниченности, от кого бы они ни исходили... Мы знаем тех людей, которые подогревали ненужные страсти. Неприглядную, если не сказать более резко, роль, в частности, играли старший преподаватель пединститута со степенью кандидата наук Т. Шакрил, экономист Ш. Хаджимба, литератор Д. Ахуба, директор Гагрской восьмилетней школы Б. Бения, учитель Х. Чамагуа“.<sup>39</sup> მაგრამ სეპარატისტულ ამბოხს სხვა, უფრო გავლენიანი ლიდერებიც ჰყავდა. პირველ რიგში, ეს იყო აფხაზეთის ავტონომიური ოესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ასლან ოტირბა, რომელიც ითვლებოდა ეწ. „იატაპევეშა საოლქო კომიტეტის“ ხელმძღვანელად. თითქმის დიად უჭერდნებ მხარს ამბოხებულებს და გამოსვლების ორგანიზატორთა როლში გვევლინებოდნენ აფხაზეთის მაშინდელი კულტურის მინისტრი ვლადიმერ კვარჩხელია, აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულაის სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე აკადემიუნივერსიტეტის პრორექტორის ბონენციანის<sup>40</sup>. საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას ჰქონდა ინფორმაცია, რომ „некоторые из организаторов акции, имеющих националистическую направленность“, ცდილობდნენ მოეპოვებინათ ცნობილი აფხაზი პოეტისა და მეცნიერის, იმუამად აფხაზეთის ასსერ-ის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის (ხელისუფლების იურარქიაში მესამე თანამდებობა) ბაგრატ შინკუბას მხარდაჭერა<sup>41</sup>.

მიუხედავად საკმაოდ პრიციპული შეფასებებისა, რომელიც მიეცა აფხაზთა მორიგ „ამბოხს“, როგორც საქართველოს კომ-

<sup>39</sup> Г. П. Лежава. Между Грузией и Россией..., გვ. 202.

<sup>40</sup> Д. Струра. Сепаратистское движение в Абхазии..., გვ. 24.

<sup>41</sup> Д. Струра. Сепаратистское движение в Абхазии..., გვ. 27.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ისე აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მხრიდან, დაბეჭითებით შეიძლება ითქვას, რომ სეპარატისტები სულაც არ გრძნობდნენ თავს დამარცხებულად. უფრო მეტიც, საკადრო ცვლილებები, რომელიც განახორციელა საქართველოს უმაღლესმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ, გარკვეულწილად იმედიანად განაწყობდა სეპარატისტულ ბანაკს და ქმნიდა მეტად ხელსაყრელ ფონს აფხაზური ნომენკლატურის პოზიციების შემდგომი განმტკიცებისათვის. საკმარისია ითქვას, რომ არც ერთი აფხაზი მაღალჩინოსანი, რომელიც ფაქტობრივად „ამბოხის“ ორგანიზაციონი იყო, არ დასჯილა. ერთადერთი პიროვნება ვისზეც თითქოს „ჯოხი გადატყდა“, იყო ო. შაყრილი, რომელიც ჩამოაშორეს სტუდენტურ აუდიტორიას პედაგოგიურ ინსტიტუტში და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოზე (დ. გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში) გადაიყვანეს.

სამაგიეროდ, რეპრესიული ღონისძიებები გატარდა ქართველი ნომენკლატურული მუშაკების მიმართ. ასე, 1967 წლის 21 მაისს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენურმა (მის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი პეტრე როდიონოვი) დემონსტრაციულად გამოიყვანა საოლქო კომიტეტის ბიუროს შემადგენლობიდან და გაათავისუფლა დაკავებული თანამდებობებიდან საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი დამიანე გოგონია და ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მიხეილ ჩიქვანი. და ეს მამინ, როდესაც საკუთრივ აფხაზი ხელმძღვანელების: საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვალერიან კობახიასა და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ბაგრატ შინკუბას პასუხისმგებლობის საკითხი არავის დაუსვამს. პირიქით, 1967 წლის „აპრილის ეპოპეის“ შემდეგ მკეთრად გაიზარდა მათი გავლენა.

ამრიგად, კვლავ შეიქმნა მხოლოდ ქართველთა დასჯის პრეცედენტი. ამან კიდევ უფრო გაათავამა სეპარატისტული მოძრაობის იდეოლოგები, რომლებიც ამ დროიდან ხელიდან არ უშვებდნენ ნებისმიერ საბაბს თავისი „ბრძოლისუნარიანობის“ მორიგი

დემონსტრირებისათვის. ასე ძოხდა, მაგალითად, 1968 წელს, ორდესაც მათ „იერიში მიიტანეს“ ი. ადამიას წიგნზე „ქართული ხალხური შემოქმედება“ (მასში ავტორი იმეორებდა პ. ინგოროვას თვალსაზრისს აფხაზთა წარმომავლობის საკითხე). საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა კვლავ აჩვენა სეპარატისტებს თავისი „კრინციპულობა“ აფხაზი ხალხის ისტორიის „გამყალბებლების“ მიმართ და გაზეთ „Заря Востока“-ში (4.VI.1968) სახელდახვლოდ მოათავსა სარედაქციო წერილი საკმაოდ მაღალფარდოვანი სათაურით: „С чувством ответственности перед историей“, რომელშიც მკაცრად იყო გაკრიტიკებული ი. ადამიას დებულებები. ეს კი აფხაზმა სეპარატისტებმა თავიანთ მორიგ გამარჯვებად მიიწერეს.

ვასრულებო რა საუბარს 1967 წლის ანტიქართულ ამბოხზე აფხაზეთში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვიყვანოთ ცნობილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, იმუამად საქართველოს კომბარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის, ამ მოვლენების უშუალო თვითმხილველის პროფ. ღევი სტურუას შეფასება. დ. სტურუა სავსებით სწორად მიიჩნევს, რომ სეპარატისტები ამ „პუტჩს“, პირველ რიგში, განიხილავდნენ როგორც „очередной этап в осуществлении своих конечных вероломных планов“. ამავე დროს, „сепаратисты добивались (и не без успеха) получения от руководства Грузии уступок такого характера, которые подняли бы их авторитет, или как сейчас говорят и пишут, рейтинг, чтобы предстать перед общественностью борцами за национальные интересы абхазского народа“. და ბოლოს, „сепаратисты знали, что за беспорядками, как правило, следуют кадровые перестановки и они получили бы возможность „протащить“ на руководящие посты своих людей“.<sup>42</sup>

ემოდა თუ არა ყოველივე ეს საქართველოს ხელმძღვანელობას? – სვამს სავსებით ლოგიკურ კითხვას დ. სტურუა და იქვე ერთნიშნად პასუხობს, რომ „С полной ответственностью можно сказать, что да. Так почему же в таком случае оно (г. о. საქართველოს ხელისუფლება – ზ.з.) шло на заведомые уступки?

<sup>42</sup> Д. Струя. Сепаратистское движение в Абхазии..., გვ. 44.

Почему не назывались вещи своими именами? Почему, как правило, избегали наказания сепаратисты и карьеристы?“<sup>43</sup> სამართლიანობა მოითხოვს, თქვას, რომ დ. სტურუას მიერ საქართველოს მაშინდელი პარტიული ხელმძღვანელობის მოქმედებების თუ უმოქმედობის გასამართლებლად მოყვანილი არგუმენტები<sup>44</sup> მთლად დაძაჯერებლად ვერ გამოიყურება. ერთადერთი, რასაც არ შეიძლება არ დავთანხმოთ, არის ის, რომ თბილისი „В процессе проявления этих конфликтов“ სულაც არ იყო დამოუკიდებელი და უდავოდ განიცდიდა ცენტრის ზეწოლას<sup>45</sup>, რომელიც, თავის მხრივ, ფარულად თვითვე აღვივებდა კიდეც იმ კონფლიქტებს.

### 3. В. ПАПАСКИРИ

## СЕПАРАТИСТСКИЕ ВЫСТУПЛЕНИЯ В АБХАЗИИ В 50-60-Х ГОДАХ XXВ.

В статье освещена история сепаратистских выступлений в Абхазии в 50-60-х годах XXв. В ней, на основе критического анализа соответствующих документальных материалов, а также публикаций мемуарного характера, показана антиконституционная суть этих выступлений. В работе особо подчеркивается подстрекательская роль Москвы в идеологической подготовке сепаратистских „мятежей“ абхазов. Вместе с тем, критически оценена капитулянтская позиция коммунистического руководства Грузии, подхлестывавшая сепаратистов на новые „подвиги“.

<sup>43</sup> Д. Стурба. Сепаратистское движение в Абхазии..., გვ. 45.

<sup>44</sup> Д. Стурба. Сепаратистское движение в Абхазии..., გვ. 45-46.

<sup>45</sup> Д. Стурба. Сепаратистское движение в Абхазии..., გვ. 46.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება  
აფხაზეთის ორგანიზაცია  
საისტორიო ძეგანი, 7, 2004

## ს ა მ ა რ თ ვ ე ლ მ ს ი ს ტ რ ი ა

### ლია ახალაძე

#### ქართული და სომხური წყაროები „აფხაზთა“ მეფეთა ტიტულატურის შესახებ

სამეფო ტიტულატურის დაზუსტება ისტორიულ პროცესში ამა თუ იმ სახელმწიფოს ისტორიული როლისა და ადგილის განსაზღვრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მომენტია, რადგან მეფეთა ტიტულატურა უმეტესად არსებული პოლიტიკური მდგომარეობისა და სახელმწიფოს რეალური შინაარსის გამომხატველი უფროა, ვიდრე უბრალო სამეფო ტიტული.

„აფხაზთა“ სამეფოს ცალკეული ისტორიული პროცესების შესწავლისას ყურადღებას იქცევს „აფხაზ“ მეფეთა ტიტულატურის საკითხი, რომლის დაზუსტება ამ სამეფოს რეალური შინაარსის განმსაზღვრელი და მაჩვენებელია. მათ შესახებ არსებული წყაროების ერთი ნაწილი შექმნილია მათი ზეობის ხანაში, ხოლო მეორე, გაცილებით უფრო დიდი ნაწილი, საქართველოს გაერთიანების შემდეგ. აღნიშნულ წყაროებში „აფხაზთა“ მეფეების ტიტული ერთმანეთისგან განსხვავებული ფორმითაა წარმოდგენილი. მაგალითად, „აფხაზთა“ სამეფოს თანადროული წერილობითი წყაროები მათ მხოლოდ „მეფის“ ტიტულით იხსენებენ და წინ მსაზღვრელი სიტყვა „აფხაზთა“ არ ახლავთ. აღნიშნულ ტიტულს მათ მიმართ იყენებს მხოლოდ ქართული საისტორიო ტრადიცია, რომელიც საქართველოს გაერთიანების შემდეგ ჩამოყალიბდა ხოლო საკუთრივ, აფხაზთა მეფეების დაკვეთით შესრულებულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში მათი ტიტული შემდეგი ფორმულირებით გვხვდება: „ლეონ მეფე“, „კონსტანტინე მეფე“, „გიორგი მეფე“ და ა.შ. „აფხაზთა“ მეფე კონსტანტინე III (893-922) ერედვის წე.

გიორგის სახელობის ეკლესიის, 914 წლით დათარიღებულ, ხუროთმოძღვარ თევდორე თაფლავსის სამშენებლო წარწერაში იხსენიება, როგორც „კონსტანტინე“ მეფე<sup>1</sup>.<sup>1</sup> სამწევრისის 912-913 წლების მამასახლის დომინიონის წარწერაში იგივე კონსტანტინე III დასახელებულია, როგორც „კონსტანტინე“ მეფე<sup>2</sup>.<sup>2</sup>

გიორგი II „აფხაზთა“ მეფის (922-957) დაკავითო შესრულებულ ვერცხლის საცეცხლურზე კითხულობთ: „წ(მიდა)ო ეკლესიაო მეოხ მეყავ მე გ(იორგი)ი მეფესა წ(ინაშ)ე ღ(მრთ)ისა“<sup>3</sup> ასეთივე ტიტულით გვხვდება გოირგი II ქაიჩის სამწერობელზე<sup>4</sup> და ხოფის წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის ლაპიდარულ წარწერაში<sup>5</sup>.

ლეონ „აფხაზთა“ მეფემ (957-967) კიდევ უფრო გააფართოვა „აფხაზთა“ სამეფოს საზღვრები. მისი სახელი გვხვდება როგორც დასავლეთ საქართველოს ეპიგრაფიკულ ძეგლებში, ასევე ქართლისა და ჯავახეთის ლაპიდარულ წარწერებში. ახალგორის რაიონში წირქოლის ეკლესიის სამშენებლო წარწერებში ვკითხულობთ: „...ი ქსენ სასჯელისაგან გ(ა)ბრ(იე)ლ მთ(ა)ვ(ა)რ(ა)ნ-გ(ე)ლ(ო)ზო ღ(ე)ონ მეფე“<sup>6</sup>.

<sup>1</sup> ქართული წარწერების კორპუსი. ტ. I. ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V-Xსს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შოშაბ შვილმა. თბ., 1980, გვ. 172.

<sup>2</sup> ქართული წარწერების კორპუსი. ტ. I, გვ. 223.

<sup>3</sup> Г. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство. Тб., 1959, ფოტო №29, 30, 31, გვ. 148; ლ. ახალაძე. ეგრის-აფხაზეთის („აფხაზთა“) მეფეთა წარწერები. — კოლექცია „არასამთავროები აფხაზეთისათვის“, საინფორმაციო ანალიტიკური ეურნალი „აფხაზეთი“, I. თბ., 2004, გვ. 58.

<sup>4</sup> ქ. თაყაიშვილი. არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. ტ. II, გვ., 1913, გვ. 238; ქ. თაყაიშვილი. დველი საქართველო. ტ. III. გვ., 1913-1914, გვ. 239; Г. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство, ფото №22, 23, 24, გვ. 138; ლ. ახალაძე. ეგრის-აფხაზეთის..., გვ. 58.

<sup>5</sup> А. Авдзба. Любонытная страница истории. — გამ. „Советская Абхазия“, 7.X.1967, №199; ქართული წარწერების კორპუსი. ტ. II. ლაპიდარული წარწერები. დასავლეთ საქართველო (IX-XIIIსს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა გალერი სილოვანამ. თბ., 1980, გვ. 142, №164; ოდნავ განსხვავებული წაკითხვითა და დათარიღებით იხ.: ლ. ახალაძე. ეგრის-აფხაზეთის..., გვ. 59.

<sup>6</sup> გ. ჩუბინაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. ტ. I. თბ., 1936, გვ. 207-208; ქართული წარწერების კორპუსი, ტ. I, გვ. 221, გაბ. 84, 85; ლ. ახალაძე. ეგრის-აფხაზეთის..., გვ. 59.

კუმურდოს ტაძრის 964წ. სამშენებლო წარწერაში ვკითხულობთ: „დ(ა)დვა ს(ა)ძ(ი)რკვ(ე)ლი ამ(ი)ს ეკლეს(იი)ს(ა)ვ ჯ(ე)-ლითა ჩ(ე)მ ც(ო)დვ(ი)ლისა ს(ა)კოცარის(აღ)თა, ლეონ მეფისა ზც...“<sup>7</sup> იმავე ტიტულით გვხვდება ლეონ III ხობის ღმრთისმშობლის ხატის წარწერაში: „ტყ(ოვ)ლ(ა)დ წ(მიდა)ო ღ(მრ)თისმშ(ო)-ბ(ე)ლო მეოხ ეყავ წ(ინაშ)ე ქ(რისტ)ესა ს(უ)ლსა ლეონ მეფის(ასა)“.<sup>8</sup> ზემოთ დასახელებული ყველა წარწერა „აფხაზთა“ მეფების თანადროულია და უმრავლესობა მათი დაკვეთითაა შესრულებული. მსგავსი ტიტულით გვხვდება „აფხაზთა მეფები“ მათ თანადროულ სომხურ საისტორიო თხზულებაში. IX საუკუნის II ნახევრისა და X საუკუნის დასაწყისის სომეხი ისტორიკოსი და საეკლესიო მოღვაწე იოანე ღრასხანაკერტელი „აფხაზთა“ სამეფოს „ეგრისის სამეფოს“, ხოლო „აფხაზთა“ მეფეს „ეგრისის მეფე კონსტანტინეს“ უწოდებს<sup>9</sup>. ამ მხრივ, საყურადღებოა ბიზანტიური წყაროებიც, მაგრამ ისინი, ბიზანტიის პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, როგორც წესი, ქართველ მეფეებს (სომეხ მეფეებსაც) „მეფის“ ტიტულით არასოდეს არ იხსენებენ. მაგალითად, ნიკოლოზ მისტიკოსის ცნობილ წერილებში „აფხაზთა“ მეფეები „აბაზგის მთავრის“, ან „აბაზგის ბრწყინვალე მთავრის“ (ექსუსიასტის) ტიტულით არიან დასახელებული<sup>10</sup>. როგორც ვხედავთ, „აფხაზთა“ მეფეების თანამედროვე არცერთი წყარო არ იცნობს ტიტულს „მეფე აფხაზთა“, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ამ ტიტულს აფხაზი მეფეების მიმართ პირველად იყენებენ საქართველოს გაერთიანების შემდეგ შექმნილი ნა-

<sup>7</sup> ვ. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა. თბ., 1959, გვ. 11; ქართული წარწერების კორპუსი, ტ. I, გვ. 262-264; ვ. სილოგაგა. პუმურდო. ტაძრის ეპიგრაფიკა. თბ., 1994, გვ. 39.

<sup>8</sup> Г. Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство, ფოტო №63, 65, გვ. 142; ლ. ახალაძე. ეგრის-აფხაზეთის..., გვ. 60.

<sup>9</sup> იოვანე ღრასხანაკერტელები. სომხეთის ისტორია. სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლებით გამოსცა კლენჯ ცაგარებულება. თბ., 1965, გვ. 109.

<sup>10</sup> ნიკოლოზ მისტიკოსის წერილები. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. IV. ნაკვ. II. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1952, გვ. 212, 214, 215.

რატიული თხზულებები: „მატიანე ქართლისავ“ სუმბატ დავითის ძის თხზულება „ცხორებავ და უწყებავ ბაგრატონიანთა“ და ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

ჩვენი აზრით, „აფხაზთა“ მეფეები საკუთარ სამეფო ტიტულატურაში არ აკონკრეტებდნენ სამეფო ტერიტორიას, ამასვე ადასტურებს სომხური წყაროც, რადგან ისინი ტრადიციულად, მამის სამემკვიდრეო ხაზით ფლობდნენ სამეფო ტახტს და ტიტულატურაში სამეფო ტერიტორიის განსაზღვრისა და დაზუსტების საჭიროებას აუცილებლობად არ მიიჩნევდნენ. განსხვავებულია დასავლეთ საქართველოში ბაგრატიონთა გამეფების ისტორია. ბაგრატ III მამის სამემკვიდრეო ხაზით კი არ „ეუფლა“ ქუთაისის სამეფო ტახტს, არამედ დედის ხაზით, რაც უიშვიათესი მოვლენა იყო ქართული სამეფოების ისტორიაში და, რადგანაც ქუთაისის ტახტი „აფხაზი“ მეფეების სამემკვიდრეო იყო, თანაც ბაგრატ III „ქართულთა“ მეფის ბაგრატ II „რეგვენის“ მემკვიდრეც იყო, ამიტომ მისი სამეფო ტიტულატურა, დასავლეთ საქართველოში გამეფების შემდეგ, მოითხოვდა კიდეც განმარტებას მფლობელობის შესახებ. აქედან გამომდინარე, ქართულ არანარატიულ წყაროებში, ისტორიულ დოკუმენტებსა და ეპიგრაფიკულ ძეგლებში ტიტული „მეფე აფხაზთა“ პირველად გვხვდება გაერთიანებული საქართველოს მეფეების ტიტულატურაში. დავაკვირდეთ ბაგრატ III-ის სამეფო ტიტულის ცვლილებას მოელი მეფობის მანძილზე. 989-999 წლებით დათარიღებულ ბედის ბარძიმის წარწერაში იგი იხსენიება, როგორც „ბაგრატ აფხაზთა მეფე“.<sup>11</sup> იმავე ტიტულითაა დასახელებული ბაგრატ III ატენის სიონის 980 წლის წარწერაში<sup>12</sup>. ქუთაისის ბაგრატის ტაბრის 1001-1008 წლების წარწერაში ბაგრატის სამეფო ტიტულზე დამატებულია ახალი ტიტულები: „აფხაზთა და ქართველთა მეფე და კურაპალატი“.<sup>13</sup> როგორც ვხედავთ, წარწერაში აისახა 1001 წელს ბაგრატის მიერ „კურაპალა-“

<sup>11</sup> გ. ჩუბინაშვილი. ბედის ოქროს ბარძიმი. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბჯ, 1940, X, ბ.

<sup>12</sup> ქართული წარწერების კორამუსი. ფრესკული წარწერები. I. ატენის სიონი. გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და სამიებლები დაურთეს გურამ აბრამიშვილმა და ზაზა აღვეჯესიძემ. თბ., 1989, გვ. 177, №47.

<sup>13</sup> ქართული წარწერების კორამუსი, II, გვ. 53, №33.

ტის“ ტიტულისა და 1008 წელს მამის-გურგენ მეფეთ-მეფის გარდაცვალების შემდეგ „ქართულთა მეფის ტიტულის“ მიღება<sup>14</sup>.

ნიკორწმინდის ტაძრის 1010-1014 წლების წარწერა ბაგრატ III-ს უწოდებს „აფხაზთა და რანთა მეფე და ქართველთა კურაპალატს“.<sup>15</sup> წარწერა შესრულებულია მას შემდეგ, რაც საქართველოს ახლადგაერთიანებულმა სამეფომ 1010-1014 წლებში რანი შემოიერთა. ამავე ოვალსაზრისით საყურადღებოა ჭიათურის რაიონის სოფ. კაცხის ეკლესიის წარწერა, რომელიც ბაგრატს უწოდებს „აფხაზთა და ქართველთა მეფე, ტაომსა და რანთა, კახთა და ყოვლისა აღმოსავალისა დიდი კურაპალატს“.<sup>16</sup> სუმბატ დავითის ძის მიხედვით, გურგენ მეფის გარდაცვალების შემდეგ მისი ძე „ბაგრატ აფხაზთა მეფე, კურაპალატი დიდი, დაეუფლა ტაოს მამულსა თვისსა, და დაიპყრა ყოველი კავკასია თვითმცყობელობითა ჯიქეთითგან ვიდრე გურგენადმდე“!<sup>17</sup> როგორც ვხედავთ, სუმბატის მიერ დასახელებული ისტორიული მოვლენები ასახულია კაცხის წარწერის ტიტულატურაში. ამრიგად, ბაგრატ III-ის სამეფო ტიტულატურაში აისახა ქვეყნის თანამდებობა.

<sup>14</sup> ბაგრატის მიერ „ქართულთა მეფის“ ტიტულის წოდების მიღების ქრონოლოგიაზე მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. თავის დროზე ი. ჯავახიშვილი მიუთითებდა, რომ ბაგრატ III-მ „ქართულთა“ მეფის ტიტული 1008 წელს, მამის გარდაცვალების შემდეგ მიიღო (ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. II. თბ., გვ. 130-131). მ. ლორთქიფანიძის, ნ. შოშიაშვილის და ვ. სილოგავას აზრით, ამ ტიტულს ბაგრატი 1001 წლიდან ფლობდა (ქართული წარწერების კორპუსი, I, გვ. 56; ქართველი წარწერების კორპუსი, II, გვ. 52-53). „მატიანე ქართლისათა“ და სხვა საისტორიო წყაროებზე დაკვირვების საფუძველზე, ზ. პაპასქირი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბაგრატს „ქართულთა მეფის“ ტიტული უნდა მიეღო ბაგრატ II „რეგულის“ გარდაცვალების, კ. ი. 994 წლის შემდეგ (ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური მდგრამარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 75-82).

<sup>15</sup> ქართველი წარწერების კორპუსი, ტ. II, გვ. 55, №35.

<sup>16</sup> ქართველი წარწერების კორპუსი, ტ. II, გვ.56, №36;

<sup>17</sup> სუმბატ დავითის ძე. ცხოვრებად და უწყებად ბაგრატინიანთა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონიერი არახამიაშ. თბ., 1990, გვ. 53.

ბით გაერთიანების პროცესი. მომდევნო საუკუნეებში ქართველ მეფეთა ტიტულატურა ახალი ტერიტორიების შემომტკიცების კვალობაზე კიდევ უფრო გაიზარდა, მაგრამ ის მხარე, საიდანაც დაიწყო ქვეყნის გაერთიანების პროცესი, უცვლელად, პირველ ადგილზე დარჩა ერთიანი საქართველოს მეფების ტიტულატურაში. ამის გამო საქართველოს ზოგიერთი უცხო ავტორი „აფხაზეთს“, ხოლო ქართველ მეფეებს „აფხაზთა მეფეს“ უწოდებს<sup>18</sup>.

XI საუკუნის სომეხი მემატიანე არისტაკეს ლასტივერტცი ბაგრატ III-ის გარდაცვალებისა და გიორგი I-ის გამეფების შესახებ წერს: „გარდაიცვალა აფხაზთა მეფე ბაგრატი და გამეფდა მისი ვაჟი გიორგი“.<sup>19</sup> იგივე არისტაკესი გიორგი I-საც „აფხაზთა მეფეს უწოდებს“. გაგიგ I სომეხთა მეფის გარდაცვალების შემდეგ მის შვილებს სუმბატსა და აშოტს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებაში ჩაერია გიორგი I, რასაც სომეხი მემატიანე შემდეგი სიტყვებით გადმოგვცემს: „მოვიდა აფხაზთა მეფე გიორგი და მშვიდობიანად შეარიგა ისინი“.<sup>20</sup> გიორგი I-ს არისტაკესი ზოგჯერ მხოლოდ „აფხაზს“ უწოდებს: „ეს რომ აფხაზმა (იგულისხმება გიორგი I – ლ.ა.) გაიგო“<sup>21</sup> და ა.შ. ზემოთ აღნიშნეთ, რომ X საუკუნეში, საქართველოს გაერთიანებამდე, სომეხი მემატიანე და საეკლესიო მოღვაწე ითანე დრასხანაკერტელი არ იცნობს სამეფო ტიტულს „მეფე აფხაზთა“. იგი იცნობს აფხაზეთს, როგორც დასავლეთ საქართველოს, ამ სამეფოს „ეგრისს“,

<sup>18</sup> აღნიშნულ საკითხზე იხილეთ: ნ. ლომოური. საქართველოს სახელწოდებანი ბიზანტიურ წყაროებში. – წგნ.: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. ობ., 1993, გვ. 82, 83; გ. ჯაფარიძე. ქართველებისა და საქართველოს არაბული სახელწოდებები. – წგნ.: საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია. ობ., 1993, გვ. 132, 134; ზ. პაპასქირი. აფხაზეთი საქართველო. ობ., 1998, გვ. 141-142; ზ. პაპასქირი. ნარკევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ობ., 2004, გვ. 67-68;

<sup>19</sup> არისტაკეს ლასტივერტცი. ისტორია. ქართული თარგმანი გამოკვლევით, კომენტარებითა და საძიებლებით გამოსცა ქლენე ცაგარე იშვილმა. ობ., 1974, გვ. 42.

<sup>20</sup> არისტაკეს ლასტივერტცი. ისტორია, გვ. 41.

<sup>21</sup> არისტაკეს ლასტივერტცი. ისტორია, გვ. 51.

ხოლო მის მეფეს „ეგრისის მეფეს“ უწოდებს<sup>22</sup>. XI საუკუნეში, საქართველოს გაერთიანების შემდეგ, არისტაკეს ლასტივერტცი ქართველ მეფებს „აფხაზთა“ მეფის ტიტულით იხსენიებს. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ ტერმინი „მეფე აფხაზთა“ ბაგრატიონი მეფების ტიტულატურაში გაჩნდა მათი დასავლეთ საქართველოში, ანუ აფხაზთა სამეფოში გამეფების შემდეგ. „აფხაზთა მეფის“ ტიტულით იწყება გაერთიანებული საქართველოს ყველა მეფის ტიტულატურა, რაც ასახულია ბაგრატ IV-ის, გიორგი III-ის, დავით აღმაშენებლის, თამარის, ლაშა-გიორგის, დავით ნარინის, დავით ულუს, გიორგი ბრწყინვალეს, ალექსანდრე I-ისა და სხვათა სიგელებში<sup>23</sup>, წარწერებსა და სხვა წყაროებში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ქართული საისტორიო ტრადიცია, კერძოდ „მატიანე ქართლისავ“, სუმბატ დავითის ძე და ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზ მეფეებს „აფხაზთა მეფებს“ უწოდებენ, მაგრამ ეს ტრადიცია მატიანებში ქვეყნის გაერთიანების, ანუ მას შემდეგ გაჩნდა, რაც ქართველ მეფეთა ტიტულატურაში „აფხაზთა მეფის“ ტიტული დამკვიდრდა, თანაც მოცემულ სიტყვებში მემატიანები კონკრეტულ შინაარსს გულისხმობდნენ და არა აფხაზთა მეფეთა ოფიციალურ ტიტულატურას, რომლებიც თავის თანადოროულ წყაროებში მხოლოდ მეფის ტიტულით იხსენიებიან. ამ მოსაზრებას ადასტურებს კიდევ ერთი დოკუმენტი, ე.წ. „აფხაზ მეფეთა დივანი“, რომელსაც კონსტანტინე III-ის (893-912) ეპოქაში, „მეფეთა დივანი“ ეწოდებოდა<sup>24</sup>. იგი განახლებული იქნა გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III-ის დავალებით<sup>25</sup> და ტიტული „მეფე აფხაზთა“, დოკუმენტში, ცხადია, ამ დროს გაჩნდა.

ამრიგად, ტიტული „მეფე აფხაზთა“ პირველად ბაგრატ III-ის სამეფო ტიტულატურაში გაჩნდა და „აფხაზთა“ მეფეები, თა-

<sup>22</sup> იხ.: მ. ლორთქიფანიძე. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმა. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III. თბ., 1973, გვ. 421.

<sup>23</sup> იხ.: ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. I. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძე, გ. სილოვაგამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ., 1984.

<sup>24</sup> ე. თაყაიშვილი. ძველი საქართველო. ტ. II. ტფ., 1913, გვ. 46.

<sup>25</sup> ე. თაყაიშვილი. ძველი საქართველო, ტ. II, გვ. 47.

ვის დროზე, მხოლოდ „მეფის“ ტიტულს ატარებდნენ. დასახელებული წერილობითი წყაროები ადასტურებენ, რომ „აფხაზთა“ მეფეები ქართულ ეთნოპოლიტიკურ სამყაროს ეკუთვნოდნენ, ხოლო „აფხაზთა“ სამეფო ქართული პოლიტიკური და კულტურული სამყაროს განუყოფელი ნაწილი იყო.

## Л. В. АХАЛАДЗЕ

### ГРУЗИНСКИЕ И АРМЯНСКИЕ ИСТОЧНИКИ О ТИТУЛЯТУРЕ ЦАРЕЙ „АБХАЗОВ“

На основе грузинских и армянских источников в работе рассмотрен вопрос титуллатуры царей „абхазов“. Все письменные источники (в основном, грузинские эпиграфические материалы, сочинения армянского историка Иоанна Драсханакерти), которые созданы в эпоху „абхазских“ царей, их упоминают только титулом „царь“. Грузинская историческая традиция XI-XVIII вв. („Матианэ Картлисай“, сочинение Сумбата Давитис-дзе, Вахушти Багратиони и др.) пользуются понятием „царь Абхазов“. Параллельно в армянской историографии XI века появляется титул „царь абхазов“, но не по отношению „абхазских“ царей IX-X вв., а в титуллатуре царей объединенной Грузии. Что касается „хроники абхазских царей“, этот источник был обновлен во время царствования Баграта III (978-1014).

Исходя из этого, надо полагать, что титул „царь абхазов“ появился после объединения Грузии, в титуллатуре Баграта III, а „абхазские“ цари в свое время упоминали себя только титулом „царь“. Приведенные источники свидетельствуют, что „абхазские“ цари принадлежали грузинскому этнополитическому миру и были ее неотъемлемой частью.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება  
აფხაზეთის ორგანიზაცია  
საისტორიო ძეგლი, 7, 2004

## ეპიფანე გვენეტაძე

### პონსტანტინე I და „აჭხაზეთის ისტორია ბაზრატ მეფისა“

XIV საუკუნის 40-იანი წლების მეორე ნახევრიდან საქართველოს სახელმწიფოს შინა პოლიტიკური მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. დავით IX-ის (1346-1360) ტახტზე ასვლის შემდეგ, ქვეყანაში კვლავ იძალა პოლიტიკური ღეცენტრალიზაციის ტენდენციებმა, რაც უპირველესად იმით გამოიჩატა, რომ ოდიშის ერისთავი გიორგი II დადიანი, როგორც წყაროები მოწმობენ, „მეფობამდეც“ კი განდიდებულა. არაბი ავტორები წერენ: „ქართველებს ჰყავთ ორი მეფე. ერთი მათგანი ზემოთხსენებული თბილისის გამგებელი, რომ მისი სახელი მაშინ იყო დავითი“. მეორე – „სუხუმისა და აბხაზის გამგებელი. ეს არის ყირიმის ზღვის სამხრეთი მდებარე ორი ქალაქი, როგორც აღინიშნა ზემოთ, „ჩრდილოეთის მხარის გზებისა და სახელმწიფოების თავში. მაშინ მის გამგებელს ეწოდებოდა დადიანი“.<sup>1</sup> ასეთი მდგომარეობა ხელს უწყობდა დავით ნარინის შთამომავლებს, მეტადრე კი ბაგრატ მიქელის ძეს, რომელიც გიორგი ბრწყინვალეს მიერ დამცრობილ იქნა იმერეთის ერისთავად, კვლავ განეახლებინათ ბრძოლა დასავლეთ საქართველოს ტახტისათვის. ამას, ვფიქრობთ, უნდა ადასტურებდეს ავგაროზ ბანდასძის მიერ გადაწერილი პარაკლიტონის ცნობა: „ვიწყე წერად დიდსა სიგლახაკესა და ეტრატის სიძირესა და შეფოთსა და უცალობასა შინა, წელსა მას, რომელსა იყო დიდი სიკუდილობა: ქორონიკონი იყო ლფ“ (1348).<sup>2</sup> რო-

<sup>1</sup> XIV-XV სს. არაბი ისტორიკოსები საქართველოს შესახებ. არაბულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და სამიებლები დაურთოდ. გომლები შეიძლება. თბ., 1988, გვ. 53-56.

<sup>2</sup> Описание рукописей Тифлисского церковного музея Карталино-Кахетинского духовенства. Составленное Ф. Д. Жордания. Кн. II. Тифлис, 1902, გვ. 93.

გორც წყაროები მოწმობენ ეს შინა შფოთი უნდა გაგრძელებულიყო 1348-1358 წლებში, ვინაიდან 1358 წელს ბაგრატ მიქელის ძემ „მოიყვანა ცოლად ასული ყვარყვარე ათაბაგისა და იქორწინა „მის თანა ნებითა დავით მეფისათა“,<sup>3</sup> რითაც გარკვეული პერიოდის მანძილზე ამოიწურა კონფლიქტი.

ბაგრატ მიქელის ძეს ჰყავდა სამი ვაჟი: ალექსანდრე, გიორგი და კონსტანტინე, რომელთაგან სამივე ცდილობდა დასავლეთ საქართველოში გამეფებას, რასაც თითოეულმა მათგანმა მეტნაკლები სისრულით კიდევაც მიაღწია XIV საუკუნის 80-90-იან წლებში. ეს აშკარად მეტყველებდა ცენტრალური ხელისუფლების დაუძლეურებაზე.

1360 წელს საქართველოს სამეფო ტახტზე ბაგრატ V ავიდა (1360-1363). ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით: „შემოკრბნენ კათალიკოზ-ების კოპოზნი, დიდებულნი და წარჩინებულნი და აკურთხეს ქუთათის“.<sup>4</sup> ბაგრატის „ქუთათის“ კურთხევა შემთხვევით არ უნდა ყოფილიყო, ვინაიდან, როგორც ჩანს, დასავლეთ საქართველოში არსებული სეპარატისტული ძალები მკვეთრად ეწინააღმდეგებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას და ეტყობა სერიოზულ ძალასაც წარმოადგენდნენ. ამის დამადასტურებელია სვანთა აჯანყება 1361 წლისა: „გარდმოვიდნენ მოსტყუვნეს ქუთათის და მოწუეს“.<sup>5</sup> მეფემ შეძლო ამ გამოსვლის ჩახშობა და თემურ-ლენგის შემოსევამდე მდგომარეობის სტაბილიზაცია. თუმცა, როგორც ირკვევა, ბაგრატ V მაინც არ ენდობოდა დასავლეთ საქართველოს დიდებულებს და მისი უფროსი ძე გიორგი გამწესებული ჰყავდა დასავლეთ საქართველოში, სადაც იგი მეფისნაცვლის უფლებებით ყოფილა აღჭურვილი.

როგორც აღნიშნეთ, ლიხთ-იქით მყოფი დავით ნარინის შთამომავლები ხელსაყრელ შემთხვევას უცდიდნენ, რათა გაემუდავნებინათ თავიანთი ინტერესები. ეს განსაკუთრებით ითქმის ალექსანდრე ბაგრატის ძის მიმართ, რომელიც მამის გარდაცვალების

<sup>3</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხეთშვილის მიერ. ობ., 1973, გვ. 302.

<sup>4</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა..., გვ. 261.

<sup>5</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა..., გვ. 261.

შემდეგ 1372 წელს დადგენილ იქნა იმერეთის ერისთავად<sup>6</sup>.

დასავლეთ საქართველოში შინაპოლიტიკური ვითარება განსაკუთრებით გამწვავდა XIV ს. 80-იანი წლებიდან, რაც გამოწვეული იყო კავკასიაში თემურ-ლენგის გამოჩენით. მდგომარეობა იმდენად რთული იყო, რომ თემურ-ლენგთან ბრძოლაში მამას ვერ ეხმარებოდა უფლისწული გიორგი, ვინაიდნ იგი იმერეთში იყო „რათა არა იქნეს მუნცა განდგომილება“.<sup>7</sup> როგორც ცნობილია, ბაგრატ V საშინელ მტერთან ბრძოლაში დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა მუზლლესთან ერთად. გიორგი იმულებული გახდა, დაეტოვებინა დასავლეთ საქართველო და აღმოსავლეთში გადმოსულიყო, რათა მამა გაეთავისუფლებინა. მისი იმერეთში არყოფნით მაშინვე ისარგებლა ალექსანდრე ბაგრატის ძემ და თავი მეფედ გამოაცხადა, თუმცა ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ის, რომ მას მხარი არ დაუჭირეს დადიანმა, გურიელმა, „აფხაზთა და სუანთა“<sup>8</sup> და მხოლოდ პროვინციის მეფობას“ დასჯერდა<sup>9</sup>. იგი ასეთი სტატუსით მოღვაწეობს 1387-1389 წლებში, გარდაცვალებამდე. თუმცა ამის შემდეგაც ვერ ხერხდება თბილისის მიერ ვითარების სტაბილიზაცია იმერეთში და „ტახტზე“ ადის ალექსანდრე ბაგრატის ძის ძმა – გიორგი, რომელიც დასავლეთ საქართველოში კათალიკოზსაც კი სვამის. მიუხედავად ამისა, გიორგის პოზიციები მაინც არ იყო მყარი. მის წინააღმდეგ კვლავ ამხედრდნენ გავლენიანი დიდებულები, რომელთაც არ აწყობდათ „ქუთათისის ტახტის“ გაჩენა და იგი 1392 წელს „აფხაზთა შეწევნით მოკლეს მეგრელთა“<sup>10</sup>. განსაკუთრებით საინტერესოა დასავლეთ საქართველოს დიდგვაროვანთა დამოკიდებულება ცენტრალური ხელისუფლებისადმი. როგორც წყაროებიდან ჩანს, ისინი მხარს არ უჭერენ დავით ნარინის შთამომავლებს და ცენტრის ერთგულნი რჩებიან, მაგრამ, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი, რიგ შემთხვევებში, თბილისის ტახტსაც უჟენებენ პრეტეზიებს და ცდილობენ თავიანთი ამბიციების დაკმაყოფილებას.

<sup>6</sup> ე. გვერდამე. იმერეთის სამეფოს წარმოქმნის ისტორიიდან. თბ., 2003, გვ. 77.

<sup>7</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა..., გვ. 263.

<sup>8</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა..., გვ. 265.

<sup>9</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა..., გვ. 265.

ვამიყ I-ის დადიანის მხარდაჭერით გულმოცემულმა ბაგრატ V-მ და გიორგიმ შეძლეს, აემულებინათ დავით ნარინის მექვიდრები: კონსტანტინე ბაგრატის ძე და მისი ძმისწული, იმერთა ყოფილი მეფის ალექსანდრეს ძე – დიმიტრი, დაეტოვებინათ დასავლეთ საქართველო და გაქცეულიყვნენ „ბასიანს და იმყოფებოდნენ წელსა ოთხსა მუნ მწირად“<sup>10</sup>.

ვამიყ I დადიანის გარდაცვალების შემდეგ კვლავ გააქტიურდა ნარინის მექვიდრეთა მომხრები და იმერეთში გაამჟღვეს კონსტანტინე ბაგრატის ძე (ბაგრატ მიქელის ძის ვაჟი).<sup>11</sup> მისი გამეფებაც დროებით გახდა შესაძლებელი და ისიც მოკლეს „ჩალიანში“<sup>12</sup> ამის შემდეგ გიორგი VII, დადიანის, გურიელის, შარგაშიძის და სუანთა პოლიტიკური მხარდაჭერით, გადადის შეტევაზე და ამცრობს ლიხთი-იქითს ბაგრატიონთა შტოს, რაც იმით გამოიხატა, რომ დიმიტრი ალექსანდრეს ძე „წარავლინა ქართლს და დაისადგურა სომხითს სარჩოთი“.

გიორგი VII შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ძმა კონსტანტინე I (1407-1412). როგორც ვახუშტი გვაუწყებს, მის დროს „იმერეთი ეპყრა კონსტანტინეს ნებასა შინა თჯსაა“.<sup>13</sup> ჩვენამდე არ მოუღწევია ცნობებს იმის შესახებ, თუ სად ეპურთხა მეფედ კონსტანტინე, თუმცა, საფიქრებელია, რომ ის სეპარატისტული ძალები, რომლებიც თანაუგრძნობდნენ და მხარს უჭერდნენ დავით ნარინის მექვიდრების, კვლავ არსებობდნენ და მათი მოქმედების გასანეიტრალებლად საჭირო იყო ისეთი ისტორიულ-პოლიტიკური დოკუმენტის წარმოჩენა, რომელიც დას. საქართველოში მეტ ლეგიტიმიურობას მიანიჭებდა კონსტანტინე I-ს. შემთხვევითი არ უნდა იყოს სწორედ ამ დროისათვის ცენტრალურ ხელისუფალთა მიერ ქუთაისში „აფხაზეთის ისტორიის“ ამსახველი ძეგლის „პოვნა“, რომელიც იწოდება „აფხაზეთის ისტორია, ბაგრატ მეფისა“ ანუ ეწ. „აფხაზ მეფეთა დივანი“, რომელ-

<sup>10</sup> დ. ნინიძე. „პროვინციის მეფების“ XIV-XV საუკუნეების საქართველოში. თბ., 1995, გვ. 77.

<sup>11</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა..., გვ. 804.

<sup>12</sup> გ. გვერდაშვ. იმერეთის სამეფოს..., გვ. 83.

<sup>13</sup> დ. ნინიძე. ვინ მოკლეს „ჩალადგანს“ – „ახალგაზრდა მუცნიერთა შრომები“, XVII. თბ., 1989.

შიც ხაზგასმით არის აღნიშნული ბაგრატიონთა „მთავარი“ შტოს კანონიერება აფხაზეთზე (ე. ი. დასავლეთ საქართველოზე). მასში ვკითხულობთ: „ქ. სახელითა მღ „დათა მე კონსტანტინე მეფემან, ძემან საკურონხევლისა ბაგრატ აფხაზთა მეფისამან, ვპოე საჭურჭლესა ქუთათის მდივანი მეფეთა შინა ეწერა სახელები მეფეთა და დაძველებულ იყო და ახლად გარდავარწერინე: პი მეფე აფხაზეთისა იყო ანოს. მეორე შვილი მისი სოზარ: მესამე შვილი ისტვინე: მეოთხე შვილი მისი ფინიკტიოს: მეხუთე შვილი მისი ბარუკ. მეექვსე შვილი მისი დიმიტრი: მეშვიდე შვილი მისი ოეოდოსი: მერვე შვილი მისი კონსტანტინე: მეცხრე შვილი მისი თეოდორე: მეათე შვილი მისი კონსტანტინე: მეათერთმეტე ძმა მისი ლეონი: რწ დაყო მეფობასა შინა თვესა წელიწადი ორმოცდახუთი: მეათორმეტე (შვილი მისი) თეოდოსი, რღნ დაყო მეფობასა შინა თვესა წელიწადი ოცდაშვილი, მ(ე)ათსამეტე ძმა მისი დემეტრე. მეფობდა ოცდათექსმეტ წელს; მეათოთხმეტე ძმა მათი გიორგი მეფობდა, რომელს საუფლისწულოდ აღწუფი ჰქონდა: და ამისთვის ეწოდა მას გიორგი აღწუფელი; ამან იმეუა შვიდ წელს: მეთხუთმეტე შვილი დემეტრესი ბაგრატ, მეფობდა ოორმეტ წელს: მეათექსმეტე შვილი(მისი) კონსტანტი. მეფობდა ოცდაცხრამეტ წელს მეათხვიდმეტე შვილი მისი გიორგი. მეფობდა ორმოცდახუთ წელს; მეათვრამეტე შვილი მისი ლეონ. მეფობდა ათ წელს; მეაცხრამეტე ძმა მისი დიმიტრი. მეფობდა რვა წელს; მეოცე ძმა მისი თეოდოსი თვალ-დამწვარი, მეფობდა სამ წელს, და ამათსა შდ ინება ღთნ და დავიპყარ მე ქყანა (ქვეყანა) აფხაზეთისა, დედული ჩემი ბაგრატ ბაგრატიონმან, ძემან სულ-კურთხეულსა გურგენისა-მან, და ასულის წულმან გიორგი აფხაზთ მეფისამან“.<sup>14</sup> ამით საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება არა მარტო სეპარატისტულ ძალებს, არამედ მთელ იმდროინდელ პოლიტიკურ სპექტრს შეახსენებდა თავის კანონიერ უფლებებს აფხაზეთზე (ე. ი. დასავლეთ საქართველოზე). როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, კონსტანტინე I-ის ეს ნაბიჯი აუცილებელი იყო, ვინაიდან დასავლეთ საქართველოს ზოგი-

<sup>14</sup> ქ. თაყაიშვილი. საისტორიო მასალანი. – „ძველი საქართველო“, ქ. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. II. ტფ., 1913, გვ. 46–47.

ერთი ლიდერი თავს თითქმის დამოუკიდებლად გრძნობდა და რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, უფრო მეტად იკვეთებოდა ეს ტენ-დენცია.

კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა მისი ვაჟი ალექსანდრე I (1412-1442), მისი მეფობის პირველსავე წელს დამოუკიდებლად მოქმედება დაუწყია ოდიშის მთავარ მამია II დადიანს (1396-1414), როდესაც იგი თავს დაესხა აფხაზეთს. მეფე იძულებული გამხდარა, მიეღო სასწრაფო ზომები, რომელთაგან ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა აფხაზეთიდან „ქუთათის“ მობრუნებული ალექსანდრეს ოფიციალური კურთხევა მეფედ. ვფიქრობთ, ეს პოლიტიკური ნაბიჯი არსებული მდგომარეობით იყო გამოწვეული. ამით კიდევ ერთხელ იკვეთება ის რეალური სურათი, რომელიც შექმნილი იყო დასავლეთ საქართველოში და უპირველესად გამოიხატებოდა მეფის ხელისუფლების შესუსტებით. ამასთან, აღსანიშნავია ის უკმაყოფილება, რომელიც ლიხთ-იქითის დიდებულებს ცენტრის მიმართ პქონდათ თბილისში ტახტის გადმოტანის დროიდან, რადგან მათ დაკარგეს ძველი პრივილეგიები, რამაც გამოიწვია ფაქტობრივად „აფხაზთა“ მეფეების დროინდელი წესების წაშლა. ამას დროდადრო მეტად მტკიცნეული რეაგირება ხვდებოდა „დასავლელთა“ მხრიდან, რის დადასტურებად მიგვაჩნია ჯერ კიდევ 1191 წლის აჯანყება, როდესაც მეფე თამარს თითქმის მოელი დასავლეთ საქართველო განუდგა.

ამრიგად, კონსტანტინე I-ის მიერ „აფხაზ მეფეთა დივანის“ გამომზეურება გამოწვეული იყო შექმნილი მწვავე შინაპოლიტიკური მდგომარეობით და ემსახურებოდა ქვეყანაში ცენტრალური ხელისუფლების გამლიერებას. ამ ისტორიულ-პოლიტიკური დოკუმენტით თბილისის ტახტი შეახსენებდა ქვეყნის დეცენტრალიზაციის მოსურნე ძალებს თავის ლეგიტიმურობას დასავლეთ საქართველოზე.

**Э. А. ГВЕНЕТАДЗЕ**

**КОНСТАНТИН I И „ИСТОРИЯ АБХАЗИИ ЦАРЯ  
БАГРАТА“**

В статье показан общеполитический фон „обнаружения“ царем Грузии Константином I-м (1407-1411гг.) „Дивана абхазских царей“, или „Истории Абхазии царя Баграта“. Отмечено, что этим историко-политическим документом Константин I пытался продемонстрировать свою легитимность в Абхазии (в Западной Грузии).

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება  
აფხაზეთის ორგანიზაცია  
საისტორიო ძეგლი, 7, 2004

## დავით ზაქარაია

### აფხაზეთის სამთავროს ეპონომიკური მდგრადართული XVIII. მიწურულსა და XIX. I ეპოთს ედიში

XVIII. მიწურულსა და XIX. I მეოთხედში აფხაზეთი მირითადად ფეოდალურ მხარეს წარმოადგენდა, თუმცა საკმაოდ მყარი პატრიარქალურობის შენარჩუნებით. მოსახლეობის ძირითადი სამურნეო საქმიანობა, ისევე, როგორც წინა საუკუნეებში, მიწათმოქმედება იყო<sup>1</sup>. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე მესაქონლეობასაც. სამიწათმოქმედო იარაღებიც უწინდებურად ძალზე პრიმიტიული იყო. მიწას ამუშავებდნენ ხის გუთნით, რომელიც ხნავდა, მაგრამ ვერ აბრუნებდა მიწას. მთის რაიონში, სადაც სამურნეო ცხოვრება თავისი სპეციფიკით გამოირჩეოდა, მეცხოველეობა ჭარბობდა. მარცვლური და საერთოდ სასოფლო-სამურნეო კულტურებიდან წამყვანი ადგილი სიმინდს ეჭირა. მან XIX. დასაწყისიდან უკანა პლანზე გადასწია ფეტვი – წარსულში პურის შეცვლელი მთელი დასავლეთი კავკასიის მოსახლეობისათვის. სიმინდი, თანდათანობით, სასაქონლო პროდუქტის ძალას იძენდა<sup>2</sup>. აფხაზეთში ცნობილი იყო სიმინდის რამდენიმე სახეობა, რომელთაგანაც საუკეთესოდ ორი ჯიში ითვლებოდა – ალტარია და ალგაივ. სიმინდის ფქვილისაგან ღომს (აფხაზურად „აბისთას“), მჭადს ამზადებდნენ, მეცხოველეობის და მარცვლური კულტუ-

<sup>1</sup> ი. რაინგები. მოგზაურობა საქართველოში. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებელი დაურთო გია გელაშვილმა. თბ., 2002, გვ. 112-113; Г. А. Дзидзария. Народное хозяйство и социальный строй до-реформенной Абхазии. – ვგб.: Г. А. Дзидзария. Труды. I. Сухуми, 1988, გვ. 92.

<sup>2</sup> Ш. Д. Инал-ипа. Абхазы (Историко-этнографические очерки). Сухуми, 1965, გვ. 241.

რის არსებობის მაჩვენებელია აფხაზეთის მთავარ ზურაბ შარვაშიძის (1754-1786წ.) ფიცის და პირობის წიგნი ილორის წმ. გიორგის საყდრის მამულების დაცვის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ „...წმინდა გიორგი ილორის სხვა სიყვარულით თუ რამე გვაჭამოს თუ არაველი ერჩილოს, გარ[დ]ასახადი ლაშქრისათვის გმართებს, ერთი ხარი ფარჯიაკა, ერთი ცხენის საპანელინო, ერთი კაცის საპანელი ღომი“.<sup>3</sup> აღნიშნული მცენარეების გარდა, აფხაზები სხვა ტექნიკური (კანაფი, ბამბა, თამბაქო) და ბოსტნეული კულტურების მოყვანას მისდევდნენ. უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთში ოსმალებს შემოჰკონდათ: რკინა, მარილი, იარაღი, აბრეშუმის და ბამბის ქსოვილები, ტყვია-წამალი და სხვ. ეს საქონელი იცვლებოდა სიმინდზე, წიფლისა და ბზის ხეებსა და ტყვე ადამიანებზე<sup>4</sup>.

მიწაომოქმედების ძველი სისტემა არ შეცვლილა. ტექნიკა, როგორც აღვნიშნეთ, ძალზე პრიმიტიული იყო, ინვენტარი – მცირე. ძირითადი გამწევი ძალა ხარ-კამეჩი იყო, შემდგომი სამუშაოები კი თოხის საშუალებით სრულდებოდა. იყენებდნენ ცელს, ნამგალს, ფარცხს და ა.შ. მარცვლეული მაღალ ბოძებზე შეძგარ დაწნილ ნალიებში ინახებოდა. მას ფქვავდნენ როგორც წყლის, ისე ხელის წისქვილით. ვარგისი ადგილების ათვისებას ხელს უშლიდა თავად-აზნაურობის საგრძნობი რაოდენობა, რომლებიც გლეხებისაგან მიღებული შემოსავლით არ კმაყოფილდებოდნენ და გლეხს მუშაობის ინტერესს უკარგავდნენ<sup>5</sup>.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამეურნეო დარგი მეღვინეობა იყო. აფხაზეთში, სხვადასხვა წყაროს ცნობით, 60-მდე ჯიშის ვაზი ხა-

<sup>3</sup> ხელნაწერთა ინსტიტუტი. რ. ერისთავის ფონდი, ს. 1080, ფურც. 1.

<sup>4</sup> Статистический взгляд на Абхазию. – „Тифлисские ведомости“, 1831, №27, 28, 29, გვ. 221-225; Г. А. Дзидзария. Социально-экономический строй Абхазского княжества в XIX веке. – „Очерки истории Абхазской АССР“. Сухуми, 1960, გვ. 147; გ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში. თბ., 1957, გვ. 68.

<sup>5</sup> Утверждение наше в Абхазии. – „Кавказский сборник“, изд. под ред. ген. Л. Черняевского, т. XII. Тифлис, 1889, გვ. 132; С. Авалиани. Крестьянский вопрос в Закавказье. Т. II. Одесса, 1913, გვ. 70; И. Г. Антелава. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII столетия. Сухуми, 1951, გვ. 148-149; გ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო..., გვ. 60.

რობდა<sup>6</sup>. ღვინის დაყენების ტექნიკა პრიმიტიული იყო, ღვინოს ძირითადში ჭურებში ინახავდნენ. სამოსახლოს ირგვლივ ხეხილი: ვაშლი, მსხალი, ატამი და ა.შ., – ხარობდა. განსაკუთრებით კარგად ეგუებოდა აფხაზეთის კლიმატურ პირობებს თხილი. ის კარგ შემოსავალს იძლეოდა<sup>7</sup>.

მიწათმოქმედების შემდეგ ძირითადი მნიშვნელობა მესაქონლეობას ჰქონდა. აფხაზეთში უძველესი დროიდან ცხენების, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის მოშენებას მისდევდნენ<sup>8</sup>. მეღორეობა ძირითადად სამხრეთ ნაწილში იყო განვითარებული. აფხაზეთში მისდევდნენ მეფრინველეობასაც. განსაკუთრებული მნიშვნელობა მეფუტკრეობას ჰქონდა. აფხაზეთის ტერიტორიაზე გავრცელებული ფუტკრის ჯიშები მაღალი პროდუქტიულობით გამოირჩეოდნენ<sup>9</sup>.

ფეოდალურ მეურნეობაში გარკვეული ადგილი ნადირობასაც ეკავა. აფხაზეთის ტყეები ამ დარგის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. ზღვის პირობებში მოსახლეობა მეოვეზეობასაც მისდევდა. აღსანიშნავია დელფინების ჭერა შავ ზღვაზე<sup>10</sup>.

ფეოდალური აფხაზეთის ძირითად საწარმოო ფორმას საოჯახო მრეწველობა წარმოდგენდა, რასაც ნატურალური სამომხმარებლო ხასიათი ჰქონდა. აფხაზები თურქეთიდან მოტანილი რკინით სხვადასხვა სახის სამხედრო აღჭურვილობას ამზადებდნენ. ამათგან გამორჩეული ბრინჯაოთი მორთული ხანჯლები იყო<sup>11</sup>. ასევე აფხაზი ქალები ძაფის როვაში ყოფილან დახლოვნებულნი. ისი-

<sup>6</sup> Статистический взгляд на Абхазию, გვ. 223; Г. А. Дзидзария. Народное хозяйство.., გვ. 101.

<sup>7</sup> С. Броневский. Новейшие географические и исторические известия о Кавказе. Ч. 1. М., 1823, გვ. 328; Статистический взгляд на Абхазию, გვ. 223.

<sup>8</sup> Статистический взгляд на Абхазию, გვ. 222; Г. А. Дзидзария. Народное хозяйство.., გვ. 106; Ш. Д. Инал-ипа. Абхазы, გვ. 207.

<sup>9</sup> С. Броневский. Новейшие географические.., ч. 1, გვ. 329; Статистический взгляд на Абхазию, გვ. 223; Г. А. Дзидзария. Народное хозяйство.., გვ. 102-103, 112.

<sup>10</sup> Ф. Ф. Торнау. Воспоминания Кавказского офицера. М., 2000, გვ. 85;

**О. П. Дзидзария (Дзариა).** Морская лексика в Абхазском языке. Сухуми, 1989, გვ. 24; Г. А. Дзидзария. Народное хозяйство.., გვ. 118.

<sup>11</sup> Статистический взгляд на Абхазию, გვ. 224.

ნი შიდამოხმარებისათვის ნაცრისფერ და ყვითელ მაუდის ნაჭრებს ამზადებდნენ, ხოლო თურქეთიდან მოტანილი მასალით – აბრე-შუმის მშვენიერ ნაჭრებს<sup>12</sup>.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა საგანი ძალზე პრი-მიტიული იყო. აფხაზეთში კუსტარული წარმოება ჯერ კიდევ ფერდალური მიწათმოქმედების დანამატს შეადგენდა. განსაკუთ-რებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვაჭრობის სფეროს. აფხაზე-თის დასახლებული პუნქტების უმეტესობას თავისი ეკონომიკური ფუნქცია თითქმის დაკარგული ჰქონდა. ბიჭვინთა განადგურებუ-ლი და დაჩაჩანაკებული იყო. აქ მხოლოდ თხუთმეტიოდე ოჯახი ცხოვრობდა. მათი ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება იყო<sup>13</sup>.

ლიხნში შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო. აქ 400-მდე სახლი იდგა. სოფლები მთავრის სასახლისაგან 5 კმ-ით იყო და-შორებული. ზღვის სანაპირო უბისებისა და ჯიქების თავდასხმის გამო დაცარიელებული იყო. 1818-20წწ. აფხაზეთის მთავარმა გი-ორგი შარვაშიძემ აქ ხის რამდენიმე ბარაკი ააშენა და მათში 7-8 შეიარაღებული კაცი მოათავსა. მათი მიზანი ჯიქების და უბი-სების თავდასხმების მოგერიება იყო. ლიხნში, ამ დროისათვის, სავაჭრო პუნქტები არ იხსენიება. ადგილობრივი მოსახლეობა და-საქმებული იყო ხის ჭრით, აგრეთვე გემთმშენებლობაში. კერ-ძოდ, 1819წ. ბერძენმა ვაჭარმა ანატოლიიდან გემის აშენებისას 50 აფხაზი გლეხი დაიქირავა, ხოლო როცა თავის გემს ზღვაში უშვებდა, რამდენიმე დღის განმავლობაში მასთან ხუთასამდე კა-ცი მუშაობდა<sup>14</sup>.

სოხუმში XVIII ს. ბოლოს სხვადასხვა მონაცემებით, 3000 კაცი ცხოვრობდა. სოხუმის ციხე-სიმაგრესა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 1000-მდე სახლი იდგა, რომელთა უმრავლესობა ხის იყო. ციხესიმაგრის შიგნით ორი მეტეთი და ერთი შადრევანი

<sup>12</sup> ი. რაინგები. მოგზაურობა საქართველოში..., გვ. 112-113; გ. ა. დзи-დzaria. Социально-экономический строй..., გვ. 149; გ. ა. დzidzaria. Народное хозяйство..., გვ. 135.

<sup>13</sup> ქ. ფ. გამბა. მოგზაურობა სამხერეთ რუსეთში, კერძოდ ამიერკავ-კასიაში. ტ. I. ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მგნა-მგალობლიუმილი. თბ., 1987, გვ. 80.

<sup>14</sup> გ. ა. დzidzaria. Лихны. Сухуми, 1986, გვ. 21-23.

იყო. იქვე, სომხებისა და თურქების კუთხით დუქნებში ვაჭრობა იმართებოდა<sup>15</sup>. სოხუმის ციხესიმაგრის ხელმარჯვნივ ჯერ კიდევ მოსჩანდა ძველი არხის ნანგრევები, რომელიც ზამთრობით აქაურ სომებ და თურქ ვაჭართა ხომალდებს საფრთხისაგან იცავდა<sup>16</sup>.

სოხუმში ხშირად მოდიოდებულ თურქები აფხაზებთან სავაჭროდ. ქალაქის შემოგარენი ტყით იყო დაფარული. სოხუმის მოსახლეობა მიწათმოქმედებით იყო დაკავებული. ჰყავდათ მრავალი საქონელი. აქ ასევე ტყვეებით ვაჭრობა იმართებოდა. სოხუმში ნაყიდი ტყვეები თურქებს ეგვიპტეში მიჰყავდათ.

სოხუმის ციხესიმაგრისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის აღწერას (ეკონომიკური თვალსაზრისით) ფ. სკირნევსკი გვაძლევს, რომელიც იქ 1807წ. იმყოფებოდა. მისი თქმით, მნიშვნელოვანი კომერცია სოხუმში არ იყო. აქ უფრო თურქების სიჭარბე შეინიშნებოდა. თურქების მიერ მოტანილი ფუფუნების საგნები (ყავა, ძვირფასეულობა, ოქროს ნივთები და სხვა) აფხაზეთის უმაღლესი წარჩინებული საზოგადოებისათვის იყო განკუთვნილი<sup>17</sup>. თურქეთ-აფხაზეთის ვაჭრობაში აქტიურ მონაწილეობას თურქების გარდა სომები და ბერძენი ვაჭრები იღებდნენ. მათ აფხაზეთიდან ტყვეები, პალმის ხე, სხვადასხვა ტყვეულობა გაპქონდათ. ხის მასალები მიჰქონდათ სტამბოლში. ყირიმსა და ოსმალეთში აფხაზური თაფლი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. აფხაზები თურქებისაგან განსაკუთრებით იარაღს ყიდულობდნენ<sup>18</sup>.

რუსების მიერ 1810წ. სოხუმის ციხესიმაგრის დაკავების შემდეგ, მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა. მაპმადინი აფხაზების ერთი ნაწილი (5000 კაცი) ოსმალეთში გადასახლდა<sup>19</sup>, ხო-

<sup>15</sup> ქ. ფ. გამბა. მოგზაურობა..., გვ. 82; С. Броневский. Новейшие географические..., ч. 1, გვ. 295.

<sup>16</sup> А. Н. Дьячков-Тарасов. Абхазия и Сухум в XIX столетии. – Известия Кавказского отдела Императорского Русского географического общества, т. XX, 1909-1910, №2, გვ. 163.

<sup>17</sup> Внешняя политика России XIX и нач. XX вв. Серия I, т. 4. М., 1965, გვ. 49-51; С. Броневский. Новейшие географические..., ч. 1, გვ. 310-311, 345, 346; И. Г. Антелава. Очерки по истории.., გვ. 131.

<sup>18</sup> Внешняя политика России.., გვ. 49-51.

<sup>19</sup> ხ. ჭიჭინაძე. ქართველ მაპმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში. მუჭაჯირთა ემიგრაცია. თბ., 1962, გვ. 109.

ლო დანარჩენებმა სოხუმის ციხესიმაგრის მიმდებარე ტერიტორია დატოვეს და მთაში გადავიდნენ საცხოვრებლად, რითაც აფხაზები ხანგრძლივ ეკონომიკურ კრიზისში ჩააგდეს. თურქების რაოდენობაც შემცირდა. ამ დროისათვის თურქების მხოლოდ 150-მდე ოჯახი ისტენიება, ხოლო სომები ვაჭართა რიცხვი სამოცამდე შემცირდა<sup>20</sup>. ფ. ტორნაუს შეფასებით: „...Видя, что мы положительно утвердились в крепости, турки оставили немедленно предместье; ...русское население не могло существовать в соседстве их (афхазов – фн.). Окрестности Сухума опустошили...“<sup>21</sup> 1816წ. რუსული სამხედრო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, დაანგრიეს სოხუმის შემოგარენში დარჩენილი 150-მდე ბარაკი, სადაც ბაზრობა იმართებოდა. აფხაზები ამ ბარაკებიდან საღამოობით თავს ესხმოდნენ რუსებს<sup>22</sup>. შედეგად, სოხუმის შემოგარენი განადგურდა, ჭაობიან და გაუვალ ადგილებად იქცა<sup>23</sup>. სამაგიეროდ, სოხუმის ციხესიმაგრეში იმართებოდა ბაზრობა. ყოველწლიურად, რუსული ადმინისტრაციის ნებართვით, ანატოლიიდან და ტრაპეზუნტიდან 70-მდე თურქული სავაჭრო გემი მოდიოდა აფხაზებთან სავაჭროდ<sup>24</sup>. 1820წ. ციხესიმაგრის შიგნით 400-მდე სახლი იყო, რომელთა ნაწილი სავაჭრო დუქნის ფუნქციას ასრულებდა<sup>25</sup>.

შედარებით უკეთესი მდგომარეობა კელასურის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროზე იყო. მას შემდეგ, რაც აფხაზეთის მთავარ ქალეშ-ბეი შარვაშიძის (1786-1808წწ.) შვილი – ჰასან-ბეი საცხოვრებლად აქ გადმოვიდა, სამურნეო ცხოვრება გამოცოცხლდა. მან მაჭარასა და ძდ. კელასურს შორის ტერიტორია გაწმინდა ტყის საფარისაგან და გლეხები დაასახლა. აქ ხენილის ბაღი გაშენდა. აქვე სათესი და საძოვარი ადგილები იყო. ზღვის სანაპი-

<sup>20</sup> ფ. ფ. გამბა. მოგზაურობა..., გვ. 82; **А. Н. Дьячков-Тарасов.** Абхазия..., გვ. 166.

<sup>21</sup> **Ф. Ф. Торнау.** Воспоминания..., გვ. 56.

<sup>22</sup> ფ. ფ. გამბა. მოგზაურობა..., გვ. 82.

<sup>23</sup> **А. Н. Дьячков-Тарасов.** Абхазия..., გვ. 163.

<sup>24</sup> **А. Н. Дьячков-Тарасов.** Абхазия..., გვ. 166.

<sup>25</sup> **А. Олонецкий.** Сухуми в первой половине XIX столетия. – *Труды Абхазского государственного музея*, вып. I. Сухуми, 1947, გვ. 150-159.

როზე კი ბაზრობა იმართებოდა, სადაც მისი ქვეშევრდომი თურქები და სომხები ვაჭრობდნენ. თურქები კონტრაბანდული საქონლით აფხაზებს პირველადი მოხმარების საგნებით (მარილი, რკინა და სხვ.) ამარაგებდნენ, ხოლო აფხაზებს მათთან ჩამოჰქონდათ ხის მასალა, თაფლი, გარეული ცხოველების დაუმუშავებელი ტყაგბი და სხვ.<sup>26</sup> კელასურის ბაზრობაში ტყვე ადამიანებითაც ვაჭრობდნენ<sup>27</sup>.

ანალოგიური მდგომარეობა იყო აბუუის აფხაზეთშიც (ოჩამჩირეს რ-ნი). ამ ოლქის მმართველ ალი-ბეი შარვაშიძეს სოფ. ტამიშში სასახლე და გამართული მეურნეობა ჰქონდა. ის მდ. ტამიშით თურქებთან ვაჭრობას აწარმოებდა. მას მრავალი ნავი ჰყავდა. აბუუის ოლქში ამ დროისათვის მუდმივი სავაჭრო ბაზრობების არსებობა არ ფიქსირდება<sup>28</sup>.

მას შემდეგ, რაც ოსმალეთი შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან განიდევნა, საჭირო გახდა მისი შეცვლა ეკონომიკურადაც. ცნობილია, რომ ეს ვაჭრობა დიდი ხანია ოსმალეთიდან ქვეშევრდომთა მონობოლიად იყო ქცეული. მთელი ვაჭრობის სომხების და თურქების ხელში ყოფნის გამო 1811 წლისთვის თითქმის არ არსებობდა მონაცემები, თუ რამდენი საქონელი გადიოდა აფხაზეთიდან და რამდენი შემოდიოდა. ამას ზედ კონტრაბანდული ვაჭრობაც ერთვოდა. საგრძნობი იყო მარილის, რკინეულობისა და დამარილებული თევზის საჭიროება, რუსი ვაჭრები კი ყირიმიდან არ მოდიოდნენ. 1811წ. რუსულმა აღმინისტრაციამ გადაწყვიტა, დაეკარსებინა სავაჭრო კომპანია, რომლის ცენტრი ყირიმში იქნებოდა, ხოლო მისი ფილიალები – სოხუმში, ქუთაისში, ფოთსა და თბილისში. ყირიმ-დასავლეთ საქართველოს შორის ვაჭრობაში აქტიური მონაწილეობა ადგილობრივ ვაჭრებსაც უნდა მიეღოთ. სამეგრელოში და აფხაზეთში ისინი აპირებდნენ

<sup>26</sup> А. Пахомов. Записка об имениях князя Георгия Шарвашидзе. – იო. ანთელავა, გ. ძიძარია. მასალები აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის. – „ხაისტორიო მოამბჯ“, გ. 7. თბ., 1953, გვ. 268.

<sup>27</sup> Г. А. Дзидзария. Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Сухуми, 1982, გვ. 264-265.

<sup>28</sup> III. Д. Инал-ипа. Абхазы, გვ. 285-286.

საწყობების აშენებას და ა.შ.<sup>29</sup> მიუხედავად ამისა, ყველაფერი ეს უშედეგოდ დამთავრდა. საქართველოს რუსეთის მთავრობას სოხოვდა, რათა აეძულებინათ ყირიმელი ვაჭრები, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსთან ვაჭრობა ეწარმოებინათ. თანაც, ყველაფერ ამას ემატებოდა ოსიც, რომ აფხაზებს არ ჰქონდათ ფული. აფხაზეთის სამთავროში სავაჭრო ბრუნვაში ოსმალური მონეტა იყო<sup>30</sup>. რუსეთის მმართველობის დამყარების შემდეგაც რუსელმა ბრინჯაოს მონეტამ და ასიგნაციამ, აფხაზეთში მასზე ნაკლები მოთხოვნილების გამო, ვერ ჩანაცვლა ოსმალური ფულის ერთეული. სწორედ ამ გარემოებაზე მიუთითებს ფრანგი მოგზაური და კომერსანტი ჟაკ ფრანსუა გამბა, რომელიც თავის შენიშვნებში წერს: „სოხუმ-კალეში, ისევე როგორც სამეგრელოში ხმარებაშია ფარა (მეგრ. ფული – დ.შ.) ან სხვა თურქული მონეტა; მათი ანგარიშები მე გადავიყვანე მანეთებში ასიგნაციით“<sup>31</sup> თურქებთან ვაჭრობაში აფხაზები შემოტანილი საქონლის სამაგიეროდ მათ აძლევდნენ თაფლს, ტყვებს, ხეს, ტყავს და ა.შ. ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად ჩამორჩებოდა რუსეთის ეკონომიკა მის საგარეო პოლიტიკას<sup>32</sup>.

1811 წელს რუსეთის ფინანსთა მინისტრი ნ. მორდვინოვი იმპერატორ ალექსანდრე I-ისადმი მიწერილ წერილში აღნიშნავდა სოხუმის დიდ მნიშვნელობას სოხუმ-ტაგანროვისა და სოხუმიდესის სავაჭრო-საზღვაო კავშირის დასამყარებლად და ამისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახსრებს ითხოვდა<sup>33</sup>.

<sup>29</sup> Акты, собранные Кавказскою археографическою комиссию (Землемер-Чи АКАК). Под. ред. А. Берже. Т. 2. Тифлис, 1868, გვ. 403-404.

<sup>30</sup> АКАК, т. 2, გვ. 408-410.

<sup>31</sup> ჟ. ფ. გამბა. მოგზაურობა... გვ. 89.

<sup>32</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველო XIX ს. I მეოთხედში. – წგნ.: 6. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. 2. თბ., 1965, გვ. 410; С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом. Т. I. Тифлис, 1907, გვ. 120.

<sup>33</sup> А. Н. Дьячков-Тарасов. Гагры и его окрестности. – Записки Кавказского отдела Императорского Русского географического общества, вып. 2, т. 24, 1903, გვ. 79.

მას შემდეგ, რაც რუსებმა სოხუმი დაიკავეს და სოხუმის პორტიდან ტყვეების გაყვანა შეწყდა, დაიწყო კონტრაბანდული ვაჭრობის ზრდა მის გვერდის ავლით. კონტრაბანდული ვაჭრობას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ რუსები მთლიანად ვერ აკონტროლებდნენ აფხაზეთის ზღვის სანაპიროს ენგურიდან დაწყებული და გაგრით დამთავრებული. კონტრაბანდული საქონელი აფხაზეთის და სამურზაყანოს ზღვის სანაპიროდან შემოდიოდა და შეძლებოში ჩრდ. კავკასიაში მიღიოდა<sup>34</sup>.

ამასთან, იმატა ტყვე ადამიანებით ვაჭრობამ. ამ მხრივ კელასურის ბაზარი გამოიჩინეოდა, სადაც ჰარვაშიძე დიადე ვაჭრობდა ოურქებთან ტყვეებით<sup>35</sup>. გენ. პ. ერმოლოვი 1818წ. 23 მარტს იმპერატორის სახელზე დაწერილ რაპორტში აყნებდა საკითხს ადამიანებით ვაჭრობის შეზღუდვასთან დაკავშირებით. 1820წ. კი მისი ბრძანებით გამოყოფილი იქნა გემები აფხაზეთის ნაპირებთან მკაცრი კონტროლის დასამყარებლად. ფრანგი მოგზაურისა და კომერსანტის პოლ გიბალის ცნობით, აღრე ადამიანებით ვაჭრობა ფართოდ იყო გავრცელებული, ავტორის თანადროულ პერიოდში კი (1818წ.), მნიშვნელოვნად შეცვირებული იყო. ტყვე ადამიანებით ვაჭრობას, გარკვეულწილად, აგენტი მოლები უწყობდნენ ხელს<sup>36</sup>.

აფხაზების ოურქებთან ვაჭრობა მომგებიანი არ იყო აფხაზებისათვის. აქედან გამომდინარე, ფართო ვაჭრობა დაიწყო სამეგრელოსთან და რუსეთთან. XIX საუკუნის 10-იან წლებში ცნობილი ბაზრები კელასურში და ილორში იყო, სადაც გამოფენილი იყო ადგილობრივი წარმოების საქონელი<sup>37</sup>. აფხაზური საქონელი 1820 წელს ასევე გამოჩნდა სამეგრელოსა და იმერეთის ბაზრობებზე<sup>38</sup>.

რუსულმა ადმინისტრაციამ 1818წ. დაიწყო აფხაზეთში ზის

<sup>34</sup> **Н. Шавров.** Восточный берег Черного моря и его значение для развития Русского мореплавания. – „Морской сборник“, №101. Тифлис, 1862, გვ. 69.

<sup>35</sup> **Г. А. Дзидзария.** Махаджирство., გვ. 264-265.

<sup>36</sup> **Г. А. Дзидзария.** Махаджирство., გვ. 263.

<sup>37</sup> **ბ. ლუმბაძე.** დასავლეთ საქართველო..., გვ. 64; **И. Г. Антелава.** Очерки по истории Абхазии., გვ. 131.

<sup>38</sup> *AKAK*, т. 6, ч. 1. Тифлис, 1870, გვ. 597.

მასალის დამუშავება და დამზადება გემებისათვის და საზღვარგარეთ გასატნად. ბიჭვინთაში, სოხუმში და სხვაგან ძოხერხდა საკუთარ მრეწველობასა და ვაჭრობას მოკლებული გაღატაკებული აფხაზების გემთსაშენში დასაქმება. კერძოდ, ბიჭვინთის ყერეში 1816წ. ბერძნებმა სამტონიანი გემი ააშენეს. ყველა საჭირო მასალა ტაგანროგიდან ჩამოზიდეს, მუხისა და საანძე ხე-ტყის გარდა, რომელიც ამ მხარეში იშოვეს<sup>39</sup>. ტყეების დამუშავებას კი ხელს ადგილობრივი თავადები უწყობდნენ<sup>40</sup>. 1823წ. ნოემბერში აფხაზეთის სანაპიროს რუსული სავაჭრო გემები მოადგა. ქერჩიდან და ფეოდოსიდან 10 სავაჭრო გემი ჩამოვიდა და ჩამოიტანა მარილი, რკინა, ბრინჯაო. აფხაზეთიდან რუსებს სხვადასხვა მარცვლეულობა, თაფლი, ყველი, ხის მასალები და სხვა საქონელი გაპქონდათ<sup>41</sup>.

აფხაზეთის სამთავროში პოპულარული იყო ასევე მეაბრე-შუმეობა. სოფ. ილორი და სოფ. ანუხვა ამ მხრივ გამორჩეულები იყვნენ<sup>42</sup>.

ამგვარად, XIX საუკუნის I მეოთხედში მიმდინარე პოლიტიკურმა პროცესებმა, მეტ-ნაკლებად შეუწყვეს ხელი აფხაზეთში ეკონომიკური სიტუაციის გამოსწორებას. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზებს ნაკლები ეკონომიკური კავშირები ჰქონდათ რუსებთან, ოსმალეთთან არათანაბარი ვაჭრობის ფონზე, XIX საუკუნის 10-იანი წლების ბოლოს დაიწყო აფხაზური საქონლის ექსპორტი სამეგრელოსა და რუსეთში. ამას ხელი შეუწყო, მეტ-ნაკლებად, ვითარების სტაბილიზაციამ დასავლეთ საქართველოში. რუსეთის მიერ გატარებული ღონისძიებები ითვალისწინებდა აფხაზეთში თურქებისათვის ვაჭრობაში ხელის არშეშლას მანამ, სანამ რუსეთი თვითონ შეძლებდა აფხაზების მომარაგებას. ასეთი იყო, ზოგადად, აფხაზეთის ეკონომიკური იერ-სახე XVIIIს. მიწურულსა და XIXს. I მეოთხედში.

<sup>39</sup> ქ. ვ. გამბა. მოგზაურობა..., გვ. 81; Статистический взгляд на Абхазию, გვ. 223.

<sup>40</sup> АКАК, т. 6, ч. 1, გვ. 548, 597; ქ. ვ. გამბა. მოგზაურობა..., გვ. 79.

<sup>41</sup> Внешняя политика России XIX и нач. XX века. Серия II, т. 2. М., 1982, გვ. 729.

<sup>42</sup> Н. Дубровин. История войны и владычества Русских на Кавказе. т. I. СПб, 1887, გვ. 14.

**Д. Р. ЗАКАРАИА**

## **ЭКОНОМИЧЕСКОЕ ПОЛОЖЕНИЕ АБХАЗСКОГО КНЯЖЕСТВА В КОНЦЕ XVIII – НАЧАЛЕ XIXв.**

В работе, на основе анализа соответствующих первоисточников и специальной научной литературы, дана общая картина экономического положения Абхазия на рубеже XVIII–XIXвв. В ней освещено состояние сельского хозяйства; отмечено, что в крае в целом господствовало натуральное хозяйство, хотя наблюдалось некоторое оживление торговли и городской жизни в районе Сухуми и его окрестностях. Обращено внимание на использование наемного труда при заготовке лесоматериалов, а также в кораблестроении.

В статье представлены материалы об отдельных хозяйствах, в частности, самого владельца Гиоргия Шарвашидзе, его брата Гасан-бея Шарвашидзе, а также Али-бея Шарвашидзе. Достаточно подробно описываются изменения в хозяйственной жизни Абхазии после установления российского владычества, которое, на самом деле, определенно повлияло на экономическое развитие Абхазии. В работе приведены конкретные факты экономической деятельности русской администрации, в частности, начало обработки и вывоза лесоматериалов для кораблестроения, поощрение торгово-экономических контактов с другими частями Российской империи и Мегрельским княжеством.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება  
აფხაზეთის ორგანიზაცია  
საისტორიო ძეგლი, 7, 2004

## დავით ზაქარაია

### ასლან-ბეი შარვაშიძის ბრძოლა ავხაზეთის სამთავრო ტახტისთვის

ასლან-ბეი შარვაშიძე აფხაზეთის მთავრის ქელეშ-ბეი შარვაშიძის (1786-1808წ.). უფროსი შვილი იყო თავად ძიაფშ-იფების ასულისაგან<sup>1</sup>. XVIIIს. 70-იანი წლების ბოლოს, აფხაზეთის მთავარ ზურაბ შარვაშიძის (XVIIIს. 50-იანი წლების დასაწყისი – 1786) ინიციატივით, ქელეშ-ბეი დაქორწინდა გაძლიერებულ თავად ძიაფშ-იფების ასულზე, რათა ისინი დაეშოშმინებინა<sup>2</sup>.

ასლან-ბეი 1787წ. დაიბადა<sup>3</sup>. ის მამამისმა გასაზრდელად გააბარა გლეხის (ანხაიუს) ოჯახში, სოფ. ჩილიშში (სავარაუდოდ ბზიფის ოლქი).<sup>4</sup> მოგვიანებით ასლან-ბეი ქელეშ-ბეის მეორე ვაჟის, პასან-ბეის (მარშანიების ასულისაგან), მზრუნველობის ქვეშ აღმოჩნდა. პასან-ბეი 1804 წლისთვის ფლობდა ტერიტორიას მდ. კოდორსა და სოხუმს შორის.<sup>5</sup> გამთავრების შემდეგ, ქელეშ-ბეი ძიაფშ-იფების ასულს გაშორდა და ტყვე ჯიქ ქალზე დაქორწინდა, რომლისაგან შეეძინა საფარი (გიორგი), რომელსაც XIXს. დასაწყისიდან უპირატესობას ანიჭებდა<sup>6</sup>. ამის გამო 1804წ. ძიაფშ-

<sup>1</sup> А. Пахомов. Записка об имениях князя Георгия Шарвашидзе. – вб.: იო. ანთელავა, გ. ძიძარია. მასალები აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის. – „საისტორიო მუზეუმი“, გ. 7. თბ., 1953, გვ. 232.

<sup>2</sup> А. Пахомов. Записка.., გვ. 232.

<sup>3</sup> Акты, собранные Кавказскою археографическою комиссию (Зефирин-Фео. АКАК). Под. ред. А. Берже. Т. 6, ч. 1. Тифлис, 1874, გვ. 662.

<sup>4</sup> Утверждение русского владычества на Кавказе. Т. III, ч. 2. Тифлис, 1904, გვ. 572.

<sup>5</sup> А. Пахомов. Записка.., გვ. 233.

<sup>6</sup> А. Пахомов. Записка.., გვ. 232.

იფებმა 17 წლის ასლან-ბეის უბიძგეს, რათა მონაწილეობა მიეღო აფხაზეთის მთავრის წინააღმდეგ შეთქმულებაში. ისინი ეახლნენ ქელეშ-ბეის, რათა იგი მოკლათ, მაგრამ შეთქმულება გაცემულ იქნა. ერთი ძიაფშ-იფა საფარმა მოკლა, ხოლო ასლან-ბეი თავის გასამართლებლად დაედევნა დანარჩენებს და ერთ-ერთი მათგანი მოკლა<sup>7</sup>. ირ. ანთელავა ამ შეთქმულებას 1805 წლით ათარიღებს, ხოლო გ. ძიარია – 1806 წლით<sup>8</sup>. შეთქმულებმა მიზნის მისაღწევად ხელსაყრელი დრო ვერ შეარჩიეს. აფხაზეთის მთავარი ქელეშ-ბეი შარვაშიძე წარმატებით ონარჩუნებდა თავის პოზიციას ძდ. ბზიფიდან ანაკლიის და რუხის ციხე-სიმაგრე-ებამდე. შეთქმულთათვის არც საგარეო ფაქტორი იყო ხელსაყრელი – თურქეთს მინიმალური გავლენა პქნდა აფხაზეთზე, ხოლო რუსეთი ოდიშში ძლივსძლივობით იკიდებდა ფეხს<sup>9</sup>.

პირველი შეთქმულების შემდეგ ასლან-ბეიმ აფხაზეთის მთავრის ნდობა მოიპოვა, მით უმეტეს, რომ მან 1804წ. თავი გაიმართლა ერთი ძიაფშ-იფას მოკვლით. 1808წ. 2 მაისს ქელეშ-ბეის წინააღმდეგ ასლან-ბეიმ წარმატებით განახორციელა მეორე შეთქმულება. „ასლან-ბეგ შერვაშიძემ, – ნ. დადიანის ცნობით, – უღალატა მამასა თვისსა ქელაიშ-აჰმედ-ბეგსა და მოჰკლა აყეს ციხესა შინა და თვით დაიპყრა აყუ და ქალაქი მისი...“<sup>10</sup> აფხაზეთის მთავარი თავის შვილთან, ბათალ-ბეისთან (მარშანიების ასულისაგან), ერთად თავის სახლში საღამოს დაბრუნდა. სახლში შესვლისას ასლან-ბეის მიერ გასროლილმა ტყვიამ ბათალ-ბეი დაჭრა. ამის შემდეგ შეთქმულებმა, რომელთა რაოდენობა ხუთ კაცზე მეტი არ იყო, ქელეშ-ბეი სასიკვდილოდ დაჭრეს. ასლან-ბეიმ მომაკვდავ ქელეშ-ბეის თავი გაუჩეხა<sup>11</sup>. ამ შეთქმულებაში აქტი-

<sup>7</sup> А. Пахомов. Записка..., გვ. 232.

<sup>8</sup> И. Г. Антелава. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII вв. Сухуми, 1949, გვ. 83; Г. А. Дзидзария. Присоединение Абхазии к России. – Труды, I. Сухуми, 1988, გვ. 38.

<sup>9</sup> АКАК, т. 2. Тифлис, 1868, გვ. 438.

<sup>10</sup> 6. დადიანი. ქართველთ ცხოვრება. ტექსტი გამოსცა, წინასიტყვა-ობა, გამოკვლევები, კომენტარები, საძიებელი და ლექსიკონი დაურთო შ ბ ძურჯანაძემ. თბ., 1962, გვ. 197.

<sup>11</sup> АКАК, т. 3. Тифлис, 1869, გვ. 198-199.

ურ მონაწილეობას სამურზაყანოს ერთ-ერთი მფლობელი ბეჟან შარვაშიძეც იღებდა<sup>12</sup>.

მკვლევარები ასლან-ბეის მიერ აფხაზეთის მთავარ ქელეშ-ბეი შარვაშიძის მკვლელობის მოტივად მის მთავარად გახდომის ამბიციას ასახელებენ. ამ მკვლელობას, მათი აზრით, აქტიურად უჭერდა მხარს ოსმალეთი, რომელიც უკმაყოფილო იყო ქელეშ-ბეის პოლიტიკით<sup>13</sup>.

ეს შეთქმულება ანალოგიურადაა შეფასებული XIX საუკუნისა და XXს. 10-იანი წლების საისტორიო ხასიათის რუსულ პუბლიკაციებშიც<sup>14</sup>.

<sup>12</sup> АКАК, т. 3, გვ. 198-199.

<sup>13</sup> 6. ბერძენიშვილი. საქართველო XIX ს. I მეოთხედში. – წგნ.: 6. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. II. ობ., 1965, გვ. 405; 6. ქორთუა. საქართველო 1806-12წწ. რუსეთ-თურქეთის ომში. ობ., 1964, გვ. 260; И. Г. Антелава. Очерки по истории Абхазии XVII-XVIII вв. Сухуми, 1949, გვ. 88; Г. А. Дзидзария. Присоединение..., გვ. 43-44; მ. ლემბაძე. დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის I ნახევარში, ობ., 1957, გვ. 220; А. В. Фадеев. Россия и Кавказ первой трети XIX в. М., 1960, გვ. 149; ს. გაგაბაძე. საქართველოს მოკლე ისტორია (ახალი საუკუნეების ეპოქა). ობ., 1920, გვ. 192; Г. А. Пайчадзе. Абхазия в составе Российской империи. 1810-1917 гг. – Развыскания по истории Абхазии/Грузия. Тб., 1999, გვ. 216; Г. Анчабадзе. Абхазская хроника XIX века. – „Свободная Грузия“, 3 августа, 1991г.; ზ. პაპასქეთი. ნარკვევები თანამდებობები აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. I, უდვილესი დროიდან 1917 წლამდე. ობ., 2004, გვ. 122; Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии (историография, документы и материалы, комментарии, с древ. времен до 30-х годов XX века). Тб., 1997, გვ. 50, 662; ზ. წურწუმია. აფხაზეთის სამთავროს ისტორიის ზოგიერთი საკითხი თურქეთი ისტორიოგრაფიაში. – „საისტორიო ძეგლები“, 5. ობ., 2002, გვ. 133.

<sup>14</sup> С. Броневский. Новейшие географические и исторические известия о Кавказе. Ч. 1. М., 1829, გვ. 348-349; Подвиги русских воинов в странах Кавказа (1800 по 1834 гг.), описанные Зубовым., Т. 1, Ч. 1. СПб, 1835, გვ. 46-47; Очерк устроства общественно политического быта Абхазии. Гл. 2. – „Сборник сведений о Кавказских Горцах“. Вып. III. Тифлис, 1870, გვ. 18-22; М. Владыкин. Путеводитель и собеседник в путешествии по Кавказу. М., 1885, გვ. 338; Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе. Т. 6, СПб, 1887, გვ. 260; Утверждение наше в Абхазии. – „Кавказский сборник“ издаваемый под редакцией ген. л. Черняевского, т. 2. Тифлис, 1889, გვ. 127; Утверждение русского владычества на Кавказе.

განსხვავებული მოსაზრება აქვს აფხაზ ისტორიკოსს ს. ლა-კობას. ის თვლის, რომ 1808წ. 2 მაისს ქელეშ-ბეის წინააღმდეგ შეოქმულება მოაწყო კავკასიის ადგილობრივმა სამხედრო აღმი-ნისტრაციამ ოდიშის მმართველ ნინო დადიანთან ერთად. ავტორი აპელირებს ასლან-ბეის წერილით, რომელიც მან მისწერა დასავ-ლეთ საქართველოში განლაგებული ჯარების მეთაურის გენ.-მაი-ორ რიკვოფების<sup>15</sup>. ამ წერილის შინაარსი ჩვენთვის ცნობილია გენ.-მაიორ რიკვოფის პატაკით საქართველოს მთავარმმართებელ გრ. გუდოვიჩისადმი, სადაც ავტორი აღნიშნავს, რომ: „Аслан-бей ви-новнымъ себя ни подъ какимъ предлогомъ не сознаётъ, отзы-вая заговоромъ противу Келеш-бяя посторонних. Я на письма сіи ничем и по сие время (1808წ. ივლისი – დ. 6.) ему не от-ветствую, а поставлю долгомъ моимъ для подробнѣищаго све-дения представить оныя оригиналомъ“.<sup>16</sup> ს. ლაკობა ამ ცნობას ასლან-ბეის გასამართლებლად იყენებს, თუმცა ეს წერილი ჩვენი მოსაზრებით საწინააღმდეგოზე მეტყველებს. ამით ის გარკვეულ-წილად ინანიებდა ჩადენილ დანაშაულს. სულ სხვა შინაარსის წე-რილებს აგზავნიდა ასლან-ბეი ოსმალეთში. ის წერდა, რომ: „Ке-леш-бекъ передалъ себя Русскимъ и желалъ быть Христиани-номъ, поэтому и сделали съ ним такъ“.<sup>17</sup>

ასე რომ, ქელეშ-ბეის მკვლელობა ასლან-ბეი შარვაშიძის მიერ განხორციელდა და ეს მან გააკეთა სამთავრო ტახტის და-კავების მიზნით. ოსმალეთი ლიად ამ აქციაში არ ჩარცეულა. ეს უფრო დინასტიური დაპირისპირების შედეგი იყო. მართალია, ქელეშ-ბეი შარვაშიძე ადრიდანვე საფარ-ბეის ანიჭებდა უპირატესობას, მაგ-რამ სიკვდილის წინ მან თავისი გადაწყვეტილება შეცვალა და ტახტის მემკვიდრედ მარშანიას ასულისაგან ნაშობი ბათალ-ბეი

Т. 2. Тифлис, 1902, გვ. 42; С. Эсадзе. Историческая записка об управле-нии Кавказом. Т. 1. Тифлис, 1907, გვ. 105; А. Н. Дьячков-Тарасов. Абхазия и Сухум в XIX столетии. – *Известия Кавказского отдела Император-ского Русского географического общества*, т. XX. 1909-1910, გვ. 149-165.

<sup>15</sup> S. Lak'oba. History: 18-th century – 1917. – The Abkhazians (Apseyaa). L., 1999, გვ. 70.

<sup>16</sup> AKAK, т. 3, გვ. 205.

<sup>17</sup> AKAK, т. 3, გვ. 206.

აღიარა<sup>18</sup>. ამით გამოირიცხა თავად ძიაფშ-იუების ასულისაგან ნაშობი ასლან-ბეის მთავრად დასმის პერსპექტივა. ამ შემთხვევაში აფხაზეთის მთავარმა გაითვალისწინა, რომ, ადაობრივი სამართლის მიხედვით, გლეხისაგან ნაშობ შვილს გიორგის აფხაზები მთავრად არ მიიღებდნენ. ამიტომ არჩევანი ბათალ-ბეიზე შეაჩერა, რომელიც ამ დროისათვის 21 წლის იყო<sup>19</sup>.

აფხაზეთის მთავარ ქელეშ-ბეი შარვაშიძეს არც თურქეთის-თვის და არც რუსეთის-თვის არ მიუცია აშკარა საბაბი, რომ მათ იგი აფხაზეთის მთავრის ტახტისგან მოეშორებინათ. ქელეშ-ბეის გონივრული პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ მან სტაბილურობა შეინარჩუნა აფხაზეთის სამთავროში და საშუალება არ მისცა თურქეთსა და რუსეთს, აფხაზეთის სამთავრო და ემორჩილებინათ. 1806 წლის შემდეგ, როცა ქელეშ-ბეიმ თურქეთიდან გამოქცეული ტრაპიზუნტის სერასკირი თაიარ ფაშა (რომელიც უკმაყოფილო იყო სულთან სელიმ III სამხედრო რეფორმით) შეიფარა და წინ აღუდგა თურქეთიდან გამოგზავნილ სადამსჯელო ექსპედიციას<sup>20</sup>, მას ანტითურქულ ღონისძიებებში არ მოუღია მონაწილეობა და არც გართულებული ურთიერთობა ჰქონდა სულთნის კართან<sup>21</sup>. რაც შეეხება ურთიერთობას რუსეთთან, ეს ურთიერთობა რამდენადმე რთული იყო, ვინაიდან ქელეშ-ბეის არაერთგზის მცდელობის მიუხედავად, შესულიყო რუსეთის მფარველობაში (1803 წლიდან დაწყებული),<sup>22</sup> რუსული სამხედრო ადმინისტრაცია მაინც ცდილობდა, ვნება მოეყნებინა მისოვთის. კერძოდ, ცდილობდა ქელეშ-ბეი შარვაშიძის გავლენის შესუსტებას სამურზაფანოში და ანაკლიის ციხე-სიმაგრის დაკავებას<sup>23</sup>. ამის გამო, აკად. ნ. ბერძენიშვილის თქმით, „ქელეშ-ბეგი აფხაზეთზე ოსმალეთის სუვერენიტე-

<sup>18</sup> AKAK, т. 3, გვ. 198-199.

<sup>19</sup> Материалы к истории покорения Западного Кавказа. – „Кавказский сборник“, т. 32. Тифлис, 1912, გვ. 63.

<sup>20</sup> AKAK, т. 2, გვ. 178.

<sup>21</sup> AKAK, т. 3, გვ. 196-197; 531-532; 541-542; ნ. ბერძენიშვილი. საქართველო..., გვ. 365-404; А. В. Фадеев. Краткий очерк по истории Абхазии. Ч. 1. Сухуми, 1934, გვ. 145; Г. Аничабадзе. Абхазская хроника XIX века.

<sup>22</sup> AKAK, т. 2, გვ. 191-192, 394, 413, 536, 539.

<sup>23</sup> AKAK, т. 2, გვ. 500, 503, 510, 514, 520-524, 537.

ტის პროკლამაციას თავისთვის სასარგებლოდ თვლიდა“<sup>24</sup>. ამის შედეგად მან შეინარჩუნა გავლენა სამურზაყანოსა და ანაკლიის ციხე-სიმაგრეზე, რომელიც რუსულმა სამხედრო ადმინისტრაციამ ქელეშ-ბეის 1805წ. ოქტომბერში დაუბრუნა<sup>25</sup>. რუსული სამხედრო ადმინისტრაცია, თურქეთთან ომის საბაბით, ცდილობდა ქელეშ-ბეის ძალების გამოყენებას იმერეთსა და ოდიშში სტაბილურობის შესანარჩუნებლად<sup>26</sup>. ხოლო საქართველოს მთავარმმართებელი გენ. გუდოვიჩი, აფხაზეთის სამთავროსაგან რუსეთის მფარველობაში მიღების საფასურად, ითხოვდა, რომ მას თურქეთის წინააღმდეგ საბრძოლველად ლაშქარი გამოეყვანა<sup>27</sup>. 1807 წლის დამლევიდან 1808წ. მაისამდე რუსეთსა და აფხაზეთის მთავარს შორის მოლაპარაკებები არ მიმდინარეობდა<sup>28</sup>.

აფხაზეთის მთავრის ასეთ მდგომარეობას ისიც უწყობდა ხელს, რომ იმსანად რუსეთის იმპერიაც და თურქეთიც ერთმანეთთან ბრძოლით დასუსტებულნი იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი თანდათანობით მკვიდრდებოდა დასავლეთ საქართველოში და გარკვეული წარმატებები ბალკანეთის ფრონტზეც ჰქონდა, საფრანგეთის მხრიდან მიმდინარე საფრთხის გამო იძულებული იყო რეგიონში დაპყრობითი აქციები შეეჩერებინა. თურქეთს კი, რომელსაც თითქმის დაკარგული ჰქონდა გავლენა დასავლეთ საქართველოზე და ბალკანეთის ფრონტზე მარცხს მარცხზე განიცდიდა, იმის შესაძლებლობაც არ ჰქონდა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის წინააღმდეგ ახალი ფრონტი გაეხსნა, როგორც ამას ვარაუდობდა პროფ. გ. ძიძარია<sup>29</sup>.

აქედან გამომდინარე, შეთქმულები ასლან-ბეის მეთაურობით მარტო თურქეთზე დაიმედებულნი ვერ იქნებოდნენ, როგორც ამას 1813 წელს საქართველოს მთავარმმართებელი გენ. რტიშევი ამტკიცებდა<sup>30</sup>. ასლან-ბეი 1808წ. ივლისში რუსეთის მფარველობა-

<sup>24</sup> 6. ბერძენიშვილი. საქართველო..., გვ. 402.

<sup>25</sup> AKAK, თ. 2, გვ. 528, 531-532; AKAK, თ. 3, გვ. 189, 197.

<sup>26</sup> AKAK, თ. 3, გვ. 131-132.

<sup>27</sup> AKAK, თ. 3, გვ. 196-197.

<sup>28</sup> AKAK, თ. 4. თифლის, 1870, გვ. 423-424.

<sup>29</sup> Г. А. Дзидзария. Присоединение., გვ. 41.

<sup>30</sup> AKAK, თ. 5. თიფლის, 1873, გვ. 889-890.

ში შესვლას ითხოვდა, მაგრამ საქართველოს მთავარმმართებელ-მა გენ. გუდოვიჩმა მისი შემოთავაზება უპასუხოდ დატოვა. ხოლო 1809 წლის ივნისში დასავლეთ საქართველოში განლაგებული ჯარების მეთაურის თავად დ. ორბელიანისადმი მიწერილი წერილის პასუხად, მან მიიღო, რომ „Я (დ. ორბელიანი – დ.პ.) на письмо его отвечствовалъ до времени благосклоннымъ отклонениемъ моимъ, по причине того, что ходатайствуя за него надобно отвергать всехъ князей Шарвашидзе отъ усердия к России..., хотя и кр. Сухумъ не безполезна“<sup>31</sup> ასლან-ბეის სურვილმა, შესულიყო რუსეთის ქვეშევრდომობაში, სულონის კარი აღაშვილთა. თურქეთიდან სასწრაფოდ გამოგზავნილმა ემისრებმა მას ყოველგვარი დახმარება აღუთქვეს<sup>32</sup>.

ასლან-ბეი მამის, ქელეშ-ბეის მკვლელობის შემდეგ სოხუმის ციხეში გამაგრდა. მას აქტიურ მხარდაჭერას სამურზაყანოს ერთ-ერთი ძალობელი ბეჟან შარვაშიძე (რომელმაც ყველა თავისი ქვეშევრდომი დარაზმა ასლან-ბეის დასახმარებლად) და ფოთის ციხის კომენდანტი ქუჩუკ-ბეი შარვაშიძე უცხადებდნენ. ასლან-ბეიმ ქუჩუკ-ბეი სოხუმის ციხის გამგებლადაც დანიშნა<sup>33</sup>.

„ამისთვის უპირმშოესი შვილი ქელაიშ-აპმედ-ბეგისა საფარბეგ, სიძე დადიანისა, რომელსა პყვანდა და გრიგოლისი და სცხოვრობდა ზუფუს ბრძანებითა მამისათა, წარმოვიდა და მოვიდა ლეონ გრიგოლის ძის დადიანისა თანა და სთხოვა შეწევნა, რათა... შურ აგოს ძმასა თვისსა ასლან-ბეგსა“<sup>34</sup> რუსული სამხედრო ადმინისტრაცია თვლიდა, რომ საფარ-ბეის სრული კანონიერი უფლება ჰქონდა აფხაზეთის მთავარი გამხდარიყო, მიუხედავად იმისა, რომ ქელეშ-ბეიმ სიკვდილამდე ბათალ-ბეი აღიარა მემკვიდრედ. საფარ-ბეიმ დასავლეთ საქართველოში განლაგებული რუსული ჯარების მეთაურს გენ. რიკვოფს სამხედრო დახმარება სთხოვა და კვლავ გამოთქვა სურვილი, შესულიყო რუსეთის ქვეშევრდომობაში. მაგრამ საქართველოს მთავარმმართებელს გენ.

<sup>31</sup> АКАК, т. 4, გვ. 412.

<sup>32</sup> АКАК, т. 4, გვ. 389-390; Утверждение Русского владычества на Кавказе. Т. 1. Тифлис, 1901, გვ. 41-45.

<sup>33</sup> АКАК, т. 3, გვ. 198-199, 205.

<sup>34</sup> 6. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 197.

გუდოვიჩს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან ინფორმაცია ჰქონდა მიღებული, რომ სანამ რუსეთ-თურქეთის სამშვიდობო ზავი გრძელდებოდა, რუსეთი არ უნდა ჩარეცელიყო თურქეთის ვასალის საშინაო საქმეებში. მით უმეტეს, რომ რუსულ სამხედრო ადმინისტრაციას დასავლეთ საქართველოში ქვედანაყოფების გამოყოფის შესაძლებლობა არ გააჩნდა.

რუსული ადმინისტრაციის მთავარი ამოცანა იყო შეიარაღებული ძალების დაქსაქსვის გარეშე დახმარებოდა საფარ-ბეი შარვაშიძეს. საქართველოს მთავარმმართებელმა გენ. გუდოვიჩმა რიკგოფს უბრძანა, აფხაზეთის საზღვარს მიახლოვებოდა და ძალების ასეთი გადაადგილება თურქეთისათვის აფხაზეთის სამთავროში არასტაბილური მდგომარეობით აეხსნა. მათი ამოცანა მხოლოდ სამეგრელოს სამთავროს საზღვრების უსაფრთხოება იყო. თავის მხრივ, რუსულმა სამხედრო ადმინისტრაციამ სამურზაყანოს მმართველ მანუჩარ შარვაშიძეს და სამეგრელოს მთავარ ნინო დადიანს ნება დართო, თავიანთი ძალებით დახმარებოდნენ საფარ-ბეი შარვაშიძეს<sup>35</sup>.

ამასობაში ასლან-ბეიმ სოხუმის ციხე გაამაგრა. იქ 100-მდე ზარბაზანი იდგა<sup>36</sup>. სამეგრელოს მთავარ ლევან დადიანის და სამურზაყანოს მფლობელ მანუჩარ შარვაშიძის შეერთებული ლაშქარი 1808წ. მაისში მდ. ბესლეთოან დაბანაკდა. 6. დადიანის ცნობით, „წარვიდა ლეონ დადიანი სპიოა სამენგრელოსათა, და მივედით აყუს (სოხუმი – დ.შ.) და დავებანაკეთ ბესილას პირზედ და ვერა მოვადევით ციხესა გარს, ვინადგან არა გვქონდა მომზადებულება არტილერიათა და არცა სხვათა ციხის მოსადგომთა იარაღთა“<sup>37</sup> ამავე დროს, ასლან-ბეის დასახმარებლად ფოთის კომენდანტი ქუჩუკ-ბეი მოვიდა სამი გემით. გარდა ამისა, მას დამატებით 300 ჩერქეზიც მოუვიდა<sup>38</sup>. ამის გამო, სამეგრელოს მთავრისა და სამურზაყანოს მფლობელის შეერთებულ ლაშქარს გაუჭირდა მათ წინააღმდეგ ბრძოლა და ასლან-ბეისთან მოლაპარა-

<sup>35</sup> AKAK, T. 3, გვ. 205-206.

<sup>36</sup> AKAK, T. 3, გვ. 207-208.

<sup>37</sup> 6. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 197.

<sup>38</sup> AKAK, T. 3, გვ. 207-208.

კება არჩიეს, მაგრამ უშედეგოდ. საფარ-ბეიმ ასლან-ბეის ტყვეობიდან დედინაცვალი რებია ხანუმი და ბათალ-ბეი გამოიხსნა. მათ სანაცვლოდ ასლან-ბეიმ სხვა მძღვლები მოითხოვა. ასე რომ, ნ. დადიანის ცნობა, რომ „რებია ჰანუმ და შვილი მისი ბათალ-ბეგ შარვაშიძე... განვათავისუფლეთ“<sup>39</sup> მთლად სინამდვილეს არ შეეფერება. ლევან დადიანისა და მანუქარ შარვაშიძის ლაშქარის სურ-სათ-სანოვაგის უქონლობის გამო უკან დაიხია<sup>40</sup>. ამის შემდეგ, უცნაურად გვეჩვენება ნ. დადიანის ცნობა: „...შემდგომად დავმძღვლეთ ყოველი აფხაზეთი ჯიქეთის საზღვრიდამ ვიდრე ლალიძგა-დადიანის საზღვრამდე და მივათვალეთ საფარ-ბეგს“<sup>41</sup>.

რეალური სურათი კი სხვაგვარი იყო. საფარ-ბეი (გიორგი) შარვაშიძის არაერთგზის თხოვნის მიუხედავად, რუსეთი, ოურქეთის რიდით, აფხაზეთში ვერ შედიოდა<sup>42</sup>. ამასობაში, ასლან-ბეი იმდენად გაძლიერდა, რომ მისი შიშით გიორგიმ 1810 წლის ივნისში აფხაზეთის მთავრად დანიშვნის უძალლესი სიგელი არ მიიღო<sup>43</sup>. აფხაზი თავადების უმრავლესობამ უარი განაცხადა მისთვის მძღვლები მიეცათ. მათი აზრით, გიორგი შარვაშიძის აფხაზეთის მთავრად აღიარებას „კანონიერი“ საფუძველი არ ჰქონდა<sup>44</sup>.

აქედან გამომდინარე, კავკასიის ადგილობრივი სამხედრო ადმინისტრაცია იძულებული გახდა, გიორგის მიერ რუსეთისათვის „ნებაყოფლობით გადაცემული“ აფხაზეთის სამთავრო დაეპყრო<sup>45</sup>. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავარმმართებელი თვითონ კარნახოდა გიორგი შარვაშიძეს „სათხოვარი ჰუნქტების“ შინაარსს<sup>46</sup>. საქართველოს მთავარმმართებლის გენ. ტორმასოვის თქმით: „...не остается теперь другого способа какъ покорение крепости Сухума силою оружия и симъ же средствомъ Сефер-Али-бекя ввес-

<sup>39</sup> ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 197; ზ. პაპასქირი. ნარკვევები..., გვ. 124.

<sup>40</sup> AKAK, თ. 3, გვ. 207-208; ნ. ქორთუა. საქართველო..., გვ. 262.

<sup>41</sup> ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 197.

<sup>42</sup> AKAK, თ. 3, გვ. 201, 205, 206-207; 208-209.

<sup>43</sup> AKAK, თ. 4, გვ. 420-421.

<sup>44</sup> AKAK, თ. 4, გვ. 419.

<sup>45</sup> AKAK, თ. 4, გვ. 420.

<sup>46</sup> AKAK, თ. 3, გვ. 206-207; ს. ლეკიშვილი. ერთი ფურცელი XIX საუკუნის ისტორიიდან. – გაზ. „სახალხო განათლება“, 1989წ. 31 მაისი.

ти во владение Абхазии<sup>47</sup>.<sup>47</sup> რუსებს სოხუმის დაპყრობა 1810წ.<sup>48</sup> 17 ოქტომბერიდან ჰქონდათ გადაწყვეტილი<sup>49</sup>. ასლან-ბეის გავლენა ამ დროისათვის სამურზაფანოსა და ანაკლიის ციხეზე არ ვრცელდებოდა, სამურზაფანოს მფლობელი მანუჩარ შარვაშიძე მის წინააღმდეგ იყო განწყობილი, ხოლო ანაკლიის ციხის მეთაური, რომელიც ინციდენტის დროს სოხუმში იმყოფებოდა, ასლან-ბეიმ დააკავა. ანაკლიის ციხეში მეგრული შენაერთები ჩააყენეს<sup>50</sup>.

1809 წლის ბოლოდან რეგიონში სიტუაცია რუსეთის სასარგებლოდ შეიცვალა. ანაპისა და ფოთის ციხე-სიმაგრეებში რუსული გარნიზონები იდგნენ<sup>51</sup>. ამან უფრო მეტად დააჩქარა აფხაზეთის სამთავროს რუსეთთან შეერთება, რომელიც ალექსანდრე I-ის 1810წ. 2 მარტის ბრძანებულებით განხორციელდა. შეერთების აღსანიშნავი ცერემონიალი და გიორგი შარვაშიძის ხელმოწერა სოხუმის ციხე-სიმაგრის დაკავების შემდეგ უნდა შემდგარიყო<sup>52</sup>. 1810წ. 10 ივნისს საბოლოოდ დაზუსტდა სოხუმის ციხე-სიმაგრის აღების დეტალები. მასში მონაწილეობა უნდა მიეღო გემ „ვერხაილს“ და ორ ფრეგატს (მომცრო ზომის გემი) „ნაზარეთს“ და „ვოინს“, რომელთაც უნდა გადმოესხა სოხუმის სანაპიროზე მე-4 საზღვაო პოლკი. სახმელეთო ჯარების მოსვლამდე მე-4 საზღვაო პოლკი სოხუმის ციხე-სიმაგრეში უნდა დარჩენილიყო<sup>53</sup>. მისი აღება დაემთხვა იმერეთის მღელვარებას. სოხუმკალეს დაცვა გაძლიერებული იყო. იქ 100-მდე ქვემეხი იყო, მათ გააჩნდათ 1000 ფუთი ტყვია-წამალი, სანაპიროზე რამდენიმე თურქული გემი იდგა<sup>54</sup>.

1810 წლის 8 ივნისს რუსული სამხედრო ესკადრა სოხუმს მიადგა. ესკადრის მეთაურმა კაპ. დოდტმა, პირველ რიგში, გადაწყვიტა ასლან-ბეის მომხრეებთან მოლაპარაკება ეწარმოები-

<sup>47</sup> AKAK, T. 4, გვ. 421.

<sup>48</sup> AKAK, T. 4, გვ. 418.

<sup>49</sup> AKAK, T. 3, გვ. 198-199; AKAK, T. 4, გვ. 416; ა. ტუდუში. ანაკლიის ისტორია. ზუგდიდი, 1991, გვ. 17.

<sup>50</sup> AKAK, T. 4, გვ. 390.

<sup>51</sup> AKAK, T. 4, გვ. 237.

<sup>52</sup> AKAK, T. 4, გვ. 421.

<sup>53</sup> AKAK, T. 4, გვ. 422.

ნა. ასლან-ბეი ამ დროისათვის სოხუმის ციხე-სიმაგრეში არ იმყოფებოდა და 4000-იანი რაზმით იმერეთის მეფე სოლომონ II-ის დასახმარებლად იყო წასული<sup>54</sup>. მოწინააღმდეგე მხარეში სროლა დაუწყო რუსულ სამხედრო ესკადრას. მეორე დღეს კაპ. დოდგტმა სოხუმის ციხე-სიმაგრეს ცეცხლი გაუხსნა, ქვემეხბის უდიდესი ნაწილი განადგურდა. დღის მეორე ნახევარში ზღვიდან დესანტი გადმოსხეს<sup>55</sup>. გადმოსხმულ დესანტს ასლან-ბეის ცხენოსანმა რაზმმა წინააღმდეგობა გაუწია. დიდი და დაძაბული ბრძოლის შემდეგ რუსებმა სოხუმის ციხე-სიმაგრე აიღეს. რუსულ სამხედრო შენაერთებთან ბრძოლაში ასლან-ბეის 300-მდე მომხრე დაიღუპა. მათ ასევე ორი თურქი მოხელე ტყვედ ჩაუკარდათ. კაპ. დოდგტს მორჩილებით ეახლნენ საფარ-ბეის (გიორგის) ძმები, ბათალ-ბეი და ჰასან-ბეი მთელი თავიანთი სანათესაოთი<sup>56</sup>. 6. დადიანის ცნობით, „ასლან-ბეგ სირცხვილეული წარვიდა ჯიქეთს“.<sup>57</sup> სოხუმიდან ასლან-ბეის განდევნის შემდეგ თურქეთში 5000 მაჰმადიანი აფხაზი გადასახლდა<sup>58</sup>.

თურქეთში ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ რუსებმა სოხუმის ციხე-სიმაგრე აიღეს და ასლან-ბეი განდევნეს. 1810წ. ივლისის მეორე ნახევარში სოხუმის ციხე-სიმაგრეს თურქელი გემი მიუახლოვდა, რომელმაც ციხეზე აღმართული რუსეთის დროშის დანახვისთანავე გაქცევა დააპირა, მაგრამ რუსებმა ეს გემი დააპატიმრეს. გემზე სულთნის სამი ფირმანი, აგრეთვე „სხვადასხვა სამხედრო-ფინანსური დახმარებები“ აღმოაჩინეს<sup>59</sup>.

ერთი სიტყვით, ასლან-ბეი შარვაშიძემ სოხუმის ციხე-სიმაგრე რუსეთთან უთანასწორო ბრძოლაში დაკარგა. თურქეთი რუსეთთან ოშში თანდათანობით უფრო და უფრო თმობდა პოზიციებს. ბალკანეთის ფრონტზე მან მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრეები

<sup>54</sup> გ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო..., გვ. 194; Г. Аничабадзе. Абхазская хроника XIX века.

<sup>55</sup> Г. Дзидзария. Присоединение..., გვ. 46.

<sup>56</sup> AKAK, т. 4, გვ. 425.

<sup>57</sup> 6. დადიანი. ქართლის ცხოვრება, გვ. 202.

<sup>58</sup> ზ. ჭიჭინაძე. ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში. მაჰაჯირთა ემიგრაცია. თბ., 1962, გვ. 109.

<sup>59</sup> AKAK, т. 4, გვ. 397; Г. А. Дзидзария. Присоединение..., გვ. 45-46.

დაკარგა, ხოლო დასავლეთ საქართველოში რუსეთის გამგებლობაში ფოთის ციხე-სიმაგრე გადავიდა. რუსებმა ანაპის ციხე-სიმაგრეც აიღეს<sup>60</sup>. ასეთ ვითარებაში თურქეთი ასლან-ბეის აქტიურ დახმარებას ვერ უწევდა. ამიტომ, გ. ძიძარიას მოსაზრება იმის შესახებ, რომ ასლან-ბეისა და საფარ-ბეის შორის მიმდინარე შიდადინასტიური წინააღმდეგობა რუსეთ-თურქეთის კონფლიქტი იყო<sup>61</sup>, შეიძლება ითქვას, მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება რეალობას. მიგვაჩნია, რომ ეს მაინც უფრო ასლან-ბეი შარვაშიძესა და რუსეთის შორის კონფლიქტი იყო, ვიდრე რუსეთ-თურქეთის დაპირისპირება. ჩვენი აზრით, ოსმალეთი აფხაზეთისთვის ბრძოლაში აქტიურად მხოლოდ 1813წ. ჩაერთო. აქვე არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ერთ გარემოებას – ასლან-ბეიმ დაშვებული შეცდომა (მამის მოკვლა) მაშინვე გააცნობიერა და რუსეთის ქვეშვრდომობაში შესვლა ითხოვა<sup>62</sup>.

ასლან-ბეის სოხუმიდან განდევნის შემდეგ, 1810წ. ოქტომბერში, იმერეთის ოლქის მმართველმა გენ. მაიორმა სიმონოვიჩმა გიორგი შარვაშიძესთან 100 რიგითი ჯარისკაცი გაგზავნა მაიორ მოიზეს მეთაურობით. დასავლეთ საქართველოში განლაგებული რუსული ჯარების მეთაურმა დ. ორბელიანმა აფხაზეთის მთავარს რუსეთის იმპერატორის მიერ ბოძებული სიგელ-ნიშნები გადასცა, რომლის მიღება გიორგი შარვაშიძემ 1810წ. იგნისში ასლან-ბეის შიშით ვერ გაბედა. მთავარმა თავის ადგილ-სამყოფელად რუსების მიერ გამაგრებული სოხუმის ციხე-სიმაგრე არჩია<sup>63</sup>.

1810წ. დეკემბრამდე ასლან-ბეი აფხაზეთში არ გამოჩენილა<sup>64</sup>. მიუხედავად ამისა, გიორგი შარვაშიძის მდგომარეობა სახარბულო არ იყო. ის წებელდელმა და დალელმა მარშანიებმა აფხაზეთის მთავრად არ აღიარეს. ასევე მოიქცნენ საძი (ჯიქი) და ცანძრიფელი თავადები. ასლან-ბეი კი თავის შეიარაღებულ რაზმთან ერთად დეკემბრის ბოლოს სოხუმიდან 20 კილომეტრის

<sup>60</sup> AKAK, т. 4, გვ. 423-424; **Д. А. Новичев.** История Турции. Т. II, ч.1 (1792-1839). Л., 1968, გვ. 90-95

<sup>61</sup> **Г. А. Дзидзария.** Присоединение..., გვ. 43-44; **S. Lak'oba.** History..., გვ. 75.

<sup>62</sup> AKAK, т. 4, გვ. 389-390, 412.

<sup>63</sup> AKAK, т. 4, გვ. 399; **ზ. პაპასქირი.** ნარკვევები..., გვ. 124.

<sup>64</sup> AKAK, т. 4, გვ. 348.

მოშორებით გამოჩნდა. მისი მომხრები გიორგი შარვაშიძის ქვე-შევრდომებს მუდმივად თავს ესხმოდნენ. ამის გამო ის ნინო და-დიანსა და მანუჩარ შარვაშიძეს დახმარებას სოხოვდა. მათაც, რუ-სული სამხედრო აღმინისტრაციის ნებართვით, ასლან-ბეი სოხუ-მის მიმდებარე ტერიტორიიდან განდევნეს<sup>65</sup>. ამჯერად ასლან-ბეი ტრაპეზუნტში გაიქცა. 1811წ. იქ მას კიურინის ოლქის გამგებ-ლობა უბოძეს<sup>66</sup>.

1812წ. 16 მაისს ბუქარესტში რუსეთ-თურქეთის სამშვი-დობო ხელშეკრულება დაიდო. ამ ზავის მე-6 პუნქტის თანახმად, გათვალისწინებული იყო საომარი მოქმედებების დროს რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ დასავლეთ საქართველოს ზღვის სანაპიროზე დაპყრობილი ციხე-სიმაგრეების დაცლა. ამ მოთხოვნის შესაბამისად, რუსეთს თურქეთისათვის უნდა დაებრუნებინა ციხე-სიმაგრეები: ანაპა, სუჯუკ-კალე, ფოთი, ახალქალაქი და სო-ხუმ-კალე<sup>67</sup>. რუსეთმა, სოხუმ-კალეს გარდა, თურქეთს ყველა ზე-მოხსენებული ციხე-სიმაგრე გადასცა. სოხუმ-კალესთან დაკავშირებით რუსეთის ხელისუფლებამ თურქეთს საფუძვლიანი არგუ-მენტი ვერ წარუდგინა. აფხაზეთის სამთავრო მან, ფაქტობრივად, თურქეთს მოსტაცა. ორივე სახელმწიფო აფხაზეთის სამთავროს-თან მიმართებაში დამპყრობლის როლში გამოვიდა. ამიტომ იყო, რომ აფხაზეთის სამთავროში მშვიდობა რუსეთის დამკვიდრების შემდეგაც ვერ დამყარდა. ყოველ შემთხვევაში, რუსული სამხედრო აღმინისტრაცია ცდილობდა, გაეჭიანურებინა სოხუმის ციხე-სიმაგრის თურქეთისათვის გადაცემა. გაჭიანურების საბაბად გა-მოყენებულ იქნა სოხუმის ციხე-სიმაგრეში არსებული სახაზინო და სამხედრო ქონების არგატანა უგზოობისა და საზღვაო მიმო-სვლის შეფერხების გამო. რუსული სამხედრო აღმინისტრაცია თურქეთს დაპირდა, რომ 1813 წლის გაზაფხულისთვის სოხუ-მის ციხე-სიმაგრეს დაცლიდა<sup>68</sup>.

<sup>65</sup> АКАК, т. 4, გვ. 336-339, 400.

<sup>66</sup> Внешняя политика России XIX и начала XX века. Серия I, т. V. М., 1967, გვ. 719.

<sup>67</sup> Внешняя политика России XIX и начала XX века. Серия II, т. VI. М., 1985, გვ. 509.

<sup>68</sup> АКАК, т. 5, გვ. 781-782; Г. Пайчадзе. Абхазия в составе..., გვ. 219; А. В. Фадеев. Россия и Кавказ..., გვ. 161-164.

1813 წლის დასაწყისში აფხაზეთის სამთავროში მდგომარეობა არ შეცვლილა. თურქები ფოთის, ანაპის და სუჯუკ-გალეს დაბრუნების შემდეგ დასავლეთ საქართველოში კვლავ გააქტიურდნენ. სოხუმის ციხე-სიმაგრის ოსმალეთისთვის გადაცემის შემთხვევაში რუსულ სამხედრო აღმინისტრაციას მდ. ენგურზე სამეგრელოს სამთავროსათვის თავდაცვის ზოლის აგება დასჭირდებოდა. ამას ისიც ეძალებოდა, რომ აფხაზები მთავრად აღიარებდნენ მას, ვინც სოხუმის ციხე-სიმაგრეში იჯდა. ასე რომ, თუ ამ ციხე-სიმაგრეს თურქებს გადასცემდნენ, თურქეთი იქ მთავრად ასლან-ბეი შარვაშიძეს დანიშნავდა. ყოველივე ამან რუსულ სამხედრო აღმინისტრაციას ადრე დაპირებულის აღსრულება გადააფიქრებინა<sup>69</sup>.

რუსეთ-თურქეთის წინააღმდეგობით ასლან-ბეიმ ისარგებლადა და 1813 წელს ნ. დადიანის ცნობით: „მოვიდა ფოთს, სადა იყო სერესკალი სულეიმან ფაშა ხაზინადარ-ოღლი, რომელსა პჰონდა რწმუნებული, რათა დაპყრას იმერეთი და სამეგრელო... სერასკალის ფოთს ყოფნასა შინა მოიცა ასლან-ბეგმა ძალი, წარმოიტანა რამოდენიმე ოსმალთა ჯარი ზღვით და მოვიდა გუდავას (დღევ. გალის რაიონი – დ. გ.) და გუდავიდამ მოვიდა ტამუშს (დღევ. ოჩამჩირის რაიონი – დ. გ.) და მუნ დასდგა, სწადოდა დაპყრობა აფხაზეთისა“.<sup>70</sup> აფხაზეთში ასლან-ბეის მოსვლას წინ უძლოდა სამურზაყანოში ლევან შარვაშიძის ძის – ხუტუნიას მიერ რუსეთის ერთგულის, სამურზაყანოს ერთ-ერთი მფლობელის, მანუჩარ შარვაშიძის მკვლელობა, რამაც კიდევ უფრო დაძაბა ვითარება აფხაზეთის სამთავროში<sup>71</sup>.

ასლან-ბეი შარვაშიძემ თავადაზნაურთა საგვარეულოებიდან მძევლები აიყვანა აბჯუის ოლქის მმართველის ბექირ-ბეიის შვილები სოსლან-ბეი და აღი-ბეი. მან ასევე მძევლები ჩამოართვა

<sup>69</sup> AKAK, т. 5, გვ. 784, 786-787; **О. П. Маркова.** Восстание в Кахетии, 1812 г. М., 1955, გვ. 217.

<sup>70</sup> **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 205; AKAK, т. 5, გვ. 609, 797, 784-7; **ნ. ქორთუა.** საქართველო..., გვ. 447; **გ. დუმბაძე.** დასავლეთ საქართველო..., გვ. 238; **Г. Пайчадзе.** Абхазия в составе..., გვ. 221.

<sup>71</sup> AKAK, т. 5, გვ. 499; **ნ. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 204, **Н. Дубровин.** История войны..., т. 6, გვ. 136-137.

ჯგერდელ თავადებს მარშანიებს, ჭლოულ თავადებს ანჩაბაძეებს, გუფელ მარშანიებს. თავად ზეფიშვილებს, მოქველ მარშანიებს, ცნობილ აზნაურებს ზვანბაიასა და მარლანიებს და სხვ.<sup>72</sup>

რუსულ სამხედრო ადმინისტრაციას აფხაზი ხალხის იმედი არ ჰქონდა. აფხაზეთის მთავარ გიორგი შარვაშიძეს დედინაცვალი რაბია-ხანუმი განუდგა, რომელიც, დაიმედებული თურქეთის მხრიდან, ასლან-ბეი შარვაშიძეს უჭერდა მხარს<sup>73</sup>.

„გარნა მოვიდა სეფერ-ალი-ბეგ და სთხოვა შეწევნა რუსთა“<sup>74</sup>. რუსულმა სამხედრო ადმინისტრაციამ 1813 წლის ივლისში გადაწყვიტა, გაეგზავნა აფხაზეთში ერთი რუსული შენაერთი პოლკ. მერლინის მეთაურობით თურქული ჯარების წინააღმდეგ საბრძოლველად<sup>75</sup>. პოლკ. მერლინმა ქუთაისიდან რედუტ-კალეში თავისი კაცი გაგზავნა ტრაპეზუნტელი სერასკირის წარმოგზავნილ ფაშასთან, მიფლიუ-ოდლი-ალი-ალასთან შესახვედრად, რათა ეს საკითხი მშვიდობიანად გადაეწყვიტათ. მაგრამ, როცა ტრაპიზონის სერასკირის მხრიდან ამას არავითარი გამოხმაურება არ მოჰყვა, ჩამოაყალიბა რაზმი არტილერიით, რომლის მეთაურად კაპ. კუტჩენევი დანიშნა. სოხუმის კომენდანტ აგარკოვს მითიოება მიეცა, გამოეგზავნა ერთი შენაერთი, ხოლო საზღვაო კაპიტან ლეიიტენანტ ფონ ბურმისტრს თურქების წინააღმდეგ ზღვის მხრიდან უნდა ემოქმედა<sup>76</sup>. მეგრულ-გურულ-რუსულმა შენაერთებმა ასლან-ბეი შარვაშიძეს ერთობლივი დარტყმა მიაყენეს. 6. დადიანის ცნობით, „რა წარველ და მიველ ილორს, მაშინ სცნეს მისვლა ჩემი და ივლტოდენ ოსმალნი და დაუტევეს ასლან-ბეგ“<sup>77</sup>. თურქულმა რაზმებმა რუსეთის მხრიდან ალყაში მოქცევის შიშით დატოვეს აფხაზეთი. სამეგრელოს მთავარმა ლევან დადიანმა აბუეს ოლქის მმართველის ბექირ-ბეის შვილები – სოსლან-ბეი და ალი-ბეი მძევლად აიყვანა. ისინი ასლან-ბეის მომხრეები იყვ-

<sup>72</sup> AKAK, T. 5, გვ. 505.

<sup>73</sup> AKAK, T. 5, გვ. 499.

<sup>74</sup> 6. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 205.

<sup>75</sup> AKAK, T. 5, გვ. 797-799.

<sup>76</sup> AKAK, T. 5, გვ. 800-801.

<sup>77</sup> 6. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 205.

ნენ. მათ ასევე დამორჩილდა ჯგურდელი მარშანია, ჭლოუელი ან-ჩაბაძე, გუფელი მარშანია, მერკულელი მარლანია. მეგრულ-გურულ-რუსულმა შენაერთებმა მდ. კოდორი გადალახეს და სოხუმში მივიდნენ. აქ, მათ მძველებად აზნაური ზვანბაია და შუაწყარელი მარლანია აიყვანეს<sup>78</sup>. „ასლან-ბეგ წარვიდა კვალად ჯიქთად, ხოლო აფხაზეთი კვალად დაშთა საფარ-ბეგს“<sup>79</sup>.

როგორც ვხედავთ, რუსეთმა სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია თურქეთის ჯარებს. სწორედ ეს იყო პირველი უშუალო შეტაკება რუსეთის და თურქეთის ჯარებს შორის აფხაზეთის სამთავროს ტერიტორიაზე.

ასლან-ბეი აფხაზეთის მთავარ გიორგი შარვაშიძეს და რუსულ სამხედრო ადმინისტრაციას არც შემდგომში აძლევდა მოსვენებას. მაგალითად, 1814წ. 24 დეკემბერს იმერეთის მმართველი გენ.-მაიორი სიმბოლიზი საქართველოს მთავარმმართებელს აცნობებდა: „Георгий Шарвашидзе не успел въ народе Абхазском, по причине коварныхъ происковъ брата его отце-убицы Аслан-бея, неоставляющаго претензии своей на Абхазское владение“<sup>80</sup>. თურქეთმა ამის შემდეგაც არაერთხელ მოითხოვა მის-თვის სოხუმის ციხე-სიმაგრის დაბრუნება<sup>81</sup>. რუსულმა სამხედრო ადმინისტრაციამ თურქულ მხარეს განუცხადა, რომ სანამ ის ასლან-ბეი შარვაშიძეს მხარს უჭერს, რუსეთი სოხუმ-კალეს არ დათმობს<sup>82</sup>. სოხუმის ციხე-სიმაგრეში განლაგებულ რუს ჯარის-კაცებს ასლან-ბეის მომხრეები ყოველდღე იტაცებდნენ. ამის გა-მო 1816 წელს, საქართველოს მთავარმმართებლის ბრძანებით, სოხუმის ციხე-სიმაგრის მიმდებარე ტერიტორიაზე 150-მდე სახლი დანგრიეს, რადგან აფხაზები მათ თავშესაფრად იყენებდნენ<sup>83</sup>. ხოლო 1817წ. ასლან-ბეი აფხაზეთის მთავარ გიორგი შარვაშიძეს

<sup>78</sup> АКАК, т. 5, გვ. 505; **Н. Дубровин.** История войны. Т. V. СПб, 1887, გვ. 137.

<sup>79</sup> **6. დადიანი.** ქართველთ ცხოვრება, გვ. 205.

<sup>80</sup> АКАК, т. 5, გვ. 480.

<sup>81</sup> АКАК, т. 5, გვ. 490, 500, 499, 825-826.

<sup>82</sup> АКАК, т. 5, გვ. 784-785; 797-799.

<sup>83</sup> **ქ. ფ. გამბა.** მოგზაურობა ამიერკავკასიაში. ფრანგულიდან თარგმნა მზადობლიშვილმა. თბ., 1987, გვ. 82.

ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე სიმაგრეების აგების საშუალებას არ აძლევდა. გიორგიმ რუსული შენაერთების საშუალებით უკუაგდო ასლან-ბეი და სიმაგრეების აშენება დაამთავრა<sup>84</sup>.

1818წ. აფხაზეთის მთავარ გიორგი შარვაშიძეს დაუმორჩილებლობა გამოუცხადეს მისმა ძმამ ჰასან-ბეიმ და დედინაცვალმა რაბია-ხანუმმა, აბუუის ოლქის მმართველმა ალიბეი შარვაშიძემ, ტულაფსუ და ჯამლეთ ლაკერბაიებმა, კაცია მარლანიამ, ინალიშვილებმა და ზვანბაიებმა. აფხაზეთის მთავარმა დახმარებისათვის კვლავ სამეგრელოს მთავარსა და იმერეთის მმართველს მიმართა. საქართველოს მთავარმართებელ პ. ერმოლოვის შეფასებით, „Абхазский владелецъ на самомъ деле еще слабее в управлении своимъ народом“.<sup>85</sup> ამავე დროს ასლან-ბეიც გააქტიურდა. აფხაზეთის მთავრითა და რუსებით უკმაყოფილონი ერთობლივად აპირებდნენ გამოსვლას. 1818წ. ოქტომბერში მეგრული მილიციისა და რუსეთის სამხედრო ძალების მიერ აფხაზეთში ლაშქრობა განხორციელდა. ლაშქრობას ნიკო დადიანი და გენ. ვ. ველიამინოვი მეთაურობდნენ. მეგრულ-რუსულმა შენაერთებმა მორჩილებაში მოიყვანეს აფხაზი თავადაზნაურები და მძღვლები მოსთხოვეს მათ. ასლან-ბეი ისევ აფხაზეთის მთებში გაიქცა<sup>86</sup>.

პეტერბურგის მაღალჩინოსნები აფხაზეთში შექმნილი ვითარებით იმდენად შეწუხდნენ, რომ 1820წ. იგნისში რუსეთის საგრეო საქმეთა მინისტრი პ. ნესელროდე მზად იყო სოხუმის ციხე-სიმაგრე თურქებისთვის დაეთმო<sup>87</sup>. საქართველოს მთავარმართებელი პ. ერმოლოვი ამ განხრახვის წინააღმდეგი გამოვიდა<sup>88</sup>.

1821 წელს აფხაზეთის სამთავროში სიტუაცია კვლავ გართულდა, გარდაიცვალა აფხაზეთის მთავარი გიორგი შარვაშიძე. გამოითქვა ეჭვი, რომ ეს იყო არა ბუნებრივი სიკვდილი, არამედ მკვლელობა. ვარაუდობდნენ, რომ ამ აქტში აქტიური მონაწილეობა ასლან-ბეი შარვაშიძემ მიიღო<sup>89</sup>. აფხაზეთში შექმნილ კრი-

<sup>84</sup> AKAK, т. 6, ч. 1, გვ. 644.

<sup>85</sup> AKAK, т. 6, ч. 1, გვ. 645.

<sup>86</sup> AKAK, т. 6, ч. 1, გვ. 645.

<sup>87</sup> AKAK, т. 6, ч. 1, გვ. 575.

<sup>88</sup> AKAK, т. 6, ч. 1, გვ. 654-655.

<sup>89</sup> Г. И. Филиппсон. Воспоминания Кавказского офицера. М., 1885, გვ. 190.

ზისულ მდგომარეობას ჰასან-ბეი შარვაშიძე ამბაფრებდა, რომლის რეზიდენცია მდ. კელასურთან იყო. ეს უკანასკნელი 1817წ. გიორგი შარვაშიძემ იმერეთში ყოფნის დროს მთავრის მოვალეობის შემსრულებლად დატოვა<sup>90</sup>. ჰასან-ბეი კონტრაბანდული ვაჭრობის დიდი მფარველი იყო. ოურქები თავშესაფარს ჰასან-ბეის-თან ეძებდნენ. აფხაზები ჰასან-ბეის ასლან-ბეის აღტერნატივად განიხილავდნენ. ჰასან-ბეის ზეგავლენა ჰქონდა არა მარტო თავის მქებზე – ბათალ-ბეიზე და თაიარ-ბეიზე, არამედ აბუუს ოლქის მმართველზე ალიბეიზეც. ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა წებელდელ მარშანიებშიც<sup>91</sup>.

იმერეთის მმართველმა გენ. გორჩაკოვმა გიორგი შარვაშიძის მეუღლეს, თამარს და ჰასან-ბეის წერილები გაუგზავნა, რომელშიც ის მოითხოვდა, არ აერჩიათ აფხაზეთის მთავარი რუსეთის იმპერატორის ნების დაუკითხავად<sup>92</sup>. მაიორ ოგარკოვს ბრძანება მიეცა დაეპატიმრებინა ჰასან-ბეი. მისი დაპატიმრების საფუძვლად რუსულმა სამხედრო აღმინისტრაციამ ჩათვალა ის, რომ სანამ აფხაზეთის მთავრად შარვაშიძეთა გვარიდან ვინმე არ შეირჩეოდა, ჰასან-ბეის თავისი ძლიერი გუნდით არ ესარგებლა და არ მიეტაცა აფხაზეთის მთავრის ტახტი<sup>93</sup>. ჰასან-ბეი დაპატიმრებს და ციმბირში გადაასახლეს<sup>94</sup>. მისი მქები ბათალ-ბეი, როსტომ-ბეი და თაიარ-ბეი რუსეთს განუდგნენ და აჯანყებულებს შეუერთდნენ. თაიარ-ბეი დახმარების საოთხოვნელად სტამბულში გააგზავნეს. ისინი ოურქული ჯარების მეშვეობით აპირებდნენ სოხუმის ციხე-სიმაგრიდან რუსების განდევნას და ასლან-ბეი შარვაშიძის აფხაზეთის მთავრად გამოცხადებას<sup>95</sup>. ამრიგად, როგორც ვხედავთ, რუსული სამხედრო აღმინისტრაცია აფხაზეთის სამთავროში პრობლემებს ხელოვნურად იქმნიდა და ასლან-ბეის მოძრაობისათვის ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა.

<sup>90</sup> АКАК, т. 6, ч. 1, გვ. 643-644.

<sup>91</sup> Материалы к истории покорения Западного Кавказа, გვ. 63.

<sup>92</sup> Н. Дубровин. История войны.., т. 6, გვ. 461.

<sup>93</sup> АКАК, т. 6, ч. 1, გვ. 655.

<sup>94</sup> Н. Дубровин. История войны.., т. 6. გვ. 461-462; ზ. პაპასქირი. ნარკვევები.., გვ. 135.

<sup>95</sup> АКАК, т. 6, ч. 1, გვ. 656; Н. Дубровин. История войны.., т. 5, გვ. 465-466.

1821 წლის ივნისის ბოლოს ასლან-ბეი თურქეთიდან ჯი-ქეთში მოვიდა. მას აქტიურად ეხმარებოდა ანაპის ფაშა<sup>96</sup>. გაგ-რაში ასლან-ბეიმ 600-ძღე ჩერქეზი და ფსხუელი შეაგროვა<sup>97</sup> და აფხაზეთის მთავრის გიორგი შარვაშიძის მეუღლეს, თამარს აფ-ხაზეთში შეშვება და მძევლები მოსთხოვა. „ასლან-ბევ შარვაში-ძე, მამის მკლელი, რომელი იყო თათართა შორის, მოვიდა აფ-ხაზეთად, და ვინათვან არღარავინ იყო მემკვიდრე, თვინიერ მცი-რეწლოვანთა ძეთა საფარ-ბეგისათა (დიმიტრი 1811 წლიდან პე-ტერბურგში იმყოფებოდა. ის სამეგრელოს სამთავროს მოვალეო-ბის შემსრულებელმა ნინო დადიანმა პეტერბურგში ვიზიტის დროს წაიყვანა<sup>98</sup> – დ. ჭ.), ამისთვის მიმართა ყოველმან აფხაზეთმან და მოვიდენ ასლან-ბეგისა და მისცეს ყოველთა ერთგულებისა პირი“<sup>99</sup> მითუმეტეს, ამ დროისთვის ჰასან-ბეი დაპატიმრებული იყო.

1821წ. აგვისტოში ასლან-ბეიმ ალფა შემოარტყა თამარის სასახლეს მდ. კოდორთან და მას ერთგულების ფიცი დაადგინა, ხოლო სექტემბრის ჰირველ ნახევარში სამურზაყანოში გამოჩნ-და<sup>100</sup>. ასლან-ბეის აქტიურად დაუჭირეს მხარი მისმა ძმებმა: ბა-თალ-ბეი, როსტომ-ბეი და თაიარ-ბეი შარვაშიძეებმა; ჰასან-ბეის მომხრეებმა, ნარჩოუ და გიორგი ინალიშვილებმა. ასლან-ბეის მე-გობრულად შეხვდა აბუუის ოლქის მფლობელი ალი-ბეი შარვა-შიძე. მას ასევე თანადგომა გამოუცხადეს მდ. კელასურის მიმდე-ბარე ტერიტორიაზე მცხოვრებმა თავადაზნაურებმა და ბიჭვინ-თის მცხოვრებლებმა. ასლან-ბეის განსაკუთრებულ დასაყრდენს წებელდებელი მარშანიები წარმოადგენდნენ<sup>101</sup>.

ასლან-ბეი შარვაშიძემ პოდპოლკოვნიკ მიხინს სოხუმის ცი-ხე-სიმაგრეში ორი კაცი მიუგზავნა და მისგან ციხე-სიმაგრის დაცლა მოითხოვა. სოხუმის კომენდანტმა მიხინმა მისი ელჩები უარით გაისტუმრა. ამის შემდეგ ასლან-ბეიმ ჯიქების, ფსხუელე-

<sup>96</sup> AKAK, т. 6, ч. 1, გვ. 492.

<sup>97</sup> С. Эсадзе. Историческая записка., т. 1, გვ. 156-157.

<sup>98</sup> AKAK, т. 4, გვ. 405; ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 209.

<sup>99</sup> AKAK, т. 4, გვ. 405; ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 209.

<sup>100</sup> Утверждение Русского владычества на Кавказе, т. 2, გვ. 578-582.

<sup>101</sup> AKAK, т. 6, ч. 1, გვ. 658-569; გ. დუბაძე. დასავლეთ საქართველო..., გვ. 240.

ბის, აპჭიფესხუელების და უბიხების დახმარებით 1821წ. 11 სექტემბერს სოხუმის ციხე-სიმაგრეს ცხენოსანი და ქვეითი რაზმებით ალყა შემოარტყა<sup>102</sup>. „მაშინ ბრძანებისამებრ აღემზადა თავადი გორჩაკოვი და სოხოვა მხედრობა რამოდენიმე სამენგრელოვსა მთავარს ჩვენსა და სახელდობრ გამოსთხოვა თავი ჩემი (სამეგრელოს სამთავროს დიდონხელე, ცნობილი ისტორიკოსი ნიკო დადიანი – დ.ჩ.) მხედართმძღვანად. წარვიდა თავადი გორჩაკოვი ორითა ბატალიონითა და თვისის არტილერიითა, თვით მთავარი ჩვენი ლეონ დადიანი მიჰყვა თავის საზღვრამდე დალიძგამდე და იქიდამ მე გამატანა და ჩემთანა ლეჩხუმისა მხედრობა ექვსასი კაცი“<sup>103</sup> იმერეთის მმართველმა ბრძანება გასცა, რომ რუს-მეგრელთა შეიარაღებული შენაერთები სამურზაყანოში უნდა გადასულიყნენ. აյ ისინი აფხაზეთის მთავრად დანიშნულ დიმიტრი გიორგის ძე შარვაშიძეს უნდა დახვედროდნენ. მაგრამ იმერეთის მმართველი მემკვიდრის მოსვლას არ დაელოდა და უმალვე სოხუმისკენ გაემართა.

„და წარვედით, და ოდეს მივედით ჩვენ დალიძგას იქთ, ასლან-ბეგ მოვიდა დაუკლებელის აფხაზ-სპიონ და დასდგა მოქვს, და უნდოდა ვითამ პირდაპირობა ჩვენი“<sup>104</sup> ამ დროს მას აბუუის ოლქის მმართველი ალი-ბეი შარვაშიძე განუდგა<sup>105</sup>. რუს-მეგრელთა ლაშქარს ასევე წებელდელი სალარუჟ მარშანია დამორჩილდა. „ამისთვის ვერდა დასდგა ასლან-ბეგ მოქვს და წარვიდა“<sup>106</sup> მას სურდა, რუს-მეგრელთა ლაშქარი სოხუმში არ შეეშვა. იგი კოდორსა და კელასურს შორის განმტკიცდა<sup>107</sup>. „წარვედით ჩვენცა, და რა მივედით წყაბას და დავებანაკეთ, მოვიდა იქ სალარუჟუ მარშანია და გვაცნობა, რომელ გზასა ზედა ჩვენსა ზღვის პირად, სადა ეწოდების აშილვარა, მუნ შეუკრავს ოთხსა და ხუთსა ადგილსა საფარი ასლან-ბეგს, სადა არა არს გზა თვინიერ

<sup>102</sup> Н. Дубровин. История войны..., т. 6, გვ. 137.

<sup>103</sup> 6. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 209.

<sup>104</sup> 6. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 209.

<sup>105</sup> 6. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 209; Утверждение Русского владычества на Кавказе. Т. 2, ч. 2. Тифлис, 1904, გვ. 555.

<sup>106</sup> 6. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 209-210.

<sup>107</sup> АКАК, т. 6, ч. 1, გვ. 657; Н. Дубровин. История войны..., т. 6, გვ. 465-468.

მისა, და მუნ სდგას აფხაზითა და ოსმალო რამოდენიმე სპითა.

მცნობი ამისი მეორესა დღესა განვემზადეთ და წარვედით, და რა მივედით მუნ..., ვნახეთ... ოთხსა და ხუთსა ადგილსა ძლიერ მაგარი და საბრძოლველად გაწყობილი საფრები, სადა არა ჰქონდა გზა არსით შემოსასვლელი. და რა ვსცანით ოვინიერ ამისა არა იქმნების რა, დავიწყეთ ბრძოლა. და შეიქმნა სასტიკი ომი, სადა არა გამოირჩეოდა ზარბაზანთა და ოფფო ცემა. და მოიკლოდენ საკმაოდ კაცნი. და ვიბრძოლეთ რა სამ საათს და ვსცანით, რომელ ზარბაზნითა და ესევითარისა ბრძოლითა ვერ განვდევნით მათ, მაშინ ერთიანად ვსთქვით და მიუტანეთ ერიში, და ორგზის მიუტანეთ ერიში, მაგრამ ვერ ავიღეთ. ხოლო მესამე გზის სარდალთა და მხედართა განურჩევლად ერთიანად მიუტანეთ ერიში და აღვიღევით უპირვეოესი საფარი... გარნა კვალად დასდგენ მეორესა, უკანა საფარსა მაგრათ. მაშინ რა ნახა თავადმან გარჩაკოვმა, რომელ გამნელდა საქმე..., თვით მიუძღვა მხედრობასა“.<sup>108</sup> როგორც ვხედავთ, მეგრული შენაერთი ასლან-ბეის-თან საბრძოლველად უძღური აღმოჩნდა.

იმერეთის მმართველი გენ. გორჩაკოვი „თვით მიუძღვა მხედრობასა... და აღვიღეთ საფარნი და განვდევნეთ და სრულიად გავაქციეთ“.<sup>109</sup> „და მოგვისწრო ღამემან და დავსდექით მას ღამესა მდინარის მაჭარას პირსა ზედა. ხოლო დილა რა გათენდა, წარმოვედით და კვალად მოგვინდომეს დახოთმა... მაშინ ჩვენთა ლეჩხუმელთა შეუტიეს... და მრავალი დევნა უყვეს და განიბნინებ. და მივედით ოუბუნს (სოხუმი – დ.შ.) და ქალაქი და გარემო მისა სოფელნი და ეგრეთვე სასახლე შარვაშიძეთა სრულათ დავსწვით და აღვაოხეთ. და მუნით მივედით აყუს ციხესა შინა... და ჩვენ წარვედით ზუფუს. და რა მივედით სასახლესა შინა შარვაშიძეთა, დაგებანაკეთ. და მოვიდენ ყოველნი ზუფუელნი, განა ნარჩოუ და გიორგი ინალისშვილები არ მოვიდენ ჩვენთანა, ვინათვან ერთგულებდენ ასლან-ბეგსა... წარვედით (ნიკო დადიანი და პოლკოვნიკი ი. აფხაზოვი – დ.შ.) და კაპეტის წყალის პირსა ზედა (მდ. ბზიფი – დ.შ.) დავებანაკეთ სასახლესა შინა ნარ-

<sup>108</sup> ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 210.

<sup>109</sup> ნ. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 210.

ჩოუსასა და მუნით წარვგზავნეთ თარეშნი ჩვენნი ლეჩხუმელნი. და მოათარეშეს მრავალნი ადგილნი... და შემდგომად დავსწვით სასახლე ნარჩოუ ინალიშვილისა და გარემო სოფელი ყოველი და ძელსა ზედა დავმოკიდეთ (!) მუნ ორნი კაცნი შესაშინებელად აფხაზთა... და ესევითარის წარმატებით მოველო კვალად ლუზუნს (ლიხნი – დღ. ბ.), სასახლესა შინა თავადს გარჩაკოვსთან“<sup>110</sup>.

ასლან-ბეი ძლივს გდაურჩა დატყვევებას. ის ძმების, როსტომ-ბეი და თაიარ-ბეი შარვაშიძეების დახმარებით ოსმალეთში გადაიხვეწა. თან ასლან-ბეიმ აფხაზი თავად-აზნაურებისგან აყვანილი 56 მმევალიც გაიყოლა, რომელთა ნაწილი გაყიდა, ხოლო დანარჩენი მოკლა<sup>111</sup>. ამჯერადაც, ასლან-ბეი რუსეთთან უთანასწორო ბრძოლაში იძულებული გახდა, დაეტოვებინა აფხაზეთი. ის ტრაპიზონში წავიდა და 1822 წლის ნოემბრამდე აფხაზეთში არ გამოჩენილა<sup>112</sup>.

ამით რუსეთმა აფხაზეთის სამთავროში მთავრის ტახტზე ყველა ძლიერი კონკურენტი მოიშორა და 1821წ. ოქტომბერში უმოქმედო, რუსული აღმინისტრაციის მორჩილი კანდიდატი დიმიტრი შარვაშიძე დასვა<sup>113</sup>. იმერეთის მმართველის გენ. გორჩაკოვის სადამსჯელო ექსპედიციის სისასტიკეს სამართლიანად მკაცრი შეფასება მისცა პროფ. ვ. ძიძარიამ, რომლის მიხედვით: „...В целом участники движения были разбиты военным экспедиционным отрядом ген. М. Горчакова. При этой операции последний действовал типичными для царского администратора военно-феодальными методами“<sup>114</sup>.

აფხაზეთის სამთავროში დიმიტრი შარვაშიძეს თითო-ოროლა თავად-აზნაური თუ ერთგულობდა. ასეთები იყვნენ, მაგალითად: სამურზაყანოელი თემურყვა ანჩაბაძე, დერუკა ინალიშვილი და მისი ძმები, მარლანიების მთელი საგვარეულო. წებელდელი

<sup>110</sup> 6. დადიანი. ქართველო ცხოვრება, გვ. 210-211.

<sup>111</sup> Г. А. Дзидзария. Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. Сухуми, 1982, გვ. 264-265.

<sup>112</sup> АКАК, т. 6, ч. 1, გვ. 438, 661.

<sup>113</sup> АКАК, т. 6, ч. 1, გვ. 659; Н. Дубровин. История войны..., т. 6, გვ. 470.

<sup>114</sup> Г. А. Дзидзария. Махаджирство..., გვ. 40; ზ. პაპასქირი. ნარკვევები..., გვ. 135.

მარშანიებიდან მას მხოლოდ სალარუეფი მიემხრო, ხოლო დანარჩენები მის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი<sup>115</sup>. დიმიტრი შარვაშიძემ ჯიქელ თავადებს მოსთხოვა, ასლან-ბეისთვის ხელი არ შეეწყოთ, მაგრამ მათ დიმიტრი შარვაშიძეს, დანიშნულს აფხაზეთის მთავრად, განუცხადეს, რომ მას აფხაზეთის მთავრად არ აღიარებდნენ<sup>116</sup>. 1822წ. აგვისტოს დიმიტრი შარვაშიძე შეეცადა, რათა ეწარმოებინა სოხუმში მოლაპარაკება წებელდელებთან, მაგრამ უშედეგოდ. არც წებელდელები ცნობდნენ მას აფხაზეთის მთავრად<sup>117</sup>. დიმიტრი შარვაშიძე ისე გარდაიცვალა, რომ ვერც აფხაზი ხალხის ნდობა დაიმსახურა და ვერც რუსებს აჩვენა თავისი ძალა. ის 1822წ. 27 ოქტომბერს გარდაიცვალა<sup>118</sup>. დიმიტრი შარვაშიძის დედა – თამარი ეჭვობდა, რომ მისი შვილი ასლან-ბეის თანამოაზრე ურუს ლაკობამ მოწამდა. ეჭვმიტანილი დიდი კვლევა-ძიების გარეშე ჩამოახრჩვეს. რუსული სამხედრო აღმინისტრაცია დაგმაყოფილდა მარტო დიმიტრის ძმის მიხეილისა და თამარ შარვაშიძის მონაცემებით. „დამნაშავეს“ ასევე აფხაზეთის მთავრად აღიარებულ მიხეილ შარვაშიძის მკვლელობის მცდელობაც დაბრალდა<sup>119</sup>.

აფხაზეთის სამთავროში არეულობის თავიდან აცილების მიზნით, რუსულმა აღმინისტრაციამ ფორმალურად ორი შენაერთი ლიხნში დატოვა, რადგან დიმიტრი შარვაშიძის გარდაცვალების ცნობას შეეძლო გაეაქტიურებინა აფხაზები და თურქები, რომლებიც მთავრად ასლან-ბეი შარვაშიძეს დასვამდნენ, ხოლო გიორგი შარვაშიძის მეუღლე ითხოვდა, ლიხნში დამატებით გადმოესროლათ ორი შენაერთი, რისი შესაძლებლობა რუსულ სამხედრო აღმინისტრაციას არ გააჩნდა<sup>120</sup>. სამთავროში სტაბილურობის შესანარჩუნებლად საჭირო იყო მთავრის სასწრაფოდ არჩევა. რუსულმა სამხედრო აღმინისტრაციამ არჩევანი დიმიტრი შარვაშიძის ძმაზე მიხეილზე შეაჩერა, რომელიც აქტიურ მონაწილეობას

<sup>115</sup> AKAK, т. 6, ч. 1, გვ. 658-659. ზ. პაპასქირი. ნარკვევები..., გვ. 136.

<sup>116</sup> Н. Дубровин. История войны.., т. 5, გვ. 471.

<sup>117</sup> Н. Дубровин. История войны.., т. 6, გვ. 512.

<sup>118</sup> 6. დადიანი. ქართველთ ცხოვრება, გვ. 211.

<sup>119</sup> AKAK, т. 6, ч. 1, გვ. 664-665.

<sup>120</sup> AKAK, т. 6, ч. 1, გვ. 660.

იღებდა აფხაზების 1821წ. აჯანყების ჩახშობაში, ეწეოდა ერთ-გულ სამსახურს რუსულ შენაერთებში<sup>121</sup>. მიხეილ შარვაშიძე აფხაზეთის მთავრად 1823წ. 14 თებერვალს დაამტკიცეს.

1823 წლის ბოლოს ასლან-ბეი შარვაშიძე აფხაზეთში 600 ჩერქეზით კვლავ გამოჩნდა. მას მხარი თავისმა ძმებმა ბათალ-ბეი, როსტომ-ბეი და თაიარ-ბეი შარვაშიძეებმა დაუჭირეს. ასლან-ბეის ასევე მიემხრნენ ნარზა და გიორგი ინალიშვილები. აბუუის ოლქის მფლობელი ალი-ბეი შარვაშიძე, შუა კელასურელი მარ-ლანიები. ამავე დროს ერთდროულად აჯანყდნენ ბიჭვინთელები და წებელდელები. ასლან-ბეიმ მიხეილ შარვაშიძე ლიხნში, მთავ-რის სასახლეში ალყაში მოაქცია. ის იქიდან გენ. გორჩაკოვმა გამოიხსნა<sup>122</sup>.

აფხაზეთში 1823 წლიდან რუსულმა სამხედრო ადმინისტ-რაციამ სამხედრო-პოლიტიკური მმართველობა ხელში აიღო. აფ-ხაზები ამ ღონისძიებას დიდი უკამაყოფილებით შეხვდნენ. ამას თან დაერთო გლეხთა გამოსვლები. რუსულმა სამხედრო ადმი-ნისტრაციამ გადაწყვიტა სადამსჯელო ექსპედიციები მოეწყო აფ-ხაზურ სოფლებში. 1824წ. 22 მაისს სოხუმის გარნიზონის ნა-წილმა სოფ. აკაფა გადაწვა. აქ მომხდარ ორმხრივ სროლაში აკაფელი თავადების მხრიდან სოლომონ და ლევან მარშანიები დაიჭრნენ. ისინი რუსული ადმინისტრაციის მტკიცებით, ასლან-ბეის თანამოაზრები და აჯანყების უშუალო ინიციატორები იყვ-ნენ<sup>123</sup>. უკან მობრუნებისას აკაფელებმა რუსული შენაერთი მთლი-ანად გაანადგურეს. აფხაზებმა სოხუმის გარნიზონის მეთაური, პოდპოლკოვნიკი მიხინი 47 ჯარისკაცთან ერთად დახოცეს. ეს კი საფუძველი გახდა ფართომასშტაბიანი აჯანყების დასაწყებად აფხაზეთის სამთავროში<sup>124</sup>. ამასობაში აჯანყებულ აფხაზებს ას-ლან-ბეიც წამოეშველა. 1824წ. ივნისის მეორე ნახევარში იგი

<sup>121</sup> АКАК, т. 6, ч. 2. Тифлис, 1875, გვ. 438, АКАК, т. 6, ч. 1, გვ. 660: **Н. Дубровин.** История войны..., т. IV, გვ. 512.

<sup>122</sup> АКАК, т. 6, ч. 1, გვ. 658-659.

<sup>123</sup> АКАК, т. 6, ч. 1, გვ. 666.

<sup>124</sup> АКАК, т. 7, ч. 1. Тифлис, 1878, გვ. 400-401; **А. Н. Дьячков-Тарасов.** Абхазия и Сухум в XIX столетии, გვ. 149-165; **В. დუმბაძე.** დასავლეთ საქართველო..., გვ. 240; **ხ. პაპასქირი.** ნარკვები..., 136-137.

თურქელი გემით ანაპიდან აფხაზეთში მოვიდა<sup>125</sup>. ამის შემდეგ აჯანყების აღი მთელ აფხაზეთს მოედო. 12000-ზე მეტმა აფხაზმა სოხუმის ციხე-სიმაგრე და ლიხნის მთავრის სასახლე აღყაში მოაქცია. რუსული სამხედრო შენაერთები სრულ ბლოკადაში აღმოჩნდნენ. ამავე დროს ასლან-ბეი შარვაშიძე მიხეილს დაუკავშირდა. ის აფხაზეთის მთავრისაგან რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივ გამოსვლას მოითხოვდა. აფხაზეთის მთავარმა ასლან-ბეის უარი შეუთვალა. მიხეილ შარვაშიძე აფხაზეთში ვითარების მოსაგვარებლად დაპატიმრებული ჰასან-ბეის ავტორიტეტის მოშველიებას ცდილობდა, მაგრამ უშედეგოდ<sup>126</sup>. იმერეთის მმართველმა გენ. მ. გორჩაკოვმა 4000-მდე ჯარისკაცი შეაგროვა და ივლისში აფხაზეთში შევიდა. სახმელეთო ოპერაციის წარმატებულობას რუსული სამხედრო გემები „ორფეი“, „სპეშნი“ და „მერკური“ უზრუნველყოფდნენ. 10 ივლისს დილის 8 საათზე დაიწყო სამხედრო აქცია სოხუმის დასაკავებლად. აფხაზები ასლან-ბეის მეთაურობით რუსებს მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ. რუსული სამხედრო გემებიდან მათი გამაგრებული პოზიციების დაბომბვა აფხაზებს აიძულებდა, ჩასაფრებული ადგილები დაეტოვებინათ. სოხუმისთვის ბრძოლაში რუსებმა 102 ჯარისკაცი დაკარგეს. დიდი დანაკარგი განიცადა ასევე სამეცნიეროს მთავარმა ლევან დადიანმაც<sup>127</sup>. რუსულმა შენაერთებმა მხოლოდ საღამო უამს დაიკავეს სოხუმი, ხოლო 15 ივლისს – ლიხნიც.

ამის შემდეგ მიხეილი თავის დედასთან ერთად სამეცნიელოში გადავიდა საცხოვრებლად და სოფ. ხეთაში დასახლდა. რუსული შენაერთები სოუქსუდან (ლიხნიდან) გავიდნენ. თურქებმა ისევ დაიწყეს აფხაზების სამხედრო აღჭურვილობით უზრუნველყოფა. ასლან-ბეიმ ისევ განაგრძო რუსეთის წინააღმდეგ მოსახლეობის ამხედრება. სოხუმში მყოფმა რუსულმა შენაერთმა 500 ჯარისკაცით ამას წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ამის მოწმე იყო აფხაზეთში სასულიერო მისით გაგზავნილი არქიმანდრიტი

<sup>125</sup> Г. А. Дзидзария. Махаджирство., გვ. 56.

<sup>126</sup> Утверждение Русского владычества на Кавказе. Т. III, ч. II. Тифлис, 1904, გვ. 581-582.

<sup>127</sup> АКАК, т. 6, ч. 1, გვ. 635.

იოანე, რომელიც 1824წ. ოქტომბერში საქართველოს ეგზარქოს აცნობებდა: „მოული აფხაზეთი აჯანყდა, სოუქსუ დატოვეს რუსის რაზმებმა, ტაძარი გაწითლებულია სისხლით. ტაძრის შიგნით აფხაზების მიერ მოკლეულია 10 კაცი. ბუნტოვშიკების მაღლე დაწყნარება შეუძლებელია“.<sup>128</sup> აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე 1827 წლამდე აფხაზეთში არ დაბრუნებულა, რის გამოც მისი გავლენა აფხაზეთში მიმდინარე პროცესებზე ნულის ტოლფასი იყო<sup>129</sup>. სამთავროში რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური რეჟიმი დამყარდა<sup>130</sup>.

რუსულმა სამხედრო ადმინისტრაციამ აფხაზეთის სამთავროში ასლან-ბეის გავლენის შესასუტებლად მიიღო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება – ჰასან-ბეი დააბრუნა აფხაზეთში<sup>131</sup>. რუსები 1821წ. ჰასან-ბეის დაპატიმრებას ასლან-ბეის „ეშმაკობით“ ხსნიდნენ<sup>132</sup>.

ასლან-ბეი შარვაშიძე 1830-იანი წლების დასაწყისშიც აქტიურად უწევდა წინააღმდეგობას რუსულ რაზმებს, რომლებსაც გენ.-მაიორ გესე მეთაურობდა აფხაზური ექსპედიციის მეთაურმა გენ. მაიორმა გესემ 1830წ. გაგრა დაიკავა. აქ განლაგებულ რუსულ შენაერთებს ასლან-ბეი თავისი რაზმით დაქსხა თავს, მაგრამ უშედგეოდ. ის დარწმუნდა, რომ რუსეთან ბრძოლა სამთავრო ტახტისთვის უპერსპექტივო იყო და საბოლოოდ თურქეთში გადასახლდა<sup>133</sup>. ამის შემდეგ ასლან-ბეი წყაროებში არ იხსენიება.

ასლან-ბეის პოზიციების შესუსტებას, გარკვეულწილად, ისიც უწყობდა ხელს, რომ თურქეთმა საბოლოოდ 1826წ. აკერძანის კონკრეტითა და 1829წ. ანდრიანობოლის ზავით აფხაზეთის სამთავრო რუსეთის გაგლენის სფეროდ აღიარა<sup>134</sup>.

<sup>128</sup> ბ. როგაგა. რელიგია და ეკლესია საქართველოში (XIX-XX სს.). თბ., 2002, გვ. 81.

<sup>129</sup> АКАК, т. 7, ч. 1, გვ. 886.

<sup>130</sup> Н. Дубровин. История войны.., т. 5, გვ. 471-517.

<sup>131</sup> АКАК, т. 6, ч. 1, გვ. 665.

<sup>132</sup> АКАК, т. 7, ч. 1, გვ. 401-403.

<sup>133</sup> Утверждение наше в Абхазии.., გვ. 139.

<sup>134</sup> АКАК, т. 7, ч. 1, გვ. 401; Г. Пайчадзе. Абхазия в составе.., გვ. 219;

**М. Гаприндашвили.** Грузия в первой трети XIX в. – *Очерки истории Грузии*, т. 5. Тб., 1990, გვ. 45.

ისტორიკოსები ასლან-ბეის მოღვაწეობას სხვადასხვანაირად აფასებენ. ერთნი (ნ. ბერძენიშვილი, გ. ძიძარია, ს. კაკაბაძე, ა. ფადეევი, მ. დუმბაძე, ნ. ქორთუა, გ. პაიჭაძე, ჯ. გამახარია, ზ. წურწუმია) აფხაზეთის სამთავროში მის მოღვაწეობას უარყოფითად აფასებენ. ისინი ასლან-ბეის ოსმალეთის აგენტს უწოდებენ. მაგ. პროფ. გ. ძიძარიას თქმით: „Аслан-бей и его единомышленники изменники и политические авантюристы, навсегда потерявшие место под солнцем на родине, в течение десятилетии тем и занимались, что постоянно тревожили жителей Абхазии и провоцировали переселение их в Султанскую Турцию“.<sup>135</sup> აკად. ნ. ბერძენიშვილის მოსაზრებით: „ქელაიშ-ბეგები ეს აფხაზეთის ათასწლოვანი ისტორიის უარყოფაა..., ქართველობისაგან გამოთიშვაა..., ოსმალეთის სამსახურში ყოფნაა. და როგორ შეუძლია დღეს აფხაზ საბჭოთა მოქალაქეს უარყოს... საკუთარი სახელოვანი ისტორია და გმირი სწორედ ამ ისტორიის შემგანებელ-უარისმყოფელში დაიგულოს? გმირი იყო ლეონ I, ლიხთომერეთის გამაერთიანებელი, გმირები იყვნენ ის გიორგი-კონსტანტინები საქართველო-კავკასიის გაერთიანებას რომ ალევლენენ ძალებს... და არა ქელაიშ აპმედ ბეგები – სულტნის ყურმოჭრილი მონები“.<sup>136</sup> ავტორის ზემოხსენებულ შეფასებაში ასლან-ბეიც იგულისხმება. ხოლო აფხაზი ისტორიკოსი ს. ლაკობა ასლან-ბეის ბრძოლას სამთავრო ტახტის დასაუფლებლად დადებითად აფასებს. მისი თქმით, ის აფხაზეთის სამთავროს არაფორმალური ლიდერი იყო<sup>137</sup>.

<sup>135</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველო..., გვ. 409; Г. ძიძარია. Махаджирство..., გვ. 35; Г. ძიძარია. Присоединение..., გვ. 40-46, 54-55; ს. გაბაძე. საქართველოს მოკლე ისტორია, გვ. 192-194; А. Фадеев. Россия и Кавказ..., გვ. 149, 187, 255, 258; მ. დუმბაძე. დასავლეთ საქართველო..., გვ. 220, 222, 241; ნ. ქორთუა. საქართველო..., გვ. 260-261, 265, 267; Г. Пайчадзе. Абхазия в составе..., გვ. 216, 219, 222-223; Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия историческая..., გვ. 50-51; ზ. წურწუმია. აფხაზეთის ისტორიის..., გვ. 133.

<sup>136</sup> ნ. ბერძენიშვილი. მცირე შენიშვნა დიდი საკითხის გამო. – წგნ.: ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. 3. ობ., 1966, გვ. 285.

<sup>137</sup> S. Lak'oba. History..., გვ. 70-79.

ჩვენი მოსაზრებით, აფხაზეთის სამთავროში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ასლან-ბეის ცალმხრივი შეფასება შეუძლებელია. მან მამის, ქელეშ-ბეის მკვლელობისთანავე დაშვებული შეცდომა გააცნობიერა და რუსეთის ქვეშევრდომობაში შესვლა ითხოვა, მაგრამ რუსული სამხედრო ადმინისტრაციის მოუქნელობისა და აფხაზეთის მთავრად გიორგი შარვაშიძის არამართებულად დანიშვნის გამო სიტუაცია უფრო გამწვავდა. აფხაზეთის მთავარ ქელეშ-ბეი შარვაშიძეს (1786-1808) მისი პოლიტიკის დირსეულად გამგრძელებელი მემკვიდრე არ აღმოაჩნდა. უფროსი ასლან-ბეი იძულებული აღმოჩნდა თურქეთის მხარდაჭერით ესარგებლა, ხოლო მეორე საფარ-ბეი (გიორგი) საერთოდ რუსეთის მარიონეტად იქცა. ამის გამო აფხაზეთის სამთავრო რუსეთსა და თურქეთს შორის ბრძოლის არენად იქცა. სამთავროს შიდა საქმეებში რუსული სამხედრო ადმინისტრაციის უხეშმა ჩარევამ 1821წელს გიორგი შარვაშიძის გარდაცვალების შემდეგ, როცა სამთავრო ტახტის დაუფლების სურვილის გამო რუსებმა ქელეშ-ბეის შვილი ჰასან-ბეი დააპატიმრეს, აფხაზი ხალხის აღშვითება გამოიწვია. ამან კი კიდევ უფრო გაამყარა ასლან-ბეის პოზიციები აფხაზეთში, თუმცა სამთავრო ტახტის დასაუფლებლად რუსეთის მისი ბრძოლა წინასწარვე განწირული აღმოჩნდა. ამას ისიც უწყობდა ხელს, რომ თურქეთი, სისუსტის გამო, ასლან-ბეის საკმარის დახმარებას ვერ უწევდა. რუსეთმა ერთადერთი სწორი ნაბიჯი 1828წ. გადადგა. მან ჰატიმრობიდან ჰასან-ბეი გაათავისუფლა და ის ფაქტობრივად აფხაზეთის არაფორმალურ ლიდერად აღიარა. ამის შემდეგ აფხაზეთის სამთავროში ასლან-ბეის პოზიციები შესუსტდა. თურქეთმა ამასთანავე 1829წ. ადრიანოპოლის ზავით აფხაზეთის სამთავრო რუსეთის საკუთრებად აღიარა. ასლან-ბეი შარვაშიძე საბოლოოდ მიხვდა, რომ რუსეთთან პაექრობა სამთავრო ტახტისთვის შეუძლებელი იყო და 1830 წლის შემდეგ თურქეთში გადასახლდა.

**Д. Р. ЗАКАРАИА**

## **БОРЬБА АСЛАН-БЕЯ ШАРВАШИДЗЕ ЗА КНЯЖЕСКИЙ ПРЕСТОЛ В АБХАЗИИ**

В статье освещены узловые вопросы политической истории Абхазии в I четверти XIXв., в частности, события, связанные с борьбой за власть Аслан-бя Шарвашидзе – старшего сына владетельного князя Абхазии Келеш-бя Шарвашидзе. В историографии неоднозначно оценивается политическая деятельность Аслан-бя Шарвашидзе. Большинство ученых (А. В. Фадеев, Н. А. Бердзенишвили, С. Н. Какабадзе, Г. А. Диздзария, М. К. Думбадзе, Н. Кортуа, Г. Г. Пайчадзе и др.) считали Аслан-бя Шарвашидзе ставленником Османской империи и в его действиях видели только отрицательное. В последнее время абхазский исследователь С. З. Лакоба предпринял попытку политической реабилитации Аслан-бя и признал его неформальным лидером тогдашней Абхазии.

В статье проведена мысль, что деятельность Аслан-бя Шарвашидзе нельзя оценивать однозначно. Хотя он ориентировался в основном на Турцию, но это была вынужденная мера. В принципе, Аслан-бей был не прочь сесть на княжеский престол и при помощи России, но российским властям не хватило дипломатии переманить этого, действительно популярного в то время в Абхазии лидера. Со своей стороны Турция не оказала должную поддержку Аслан-бею, что и обрекло его на окончательное поражение.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება  
აფხაზეთის ორგანიზაცია  
საისტორიო ძიებანი, 7, 2004

## ბესო ოდიშარია

### საეპლესიო რეფორმა და რუსეთის აოლიტიკური მიზანი დასავლეთი საქართველოში (1815-1822წ.)

ქართველი ერის საერთო ისტორიული ბედისწერის ჯაჭვში ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენდა XIX საუკუნე, როცა ერთმორწმუნეობის ნიღბით შემოსულმა რუსეთმა ბოლო მოუღო ჩვენს ეროვნულ დამოუკიდებლობას და გააუქმა მრავალ-საუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ტრადიციების მქონე ბაგრატიონთა სამეფო, ხოლო უფლისწულები თვაიანთი ოჯახებით აიძულა, დაეტოვებინათ საკუთარი სამშობლო, რადგან იმპერიის მეს-ვეურებს კარგად ჰქონდათ შეგნებული, რომ ისინი ყოველთვის იქნებოდნენ სიმბოლო ქართველთა ეროვნული დაუმორჩილებლობისა. ამასთანავე, ნუ დაგვავიწყდება ისიც, რომ ქართველი კაცის თვალში მეფე წარმოადგენდა არა მარტო უზენაეს საერო ხელი-სუფალს, არამედ ამავე დროს ლვოთაებრივი ნების აღმსრულებელ-საც ერისა და ქვეყნის წინაშე, რამეთუ მონარქია და რელიგია ოდითგანვე განუყოფელი იყო საქართველოში. ეს ერთობა შეამ-ზადა ქრისტიანულმა იდეოლოგიამ, რამაც თავისი ასახვა პპოვა ქართველთა მესიანისტურ იდეაში<sup>1</sup>. ამიტომ „ერთმორწმუნე“ დამ-პყრობლისგან ლოგიკური იყო, როცა მან მონიდომა ჩვენი ერის სულიერი საწყისის მასაზრდოებელი ფესვებიც გადაეჭრა და 1811 წელს გააუქმა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია. ამ სასულიერო „რეფორმის“ გარეგან გამოხატულებას სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის ცვლილებებთან ერთად წარმოადგენდა ქართული ენის, რომელზეც ჩვენი ერი საუ-

<sup>1</sup> ბ. ოდიშარია. იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყების ისტორიიდან. – აკად. ი. ვეკუას საიუბილეურ დღეებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა თეზისები. თბ., 1995, გვ. 85.

კუნების განმავლობაში აღავლენდა წირვა-ლოცვას და ღვთის სა-დიდებელს, საეკლესიო ცხოვრებიდან გაძევება და მის ნაცვლად რუსულის დანერგვა. სწორედ ამის შესახებ წერდა გულისტკი-ვილით ი. ჯავახიშვილი: „...ამგვარად, საქართველოს რუსეთთან შეერთებიდან 16 წლის შემდეგ ქართველებს მოესპოთ საშუალება საქართველოს დედაქალაქის კათედრალურ ტაძარში ღვთისმსა-ხურება თავის მშობლიურ ენაზე მოესმინათ, იმ ენაზე, რომელ-ზეც 1400 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ მხურვალე ლოც-ვა აღვლინიბოდა. არც სპარსელებს, ცეცხლთაყანისმცემლებსა და მაკმადიანებს, არც არაბებს, არც წარმართ მონძლოლებს, არც თურქებს არ გაუკეთებიათ ქართული ქრისტიანული მართლმადი-დებლური ეკლესიისათვის ის, რაც გაუკეთა რუსულმა მმართვე-ლობამ და მათმა ეგზარქოსმა“.<sup>2</sup>

სწორედ, ზემოაღნიშნულ რუსეთის იმპერიალისტურ ზრახ-ვებს ემსახურებოდა საეკლესიო რეფორმის გატარება იმერეთში, გურიასა და სამეგრელოში (მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი მათ-განი ავტონომიურ სამთავროებს წარმოადგენდნენ – ბ.ო.), რო-მელმაც ბიძგი მისცა 1819-1820 წლების საყოველთაო ეროვნულ მოძრაობას მთელს დასავლეთ საქართველოში. რუსეთის ხელისუფ-ლება ითვალისწინებდა, რომ ქვეწის მხოლოდ სამხედრო ოკუპა-ცია არაა საქმარისი, ხოლო ეკონომიკური დაპყრობის საკითხი ჯერ კიდევ შორეული პერსპექტივა იყო ამ მხარის სამეურნეო ჩამორჩენილობისა და რუსეთთან სუსტი ეკონომიკური კავშირე-ბის გამო. აღნიშნული ამოცანის გადაწყვეტას ასევე ხელს უშ-ლიდა ცარიზმის მიერ კავკასიაში წარმოებული პერმანენტული საომარი მოქმედებები. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჯერ კიდევ სუსტი იყო ის ბერკეტები, რომლებიც რუს იმპერია-ლისტებს საშუალებას მისცემდა, გამოეყენებინათ სკოლები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი რუსიფიკატორუ-ლი პოლიტიკის გაფართოებისა და ქართველი ერის სულიერი დაპყრობისთვის. ამიტომაც, იმპერიის მესვეურთა ანგარიშით, მა-თი ზრახვების განხორციელება მთლიანად უნდა ეკისრა ქართულ ეკლესიასა და სამღვდელოებას, რომელსაც მომრიგებლის ფუნქ-

<sup>2</sup> ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. წ. V. თბ., 1953, გვ. 111. 82

ციის შესრულება ევალებოდა ხალხსა და ახალ რეჟიმს შორის. მაგრამ ამჯერად მათ ლოგიკაში უმტყუნა. ქართული ეკლესიის ლოცვა-კურთხევით დაიწყო სწორედ 1819-1820 წლების საფო-ველთაო გამოსვლები დასავლეთ საქართველოში. ეს იყო ჩვენი ერის კიდევ ერთი თავგანწირული ძალისწმევა სარწმუნოებისა და მამულის თავისუფლების დასაცავად. წარმოდგნილ სტატიაში ჩვენ შეგნებულად ავუარეთ გვერდი აღნიშნული აჯანყების გაშუქებას, რომელიც საკმაოდაა შესწავლილი ისტორიოგრაფიაში<sup>3</sup>. ნაშრომში, რასაკვირველია შესაძლებლობის ფარგლებში, შევეცადეთ ამ პე-რიოდის სამეგრელოს სამთავროში მიმდინარე პროცესების ფონზე, მოკლედ წარმოგვეჩინა დასავლეთ საქართველოში საეკლესიო რეფორმის გატარების მცდელობის არსი და, აქედან გამომდინარე, რუსეთის იმპერიის პოლიტიკური მიზანი აღნიშნულ მხარეში.

1811 წელს რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს ეკ-ლესიის ავტოკეფალიის გაუქმებით სცადა დაექვემდებარებინა იგი საკუთარი პოლიტიკური ონტერესებისთვის. სასულიერო სფეროშიც მიმდინარეობდა ბიუროკრატიული იურაქიის დანერგვა. ქარ-თულ ეკლესიას სათავეში ჩაუდგა რუსეთის წმინდა სინოდის გან-ყოფილება – დიკასტერია, კათალიკოსობის ნაცვლად დააწესეს

<sup>3</sup> იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყების შესახებ უფრო ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ შემდეგი ნაშრომები: **Н. Дубровин**. История войны и владычества русских на Кавказе. Т. VI. СПб, 1888; **მ. დუმბაძე**. სა-მეგრელოს სამთავრო 1803-1857 წწ. დისერტაცია ისტორიის მეცნიე-რებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ხელ-ნაწერის უფლებით). თბ., 1942 (ხელნაწერი ინახება ივ. ჯავახიშვი-ლის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ბიბ-ლიოთებში); **მ. დუმბაძე**. დასავლეთ საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში (რუსეთთან შეერთება და სოციალურ-ეკონომი-კური განვითარება). თბ., 1957; **Ф. Махарадзе**. Грузия в XIX столетии (краткий исторический очерк). Тб., 1933; **Н. Б. Махарадзе**. Восстание в Имеретии 1819-1820 гг. – „მასალები საქართველოსა და კაგაასიის ის-ტორიისათვის“, ნაკ. III. თბ., 1942, გვ. 3-128; **გ. ნათაძე**. დადიანისანთ არქივი და სამეგრელოს ავტონომიის პრობლემა მე-19 საუკუნის და-საწყისში. – სამეცნიერო-პოპულარული კრებული „ჩვენი მეცნიერება“, წელიწადი IV. ტფ., 1926, №17-18, გვ. 80-90; **ც. ქირია, შ. სარია**. მასალები საქართველოს ისტორიისათვის (XIX საუკუნის I ნახევა-რი). თბ., 1967; **თ. ქადარია**. სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის პირველ ნახევარში. თბ., 2003 და სხვ.

ეგზარქოსის თანამდებობა, თანდათანობით ირლვეოდა საეკლესიო ფეოდალური ორგანიზაცია, როდესაც სამდვდელოება ყმა-მამულებს საკუთრების წესით ფლობდა და ყმათაგან მიღებული ბეგარა-გადასახადებით ცხოვრობდა. ამიერიდან საეკლესიო მიწები ხაზინის მფლობელობაში გადადიოდა, ხოლო სამდვდელოების წარმომადგენლებს ჯამაგირი ენიშნებოდათ.

მსგავსი ღონისძიებების გატარებას ცდილობდნენ იმპერიის ხელისუფალნი დასავლეთ საქართველოშიც. 1815 წელს რუსეთის სინოდის საქართველოს დიკასტერია გადაკეთდა საქართველო-იმპერითის<sup>4</sup> სინოდალურ კანტორად, ხოლო იმპერატორის ჯერ კიდევ 1814 წლის 30 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე გათვალისწინებული იყო იმპერიის, სამეგრელოსა და გურიის სასულიერო საქმეების მართვისთვის დიკასტერიის დაწესება ქუთაისშიც<sup>5</sup>. რუსეთის ხელისუფლება ამ ნაბიჯით უხეშად ერეოდა ჯერ კიდევ ავტონომიური სამთავროების საშინაო საქმეებშიც. მიუხედავად იმისა, რომ „სათხოვარ პუნქტებში“, რომლის პირობების საფუძველზეც 1803 წელს სამეგრელოს სამთავრო შევიდა იმპერიის მფარველობაში და სადაც საგანგებოდ არავერი იყო ნათქვამი ეკლესიის ადგილის შესახებ, რუსეთის ეს ჩარევა შემთხვევითი არ ყოფილა, რამეთუ იგი თავიდანვე ფიქრობდა, ხელიდან გამოეცალა დადიანისთვის საკუთარი დამოუკიდებლობის ეს მძლავრი ბერკეტი და დაემორჩილებინა ის თავისი პოლიტიკური ინტერესებისთვის, კერძოდ, ამით შეუქმნა სათანადო წინაპირობა სამეგრელოს სამთავროს ავტონომიის გასაუქმებლად. სტატიაში ჩვენ შევეცდებით დავისაბუთოთ, რომ საეკლესიო რეფორმის გატარების ნიღაბს ამოფარებული რუსეთის მთავარ პოლიტიკურ ამოცანას სწორედ ამ მიზნის მიღწევა წარმოადგენდა. სამეგრელოს სამდვდელოება (იმპერითან და გურიასთან ერთად – ბ.ო.) უნდა დამორჩილებოდა სასულიერო დიკასტერიას, რომელიც იქმნებოდა ქუთა-

<sup>4</sup> საქართველოში რუსი მოხელეები გულისხმობდნენ მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს.

<sup>5</sup> საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდგომში სცხხა). ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 417; *Акты собранные кавказской археографической комиссией* (შემდგომში AKAK). Т. V. Под ред. А. П. Берже. Тифлис, 1873, док. №514, გვ. 433-436.

ისში და თავის მხრივ ანგარიშვალდებული უნდა ყოფილიყო თბილისში დაარსებული საქართველო-იმპერიის სინოდალური კანტორის წინაშე. დიკასტერიის გარეშე არ უნდა მიენიჭებინათ სასულიერო წოდებანი, განსაკუთრებით არქიმანდრიტისა და მღვდელმთავრის (არქიეპი) ხარისხი, რომლებიც საბოლოოდ მეფეს უნდა დაემტკიცებინა, შემოსავლის განაწილებასა და სასულიერო საქმეების განხილვისთვის ხელმძღვანელობა სინოდალურ კანტორას უნდა გაეწია და ა.შ. მაგრამ ქუთასში დიკასტერიის დაწესების მცდელობას სერიოზული წინააღმდეგობის გარეშე არ ჩაუვლია.

ინფანტერიის გენერლის რტიშჩევის 1816 წლის 30 აპრილის მიწერილობაში თავად გოლიცინისადმი აღნიშნულია, რომ მიუხედავად თავისი არსით ეკლესის მიერ საკუთარი ქონების განკარგვის საკითხში დასახული გარდაქმნების სარგებლიანობისა, რომელიც უფრო მეტ კეთილდღეობას უქადა მათ მდგომარეობას, პირველმავე ცნობამ ამის შესახებ მნიშვნელოვანი შთაბეჭდილება მოახდინა და უნდობლობა გამოიწვია არა მარტო სამღვდელოებაში, არამედ თავადაზნაურობასა და უბრალო ხალხშიც. განსაკუთრებით კი სამთავროთა თვითმპყრობელი მფლობელების – გენერალ-მაიორების ლევან დადიანისა და მამია გურიელისა, რომლებიც უკიდურესად შემფორებულნი იყვნენ აღნიშნული გარემოებით<sup>6</sup> (ამის მიზეზების გარკვევას ჩვენ უფრო ქვემოთ შევცდებით – **ბ.ო.**).

რუსეთის ხელისუფლება აღნიშნული ღონისძიების გატარებისას, ზემოთ დასახელებული ფაქტორის გარდა, ფრთხილობდა საერთაშორისო ვითარების გამწვავების გამოც. როგორც რტიშჩევის მოხსენებაშია ნათქვამი, ყოველივე ეს ხდებოდა იმ დროს, როცა მთელი აღმოსავლეთი მხარის სერასქირი, თურქი სარდალი ფედევან-ფაშა წერილობით მოითხოვდა რუსი გენერლის-გან, რომ მათ დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ იმპერით, სამეგრელო, გურია და აფხაზეთი, რომლებიც უნდა გადასცემოდა ოტომანთა პორტას. მის ამ მოთხოვნას საფუძველს უმაგრებდა თურქთა ორი არმია, რომლებიც ამ მხარის საზღვრებს უშუალოდ მიუახლოვდნენ. ამიტომ შექმნილ ვითარებაში რტიშჩევი თავს მო-

<sup>6</sup> სესხა. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 417.

გალედ თვლიდა, ყველა ღონე ეხმარა არა მარტო დადიანისა და გურიელის, არამედ იმერეთის სამღვდელოებისა და თავადაზნაურობის დასამშვიდებლადაც, რომელთაც, მისი თქმით, დიდი გავლენა ჰქონდათ მართლმორწმუნე ხალხის გონებაზე. გამომდინარე აქვდან, იგი პირობას იძლეოდა, რომ ძალისხმევას არ დაიშერებდა საკითხის მათი ინტერესების შესაბამისად გადაწყვეტისთვის<sup>7</sup>.

კიდევ ერთი ფაქტორი, რომლის გამოც რტიშხევი თავს იკავებდა ქუთასში დიკასტერის დაწესების მხარდაჭერისგან, ეკონომიკური ხასიათისა იყო. კერძოდ, იგი წერდა, რომ ამ შეარეში ეკლესიის მწირი შემოსავალი, მოსახლეობის სიღარიბე და მიწის მცირემოსავლიანობა არ იძლეოდა არავითარ შესაძლებლობას მოცემულ ვითარებაში ასეთი დაწესებულების დაარსებისთვის, მით უმეტეს, დიკასტერის წევრებისა და ეპარქიების მღვდელმთავრების ჯამაგირით უზრუნველყოფისთვის<sup>8</sup>.

რტიშხევის მოსაზრებები გაზიარებულ იქნა თბილისშიც სინოდალური კანტორის მიერ, რომლის წერილობით გამოხმაურებაში გენერლის მოხსენებაზე აღნიშნული იყო, რომ მას არ გააჩნდა აუცილებელი სახსრები მოხელეების ჯამაგირისა და საკანცელარიო ხარჯებისთვის. ამიტომ ნაადრევად იქნა მიჩნეული შექმნილ ვითარებაში ქუთასში დიკასტერის დაარსება და ამ ეტაპზე ეპარქიის მღვდელმთავრებისთვის უნდა მოეთხოვათ მხოლოდ ცნობები იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში არსებული ეკლესიების შესახებ<sup>9</sup>.

გენერალ რტიშხევის საქართველოდან გაწვევის შემდეგ საქართველოს მთავარმართებლად ა. ერმოლოვი დაინიშნა. თავის მიწერილობაში თავად გოლიცინისადმი იგი აღნიშნავდა, რომ, გაუცნო რა რტიშხევის ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ მოხსენებას ქუთასში დიკასტერის დაარსების შესახებ, მან მკაფიოდ დაინახა მისი წინამორბედის საქმეებიდან, თუ რამდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ადგილობრივი თავადაზნაურობისა და უბრალო ხალხის ცნობიერებაზე და როგორი შიში გამოიწვია სამეგ-

<sup>7</sup> სტატ. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 418.

<sup>8</sup> სტატ. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 419.

<sup>9</sup> სტატ. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 420.

რელოსა და გურიის მთავრებში პირველმა ცნობამ 1815 წელს ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ცვლილებების შესახებ სასულიერო სფეროში. ამასთან, ა. ერმოლოვის დამოკიდებულება ქართული საზოგადოებისადმი გამოირჩეოდა უფრო ძეგლი ცინიზმით, როცა ის საეკლესიო რეფორმის საკითხს ეხებოდა. კერძოდ, იგი წერდა, რომ, იცოდა რა საკუთარი გამოცდილებიდან ამ მხარის მცხოვრებთა უხეში უმეცრება და როგორ შორს იყვნენ ისინი ჯერ კიდევ ყოველგვარი გაგებისგან განათლებისა და კეთილმოწყობის შესახებ (თითქოს, ამ მხრივ, რუსეთის შიდა გუბერნიების მოსახლეობა იმყოფებოდა უფრო მაღალ დონეზე – ბ.ო.), თავის პირად შეხვედრებში ეგზარქოსთან ძალისხმევას არ იშურებდა, აეხსნა მისთვის საკუთარი შიში და ყველა მოსალოდნელი საფრთხე საეკლესიო რეფორმასთან დაკავშირებით და არაერთხელ ცდილობდა, დაერწმუნებინა მისი უსამღვდელოესობა, რომ იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში მოქმედებისას, მათი მოსახლეობის სრული გაუნათლებლობის გამო, საჭირო იყო უფრო ძეტი შემწყნარებლობა და სიფრთხილე, ვინემ საქართველოში, სადაც ა. ერმოლოვს, როგორც ამ მხარეში რუსეთის პირველ მოხელეს, მიაჩნდა, რომ მისი იქ ყოფნით და ადგილობრივი თავადაზნაურობის საუკეთესო გვარის წარმომადგენელი თავადებისთვის საკუთარი ჩაგონებით, შეეძლო დიდი ზეგავლენის მოხდენა იქაურ მოსახლეობაზე<sup>10</sup>. ერთი სიტყვით, ა. ერმოლოვიც მხარს უჭირდა რტიშევის მოსაზრებას, რომელსაც სასულიერო დიკასტერის გახსნა ქუთაისში ნაადრევად მიაჩნდა.

ამგვარად, ჩვენს მიერ ზემოთ განხილულმა ფაქტორებმა შეუძლებელი გახადეს მოცემულ ეტაპზე დიკასტერიის დაარსება ქუთაისში, მაგრამ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო მმართველობაში გარკვეული რეორგანიზაცია მაინც ჩატარდა. ქუთაისის სამიტროპოლიტოს დაუბრუნეს ამ მხარეში უპირველესი ეპარქიის როლი და სასულიერო მართვის საქმეში მას დაუქვემდებარეს იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის ეპარქიები საეკლესიო ქონებისა და მამულების გამოკლებით. მისთვის უნდა ჩაებარებინათ

<sup>10</sup> АКАК, т. VI, ч. I. Под ред. **Ад. Берже**. Тифлис, 1874, док. №520, გვ. 391-392.

ანგარიში ეკლესიების კეთილმოწყობაზე და ამ სფეროში სამართლწარმოებაზე<sup>11</sup>. ამით, ფაქტობრივად, იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის ეკლესია ორგანიზაციულად დაქვემდებარებულ იქნა საქართველო-იმერეთის ეგზარქოსისადმი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ რტიშჩევის მთავარმართობლიბის პერიოდში სამეგრელოსა და გურიის მთავრებს დეპუტატებიც კი გაუგზავნიათ ამ რუს გენერალთან, რომ მას ეშუ-ამდგომლა საიმპერატორო კართან, რათა საეკლესიო ქონება მათ სამფლობელოებში უცვლელი სახით დაეტოვებინათ. დადიანი და გურიელი ამასაც არ დასჯერდნენ და პირადად გამოცხადნენ რტიშჩევთან ქუთაისში. სამეგრელოს მთავარს აიმედებდნენ, რომ საეკლესიო ქონება მის სამფლობელოში ხელშეუხებელი დარჩებოდა<sup>12</sup>, მაგრამ რუსეთის ხელისუფლება არ იყო ჩვეული თავისი დაპირებების შესრულებას.

გენერალ რტიშჩევის დაპირებიდან ერთი წელიც არ იყო გასული, რომ 1820 წლის 4 იანვარს სამეგრელოს მღვდელმთავრებმა თბილისის სინოდალური კანტორიდან მიიღეს განკარგულება, რომლის ძალით სამეგრელოს ეკლესიათა მთელი შემოსავალი ამ ორგანოს გამგებლობაში უნდა შესულიყო. ამ ფაქტმა შეაშფოთა სამეგრელოს მიტროპოლიტები, კერძოდ ბესარიონ ჭყონდიდელმა, ცაგარელმა, იოანე დადიანმა და ცაიშელმა გრიგორილმა ლევან დადიანს საპროტესტო წერილი გაუგზავნეს, რომელშიც აღნიშნავდნენ, რომ ამგვარი ზომის განხორციელების შემთხვევაში, როცა საეკლესიო მამულები სრულებით მოშლილია არსებული შიმშილობისა და გამანადგურებელი ჭირისგან, ჩვენ უკვე არ გვაქნება შესაძლებლობა ეკლესიისთვის შესაფერისი ცხოვრებისა. ისინი მიმართავდნენ მთავარს, რომ მზად იყვნენ ამის გამო მოექსნათ მათთვის რწმუნებული სასულიერო ხარისხი და გამწერებულიყვნენ ღვთისმსახურებისთვის რომელიმე უდაბნოშიც კი<sup>13</sup>. თავის მხრივ ლევან დადიანი რტიშჩევისადმი მიწერილ წერილში

<sup>11</sup> АКАК, т. V, док. №514, გვ. 435. საქართველოს მეც. აკად. ქ. ქმბელიძის სახელმისამართის ხელმისამართის ინსტიტუტი, ფ. АД, დოკ. №2252, ფურც. 103-104.

<sup>12</sup> სცხსა. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 435.

<sup>13</sup> АКАК, т. V, док. №593, გვ. 503-504.

აღნიშნავდა, რომ იგი ვერ გაანაწყენებდა თავის ორ ბიძას და ცაიშის მხცოვან მიტროპოლიტ გრიგოლს, რომელთა მსგავსად ისიც ვერ შეძლებდა საეკლესიო მამულების გარეშე ცხოვრებას და ითხოვდა ნებართვას, რათა გაეგზავნა ერთგული კაცი სათხოვარი წერილით ხელმწიფე იმპერატორთან<sup>14</sup>. საქართველო-იმპერიის სინოდალურმა კანტორამ რეალურად თავისი ხელისუფლების გავრცელება დასავლეთ საქართველოში 1819 წლის საეკლესიო რეფორმის გატარების მცდელობით დაიწყო, რომელიც მიზნად ისახავდა საეპისკოპოსოების და სამრევლო ეკლესიების რაოდნობის შემცირებას, აგრეთვე საეკლესიო ქონების აღრიცხვას და მის სინოდალური კანტორისადმი დაქვემდებარებას. ჩვენ შევეცდებით მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ წარმოვაჩინოთ, თუ რაში მდგომარეობდა სასულიერო რეფორმის არსი.

1818 წლის 28 დეკემბერს იმპერატორმა დაამტკიცა უწმინდესი სინოდის მოხსენება, რომელიც ეხებოდა იმერეთის, სამეგრელოსა და გურიის საეკლესიო მოწყობის საკითხს, კერძოდ, თოთოეულ მათგანში უნდა დაეტოვებინათ თითო ეპარქია, ე. ი. თუ მანამდე იყო ცხრა, ამჯერად რეფორმით რჩებოდა მხოლოდ სამი. ამასთან, საეკლესიო შემოსავალი ხაზინის გამგებლობაში გადადიოდა. წმინდა სინოდის ეს დოკუმენტი მიტროპოლიტ თეოფილაქტესგან 1819 წლის 18 მარტის მიწერილობით გაეგზავნა ა. ერმოლოვს, რათა მისი შინაარსი გაეცნო სამეგრელოსა და გურიის მთავრებისთვის. ამ უკანასკნელმა ამის გაკეთება დაავალა კურნატოვსკის<sup>15</sup>. აღნიშნული ღონისძიების განსახორციელებლად საჭირო იყო ცნობების შეგროვება იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში არსებული ეკლესიების, თითოეული მათგანის შემოსავლების და მათდამი მიწერილი მამულების რაოდნობის შესახებ. რათა ეს მონაცემები უფრო მეტი სიზუსტით შეეკრიბა, საქართველოს ეგზარქოსმა თეოფილაქტემ გადაწყვიტა, პირადად გამგზავრებულიყო იმერეთში. 1819 წლის 5 მაისის წერილში ა. ერმოლოვისადმი, რომელმაც მთავარმართებლის თანამდებობაზე შეცვალა რტიშჩევი, აღნიშნულია, რომ დასახული ამოცანის სისრულეში მოყვანისთ-

<sup>14</sup> AKAK, т. V, док. №594, გვ. 504.

<sup>15</sup> სცხხა. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 421-422.

ვის ეგზარქოსი უმორჩილესად თხოვდა მის მაღალაღმატებულებას წერილობით ებრძანებინა იმერეთის მმართველისთვის (იგულისხმება ი. კურნატოვსკი – ბ.ო.), რომ საჭიროების შემთხვევაში მას ყოველგვარი დახმარება და ხელშეწყობა აღმოეჩინა მისთვის, აგრეთვე ამ უკანასკნელისთვის მიეწოდებინა მსგავსი წერილობითი განკარგულებანი, რომლებიც განკუთვნილი იქნიან წერილობის სამეცნიეროსა და გურიის მთავრებისთვის. პირველი მათგანისთვის ამ ბრძანებულების გადასაცემად ეგზარქოსი აგზავნიდა წმინდა სინოდის წევრს, ქვათახევის არქიმანდრიტს მამა ათანასეს, რომელსაც ასევე თანაშემწედ უნიშნავდა გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელს, ხოლო გურიის მთავრის კარზე ეს მისია უნდა შეესრულებინა სინოდალური კანტორის პროკურორს ჭილაევს<sup>16</sup>.

ცნობამ მოსალოდნელი საეკლესიო რეფორმის შესახებ დიდი აღმფოთება გამოიწვია არა მარტო სამეცნიეროს, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს ყველა სოციალურ ფენაში. მათი დამტკიდების მიზნით საქართველოს მმართველი, გენერალ-ლეიტენანტი ი. ველიამინოვი იმერეთის მოსახლეობისადმი მიმართვაში<sup>17</sup> ნათელ ფერებში წარმოაჩენდა, თუ რა სიკეთისა და სარგებლობის მოტანა შეეძლო მათვის რეფორმას სასულიერო სფეროში. კერძოდ, იგი წერდა: „მცხოვრებნო იმერეთისანო! სულითადითა მწუხარებითა შევიტყვე მე იმერეთის მმართებლის (ყველა ჩვენს მიერ მოტანილი დოკუმენტის თარგმანში დედნის ტექსტის ენა და სტილი დაცულია – ბ.ო.) ღენერალ მაიორის კურნატოვსკისგან, რომ რომელთამე მაზრათა შინა მომზდარა აღრეულობა, არა თუ მხოლოდ ხალხში, არამედ კეთილშობილთა შორისცა, რომელნიცა მათი თანაზიარნი შემწილან. მაგრამ უფრო მაკვირვებენ მე ის მიზეზნი, რომელთაც მოახდინეს ეს განუსვენებლობა. რუსეთის მმართველობას ჰქონდა წინაშე კეთილნი განზრახვანი ჭეშმარიტად სასარგებლონი თვითონ იმერეთის ხალხისათვის, რათა უკეთესი რიგი განაწესოს მტკიცენი ეკლესიათა შემოსავალნი და დაიცვას შემოსავალნი იგი ურიგოდ მოხმარებისა

<sup>16</sup> ხცსსა. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 422.

<sup>17</sup> ამ პროკლამაციის ეგზემპლიარებთან ერთად ორი წერილი გაეგზავნა კურნატოვსკის სამეცნიეროსა და გურიის მთავრებისათვის გადასაცემად. იხ.: ხცსსა. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 7-8.

და მოტაცებისაგან და რაითამცა სცნას ისინი და მოაქციოს პსწორეს საქმეზედ, ესე იგი აღშენებისა და კეთილად დამშვენებისათვის სასულიერო სასწავლებელთასა და განსაწესებლად თვით სასულიეროთა თუსცა შესაფერის საზრდოსა ამ შემთხვევაში სხვა სარგებლობას არას ეძებდა მმართველობა თავის თუს და არცა ეჭირება და ყოველთვისცა საღმრთოდ კანონად თვისთუს დაუდგენია დატევება იმერეთის ეკლესიების მამულებისა და მათის შემოსავლებისა უსაშუალოთა ხელთავე შინა ეკლესიისათა და მზოლოდ ეკლესიისავ სასარგებლოდ... მოვაწერე ბრძანება იმერეთის მმართებელსა, რომ დააყენოს აღწერა საეკლესიოს ქონებისა და დაუტეოს წარმართვა მისი უწინდელსავე საფუძველსა ზედა. ამისთვისცა ყოვლად უსამღვდელოები ექვარწი საქართველოისა ასევე დაუტუებს იმერეთსა და უკუ მოიქცევა თავის სამწეოსთან“.<sup>18</sup>

ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან ერთად ი. ველიამინოვი მუქარასაც არ ივიწყებს. რუსეთის ხელისუფლება ხომ ცნობილი იყო ე.წ. „თაფლაკვერისა (прянник) და შოლტის“ პოლიტიკის წარმოებით. გენერალი ხაზს უსვამს იმპერიის ძლევამოსილებას და ყოვლისშემძლეობას. ამასთან, ქართველებს ურჩევს არ დაივიწყონ, „რომ რუსეთმან შეიძლო ოც და ათის მილიონის ფრანცუზისა რამდენსამე თვეში დამშვიდება, რომელნიცა აეყოლიებინა მშვიდოვარს ნაპოლეონს წინააღმდეგ თვისის ხელმწიფის კანონიერის ხელმწიფობისა. რუსეთმანვე აღადგინა ხელმწიფობა ფრანციის კანონიერის კოროლისა“.<sup>19</sup>

ი. ველიამინოვის და ა. ერმოლოვის მსგავსად იმერეთის მმართველი ი. კურნატოვსკიც 1819 წლის 3 ივლისს მიტროპოლიტ თეოფილაქტეს წერდა იმერეთის მოსახლეობის უკიდუოფილებაზე საეკლესიო რეფორმის გატარებისადმი, ხოლო სამეგრელოსა და გურიაში აღნიშნულ საკითხზე გაგზავნილი პირებისაგან, თუმცა მას არ ჰქონდა ოფიციალური შეტყობინება, მაგრამ გავრცელებული ხმებით მტკიცდებოდა, რომ დასახელებული სამთავროების ხალხებიც წინააღმდეგობას უწევდნენ ამ გარდაქმნებს სასულიერო სფეროში, იკრიბებოდნენ ერთად და დაუმორჩილებ-

<sup>18</sup> სცნა. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 9-10.

<sup>19</sup> სცნა. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 10.

ლობას უცხადებდნენ თავიანთ მთავრებს, იმუქრებოდნენ აჯანყებით, თუ საეკლესიო საქმეები წინათ არსებული სახით უცვლელად არ იქნებოდა დატოვებული<sup>20</sup>.

მოსალოდნელი საეკლესიო ოფიციალური მოსახლეობის განწყობის ნათელსაყოფად, მაგალითის სახით, მოვიტანთ სრულიად შორაპნისა და ქუთაისის მაზრის თავადთა, აზნაურთა და გლეხთა მიმართვას, რომელშიც ისინი წერდნენ: „...ვიდრე ნათლისლებითგან და ქრისტეს ჯვარცმითგან ამ დრომდის მტკიცედ დამყარებულსა სარწმუნოებასა ჩვენსა შემოპატიუებულ გვექმნენ, რომელიც უმვირესი საქმენი ამათთაგან (რუსებისგან – ბ.ო.) დაწყობილნი ქართლსა შინა გვინახავს ცხადათ: პირველ, ეს რომ მრავალნი წმინდანი ეკლესიანი დაირღვევიან და პატიოსანი ქებულნი ხატი და ჯვარი მიღებულ გვექმნებიან. ჩვენგან აღზრდილნი საკუთარნი მღლოცველნი მღვდლები მიგვეღებიან და ჩვენ მოკლებულ ვიქმნებით პირველ ქრისტეს დიდებისაგან და მეორე ხორციელად სამსახურისაგან... თუმცა აგარიანთა დროთა ხელთა შინა ყოფნაში არ შეგვატიუებიან ჩვენსაგვე მტკიცედ სარწმუნოებასა და არცა მიგვიღებია ხორციელად მწუხარებით, დღეს რა შემცოდები აღმოვჩნდით, რომ ჩვენ ჩვენი ჩვეულებითი მღვდლობითავარნი და ეკლესიანი და მღვდლები ჩამოგვერთვას, მკვდარს საფლავი არ გვეღირსოს და ცოცხალნი ვაკლდებოდეთ ქებასა და ვედრებასა ყოვლის შემძლებლისა მღვთისასა... რაც კანონი და წყობილება ქრისტიანობისა გვქონა, ნუ მოგვემლება... როგორც ვართ უკანასკნელს სისხლის წვეთამდე ხორციელის მნებით: და სული კაცობრივისა ხელმწიფებითა არ ეთავაზება წასაწყმედად არცა ხელმწიფეთა და არცა მცირეთა: და არის სული მხოლოდ ღვთისა... ამისთვის, ჩვენ თავშეეყრილი თავადნი, აზნაურნი და გლეხნი, ერთბაშად ცრემლით მთხოვნელნი ვართ ნაჩალნიკთან და ღენერალთან, რომ ესე მოგონილი ჩვენდა შესაწუხებლად თეოფილაქტესაგან ბრძანება უკუნიქცეს“.<sup>21</sup>

მაგრამ იმის ნაცვლად, რომ საქართველოს ეგზარქოსს, მიტროპოლიტ თეოფილაქტეს შეესმინა ი. ველიამინოვის, ა. ერმო-

<sup>20</sup> ს. ცხ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 34.

<sup>21</sup> ს. ცხ. 2, აღწ. 1, ს. №936, ფურც. 37-38.

ლოვისა და ო. კურნატოვსკის შეგონებანი, რომ აღნიშნული რეფორმის გატარება გამოიწვევდა მდგომარეობის სერიოზულ გართულებას მთელს დასავლეთ საქართველოში, რაზეც მიუთითებდა მოსახლეობის განწყობაც და იმის მაგივრად, რომ შეეკავებინა თავი ამ ღონისძიების განხორციელებისგან, მოხდა პირიქით. თავის მიწერილობაში ო. კურნატოვისკისადმი ეგზარქოსი აღნიშნავდა, რომ მიღო რა ამ უკანასკნელის 1819 წლის 3 ივლისის წერილი, საჩქარო წესით უგზავნიდა მას პასუხს, რომ ყველა პირს, რომლებიც მან გააგზავნა იმერეთის ოლქებში, სამეგრელოსა და გურიის სამთავროებში, მისცა ერთი და იგივე დავალება, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ შეედგინათ აღწერა: 1. არქიელითა სახლებისა და მასთან არსებული საკათედრო საყდრების, საერო და სასულიერო შტატების ჩათვლით, 2. მონასტრებისა და მათში მყოფი წინამძღვრების და ბერ-მონაზვნების, 3. სამრევლო ეკლესიების, კომლებისა და თეთრი სამღვდელოების, 4. საეკლესიო გლეხებისა და მათი მამულების, 5. იმ საეკლესიო აზნაურებისა, რომლებიც არ ეკუთვნოდნენ საეპარქიო ხელისუფალთა ამაღას, 6. გლეხების ქონებისა და საეკლესიო შემოსავლების აღწერასთან ერთად შეეთვაზებინათ მათვის ნატურალური გადასახადების ფულადით შეცვლა და მათი გაზრდა მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც მხედველობაში იქნებოდა მიღებული ამაზე საეკლესიო გლეხების ნებაყოფლობითი თანხმობა. თუმცა წერილის ბოლოს თეოფილაქტე აღნიშნავდა, რომ მის მიერ სამეგრელოსა და გურიაში გაგზავნილი არქიმანდრიტი ათანასე და საქართველო-იმერეთის სინდიკალური კანტორის პროკურორი ჭილაევი უკან მობრუნდნენ, რადგან იქაურმა მთავრებმა არ დაუშვეს, რომ მათ ჩატარებინათ ეგზარქოსის მიერ დავალებული აღწერა<sup>22</sup>.

საეკლესიო რეფორმის მიმართ თავის უქმაყოფილებას არ მალავდა სამეგრელოს გლეხობაც, რომელიც მდეღვარებას მოეცვა და მზად იყო აჯანყებისთვის. ეს იმიტომ, რომ ცვლილებები, გარდა მათი სულიერი ყოფისა, უნდა შეხებოდა ამ ფენის სოციალურ-ეკონომიკურ ინტერესებსაც. რეფორმა კი ისე იქნა შემუ-

<sup>22</sup> სცხსა. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 35; AKAK, თ. VI, გ. I, დოკ. №758, გვ. 547.

შავებული, რომ არც ერთი ზემოთ აღნიშნული მხარე, დაწყებული დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წყობილებისა და დამთავრებული იქ არსებული სოციალურ ურთიერთობათა თავისებურებებით, გათვალისწინებული არ ყოფილა. ნატურალური მეურნეობის ბატონობის პირობებში უნდა მომხდარიყო სასურსაო გადასახადების შეცვლა ფულადით, რაც საგრძნობლად გააუარესებდა გლეხობის მდგომარეობას. ძველობი შედარებით ახალ გადასახადთა მოცულობა ორჯერ იზრდებოდა. იბეგრებოდნენ ის საეკლესიო გლეხებიც, რომლებიც თავიანთი უკიდურესი სიღარიბის გამო წინათ ამ ვალდებულებას არ ასრულებდნენ. ერთი სიტყვით, სამეგრელოში, მისი მთავრიდან დაწყებული და ყველა სოციალური ფენით დამთავრებული, უქმაყოფილობით იყო მოცული და მზადყოფნას გამოთქვამდა აშკარა წინააღმდეგობა გაეწია მოახლოებული საეკლესიო რეფორმის ცხოვრებაში გატარებისთვის. ამის შესახებ 1819 წლის 16 ივლისს იმერეთის მმართველი ი. კურნატოვსკი განერალ-მაიორ სისოევს წერდა: „...ასევე ამბობენ, რომ სამეგრელოსა და გურიის ხალხის მიწვევა ხდება იმერლების მიერ და ისინიც მზად არიან ყოველმხრივ შეუწყონ მათ ხელი... ამბოხებულები ასევე მზადყოფნას აცხადებენ თავი შესწირონ სარწმუნოებისთვის ბრძოლას და ისინი არაფრით არ თანხმდებიან რეფორმას სასულიერო სფეროში“.<sup>23</sup> მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსეთის ხელისუფლება კარგად ხდავდა იმასაც, თუ ვინ იყო აჯანყების მთავარი შემოქმედი ძალა. ეს კარგად ჩანს გენერალ ი. ველიამინოვის 1819 წლის 2 აგვისტოს მიწერილობიდან გენ.-მაიორ სისოევისადმი, სადაც ნათქვამია: „...არა თუ ობივატელებს, ე. ი. გლეხობას, რომლებიც განეკუთვნებიან სხვადასხვა წოდებას, უნდა მიაქციოთ მთავარი ყურადღება, არამედ უფრო თავადებსა და სამღვდელოებას, რომელნიც არიან სწორედ არსებითად ჭეშმარიტი იარაღი ყველა უწესრიგობისა და დაწყებული ამბოხებისა, რადგანაც ხალხი ყველგან და ყოველთვის არის მხოლოდ ბრმა მსხვერპლი“.<sup>24</sup>

საინტერესოა აგრეთვე, თუ როგორი იყო თვით სამეგრელოს

<sup>23</sup> ხვხხა. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 60.

<sup>24</sup> AKAK, თ. VI, ტ. I, დოკ. №758, გვ. 554.

მთავრის ლევან დადიანის დამოკიდებულება საეკლესიო რეფორმისადმი, რომელსაც ის ასეთი შიშითა და შეშფოთებით შეხვდა, რაც არ იყო საფუძველს მოკლებული და რისი მიზეზიც სინამდვილეში არსებობდა. სამეგრელოს სამღვდელოება ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სასულიერო მეთაურები მონაწილეობას იღებდნენ სამთავროს ყველა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში. არც ერთი პოლიტიკური დოკუმენტი არ ფორმდებოდა მათი აქტიური უშუალო ჩარევის გარეშე. უმეტეს შემთხვევაში სამღვდელოების წარმომადგენელი თან ახლდა სამეგრელოს მთავარს ლაშქრობებში. სამთავროში ორჯერ შეიქმნა დროებითი მმართველი საბჭო და მასში ყოველთვის წარმოდგენილი იყვნენ სამეგრელოს მიტროპოლიტები. თავის მხრივ, მთავარიც იცავდა მათ ინტერესებს. იგი ეხმარებოდა სამღვდელოებას თავიანთ სამწყსოში წესრიგის დამყარებაში. ერთი სიტყვით, ეკლესია და მისი წარმომადგენლები მუდამ იყვნენ მთავრის ხელისუფლების ძლიერი პოლიტიკური ბერკეტი და მმართველობის დასაყრდენი. ეკლესის პეტილდებაზე ზრუნვის ნიღაბს ამოფარებული რუსეთი სასულიერო რეფორმით სწორედ, ამ პოლიტიკური და ამასთანავე ეკონომიკური ძალის ხელიდან გამოცლას უპირებდა დადიანს, რომლის დასუსტებითაც თანდათანბით და გეგმაზომიერად ამზადებდა ნიადაგს მომავალში სამთავროს ავტონომიის გაუქმებისთვის. სამეგრელოს მთავარი, რა თქმა უნდა, ყოველივე ამს ხვდებოდა და სწორედ ეს იყო მისი შიშისა და შეშფოთების საფუძველიც. თუმცა, მივადევნოთ თვალი, თუ როგორ განვითარდა შემდეგ მოვლენები.

საეკლესიო რეფორმის საკითხს ლევან დადიანი ეხებოდა ჯერ კიდევ 1819 წლის 22 მაისის მიწერილობაში ა. ერმოლოვისადმი, კერძოდ, მის მიერ მიღებული წმინდა სინოდის პრძანებულების მე-3 და მე-15 პუნქტებს. პირველ მათგანში საუბარი იყო იმაზე, რომ საქართველოს ეგზარქოსისა და მიტროპოლიტ თომოფილაქტეს წინადადებით სამეგრელოში არსებული სამი ეპარქიიდან უნდა დარჩენილიყო ერთი, ხოლო მეორე მათგანში აღნიშნული იყო, რომ აღეწერათ საეკლესიო მამულები, დაქანგარიშებინათ შემოსავალი, რომელიც მათგან შემოდიოდა და ამის შესახებ ანგარიში

გადაეცათ სინოდალური კანტორის ან ეგზარქოსისთვის. ლევან  
დადიანი ცდილობდა აეხსნა ა. ერმოლოვისთვის, რომ ამ რეფორ-  
მის გატარება ძალზე დაამძიმებდა და შეავიწროვებდა მის მდგო-  
მარებას, მკაფიოდ უხატავდა, თუ რა საფუძველზე გადაეცათ მი-  
სი წინაპრებისგან ეპარქიის მღვდელმთავრებს ის მამულები, რომ-  
ლებიც ახლა იწოდებოდნენ საეკლესიოდ, მაგრამ სინამდვილეში  
სარგებელი მათგან და გადასახადები ეკუთვნოდა მას ისევე, რო-  
გორც სამთავროში არსებული სხვა საკუთარი მამულებიდან, რომ  
საეკლესიო მიწებზე მოსახლე აზნაურობა და გლეხობაც ემსახუ-  
რებოდნენ მთავარს, რომლისადმი მათი ვალდებულებანი ყოველო-  
ვის იყო ისეთივე, როგორც საკუთარ მფლობელობაში შემავალი  
დანარჩენი მამულებისა და, მათ შეგავსად, იწოდებოდნენ სახაზი-  
ნოდ. ლევან დადიანის თქმით, მისი წინაპრები არც ისე მდიდრები  
იყვნენ, რომ სამი ეპარქიის მღვდელმთავრების შესანახად საკმარი-  
სი თანხები გაედოთ, მაგრამ რადგანაც ქრისტიანული წესით არ  
შეიძლებოდა მათი გაუქმება, ამდენად მათ ზოგიერთი შემოსავალი  
საკუთარი მამულებიდან ჯამაგირის სანაცვლოდ გადასცეს მღვდელ-  
მთავრებს და ამიტომ იწოდებოდნენ ისინი საეკლესიოდ, თუმცა,  
წარმოადგენდნენ მთავრის სამფლობელოში შემავალ სახაზინო მი-  
წებს. ამდენად, აღნიშნავს შემდეგ დადიანი, თუ საკუთარი მისი მა-  
მულები, რომლებიც ახლა იწოდებიან საეკლესიოდ, მას ჩამორ-  
თმევა და მათგან შემოსავალი გადაეცემა სინოდალურ კანტორას, ან დამოკიდებული იქნება ეგზარქოსის განკარგულებაზე, როგორც  
ეს გაკეთებულია საქართველოში და არა მის ნებაზე, მაშინ იგი  
მოკლებული იქნება ყოველდღიურ საზრდოს და ვერ შეძლებს თა-  
ვის შენახვას. შემდეგ სამეგრელოს მთავარი უფრო კატეგორიუ-  
ლია, როცა წერს, რომ თუ ის მამულები, რომლებიც ამჟამად  
იწოდებიან საეკლესიოდ და შეადგენენ მთელი სამფლობელოს  
თითქმის ნახევარზე მეტს და მათგან შემოსავალი უკვე მისი არ  
იქნება, მაშინ იგი ჭეშმარიტი მსჯელობით აღიარებს, რომ მთელი  
თავისი სამფლობელო და წოდება მისგან ჩამორთმეულ იქნეს,  
თუმცა დადიანის თქმით, ეს არ შეესაბამებოდა იმპერატორის მი-  
ერ სამეგრელოს მთავრისთვის უმაღლესად დამტკიცებული სიგე-  
ლის პირობებს. ამასთან, იგი მთლიანად არ უარყოფს მიტროპო-  
ლიტ თეოფილაქტეს შეხედულებებს და ეთნებმება მას მხოლოდ

იმაში, რომ ეგზარქოსი განაგებდეს სამეცნიელოს სამთავროს სასულიერო საქმეებს, ასევე ეპარქიის მღვდელმთავრის გარდაცვალების შემთხვევაში დადიანი არ დანიშნავდა არავის მისი განკარგულების გარეშე. ეს ეხებოდა არქიმანდრიტის დამტკიცებას, ეგზარქოსის წინაშე იქნებოდნენ ანგარიშვალდებულ აგრეთვე უსამდველოებისა, როცა საქმე შეეხებოდა მნიშვნელოვან საკითხებს სასულიერო სფეროში. რაც ეხებოდა ეკლესიების მშენებლობასა და განათლებას, ლევან დადიანი თანახმა იყო, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში შეესრულებინა მისი ბრძანებულებანი, თვითონ შეენახა საკუთარი მწყემსმთავარნი, ხელი შეეწყო ქრისტიანობის გავრცელებისთვის მთიელ ხალხებში, მაგრამ, ყოველივე ზემოთ აღნიშნულთან ერთად, კატეგორიულად გამორიცხავდა შემოსავლების ჩამორთმევას მისი კუთვნილი მამულებიდან მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი იწოდებოდნენ საეკლესიოდ. დადიანის თქმით, ეს გააღარიბებდა მის სამფლობელოს და წარმოადგენდა უმაღლესად ბოძებული სიგელის დარღვევას. იგი თხოვდა ა. ერმოლოვს, რომ არ დაეშვა მოვლენების ასეთი განვითარება<sup>25</sup>.

რესერის ხელისუფლების მიზანი სამეცნიელოსადმი მკაფიოდ ჩანს ლევან დადიანის 1819 წლის ივნისში მიტროპოლიტ თეოფილაქტესადმი გაგზავნილ წერილშიც, სადაც იგი პირდაპირ მიუთითებს ეგზარქოსის მიერ შემოთვლილ მუქარაზე სამთავროს ავტონომიის გაუქმების შესაძლებლობის შესახებ. მიწერილობაში მთავარი აღნიშნავს, რომ თეოფილაქტეს მიერ გამოგზავნილი პირები – არქიმანდრიტი ათანასე და თავადი გრიგოლ ზურაბის ძე წერეთელი გამოცხადდნენ მასთან მარტვილის მონასტერში და გადასცეს მას ეგზარქოსის და ასევე გენერალ ა. ერმოლოვის წერილი. ეს უკანასკნელიც მისგან მოითხოვდა სასულიერო რეფორმისთვის ხელშეწყობას<sup>26</sup>. წარგზავნილებმა სიტყვიერადაც მოახსენეს სამეცნიელოს მფლობელს ეგზარქოსისგან მიღებული დავალების შესახებ, რომელიც „მოვისმინე და ვსცან ყოველივე უმორჩილესად“, – ამბობს დადიანი. მაგრამ მათი საუბრის ბოლოს მისმა ნათესავმა გრიგოლ წერეთელმა, სამეცნიელოს დიდებულების

<sup>25</sup> ხცხხა. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 427-434; AKAK, თ. VI, ზ. I, დოკ. №758, გვ. 620-621.

<sup>26</sup> ხცხხა. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 424.

თანდასწრებით, განუცხადა დადინანს მიტროპოლიტ თეოფილაქტეს დანაბარები: „...თუ არა აღასრულებო და არა დაემორჩილებიო ამას ჩემ მიერ თქვენდა მოცემულსა მცნებასაო მაშინ შენ იქნებიო შენის მთავრობის დაცემის და სამთავროს მიღების მიზეზი“.<sup>27</sup> ლევან დადიანი ვერ მალავს თავის გაოგნებას ასეთი განცხადების გამო და წერს: „...ყოვლად უსამღვდელოესო მწყემსთ მთავარო ესე ხმა არა კაცს ბრძანებისაგან წარმოოქმულად დავნიშნე, არამედ ციურ უსაშინლეს ჭუხილად შეესმა გონებასა ჩემსა, და მწუხარებისა აღმურითა განგვირვებულმან ვსოქვი მშობელთა ჩემთა სცოდეს ესე ვითარი რაიმე ანუ მე ვსცოდე“.<sup>28</sup> ამასთან, სამეგრელოს მთავარი აშკარად დაბნეული ჩანდა, რამეთუ თეოფილაქტეს პირობების მიღებისა და მათზე თანწმობის შემთხვევაში ის გარიყელი აღმოჩნდებოდა საკუთარი სამფლობელოს ხალხისგან, რომელიც არ მალავდა თავის აღშფოთებას და უკმაყოფილებას საეკლესიო რეფორმის მიმართ. ლევან დადიანს აშინებდა მათი მხარდაჭერის დაკარგვა. იგი წერდა: „...ანუ რამე ვქნა არა უწყი, ესრეთუ მორჩილება მივიღო თქუენის მეუფების უმაღლესის ბრძანების მე მხოლოდ დავშოტები და რაი ძალმედების ერთსა სიმრავლესა შინა, თქუენის კაცომოვეცარების გონიერება აღწონის და ესე მექმნების მე სამოქმედოდ“.<sup>29</sup> მაგრამ თუ მას დაუტოვებდნენ მხოლოდ იმის შესაძლებელობას, როგორც ამის შესახებ ამათი (ალბათ გულისხმობს მასთან წარგზავნილებს – ბ.ო.) მსჯელობა და წარმოდგენა დადიანამდე აღწევდა, მაშინ მას სხვა გზა არ რჩებოდა გარდა იმისა, „...რათა მოვიდე წინა მეუფებისა თქუენისასა მარტომან და თქუენ მიერ ძალისა მოცემითა შემოვიდე (თავის სამფლობელოში – ბ.ო.) მოსასვრელად მამათა და მდეღრთა და ყრმათა და ასულოთა მათთა ესრეთ მიწევნილ არს ამათი გამსჯელობა და წარმოდგინება ჩემდა“.<sup>30</sup> ლევან დადიანის ამ სიტყვებში ერთხელ კიდევ კარგად ჩანს მოსახლეობის განწყობა, რომელიც ცოცხალი თავით არ შეურიგდებოდა რუსი მოხელეების მიერ დასახულ ცვლილებებს სასულიერო სფეროში.

<sup>27</sup> სცხხა. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 534.

<sup>28</sup> სცხხა. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 534.

<sup>29</sup> სცხხა. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 535.

<sup>30</sup> სცხხა. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 535.

ის, რომ სამეგრელოს მთავარს ნაკლებად ჰქონდა ხალხის მხარდაჭერა და არ შეეძლო მათი დაშოშმინება, ამაზე მკაფიოდ მეტყველებს გენერალ-მაიორ სისოევის 1819 წლის 28 ივლისის მიწერილობა ი. ველიამინოვისადმი, რომელშიც ნათქვამია, რომ: „...მათ მხარეზე (საუბარია იმერეთის აჯანყებულებზე – ბ.ო.) არიან აგრეთვე მეგრელები და გურულები, ხოლო თავად დადიანს, რომელიც თუმცა გვიმტკიცებს საკუთარ ერთგულებას რუსეთისადმი, მაგრამ თავისი ახალგაზრდა ასაკის გამო არ შეუძლია ხალხის შეკავება...“<sup>31</sup> (თუმცა, როგორც ზემოთ ვნახეთ, ეს არ იყო მხოლოდ ასაკობრივი ფაქტორით განპირობებული – ბ.ო.). რაც შეეხება ერთგულების საკითხს, ამის შესახებ საინტერესოდ შენიშნავდა ნ. დუბროვინი: „...მხელი სათქმელი იყო ამ დროს ვინ იყო ჩვენი ერთგული და ვინ არა. ყოველივე დამოკიდებული გახლდათ გარემოებებზე, პირად გამორჩენაზე, თუ ძღვომარეობაზე, რომელშიც შეიძლება აღმოჩენილიყვნენ ცალკეული პირები. რელიგიის გარდა, იმერლები არაფრით განსხვავდებოდნენ აზიის სხვა ხალხებისგან და ვინც დღეს ჩვენი მტერი იყო, ხვალ ის შეიძლება ჩვენი მომხრე ყოფილიყო. იმერეთში მომხდარი არეულობანი მოწმობდნენ, რომ აშკარა მოღალატეები, ამბოხების მეთაურები, რომლებიც წარმატების მიღწევისას მზად იყვნენ ამოულიტათ ყველა რუსი, დამარცხების შემთხვევაში პატიებას ითხოვდნენ და ერთგულებას გვეფიცებოდნენ. ასეთია აზიელ ხალხთა ჩვეულება“<sup>32</sup> თავის სამთავროში დადიანის და გურიელის შერყეულ პოზიციებზე იგივეს აღნიშნავდა ზურაბ წერეთელი 1819 წლის 8 ივლისის წერილში გორის ოლქის უფროსის გენერალ-მაიორ ტიტოვისადმი, სადაც ნათქვამია, რომ „...დადიანსაც და გურიელსაც ასევე ჩამოშორდა თავიანთი ხალხი, რომელთაც განზრახული აქვთ შეუერთდნენ იმერელ მეამბოხეებს“<sup>33</sup>

საინტერესოა აგრეთვე ლევან დადიანის შეხედულება იმის შესახებ, რომ იმგვარი მორჩილება, როგორიც მან თავის წერილში დაუხატა ეგზარქოს, გავლენას მოახდენდა მომავალში რუსე-

<sup>31</sup> ს. ც. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 449.

<sup>32</sup> **Н. Дубровин.** История войны..., т. VI, გვ. 416-417.

<sup>33</sup> ს. ც. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 588.

თის პოლიტიკურ ინტერესებზე არა მარტო სამეცნიელოში, არა-  
მედ კავკასიის მეზობელ ხალხებშიც, რაც, თავის მხრივ, მეტყვე-  
ლებდა მათ განწყობაზეც. დადიანის აზრით, მისი დაუმორჩილებ-  
ლობა უფრო მეტი სარგებლობის მომტანი იქნებოდა რუსეთისთ-  
ვის. კერძოდ, სამეცნიელოს მთავარი წერდა: „...კიდევ განვიმო-  
რებ აზრცა წინა თქმულსა მორჩილებისა ანუ ურჩებისასა ვიტყ-  
ვი, უკვე მორჩილება ესე ვითარი რომელიცა წინაშე ცხად ვყავ  
და დაუდევ განსარჩევლად თქუნისა მაღალ მეცნიერებისა არა  
ესრედ ისარგებლებს, გარწმუნებ მეუფეო ჩემის ყოვლად უმოწყა-  
ლესის ხელმწიფის აწინდელსა საფიქრებელსა სამსახურსა შინა  
მხარეთა და მეზობელთა ჩემთა შორის მთისა კავკასიისა კალ-  
თებთა შორის და შავსა ზღვასა სანაპიროთა შორის ვიდრე ანა-  
პამდე... ვითარ იგი ურჩება ესე ჩემი შემოიღებს სარგებლობასა  
და შეძინებასა ვინაიდგან მაგალითად ვარ მათ შორის და მხედ-  
ვენ მე მათ შორის ჩემის უმოწყალესის ხელმწიფისა უსაზღვროსა  
გამოუთქმელსა მოწყალებასა შინა მრავალთადმი მაქვს საუბარი  
ანუ შემომზიდველი აღერსი და მაგალითად საჩვენებელი მათდა  
შემოსახშველად სკიპტრათა ქვეშე ყოვლად უმაღლესისა ხელ-  
მწიფისა ჩვენისა“.<sup>34</sup> ამ მსჯელობაში კარგად ჩანს ლევან დადია-  
ნის დიპლომატიური და ტაქტიკური სვლაც, რათა დაერწმუნები-  
ნა ეგზარქოსი მის მიერ დასახული რეფორმის არამიზანშეწონი-  
ლობაში. იგი ურჩევს თეოფილაქტეს, რომ მან გასცეს შესაბამი-  
სი ბრძანება შექმნილი ვითარების დასაწენარებლად და „დასატკ-  
ბობელად საზოგადოებისა ჩემისა...“ ამასთან, დადიანის თქმით,  
ეს არა მარტო მისი განზრახვა და აზრი იყო, არამედ თავისი  
ქვეშევრდომებისაც, „...რომელთასცა სწადო აღტკინებულითა გუ-  
ლითა ჩემის ყოვლად უმოწყალესის ხელმწიფის ჩემგან სამსახუ-  
რის აღსრულება მათაც ესრედ წინაშე თვალთა შორის ჩემთა წარ-  
მოადგინეს და მეც შევიწყნარე“.<sup>35</sup> სამეცნიელოს მთავარი დარწ-  
მუნებულია, რომ საეკლესიო მამულების აღწერა და სინოდალუ-  
რი კანტორის გამგებლობაში გადაცემა არ მოუტანს წარმატებას  
რუსეთის ხელისუფლებას: „...ვინაიდგან, რათა ამათ შორის (ხალ-

<sup>34</sup> სისხლ. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 536.

<sup>35</sup> სისხლ. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 536.

ხში – ბ.ო.) შევიდა აღრიცხვა ესე აღსაშფოთველად და სამწუ-ხაროდ“.<sup>36</sup> ლევან დადიანი თხოვნით მიმართავს ეგზარქოს, რომ გაითვალისწინოს მისი აზრი და დახმარება გაუწიოს მას: „...კაცო მოყვარებითა სამკვიდრებელსა ჩვენსა ერთმთავრულითა გრამო-ტითა დამტკიცებული მფლობელ მთავრად სრულიად მენლოელი-სა და აფხაზეთისა და სვანეთისა რომლისათვის გთხოვ უძირჩი-ლესად ვითარცა უსაკუთრესა მამასა და უმაღლესსა მწყემს მთა-ვარსა რათა მეოხ მექმნე“.<sup>37</sup>

შეგავსი შინაარსის წერილი გაუგზავნა სამეგრელოს მთავარმა გენერალ ა. ერმოლოვს 1819 წლის 16 ოქტომბერს, რომელშიც ასევე თხოვდა მას, რომ მისადმი აღმოჩენილი კეთილისმყოფელობა დაეგვირგვინებინა კიდევ იმით, რომ მთავრისადმი მონარქის წყა-ლობის ამგვარი მაგალითი (საუბარია 1806 წელს რუსეთის ხელ-მწიფის ხელშეწყობით დადიანისთვის წარომეული ტერიტორიების დაბრუნების შესახებ – ბ.ო.) განემტკიცებინა ისეთი სახით, რომ დადიანს მისი უავგუსტოესისა და ყოვლად უკეთილშობილესის პი-რობის თანაბეჭდ შეაძლებინებდა უშიშრად ყოფნას, რამეთუ, რო-გორც იგი აღნიშნავდა, მან უკვე ერთხელ ნახა მისი უსამღვ-დელოესობის, საქართველოს ეგზარქოსის ოეოფილაქტესა და მის მსგავსთა საქმით, რომელიც ჯერ კიდევ არ ყოფილან სრულ-ყოფილი და ნაცვლად იმისა, რომ ადგილზე გამხდარიყვნენ მაგა-ლით სიმშვიდისა და სიწყნარის, სინამდვილეში საზოგადოებას უშნადებდნენ მძიმე უღელს, ხოლო მას კი ართმევდნენ სამთავ-როს და ხელისუფლებას<sup>38</sup>. იგივე აზრია გატარებული ლევან და-დიანის 1819 წლის ნოემბრის წერილში თავისი სულიერი მოძლ-ვრის, არქიმანდრიტ გორგისადმი, რომელსაც მთავრის შეტყობინება უნდა გადაეცა ი. ველიამინოვისადმი, ხოლო ამ უკანასკნელმა იგი გაუგზავნა ა. ერმოლოვს. სამეგრელოს მფლობელის თქმით, „...მე როგორც არ ველი ჩემის ყოვლად უმოწყალესის ხელმწიფის ჩემს მემკვიდრეობიდგან გამორიცხვას აგრეთვე სიკვდილი უაღსარჩევე-ლესი არის ჩემთვის რომ მე ჩემის სახელისა და სამთავროსაგან

<sup>36</sup> ხველა. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 537.

<sup>37</sup> ხველა. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 537.

<sup>38</sup> ხველა. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 312.

გამომრიცხოს ვინმებ. რა ვსცოდე რომ ასე დამემართოს“.<sup>39</sup>

როგორც ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, საეკლესიო რეფორმა პირდაპირ ემუქრებოდა საკუთრივ ლევან დადიანის სამფლობელოს ყოფნა-არყოფნის საკითხს და, რა თქმა უნდა, გამორიცხული იყო, რომ მას მხარი დაეჭირა რუსი გენერლებისთვის საყოველთაო სახალხო მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს კარგად ესმოდა ა. ერმოლოვს, რომელსაც არ სურდა დაეკარგა დადიანის მხარდაჭერა ამბოხებულთა დაშოშმინების საქმეში, რადგან რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს კარგად ჰქონდათ გათვითცნიბირებული სამეგრელოს მნიშვნელობა თავიანთი გეგმების განხორციელების თვალსაზრისით. ა. ერმოლოვის 1819 წლის 30 ივნისის წერილში ი. ველიამინოვისადმი ნათქვამია: „...იმ ხალხის ამბოხება, რომელსაც გააჩნია იმდენად მწირი საშუალებები, როგორც იმერლებს, არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, ამიტომ, საჭიროა ჩვენი რიცხობრივად მცირე ჯარის პირობებში შევინარჩუნოთ უმთავრესი პუნქტები და მათ შორის კავშირი, ხოლო თუ ყოველივე ამას მივუმატებთ ცოტაოდენ ძალისხმევას, ყოველთვის შევძლებთ მოკლე დროში ეს მხარე დავუმორჩილოთ ჩვენს ხელისუფლებას. მაგრამ ყველაფერი ეს მაშინ შეიძლება აღმოჩნდეს საფრთხის წინაშე, თუ ამბოხებაში მონაწილეობას მიიღებენ სამეგრელოს და გურიის მთავრები. კარგი იქნებოდა ამ ორივე მათგანის ერთგულების შესახებ რაიმე დამამტკიცებული გვერბოდა, მაგრამ მე არ მოვალი მათი მხრიდან ჩვენთვის საზიანო ქმედებას (რაშიც ა. ერმოლოვი რამდენადმე ცდებოდა – ბ.ო.), რადგან გარემოებათა შეცვლის შემთხვევაში ისინი ვერაფერს თავიანთ სასარგებლოს ვერ ჰპოვებენ“.<sup>40</sup>

ამიტომ, ლევან დადიანის თანადგომის მოპოვების მიზნით ა. ერმოლოვი დაპირებებს არ იშურებდა. ჯერ კიდევ 1819 წლის 17 ივნისს იგი სამეგრელოს მთავარს წერდა: „...სასულიერო სფეროში ახალი მმართველობის ჩამოყალიბების შემთხვევაში ოდნავადაც არ შეიზღუდებოდა უმაღლესი ტრაქტატით თქვენთვის ბოძებული უფლებები და შელავათები, ხოლო მამულები, რომელ-

<sup>39</sup> ს. ც. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 323.

<sup>40</sup> ს. ც. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 129.

თაც დღემდე მოჰქონდათ შემოსავალი ეკლესიისა და სამღვდელოებისთვის, არ შეიძლება გამორიცხულ იქნენ თქვენი გამგებლობიდან“.<sup>41</sup> იგივეს წერდა ა. ერმოლოვი 1820 წლის 22 ნოემბრის წერილში ლევან დადიანისადმი. „...საეკლესიო მამულებზე მსჯელობისას მე წინათაც ვწერდი თქვენს ბრწყინვალებას და ეხლაც შემიძლია დაგიდასტუროთ, რომ ხელმწიფე იმპერატორი, რომელმაც ყოვლად უმოწყალესად გიბოძათ თქვენ უფლებები, არასოდეს მოითმენს მათ ხელყოფას და არც დაუშვებს ამას... მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც კი შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ თქვენთან ჩემი წინასწარი მოთათბირების გარეშე არაფერი ამგვარი რამ დაწყებული არ იქნება.... შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ თქვენობ ბრწყინვალებავ, რომ მთავრობას არა აქვს განზრახვა გააძლიდოროს ეკლესია უკანონო მისაკუთრებათა ხარჯზე და განა შეიძლება ასეთი მსხვერპლი სიმოვნებდეს თვით ღმერთსაც?“<sup>42</sup>

მაგრამ იმპერიის წმინდა სინოდს არ შეეძლო ა. ერმოლოვის დაპირებების გამართლება, რადგანაც საეკლესიო რეფორმა, რომელიც სწორედ ამ ორგანოს განკარგულებით ტარდებოდა, შეუთავსებელი იყო თავადურ-მემამულური მიწათმფლობელობის ხელშეუხებლობის პრინციპთან. ლევან დადიანიც ხვდებოდა ყოველივე ამას და გამომდინარე აქედან, არ სჯეროდა რუსი გენერლის ესოდენ უხვი დაპირებებით აღსავსე სიტყვებისა. ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ სამეგრელოს მთავარი ატარებდა ორმაგ პოლიტიკას<sup>43</sup> და საგარეო ორიენტაციის საკითხში ერთდროულად მერყეობდა თურქეთსა და რუსეთს შორის. ამის შესახებ იმერეთის მმართველი ი. კურნატოვსკი 1820 წლის 17 იანვრის მოხსენებაში ი. კელიამინოვისადმი წერდა: „...ის, რომ მთავრებმა დადიანმა და გურიელმა იმერლებთან ერთად გაუგზავნეს წერილები თურქეთის სულთანს და აღექმანდრე ბატონიშვილს (საუბარია აღექმანდრე ერეკლეს ძეზე – ბ.ო.), განსაკუთრებით კი პირველ მათ-

<sup>41</sup> ხვხხა. ფ. 2, ადტ. 1, ს. №906, ფურც. 315.

<sup>42</sup> AKAK, T.VI, ყ. I, დოკ. №758, გვ. 628.

<sup>43</sup> აჯანყებისადმი ლევან დადიანის დამოკიდებულებისა და მასში სამეგრელოს მთავრის მონაწილეობის საკითხი ცალკე კვლევის საგანია და ამჯერად მას ჩვენ შეგნებულად არ ვეხებით.

განს, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია“<sup>44</sup> ეს უკანასკნელი სა-გარეო ფაქტორი ძალზე აშფოთებდა რუს გენერლებს, რაც კარგად ჩანს იმავე მოხსენებიდან, როცა ო. კურნატოვსკი წერს: „...მიუხედავად იმისა, რომ ჩემს განკარგულებაში არსებულ ჯარებში ყველგან მიღებულ იქნა უსაფრთხოების შესაძლო ზომები, იმერლების საყოველთაო ამბოხების და მათთან სამთავროების მფლობელთა, თუნდაც ერთი მათგანის შეერთებისა და მათვის თურქების დახმარების შემთხვევაში, შეუძლებელია არ ვაღიარო, რომ ჩემი მდგომარეობა იქნება უკიდურესად კრიტიკული“<sup>45</sup>

იგივეა აღნიშნული ო. კურნატოვსკის იმავე რიცხვით და-თარიღებულ მეორე წერილში ო. ველიამინოვისადმი. მოხსენებაში ნათქვამია: „...ვბედავ, მოვახსენო თქვენს აღმატებულებას, რომ ჩემი და ჩემს დაქვემდებარებაში მყოფი ჯარის მდგომარეობა მეტად კრიტიკულია. იმ შემთხვევაში, თუ იფეთქებს ამბოხება, მაშინ ჯარის მიერ დაკავებული ზოგიერთი პუნქტების შენარჩუნება შეუძლებელი იქნება“<sup>46</sup> ის, რომ ამ დროს რუსეთის წინააღმდეგ მართლაც არსებობდა მასშტაბური შეთქმულება, მკაფიოდაა ნაჩვენები იმავე ავტორის მიერ, როცა იგი წერს იმერეთში, სამეგრელოსა და გურიაში შექმნილი ვითარების შესახებ, რომელიც მეტად არასახარბიერო იყო ცარიზმისთვის. „...მიუხედავად ყველა ჩემი (ო. კურნატოვსკის – ბ.ო.) ძალისხმევისა და მცდელობისა, თავიდან ამეცილებინა მათი ბოროტი ზრახვები, რომლებიც შესაძლოა დიდი ხნის მანძილზე მბუუტავ მათ სულებში დაიბადნენ და ამ მხრივ გამონაკლისს არც სასულიერო უხუცესები წარმოადგენდნენ და რომელმაც თავი იჩინა მიმდინარე საეკლესიო რეფორმის დროს, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ შეთქმულება რუსეთის ქვეშევრდომობიდან თავის დაღწევის მიზნით სინამდვილეში არსებობს, როგორც ამაში ზოგიერთი რამდენადმე კეოილგანწყობილი თავადი და აზნაური მე მარწმუნებს, მაგრამ ყოველივე ეს ისეა შენიღბული, რომ ისინიც ბოლომდე და პირდაპირ არ იხსნებიან, არამედ ამბობენ, რომ თვითონაც ამას ხვდებიან... შეთქმულება მათი იძენად დაფარული და საყოველთაოა, რომ

<sup>44</sup> ს. ც. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 348.

<sup>45</sup> ს. ც. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 348-349.

<sup>46</sup> ს. ც. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 561.

არა მყავს ვინმე ერთგული კაციც კი, რომელსაც დავეყრდნობოდი და შევძლებდი მის გაგზავნას დაზვერვის მიზნით ახალციხეში ან სხვა ადგილებში“<sup>47</sup>

ამ თვალსაზრისით ასევე საინტერესოა ი. კურნატოვსკის 1820 წლის 5 თებერვლის მოხსენება ი. ველიამინოვისადმი. იგი წერდა ამ უკანასკნელს, რომ მან უამა გადასცა მისგან გამოგზავნილი ძვირფასი ბეჭედი და წერილი თავად ქაიხოსრო წერეთელს, რომელიც კმაყოფილი დარჩა ასეთი ყურადღებით და პირად საუბარში რუსი გენერლისთვის, რომელიც კიდევ პირდებოდა მას სხვა ჯილდოს მთავრობისთვის დამატებით გაწეული სამსახურის შემთხვევაში, განუცხადებია: „...ის, რომ იმერლებს დანამდვილებით გადაწყვეტილი აქვთ იარაღის აღმართვა რუსეთის ჯარის წინააღმდეგ და რომ მათთან შეთანხმებულია სამეგრელოს მთავარიც, უჭვს გარეშეა, ხოლო რაც შეეხება გურიელის განწყობას, ეს მისთვის უცნობია“<sup>48</sup> საინტერესოა, ჩვენს მიერ აღნიშნულ მოვლენებში რა ადგილი ეყავა აფხაზეთს. ზემოთ მოტანილ დოკუმენტში ამ თვალსაზრისით არის ერთი მნიშვნელოვანი ადგილი, სადაც ი. კურნატოვსკი წერს: „...ასევე გუშინ გაემგზავრა აქედან (ქუთაისიდან – ბ.ო.) აფხაზეთის მფლობელიც, თავადი გიორგი შერვაშიძე, რომელიც აქ ორ დღეს იმყოფებოდა. მან განმიცხადა მე, რომ მისთვის ცნობილია იმერლების და დადიანის განზრაპვის შესახებ, ხოლო თავის მხრივ ცდილობდა ჩემს დარწმუნებას საკუთარ ურყევ ერთგულებაში რუსეთის ტახტისადმი და აღმითქვამდა მზადყოფნას, რომ აფხაზებთან ერთად იმოქმედებდა ჩვენს მხარეზე...“ შემდეგ რუსი გენერალი გამოოქვამს თავის ვარაუდს, თუ რა შეიძლება ყოფილიყო შარვაშიძის ასეთი პოზიციის მიზეზი. „...შესაძლებელია სინამდვილეში მას არ ჰქონდა განზრანული ეღალატა ჩვენთვის, რამეთუ საკუთარი განცალკევებულობის გამო, სრულიად ყოველგვარი სიძნელეების განცდის გარეშე, დებულობს მნიშვნელოვან ჯამაგირს, რომლითაც სარგებლობას სხვა მთავრები მოკლებულნი არიან. მაგრამ, როგორც მის და-

<sup>47</sup> ხელსა. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 560-562.

<sup>48</sup> ხელსა. ფ. 2, აღწ. 1, ს. №1008, ფურც. 5; AKAK, თ. VI, გ. I, დოკ. №791, გვ. 575.

ლატს, ასევე ერთგულებასაც, რაიმე მნიშვნელოვანი ზიანის ან სარგებლობის მოტანა ჩვენთვის არ შეუძლია საკუთარ სამფლობელოში მისი უკიდურესი უძლურების გამო...“<sup>49</sup> (მთავრის ამ სისუსტეს განაპირობებდა ასევე აფხაზეთის მოსახლეობის თანაგრძობა ამბოხებულებისადმი – ბ.ო.). საქართველოს ეგზარქოსის-თვის მიწოდებულ ცნობებშიც, რომელიც არც დათარიღებულია და არც ხელმოწერილი, ასევე აღნიშნულია, რომ „...იმერეთი და სამეგრელო ამბოხებისთვის სრულ მზადყოფნაში არიან“.<sup>50</sup>

სწორედ ყოველივე აღნიშნული აიძულებდა ა. ერმოლოვს, მიეცა ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილი დაპირებები სამეგრელოს მთავრისთვის, რითაც ის ცდილობდა განხეთქილება შეეტანა აჯანყებულთა ბანაკში. მაგრამ დადიანის გულის მოგებასთან ერთად რუსი გენერალი მუქარასაც არ ივიწყებდა. ეს ხომ რუსული პოლიტიკის ნაცადი ხერხი იყო. 1820 წლის 3 თებერვალს იგი სამეგრელოს მფლობელისთვის დერბენტიდან გამოგზავნილ წერილში ხაზს უსვამდა საკუთარ წარმატებებს დაღესტნელი ხანების სამთავროთა გაუქმების საქმეში და აღნიშნავდა, რომ „...ასეთივე ბედი ეწევა ყოველთვის ორგულობასა და ღალატს“,<sup>51</sup> რითაც აფრთხილებდა დადიანსაც. იგივე შინაარსის წერილი გაუგზავნა მან გურიელსაც, აღნიშნული დაპირებებითა და მუქარით ა. ერმოლოვმა შეძლო, ოსტატურად ჩამოეცილებინა ორივე მთავარი აჯანყებულებისგან და ისინი მათვე დაუპირისპირა. ამის შემდეგ დადიანი რუსეთის მხარეზე და ამბოხებულთა წინააღმდეგ დადგა.

მართალია, მთელ დასავლეთ საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე ა. ერმოლოვი თავის დღიურებში წერდა, რომ „...საქართველოს ეგზარქოსი იმერეთიდან დაბრუნდა, უფრო სწორედ, გამოიქცა ისე, რომ საეკლესიო მამულების აღწერაც კი ვერ მოასწრო, რითაც მან ამ შემთხვევაში გამოავლინა უკიდურესი სიმხდალე“,<sup>52</sup> მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსეთის ხელისუფლება სამეგრელოს ეკლესიის მიმართ თავისი გეგმების გან-

<sup>49</sup> АКАК, т. VI, ч. I, док. №791, გვ. 575.

<sup>50</sup> ხელის. ფ. 2, აღწ. 1, ს. №1008, ფურც. 9.

<sup>51</sup> ხელის. ფ. 2, აღწ. 1, ს. №906, ფურც. 385.

<sup>52</sup> М. П. Погодин. Алексей Петрович Ермолов. Материалы для его биографии собранные М. Погодиным. М., 1864, გვ. 241.

ხორციელებაზე ხელის აღებას არ აპირებდა. ეს რომ მხოლოდ შესაფერისი დროის საკითხი იყო, კარგად ჩანდა საქართველოს ეგზარქოსის იონას 1823 წლის 10 მაისის წერილიდან გენერალ ა. ერმოლოვისადმი. მასში იგი ეხება წმინდა სინოდის 1821 წლის 19 დეკემბრის უმაღლესი კონფირმაციის მე-7 პუნქტს, რომელ-შიც ნათქვამი იყო: „...პირველი შემთხვევისათვის დაშვებულ იქნას სამეგრელოს მთავრის მზადყოფნა, რომ ამ მხარის სამღვდელოება დამოკიდებული გახადოს ეგზარქოსზე და ეს გაკეთდეს საკუთრივ მისი ვარაუდის თანახმად, მაგრამ ამასთანავე ვეცადოთ, დროის შესაბამისად, თანდათანობით მოვამზადოთ აქაც სასულიერო სფეროს საჭირო მოწყობა მისი სარგებლიანობის ჩაგონების გზით“<sup>53</sup> იგივეა ნათქვამი გენერალ ა. ერმოლოვის 1823 წლის 26 მაისის მიწერილობაში თავად გორჩაკოვისადმი<sup>54</sup>. რუსეთის იმპერიის მეს-ვეურთა მთელი შემდგომი პოლიტიკაც სამეგრელოს სამთავროს სამღვდელოების მიმართ მიზნად ისახავდა სწორედ საეკლესიო ცხოვრების საჯუთარი ინტერესების შესაბამისად მოწყობას.

ამრიგად, თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოაღნიშნულს, მკაფი-ოდ დაგნახავთ, რომ საეკლესიო რეფორმა რუსეთის ხელისუფ-ლების ხელში იყო იარაღი, რომელიც თავიდანვე გახდა პოლიტი-კური დატვირთვის მატარებელი და მის უმთავრეს მიზანს წარმო-ადგენდა სამეგრელოს ავტონომიის გაუქმებისათვის ნიადაგის მომ-ზადება და დანარჩენ საქართველოსთან ერთად რუსეთის იმპერი-ასთან თანდათანობით შერწყმა. მაგრამ ამ გზაზე ყველაზე ვერა-გული და საშინელი, რეფორმის სოციალურ-ეკონომიკურ შედეგე-ბთან შედარებით, იყო ის, რომ საფრთხე ემუქრებოდა ქართველთა სულიერების საწყისსა და საფუძველს – მის ენას, რომელიც იღვნე-ბოდა ეკლესიიდან, იმ ნავსაყუდელიდან, სადაც ყველა დროსა და ძნელბედობის ჟამს თავს აფარებდა ქართული ეროვნული სული. სწორედ ამიტომ ცდილობდა რუსეთის იმპერია ამ ნაციონალური კერის მოშლას, მაგრამ ჩვენი ერის თავგანწირულმა ბრძოლამ და ძალისხმევამ რუსი იმპერიალისტები კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ მათ ამ მზაკვრულ გეგმებს განხორციელება არ ეწერა.

<sup>53</sup> AKAK, т. VI, ч. I, док. №578, გვ. 433.

<sup>54</sup> AKAK, т. VI, ч. I, док. №905, გვ. 633-634.

**Б. Т. ОДИШАРИА**

**ЦЕРКОВНАЯ РЕФОРМА И ПОЛИТИЧЕСКАЯ ЦЕЛЬ  
РОССИИ В ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ (1815-1820гг.)**

В статье освещена церковная реформа, проводимая в 1819-1820 годах в Западной Грузии. В ней подчеркивается, что самым опасным и настораживающим внешним выражением этого мероприятия, наряду с другими изменениями социально-экономического характера, являлось вытеснение грузинского языка, на котором грузинский народ на протяжении многих веков возносил молитву и восхвалял Господа Бога, из церкви, где вместо него внедрялся русский. Проведение церковной реформы в Имерети, Мегрелии и Гурии в 1819-1820 годах, вызвавшая всеобщее негодование в Западной Грузии, было побуждено имперскими устремлениями российских властей. Проведением церковной реформы имперская администрация грубо вмешивалась во внутренние дела пока еще автономных княжеств. Это было неслучайным, так как представители российского государства с самого начала думали вырвать из рук мегрельского князя Левана Дадиани управление церквию – мощный рычаг собственной независимости и подчинить ее своим политическим интересам, а именно, создать предпосылки для упразднения автономии Мегрельского княжества и постепенного слияния ее, наряду с другими частями Грузии, с Российской империей.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება  
აფხაზეთის ორგანიზაცია  
საისტორიო ძეგლი, 7, 2004

## ბეჭან ხორავა

### რუსეთის მიერ დასავლეთ კავკასიის დაპყრობა და ავხაზეთი

1859 წლის აგვისტოში დამთავრდა კავკასიის ომის (1817-1864) ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი: რუსეთმა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასია – ჩეჩენეთ-დაღესტანი დაიპყრო. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში ომის დამთავრებისთანავე მთიელები დარწმუნდნენ, რომ რუსეთთან ბრძოლის განახლება უაზრობა იყო და გადაწყვიტეს, გაცლოდნენ მათვის მიუღებელ ახლად დამყარებულ კოლონიურ რეჟიმს. ჩეჩენებისა და დაღესტანელების ნაწილი, ასევე მცირე რაოდენობით ოსები, სულ 100 ათასამდე მოიელი თურქეთში გადასახლდა.

რუსეთის მიერ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ, ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდნენ დასავლეთ კავკასიის მთიელები – მრავალრიცხოვანი ადილური ტომები და აბაზური თემები. ამიტომ რუსეთის სარდლობამ აქეთკენ გადმოისროლა 200-ათასანი კავკასიის არმიის ძირითადი ნაწილები. ალექსანდრე II (1855-1881) სარდლობისაგან მოითხოვდა, რომ კავკასიის ომი, რომელიც ნახევარი საუკუნის მანძილზე გაიწელა და უზარმაზარ სახსრებს ნოქავდა, მალე დაემთავრებინათ. ომში სწრაფი გამარჯვება რუსეთს სჭირდებოდა აგრეთვე ეპროპის თვალში ყირიმის ომში (1853-1856) დამარცხებით შერყეული ავტორიტეტის აღსაღენად<sup>1</sup>.

ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მთიელთა ბრძოლის მეთაურის შამილის დანებებამ დიდი გავლენა მოახდინა დას. კავკასიის მთიელებზე. 1859წ. ნოემბერში რუსებს დამორჩილდნენ აბაზები. დანებდა დას. კავკასიის მთიელთა ბრძოლის ერთ-ერთი მე-

<sup>1</sup> Р. Фадеев. Письма с Кавказа. СПб, 1865, გვ. 58.

თაური, აბაძეხების წინამდლოლი მუჰამედ ემინი<sup>2</sup>. 1860წ. იანვარში რუსებს დამორჩილდნენ და თურქეთისკენ დაიძრნენ ნათხვაჯები, მახვაშები, ბესლენები<sup>3</sup>. ზაფხულში ამოიწურა აბაზა თემებისთვის მიცემული მოსაფიქრებელი ვადა და ბაშილბაები, ბაღები, ბარაყაელები, ყაზილბეკები, თამები, შახვირების ნაწილი მათოვის დანიშნულ დროს თურქეთში გადასახლდნენ. აძლენად, ვრცელი მხარე მდ. ბელაიასა და მდ. ლაბას შორის მთლიანად გაიწმინდა მოიელებისაგან<sup>4</sup>.

დასავლეთ კავკასიის დაპყრობისათვის ბრძოლაში რუსეთის სარდლობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აფხაზეთს. რუსეთის სარდლობისათვის ნათელი იყო, რომ სანამ მათ აფხაზეთში მხოლოდ სანაპირო ზოლი ეჭირათ, რუსეთის გავლენა ამ მხარეში მტკიცე ვერ იქნებოდა. 1860წ. დამდეგს რუსეთის სარდლობამ ეურადღება გაამახვილა აფხაზეთის ჩრდ. კავკასიასთან დამაკავშირებელი გზის გაყვანაზე, რასაც არა მარტო სამხედრო და ადმინისტრაციული მნიშვნელობა ჰქონდა, ეს იყო მნიშვნელოვანი საშუალება ქვეყნის საბოლოო დაპყრობისათვის. გადაწყდა, პირველ ხანებში, აფხაზეთის სანაპიროდან ფსხუმდე სასაპალნე გზის გაყვანა. იმავდროულად განხორციელდა კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილებისაკენ მიმავალი გზების რეკოგნისცირება<sup>5</sup>. ფსხუმი რუსების გავლენა უმნიშვნელო იყო. ფსხუელები კვლავ ესხმოდნენ თავს აფხაზეთის სოფლებს, რუსულ სიმაგრეებს, მიჰყავდათ ტყვეები. ამიტომ გზის გაყვანა რომ არ შეფერხებულიყო და საბოლოოდ დაემორჩილებინათ ფსხუ, გადაწყდა ექსპედიციის მოწყობა<sup>6</sup>.

1860წ. აგვისტოში აფხაზეთში განლაგებული რუსეთის ჯარების სარდალმა გენერალმა ი. ყორდანოვმა დამსჯელი ექსპედი-

<sup>2</sup> АКАК. Т. XII, ч. II. Тифлис, 1904, №705, გვ. 827-829.

<sup>3</sup> АКАК, т. XII, ч. II, №723, გვ. 844; Т. Макаров. Племя адыгэ. III. – „Кавказ“, 1862, №31.

<sup>4</sup> Р. Фадеев. Письма с Кавказа, გვ. 91; С. Эсадзе. Покорение Западного Кавказа и окончание Кавказской войны. Тифлис, 1914, გვ. 110-111.

<sup>5</sup> А. Л. Зиссерман. Фельдмаршал князь Александр Иванович Барятинский, 1815-1879. Т. II. М., 1890, გვ. 346.

<sup>6</sup> А. Л. Зиссерман. Фельдмаршал..., т. II, გვ. 347.

ცია მოაწყო ფსხუში. მასში აფხაზთა სახალხო ლაშქარიც მონაწილებოდა. იმავდროულად, რუსეთის საბრძოლო ხომალდებმა რეიდი მოაწყვეს ჯიქებისა და უბიხების სანაპიროზე და ისეთი შთაბეჭდილება შექმნეს, თითქოს დესანტის გადასხმას აპირებდნენ. ამ ოპერაციის მიზანი იყო, დაეშინებინათ ჯიქები და უბიხები და ამით აღკვეთათ ფსხუელებისადმი მათი დახმარების შესაძლებლობა. თუმცა ფსხუელებს დახმარების ხელი მაინც გაუწოდეს როგორც სანაპირო ჯიქებმა, ისე მთის თემებმა – აპჭიფსხუმ და აიგამ. მოუხედავად მედგარი წინააღმდეგობისა, ფსხუელები დამარცხდნენ. მათ მორჩილება გამოუცხადეს რუსეთის სარდლობას და მძევლებიც მისცეს<sup>7</sup>. რუსთა დამსჯელმა რაზმებმა არც ჯიქებს აპატიეს ფსხუს დახმარება, რის გამოც არდბას ფეოდალური საგვარულოს ქვეშევრდომები იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ თავიანთი საცხოვრებლები და მთებისათვის შეეფარებინათ თავი<sup>8</sup>.

ფსხუში მოწყობილი ექსპედიციის წარმატებას აფხაზეთის ამ მთის თემში რუსეთის გავლენის გაძლიერება არ მოჰყოლია<sup>9</sup>. ფსხუ კვლავ რჩებოდა რუსეთის მფლობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად.

1860წ. სექტემბერში კავკასიის მეფისნაცვალმა და კავკასიის არმიის მთავარსარდალმა ა. ბარიატინსკიმ (1856-1862), ომის სწრაფად დამთავრებისათვის ღონისძიებების დასახვის მიზნით, ვლადიკავკაზში სამხედრო თაობირი მოიწვია. თაობირზე გადაწყდა, რომ დას. კავკასიის დასამორჩილებლად შეტევა დაეწყოთ მდ. ლაბისა და მდ. ბელაის ზემო წელიდან და მთებიდან შავი ზღვისაკენ გამოედვნათ აბაქები, შავსხუები, უბიხები. მათ მიერ სტავროპოლის გუბერნიის სტეპებში გადასახლებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ისინი თურქეთში გადაესახლებინათ, ხოლო მათ მიწაწყალზე რუსები ჩაესახლებინათ, უმთავრესად კაზაკები. ამის გარეშე, როგორც რუსეთის სარდლობა თვლიდა, კავკასიის

<sup>7</sup> АКАК, т. XII, ч. II, №737, გვ. 859-860; №739, გვ. 861-865; С. Смоленский. Воспоминания кавказца. Экспедиция в Псхоу. – „Военный сборник“, 1872, №9, გვ. 158-168.

<sup>8</sup> АКАК, т. XII, ч. II, №739, გვ. 865.

<sup>9</sup> А. Л. Зиссерман. Фельдмаршал..., т. II, გვ. 347.

დაპყრობა სრული და საბოლოო არ იქნებოდა<sup>10</sup>. ამრიგად, კავკა-სიის სარდლობის გეგმით, დასავლეთ კავკასიის მთიელები უნდა აეყარათ თავიანთი საცხოვრებელი აღგილებიდან და იქ რუსები ჩაესახლებინათ. რუსულ კოლონიზაციას არა მხოლოდ უნდა და-ეგვირგვინებინა ქვეყნის დაპყრობა, არამედ ის თვითონ უნდა ყოფილიყო დაპყრობის ერთ-ერთი მთავარი საშუალება<sup>11</sup>.

იმავე თაობირზე განხორციელდა კავკასიის არმიის რეორ-განიზაცია. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობით და და-სავლეთ კავკასიაში საომარი მოქმედებების მდ. ყუბანის სამხრე-თით, მთიან ზოლში და შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანა-პიროზე გადატანით, კავკასიის „საკორდონო ხაზმა“ მნიშვნელო-ბა დაკარგა. ამიტომ იგი გაუქმდა. კავკასიის ხაზის მარცხნა ფრთა, რომელიც თერგის აუზს მოიცავდა, თერგის ოლქად გარ-დაიქმნა, ხოლო მარჯვენა ფრთა, რომელიც ყუბანის აუზს მოი-ცავდა — ყუბანის ოლქად. ორივე ამ ოლქმა სტავროპოლის გუ-ბერნიასთან ერთად მიიღო სახელწოდება „ჩრდილოეთ კავკასია“. იმავდროულად, კავკასიის სახაზო კაზაკთა ჯარიც გარდაიქმნა: თერგის ოლქში დასახლებულმა სახაზო კაზაკებმა შეადგინეს თერ-გის ოლქის კაზაკთა ჯარი, კავკასიის სახაზო კაზაკთა ჯარის 6 ბრიგადა უნდა დასახლებულიყო ყუბანის ზემო წელიდან შავი ზღვის სანაპირომდე და შერწყმოდა შავი ზღვის კაზაკთა ჯარის, რის შედეგადაც შეიქმნებოდა ყუბანის კაზაკთა ჯარი<sup>12</sup>. ა. ბარია-ტინსკიმ კავკასიის არმიის სარდლობაშიც მნიშვნელოვანი ცვლი-ლებები მოახდინა. დ. მილიუტინის რუსეთის სამხედრო მინისტ-რის ამხანაგად (მოადგილე) დანიშვნასთან დაკავშირებით მან და-ტოვა კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის პოსტი. ამ თანამდებობაზე იგი შეცვალა კავკასიის არმიის მარჯვენა ფრთის სარდალმა გენერალმა გ. ფილიაშონმა. ყუბანის ოლქის უფროსად და ყუბანის ოლქის ჯარების სარდლად დანიშნა მარცხნა ფრთის სარდალი გენერალი ნ. ევდოკიმოვი, რომელმაც დიდი წვლილი

<sup>10</sup> И. С. Кравцов. Кавказ и его военачальники. – „Русская старина“, 1886, т. 50, გვ. 589-591; А. Л. Зиссерман. Фельдмаршал.., т. II, გვ. 371.

<sup>11</sup> Р. Фадеев. Письма с Кавказа, გვ. 76.

<sup>12</sup> И. С. Кравцов. Кавказ и его военачальники, გვ. 585-592.

შეიტანა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობაში. იმავდროულად, იგი დარჩა თერგის ოლქის უფროსად და თერგის ოლქის ჯარების სარდლად. ამრიგად, ა. ბარიატინსკიმ ნ. ევდოკიმოვს დაუმორჩილა მთელი ჩრდილო კავკასია. ის დაინიშნა ასევე შუბანის კაზაკთა ჯარის უძალეს ატამანად<sup>13</sup>.

ამრიგად, 1860 წლის შემოდგომიდან კავკასიის დამორჩილების მთავარ საშუალებად მიჩნეულ იქნა სამხედრო კოლონიზაცია. აქამდე კავკასიელი მთიელების წინააღმდეგ ეწყობოდა ექსპედიციები, ამარცხებდნენ მათ, იმორჩილებდნენ, მაგრამ შემდეგ ისინი კვლავ იბრძოდნენ რუსების წინააღმდეგ. ეს იწვევდა ჯარისკაცთა დიდ მსხვერპლს, ქვეყანა კი დაუმორჩილებელი რჩებოდა<sup>14</sup>. ამიერიდან, გადაწყდა შეეწყვიტათ უშედეგო სამხედრო ექსპედიციები და შედგომოდნენ მთის სისტემურ დასახლებას კაზაკთა სტანიცებით, ხოლო კავკასიელი მთიელები გადაესახლებინათ დაბლობზე ან გაესახლებინათ თურქეთში. რუსთის ხელისუფლება ამ გზით ცდილობდა, კავკასიელი მთიელებისათვის მოესპონ ბუნებრივი თავშესაფარი მთების სახით და დაბლობზე ჩამოსახლებით თავისი ადმინისტრაციის კონტროლისათვის დაექვემდებარებინა ან თურქეთში გადასახლებით შეემცირებინა მათი ხვედრითი წილი ქვეყანაში და დაესუსტებინა ისინი<sup>15</sup>. მოგვიანებით, 1861წ. ოქტომბერში ა. ბარიატინსკი გულახდილად აღნიშნავდა, რომ დასავლეთ კავკასიის მთიელთა გადასახლების მიზანი იყო „Избавить кавказское плоскогорье от населения... и открыть этим самым прекрасные и плодородные места для... казачьего поселения“.<sup>16</sup>

1861წ. იანვარ-თებერვალში რუსებმა საომარი მოქმედებები დაიწყეს კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ კალთებზე, მდ. აფიფსის

<sup>13</sup> **И. С. Кравцов.** Кавказ и его военачальники, გვ. 590-592; **А. Л. Зиссерман.** Фельдмаршал.., т. II, გვ. 351-352; **С. Эсадзе.** Покорение.., გვ. 109.

<sup>14</sup> **А. Берже.** Выселение горцев с Кавказа. – „Русская старина“, т. 33, 1882, №2, გვ. 337-338.

<sup>15</sup> **А. Л. Зиссерман.** Фельдмаршал.., т. II, გვ. 371-374; **А. Берже.** Выселение горцев.., გვ. 337-338.

<sup>16</sup> **Г. А. Дзидзария.** Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия. 2-е дополненное издание. Сухуми, 1982, გვ. 198.

შენაკადის შებშის ზემო წელში მცხოვრები შაფსუღების წინააღმდეგ. მდ. ლაბასა და მდ. ბელაიას შორის მცხოვრები ტომები: აბაძეხები, მახვაშები, ეგრუყვები, თემირგორი ლოიალობას ინარჩუნებდნენ რუსებისადმი. ამით სარგებლობდნენ ეს უკანასკნელნი, კაფავდები ტყეებს, გაჰყავდათ გზები, აგებდნენ სიმაგრეებს. რუსების ასეთმა მოქმედებამ აბაძეხების აჯანყება გამოიწვია. მათ განაახლეს თავდასხმები რუსების დასახლებებზე და ჯარის ნაწილებზე. 6. ევლოკიმოვმა ისარგებლა აბაძეხების მიერ საომარი მოქმედებების განახლებით, გაუქმა 1859წ. მათთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულება და ულტიმატუმი წაუყენა – გადასახლებულიყვნენ ყუბანზე. მაგრამ აბაძეხები დამორჩილებას არ აპირებდნენ. მაშინ, აპრილში, რუსებმა შეუტიეს აბაძეხებს და 20 დღის განმავლობაში ცეცხლითა და მახვილით გაარეს მდ. ლაბას შენაკად ხომსა და მდ. ბელაიას შორის ტერიტორია. აბაძეხები, მახვაშები, ეგრუყვები მთებში ეძებდნენ თავშესაფარს. ივნისში მდ. ბელაიას მთელ სიგრძეზე მისი ორივე ნაბირი რუსების ხელში იყო, თუმცა აბაძეხები წინააღმდეგობას არ წყვეტდნენ<sup>17</sup>.

დასავლეთ კავკასიის მთიელებმა დაინახეს, თუ რა საშიშროებაც ემუქრებოდათ და უფრო მტკიცედ შეკავშირება გადაწყვიტეს. 1861წ. ივნისში მდ. სოჭის ხეობაში უბიხების ინიციატივით დას. კავკასიის მთიელ ტომთა წარმომადგენლები შეიკრიბნენ. მათ გადაწყვიტეს შეექმნათ მტკიცე კავშირი, ხოლო მისი მართვისათვის აირჩიეს 15 პირისაგან შემდგარი საბჭო, რომელსაც მეჯლისი ეწოდა. მასზე დაქვემდებარებული ტერიტორია 12 ოლქად დაიყო. თითოეულ ოლქში იყო მუფტი, ყადი და მამასახლისი. გარეგნულად ეს ორგანიზაცია იმამატის სისტემას ჰგავდა, მაგრამ მას არ ჰქონდა მკვეთრად გამოხატული თეოკრატიული ხასიათი<sup>18</sup>. მთიელები არ დაკმაყოფილდნენ შინაგანი ორგანიზაციის მოწყობით. ისინი ეძიებდნენ თურქეთისა და ინგლისის დახმარებას. აგვისტოში მეჯლისის წევრებმა, უბიხების ერთ-ერთმა

<sup>17</sup> Р. Фадеев. Письма с Кавказа, გვ. 97-100; А. Л. Зиссерман. Фельдмаршал.., т. II, გვ. 395-396.

<sup>18</sup> С. Эсадзе. Историческая записка об управлении Кавказом. Т. I. Тифлис, 1907, გვ. 49; История СССР с древнейших времен до наших дней. Т. IV. М., 1967, გვ. 436.

წინამდლოლმა კერძნტუხ ბარზეგმა და იზმაილ ბარაყაი-იფა ძიაშ-მა წერილით მიმართეს ინგლისის კონსულს სოხუმში დიკსონს. მას სოხოვეს თავისი მთავრობისათვის ეცნობებინა რუსეთის ჯარის მიერ ჩერქეზთა წინააღმდეგ მიმართული აგრესის შესახებ და გამოსარჩლება ითხოვეს<sup>19</sup>.

1861წ. სექტემბერში კავკასიაში, საომარი მოქმედებების ზონაში ჩავიდა ალექსანდრე II. 18 სექტემბერს იმპერატორს შეხვდნენ დასავლეთ კავკასიის მთიელ ტომთა — აბაძებების, შავსულების, უბინების და სხვათა წარმომადგენლები. მათ იმპერატორს სოხოვეს მიეღო ისინი თავის ქვეშევრდომად და თავიანთ მიწაწყალზე დაეტოვებინა. მაგრამ იმპერატორმა მათ კატეგორიულად განუცხადა, რომ ერთ თვეს აძლევდა მოსაფიქრებლად: გადასახლებულიყვნენ ყუბანისპირა დაბლობზე, სადაც სამუდამო მფლობელობაში მიიღებდნენ მიწებს, შეინარჩუნებდნენ თავიანთ სახალხო წყობილებასა და სასამართლოს, ან გადასახლებულიყვნენ თურქეთში<sup>20</sup>.

მთიელებისთვის ნათელი იყო, რომ ყუბანსა და ლაბაზე გადასახლებით ისინი დაკარგავდნენ დამოუკიდებლობას და თავისუფლებას, რომლითაც სარგებლობდნენ მოუვალ მთებში. მათ დიდ ნაწილს არც თურქეთში გადასახლების გაგონება სურდა. მათ არ მიიღეს იმპერატორის წინადადება და ნოემბრიდან ომი კვლავ განახლდა. რუსეთის სარდლობა ყუბანის ქვემო წელზე, ნათხვაჯებისა და შავსულების მიწაწყალზე ინტენსიურად ასახლებდა კაზაკებს, ხოლო ნათხვაჯებს საცხოვრებლად განესაზღვრათ მიწები ყუბანის გაყოლებაზე<sup>21</sup>. 1861 წლის გაზაფხულიდან 1862 წლის

<sup>19</sup> С. Эсадзе. Историческая записка..., გვ. 49; С. К. Бушуев. Из истории внешнеполитических отношений в период присоединения Кавказа к России (20-70-е годы XIX в.). М., 1955, გვ. 94.

<sup>20</sup> Записки М. Я. Ольшевского. Кавказ с 1854 по 1866 гг. – „Русская старина“, 1895, т. 84, №10, გვ. 141; В. Солтан. Военные действия в Кубанской области с 1861-го по 1864-й год. – „Кавказский сборник“, т. V. Тифлис, 1880, გვ. 355-359; С. Эсадзе. Покорение..., გვ. 119; История СССР, т. IV, გვ. 437.

<sup>21</sup> Записки М. Я. Ольшевского, გვ. 144-145; Р. Фадеев. Письма с Кавказа, გვ. 92-93.

გაზაფხულამდე ყუბანის ოლქში კაზაკთა 35 სტანიცა გაჩნდა<sup>22</sup>.

1861 წლის დეკემბერი – 1862 წლის იანვარ-ოქტომბერვალში რუსეთის ჯარის ნაწილები დაკავებული იყვნენ მომავალი საომარი მოქმედებებისათვის მზადებით – ტყის გაჩეხვით, გზების გაყვანით. 1862წ. მარტში განახლდა შეტევითი ოპერაციები, რომლის მსგავლელობაშიც, დაიკავს დახოს თემი და მდ. ქურჯიფსის ხეობა, სტრატეგიული მნიშვნელობის ქვის ხიდი მდ. ბელაიაზე, ფშეხას თემი. ამით, ივლისში დამთავრდა საომარი მოქმედებები და ჯარები გამოსაზამთრებლად მზადებას შეუდგნენ. მთიელებს არ ჰყავდათ საერთო მეთაური, ამიტომ მათ მოქმედებებს ეფექტურობა აკლდა<sup>23</sup>.

დასავლეთ კავკასიაში საომარი მოქმედებების მსვლელობაში რუსეთის ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა აფხაზეთის ფაქტორს და მიხეილ შარვაშიძის როლს. 1862 წლის აპრილში ა. ბარიატინსკი სამხედრო მინისტრს, გენერალ-ადიუტანტ დ. მილიუტინს წერდა: „მიხეილ შარვაშიძის „გავლენა აფხაზეთში და მეზობელ ტომებზე, როგორც ჩემთვის ცნობილია, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია... ამიტომ ამ კაცის კეთილდად განწყობა ჩვენს მიმართ ძალზე საჭიროდ მიმაჩნია“.<sup>24</sup> მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთი რუსეთის შემადგენლობაში დიდი ხნის შესული იყო, რუსეთის ხელისუფლება აქ საკმაოდ შეზღუდული იყო და მხოლოდ რუსთა ჯარის მიერ დაკავებულ პუნქტებზე ვრცელდებოდა. სამთავროს საშინაო მმართველობა მთავრის ხელში იყო. კავკასიის რუსული ადმინისტრაციისათვის ნათელი იყო, რომ აფხაზეთში რუსეთის ხელისუფლების განმტკიცება დასავლეთ კავკასიაში რუსეთის მფლობელობის დამყარების პვალად მოხდებოდა<sup>25</sup>. ეს კარგად იცოდა მიხეილ შარვაშიძემაც. რუსეთის სარდლობა ფიქრობდა, რომ აფხაზეთის მთავარი, რომელიც დიდი პატივისცემით სარგებლობდა დას. კავკასიის მთიელ ტო-

<sup>22</sup> Письма начальника главного штаба Кавказской армии А. П. Карцова к кн. А. И. Барятинскому. – „Русский архив“, кн. II. М., 1889, გვ. 459; Р. Фадеев. Письма с Кавказа, გვ. 96.

<sup>23</sup> И. Дроздов. Из Кубанской области. – „Кавказ“, 7 марта 1863г., №19.

<sup>24</sup> А. Л. Зиссерман. Фельдмаршал.., т. II, გვ. 389.

<sup>25</sup> А. Л. Зиссерман. Фельдмаршал.., т. II, გვ. 347-348.

მებს – ჯიქებს, უბიხებს, შაფუსულებს, აბაძეხებს და სხვ. შორის, ფარულად უჭერდა მხარს მათ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის. მან კარგად იცოდა, რომ დას. კავკასიის ტომების რუსეთისადმი დამორჩილების შემდეგ მის ხელისუფლებასაც ბოლო მოეღებოდა<sup>26</sup>. ამიტომაც იყო, რომ მიხეილ შარვაშიძე კეთილგანწყობით არ უცქერდა აფხაზეთის დაუმორჩილებელი მთის თემების გავლით ჩრდ. კავკასიისაკენ გზის გაყვანას<sup>27</sup>.

1862 წლის დამდეგს რუსეთის ჯარის ნაწილები უკვე კავკასიონის ქედის ძირში გამოჩნდნენ, უბიხების მიწა-წყალთან სულ ახლოს. ეს ფაქტი მეჯლისის საგანგებო შეკრების მიზეზი გახდა 1862წ. ივნისში. მეჯლისმა დაადგინა: სტამბოლში, პარიზსა და ლონდონში ელჩობის გაგზავნა დახმარების თხოვნით; ტუაფსესა და ადლერს შორის მცხოვრებ მოსახლეობას ხარჯების ასანაზღაურებლად დაკისრებოდა ფულადი გადასახადი (კომლზე 50 კაპ.); საღვთო ომის – დაზავათის გამოცხადება; აბაძეხების დასახმარებლად მებრძოლების გაგზავნა და ასეთივე დახმარების მოხოვნა ჯიქებისაგან, რომლებიც გულგრილად შესცქეროდნენ დას. კავკასიის მთიელთა ტრაგედიას<sup>28</sup>.

1862 წლის ივნისში აბაძეხებმა და შაფუსულებმა ერთხელ კიდევ სცადეს რუსეთის ჯარების შეჩერება. მათ დასახმარებლად 5 ათასი უბიხიც მოვიდა. ივნის-ივლისში სასტიკი ბრძოლები გაიმართა, მაგრამ მთიელები კვლავ დამარცხდნენ, თუმცა ისინი ამის შემდეგაც არ წყვეტდნენ წინააღმდევობას<sup>29</sup>. იმავდროულად, მეჯლისის დეპუტაცია იზმაილ ბარაფაი-იფა ძიაშის მეთაურობით სტამბოლს და ევროპის რიგ სახელმწიფოებს ეწვია დახმარების თხოვნით, მაგრამ უშედეგოდ. 1862წ. მიწურულს მთიელთა დეპუტაცია პოლონელ რევოლუციონერთან, დასავლეთ კავკასიის მთიელების გვერდით მებრძოლ თეოფილ ლაპინსკისთან ერთად ლონდონში წარუდგა ინგლისის პრემიერ-მინისტრს ლორდ პალმერს-

<sup>26</sup> С. Смоленский. Воспоминания кавказца. – „Военный сборник“, 1874, №5, გვ. 403.

<sup>27</sup> С. Смоленский. Воспоминания кавказца, გვ. 404.

<sup>28</sup> С. Эсадзе. Историческая записка.., გვ. 50.

<sup>29</sup> А. Л. Зиссерман. Фельдмаршал.., т. II, გვ. 397; С. Эсадзе. Историческая записка.., გვ. 50.

ტონს და რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ დახმარება სთხოვა. ო. ლაპინსკიმ მგზნებარე სიტყვით მიმართა პრემიერ მინისტრს. მისი აზრით, ევროპა გულგრილი მაყურებელი არ უნდა დარჩენილიყო იმ ტრაგედიის, რაც კავკასიაში ხდებოდა; საჭირო იყო ენერგიული ზომების მიღება და რუსეთის ძალების პარალიზება. ევროპას რამე უნდა ეღონა, რომ რუსეთის ძალები დაექსაგნა სამხრეთში და ამით განადგურებისაგან ეხსნა კავკასიელი მოიელები. ამ საქმეში ო. ლაპინსკი დიდ იმედებს ამყარებდა ინგლის-ზე, რომელიც რუსეთის მოქიშპე იყო „აღმოსავლეთის საკითხში“. პალმერსტონმა ყურადღებით მოისმინა მგზნებარე სიტყვები, მაგრამ იგი კარგად ხედავდა, რომ კავკასიაში რუსეთის წინსვლის შეჩერება შეუძლებელი იყო, ამიტომ დეპუტაციას დახმარებაზე უარი უთხრა<sup>30</sup>.

1863წ. თებერვალში კავკასიაში ჩამოვიდა ახალი მეფის-ნაცვალი და კავკასიის არმიის მთავარსარდალი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი (1862-1881). 14 თებერვალს მას სტავროპოლიში დახვდნენ მეფისნაცვლის და კავკასიის არმიის მთავარსარდალის მოვალეობის შემსრულებელი გრიგოლ ორბელიანი, მთავარი შტაბის უფროსი ა. კარცოვი, ფუბანის ოლქის უფროსი ნ. ევდოკიმოვი, თერგის ოლქის უფროსი დ. სვიატოპოლკ-მირსკი და სხვა მაღალიჩინოსნები. მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვმა დაათვალიერა ჯარები, საომარი მოქმედებისა და კაზაკთა ჩასახლებისათვის განსაზღვრული ადგილები და კმაყოფილი დარჩა. 26 მარტს ის თბილისში ჩამოვიდა<sup>31</sup>.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში ნ. ევდოკიმოვმა გააგრძელა ა. ბარიატინსკის დროს მიღებული გეგმის განხორციელება, რაც გულისხმობდა მთიელების თანდათან შევიწროებას და კაზაკთა დასახლებების წაწევას მთებისაკენ, რასაც უნდა აეძულებინა მთიელები გადასახლებულიყვნენ დაბლობზე. მდ. ბელაიადან მდ. ადაგუმამდე ტერიტორიაზე განხორციელებული შეტევითი ოპერაცი-

<sup>30</sup> А. Гарсеванов. Страница из недавняго прошлого Абхазии (Из истории борьбы абхазцев с русскими). – Газ. „Закавказье“, 23 апреля 1910г., №89; С. Лакоба. Очерки политической истории Абхазии. Сухуми, 1990, გვ. 22.

<sup>31</sup> Д. А. Милютин. Воспоминания. 1863-1864. Под редакцией доктора исторических наук, профессора Л. Г. Захаровой. М., 2003, გვ. 344-345.

ების მსვლელობაში, ადაგუმას რაზმს (გენერალ-მაიორი პ. ბაბიჩი) უნდა აემულებინა ნათხვაჯები, რომლებმაც ჯერ კიდევ 1861წ. გა-მოაცხადეს მორჩილება, მთებიდან გადასახლებულიყვნენ მათთვის განსაზღვრულ ადგილებში, ხოლო მათ მიწა-წყალზე 8 კაზაკთა სტანიცა შეექმნათ; ფშეხას (გენერალ-მაიორი პ. ზოტოვი) და და-ხოს (პოლკ. კ. გეიმანი) რაზმებს უნდა გაეწმინდათ მდ. ბელასასა და მდ. ფშიშს შორის ტერიტორია მათი ზემო წელის ჩათვლით, აյ კაზაკთა 12 სტანიცა მოეწყოთ და ამით ზაფხულში დაემთავ-რებინათ საომარი მოქმედებები ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში<sup>32</sup>.

1863წ. დასაწყისში რუსეთის ჯარებმა საბოლოოდ მოაქცი-ეს ბლოკადაში აბამეხები. მბიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი აბა-მეხები შეეცადნენ, მოლაპარაკებოდნენ რუსებს, მაგრამ სარდლო-ბამ მათ ულტიმატუმი წაუყენა — გადასახლებულიყვნენ ყუბანზე ან თურქეთში წასულიყვნენ<sup>33</sup>. აბამეხებს საშობლოს დატოვება არ სურდათ. აპრილში რუსები მათ მიწა-წყალზე შეიჭრნენ. რო-დესაც აბამეხებმა ნახეს, რომ რუსეთის ჯარს უკან მოყვებოდა რუს მოახალშენეთა ურიცხვი ტრანსპორტი და ისინი იკავებდნენ მათ სახლებს, სრულებით დაეცნენ სულიერად, რადგან მიხვდნენ, რომ ერთადერთი გზა დარჩენდათ — თურქეთში წასვლა. აბა-მეხებმა ნ. ევლოკიმოვს სოხოვკას, ხელი არ შეეშალა მათთვის თურქეთში წასვლაში, რაზეც ამ უკანასკნელმა, პირიქით, დახმა-რებაც აღუთქვა<sup>34</sup>. იმავდროულად, რუსები შეტევას აწარმოებდ-ნენ შავი ზღვის სანაპირო ზოლში შაფსულების წინააღმდეგ.

ასეთ ვითარებაში, მთელებთან კვლავ გამოჩნდნენ თურქე-თის ემისრები, რომლებიც დაუინებით ურჩევდნენ, არ დამორჩი-ლებოდნენ რუსეთის ხელისუფლებას, რადგან სულ მაღლ ევროპა ომს დაიწყებდა რუსეთის წინააღმდეგ და თურქეთის ჯარები მთი-ელების დასახმარებლად მოვიდოდნენ<sup>35</sup>.

<sup>32</sup> Д. А. Милютин. Воспоминания, გვ. 346.

<sup>33</sup> Р. Фадеев. Письма с Кавказа, გვ. 124-126; А. Лилов. Последние годы борьбы русских с горцами на Западном Кавказе. — „Кавказ“, 1867, №8.

<sup>34</sup> И. С. Кравцов. Кавказ и его военачальники. — „Русская старина“, т. 51, 1886, გვ. 121.

<sup>35</sup> П. И. Ковалевский. Завоевание Кавказа Россией. Исторические очерки. СПб, 1914, გვ. 332.

1863წ. გაზაფხულზე ევროპა ახალი ომის საშიშროების წინაშე დადგა პოლონეთის კრიზისის გამო. იანვარში პოლონეთში აჯანყება დაიწყო, რამაც დაძაბა პოლიტიკური სიტუაცია ეპროპაში. ეს დაძაბულობა შეიძლებოდა რუსეთის წინააღმდეგ ომში გადაზრდილიყო, თუ ევროპის წამყვანი სახელმწიფოები შეძლებდნენ შეთანხმებას და პოლონეთის მხარდასაჭერად კოალიციას შექმნიდნენ. ნაპოლეონ III-ის მცდელობა, დაეყოლიებინა ლონდონისა და ვენის კაბინეტები რუსეთის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებაზე, განსაკუთრებით ინტენსიური აპრილ-ივლისში გახდა<sup>36</sup>.

ევროპული ომის საშიშროებასთან დაკავშირებით, გაზაფხულზე მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვმა დ. მილიუტინს კავკასიის არმიის გაძლიერება სთხოვა. სამხედრო მინისტრმა შეფისნაცვალი დაამშვიდა, რომ ეს აუცილებელი არ იყო. დიდი მთავარი ფიქრობდა, რომ ომის შემთხვევაში მისი ერთ-ერთი ასპარეზი შავი ზღვის აკვატორია გახდებოდა, სადაც ერთ-ერთ სუსტ წერტილად კავკასიის სანაპირო, სახელდობრ, აფხაზეთი მიაჩნდა. კავკასიის არმიის მთავარსარდლის აზრით, აფხაზების ნდობა არ შეიძლებოდა და აქედან გამომდინარე, აფხაზეთში ჯარის დატოვება საშიში იყო; თუ ჯარის გამოყვანის საჭიროება დადგებოდა, გზები სასურველ მდგომარეობაში არ იყო. დ. მილიუტინმა მას შესთავაზა წებელდა აერჩია საყრდენ ბაზად, თუ სანაპირო ზოლიდან ჯარის გამოყვანა გახდებოდა საჭირო. თავიდან მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი ამ აზრის წინააღმდეგი იყო, მაგრამ, შეძლებ, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს, გენერალ-ლეიტენანტ დ. სვიატოპოლკ-მირსკის დააკალა პირადად შეერჩია წებელდაში ბაზის მოსაწყობი ადგილი, დაუთვალიერებინა აფხაზეთიდან ჩრდ. კავკასიაში გადასასვლელი გზები და მოემზადებინა წინადადებები მათ მოსაწესრიგებლად. იმავდროულად, მან თბილისში დაიბარა ნ. ევფოკიმოვი ფუბანის ოლქის ზღვიდან დაცვის შესახებ გეგმის განსახილველად<sup>37</sup>.

1863წ. ზაფხულში ადაგუმას, ფშეხას, დახოს რაზმები აგ-

<sup>36</sup> Д. А. Милютин. Воспоминания, გვ. 38-70, 190-201; В. Г. Ревуненков. Польское восстание 1863 г. и европейская дипломатия. Л., 1957, გვ. 70-92.

<sup>37</sup> Д. А. Милютин. Воспоминания, გვ. 350.

რძელებდნენ საომარ მოქმედებებს შაფსუღების, ნათხვაჯების, აბა-ძეხების წინააღმდეგ, გაჰყავდათ გზები, განაგრძობდნენ სტანიცე-ბის მოწყობას<sup>38</sup>. როგორც დაგეგმილი იყო, ზაფხულის განმავ-ლობაში ყუბანის მხარეში 20 ახალი სტანიცა შეიქმნა, რის შე-დეგადაც კაზაკთა 2 პოლკი ჩამოყალიბდა. სულ, 1860 წლიდან 1863 წლის ჩათვლით, ყუბანის ოლქში 58 სტანიცა დაფუძნდა არანაკლებ 10 ათასი ოჯახით<sup>39</sup>.

ასეთ ვითარებაში, პოლონური მოძრაობის ხელმძღვანელებ-მა ლონდონსა და სტამბოლში გადაწყვიტეს პოლონეთისათვის სასარგებლო დივერსიისათვის წაექეზებინათ კავკასიელი მთიე-ლები. დაიწყო ფულის შეგროვება კავკასიაში იარაღისა და დამ-ხმარე ძალის გასაგზავნად, რითაც ცდილობდნენ რუსეთი გამო-ეწვიათ კონფლიქტზე. არ გამორიცხავდნენ პროვოკაციულ ნაბიჯ-საც, სამხედრო ხომალდის გაგზავნას კავკასიის სანაპიროზე ჩერ-ქეზთა დროშით, მათი დამოუკიდებლობის დემონსტრაციის ნიშ-ნად. ამ მიზნით, ნიუკასლში დაიქირავეს შხუნა „ჩესაპიკი“ და ია-რაღით დატვირთეს. 5 სექტემბერს „ჩესაპიკი“ ინგლისის დრო-შით ტრაპიზონის ყურეში შევიდა. რუსეთის გენერალურმა კონ-სულმა ტრაპიზონში ა. მოშნინმა, რომლისთვისაც ცნობილი გახ-და ეს ფაქტი, თავის ბრიტანელ კოლეგას სტივენს მიმართა თხოვნით, ხელი შეეშალა ამ კონტრაბანდული რეისისთვის. იმავ-დროულად, ბათუმის მახლობლად გამოჩნდა რუსეთის ფლოტის ორი კორვეტი, რომელთაც ხელში უნდა ჩაეგდოთ „ჩესაპიკი“. ეს ფაქტი ცნობილი გახდა ინგლისელებისთვის. სტივენსი შეხვდა „ჩესაპიკის“ კაპიტანს და ურჩია, არ გაერისკა. ტრაპიზონის მახ-ლობლად „ჩესაპიკიდან“ იარაღი თურქელ კანჯოზე გადატვირ-თეს, ხოლო ბრიტანული შხუნა სტამბოლში დაბრუნდა. ა. მოშ-ნინი შეეცადა, დაერწმუნებინა თურქეთის ხელისუფლება, რომ ია-რაღის კონფისკაცია მოეხდინა, მაგრამ უშედეგოდ<sup>40</sup>.

<sup>38</sup> *Известия из Кубанской области.* – „Кавказ“, 8 августа, 1863г., №61; „Кавказ“, 6 октября 1863г., №78.

<sup>39</sup> Д. А. Милютин. Воспоминания, გვ. 354.

<sup>40</sup> Д. А. Милютин. Воспоминания, გვ. 356; Н. С. Киняпина, М. М. Бли-ев, В. В. Дегоев. Кавказ и Средняя Азия во внешней политике России. Вто-рая половина XVIII – 80-е годы XIX в. М., 1984, გვ. 204-206.

სექტემბერში „პოლონელთა კომიტეტმა“ ტრაპიზონიდან შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე იარაღის პარტია და 40-მდე მეტრძლო გაგზავნა. ოურქულმა კანჯომ ყველა წინააღმდეგობა გადალახა და უბისების სანაპიროს, ვარდანეს მიადგა. უბისების, რომლებიც მრავალრიცხოვან არმიას ელოდნენ, მცირე-რიცხოვანი რაზმის დანახვისას იმედები გაუცრუვდათ. სექტემბრის ბოლოს კიდევ გაიგზავნა იარაღის ერთი პარტია ჩერქეზეთში, მაგრამ 3 ოქტომბერს გემი უკან დაბრუნდა და შაფსულების დამარცხების ამბავი ჩამოიტანა. ოქტომბრის ბოლოს ტრაპიზონში უკვე ჩამოვიდნენ გამოქცეული შაფსულები და დაიწყო დასავლეთ კავკასიის მთიელთა მცირე ნაკადებით ოურქეთში გადასახლება<sup>41</sup>.

შემოდგომაზე, პოლონელთის აჯანყებით შექმნილი დაბაბული ვითარება ევროპაში განიმუხტა პარიზის, ლონდონის და ვენის კაბინეტებს შორის შეუთანხმებლობის გამო<sup>42</sup>. დასავლეთში იმ დასკრნამდეც მივიდნენ, რომ რუსეთის წინააღმდეგ კავკასიაში პროვოკაციების გაგრძელება შეუძლებელიც იყო და გაუმართლებელიც. ამის შემდეგ მნიშვნელოვნად შემცირდა ინგლისური სუბსიდიები, ოურქეთიც თავს იკავებდა რუსეთის მიმართ არამეგობრული ნაბიჯებისაგან<sup>43</sup>.

ოქტომბერ-ნოემბერში რუსებმა საბოლოოდ დაიმორჩილეს შაფსულები და დეკემბერში მდ. შაფსუხოს შესართავამდე მიაღწიეს<sup>44</sup>. ამრიგად, 1863 წლის მიწურულს რუსებს ჩრდილო-დასავლეთი კავკასია დაპყრიბილი ჰქონდათ, რჩქილა მხოლოდ კავკასიონის სამხრეთ კალთებისა და შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაპყრობა, სადაც მცირე შაფსულების ნაწილი, უბისები და ჯიქები ცხოვრობდნენ<sup>45</sup>. 1863 წლის 10 დეკემბერს დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანვი სამხედრო მინისტრს წერდა:

<sup>41</sup> Д. А. Милютин. Воспоминания, გვ. 356; Н. В. Берг. Польское восстание в 1863-1864 гг. – „Русская старина“, т. XI, 1897, გვ. 497; Н. С. Киняпина, М. М. Блиев, В. В. Дегоев. Кавказ.., გვ. 206.

<sup>42</sup> Д. А. Милютин. Воспоминания, გვ. 315-321.

<sup>43</sup> Н. С. Киняпина, М. М. Блиев, В. В. Дегоев. Кавказ.., გვ. 207.

<sup>44</sup> Р. Фадеев. Письма с Кавказа, გვ. 128-130; А. Лилов. Последние годы борьбы.; С. Эсадзе. Покорение.., გვ. 156.

<sup>45</sup> Д. А. Милютин. Воспоминания, გვ. 354.

„დასავლეთ კავკასიის საბოლოო დაწყნარება უნდა მოხდეს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე რუსული მოსახლეობის ჩასახლებით. ამ მნიშვნელოვანი სახელმწიფო ორივი ღონისძიების განხორციელება ნავარაუდევია უახლოეს მომავალში. კაზაკთა სტანიცებით დაკავებულია ტერიტორია ყუბანის შესართავიდან ცემენტის ფურემდე, სანაპირო ზოლი უკვე გაწმენდილია მდ. ჯუბის შესართავამდე. გაზაფხულისთვის, დანარჩენ ტერიტორიაზეც, რომელიც განსაზღვრულია კაზაკთა ჩასახლებისათვის იმპერატორის მიერ დამტკიცებული დასავლეთ კავკასიის დასახლების შესახებ დებულებით, არ უნდა დარჩეს მთიელი მოსახლეობა. თუ საგარეო მოვლენებმა ხელი არ შეგვიშალა, მაშინ მომავალი ზაფხულის განმავლობაში ვიმედოვნებ სანაპიროს გაწმენდას მდ. ბზიფამდეც კი, როგორც დებულებითაა განსაზღვრული“.<sup>46</sup>

ამრიგად, ხელისუფლებას გადაწყვეტილი ჰქონდა შავი ზღვის სანაპირო ზოლის მდ. ბზიფამდე კაზაკებით დასახლება. მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი ფიქრობდა აქ ხუტორული მუურნეობის განვითარებას საზღვაო საქმისა და თევზჭერის მიმართულებით<sup>47</sup>.

1864 წლის თებერვალში აბაქების ნაწილი თურქეთში გადასახლდა, ხოლო ნაწილი – მდ. ბელაიას ქვემო წელზე. ცარიზმი, რომელიც კავკასიაში თავისი დამპყრობლური გეგმების განხორციელებისას ადგილობრივ მკვიდრთა გმირულ წინააღმდეგობას შეხვდა, დაცარიელებული ადგილების შეერთებას ამჯობინებდა. ამიტომ ხელისუფლება კი არ ეწინააღმდევებოდა, არამედ ხელსაც უწყობდა ადგილობრივი მოსახლეობის თურქეთში გადასახლებას, რითაც კავკასიის საბოლოო დაპყრობა დაჩქარდებოდა.

რუსეთის ხელისუფლება თვლიდა, რომ კავკასიის ომის სწრაფად დასამთავრებლად საჭირო იყო ენერგიული მოქმედება. ჯერ ერთი, მას აფრთხოებდა 1863 წელს ახალი ევროპული კოალიციის შექმნა, და მეორე, თუ გაზაფხულამდე არ დამთავრდებოდა ომი, შემდეგ შეიძლებოდა იგი გაჭიანურებულიყო, რადგან „ტყე გაიფოთლებოდა, ბალახი ამოვიდოდა, ხორბალი ამოიწვე-

<sup>46</sup> ხელის. ფ. 416, აღწ. 3, ს. 216 – О заселении восточного берега Черного моря, по очищении его от горцев, ფურც. 1.

<sup>47</sup> ხელის. ფ. 416, აღწ. 3, ს. 216, ფურც. 1-8.

რებოდა, ირგვლივ ყველაფერი გამოცოცხლდებოდა და მთიელთა საშუალებებიც გაათკეცდებოდა. ტყეები იქნებოდა მათი თავშესაფარი, საკვები ექნებოდა ადამიანსა და პირუტყვს, ხოლო ზამთარში სურსათის მარაგისა და სოფლების განადგურება მათზე დამღუპველად იმოქმედდა<sup>48</sup>.

1864 წლის ოქტომბერში რუსთის ჯარის ნაწილებმა დაიწყეს კავკასიონის ქედის გადალახვა. ისინი შეტევას აწარმოებდნენ შავი ზღვის სანაპირო ზოლშიც. იმავდროულად, უბისეთისა და ჯიქეთის სანაპიროს რუსთის სამხედრო-საზღვაო ძალების ხომალდებიც მიადგნენ. მარტის დასაწყისში დახოს რაზმმა გენერალ ვ. გეიმანის სარდლობით კავკასიონის ქედი გადალახა, მდ. ტუაფსეს ხეობაში გადავიდა და შავი ზღვის სანაპირო ზოლის გაწმენდას შეუდგა. 18 მარტს ვ. გეიმანმა მდ. გოდლიგხთან დაამარცხა შავსუღები და უბისები და 25 მარტს უბისეთისა და ჯიქეთის საზღვარს მდ. სოჭს მიაღწია. 26 მარტს ვ. გეიმანთან გამოცხადდა ჯიქების ერთ-ერთი წინამდლოლი რეშიდ გეჩი და მორჩილება გამოუცხადა მას<sup>49</sup>.

1864 წლის მარტში კავკასიის მეფისნაცვალი და კავკასიის არმიის მთავარსარდალი მიხეილ რომანოვი ალექსანდრე II-ს წერდა: „Будем действовать осмотрительно, но и решительно, чтобы окончательно очистить все черноморское побережье. Надо ожидать, что большая часть горцев предпочитает выселиться в Турцию, чем перейти на назначенные для них места на Кубани. Дело окончательного покорения восточного берега Черного моря наиболее зависит от быстроты выселения туземцев“.<sup>50</sup>

2 აპრილს კავკასიის არმიის მთავარსარდალი მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვი პირადად ჩავიდა საომარი მოქმედებების ზონაში და – ჯიქებისა და უბისების თემების წარმომადგენლებს,

<sup>48</sup> А. Лилов. Последние годы борьбы..., – „Кавказ“, 1867, №19.

<sup>49</sup> Записки М. Я. Ольшевского, – „Русская старина“, 1895, т. 84, №10, გვ. 158-162; И. С. Кравцов. Кавказ и его военачальники, გვ. 121; В. Солтан, Военные действия..., გვ. 457; С. Эсадзе. Окончание Кавказской войны, – „Кавказ“, 1902, 11 сентября, №240; С. Эсадзе. Покорение.., გვ. 161-163.

<sup>50</sup> Г. А. Дзидзария. Махаджирство.., გვ. 283.

რომელთაგანაც პირადად მიიღო მორჩილების პირობა, ულტიმატუმი წაუყენა – გადასახლებულიყვნენ კუბანზე ან თურქეთში წასულიყვნენ, მათი მიწები კი განსაზღვრული იყო რუსების დასასახლებლად. დიდა მთავარმა მთიელებს ერთი თვე მისცა მოსაფიქრებლად, მაგრამ 19 აპრილს მთებში ასეულ რუსებს აღარ დახვდათ უბისები. ისინი ერთიანად დაძრულიყვნენ შავი ზღვის სანაპიროსაკენ<sup>51</sup>. აპრილში უბისები ერთიანად გადასახლდნენ თურქეთში<sup>52</sup>. იმავდროულად, ადრიანი გაზაფხულის როულ პირობებში, ფშეხას რაზმა გენერალ-მაიორ პ. გრაბეს მეთაურობით, მდ. ფშეხასა და მისი შენაკადების ზემო წელი უბისეთში გადასასვლელ უღელტეხილამდე, გაწმინდა მთიელებისაგან, რომლებიც ძნელად მისადგომ ქვაბულებს აფარებდნენ თავს. მათი ერთი ნაწილი წავიდა ლაბაზე, მათვის გამოყოფილ ადგილებში დასასახლებლად, ნაწილი კი შავი ზღვის სანაპიროსაკენ გაემართა თურქეთში წასასვლელად<sup>53</sup>. 1864 წლის გაზაფხულზე შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო ადლერამდე სავსე იყო კავკასიელი მთიელებით, რომლებიც გემებს ელოდნენ თურქეთში წასასვლელად. როგორც ა. ბარიატინსკის ბიოგრაფი, რუსი ოფიცერი ა. ზისერმანი აღნიშნავდა: „Вытесняемое шаг за шагом... полумиллионное население горцев перенесло все ужасы истребительной войны, страшные лишения, голод, повальные болезни, а очутившись на берегу – должно было искать спасения в переселении в Турцию“.<sup>54</sup>

ჩრდილო-დასასვლეთ კავკასიისა და შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს დაპყრობის შემდეგ რჩებოდა წინააღმდეგობის უკანასკნელი კერძის ლიკვიდაცია, ჯიქების მთის თემების – აიბგა, აჭჭიფსხუ, ფსხუ, მინარეების – მძიმთას, ფსოუს და ბზიფის ზემო წელში, – დამორჩილება. ამ მიზნით ოთხი სამხედრო კოლონა გაიგზავნა გენერლების: პ. შატილოვის, დ.

<sup>51</sup> А. Лилов. Последние годы борьбы..., – „Кавказ“, 1867, №19; В. Солтан. Военные действия..., გვ. 458-463.

<sup>52</sup> А. В. Фадеев. Убыхи в освободительном движении на западном Кавказе. – „Исторический сборник“, 4. М.-Л., 1935, გვ. 180.

<sup>53</sup> Известия из Кубанской области. – „Кавказ“, 1864, 17/29 мая, №37.

<sup>54</sup> А. Л. Зиссерман. Фельдмаршал.., т. II, გვ. 397.

სვიატოპოლკ-მირსკის, ვ. გეიმანის და პ. გრაბეს მეთაურობით.

აფხაზეთის ჯარების სარდალი პ. შატილოვი პირველი კოლონით 25 აპრილს გაგრიდან ფსოუს ხეობისკენ გაემართა. აიბ-გელებმა, რომლებიც ფსოუს ზემო წელის ქვაბულში ცხოვრობდნენ, ვიწრო ხეობა ხერგილებით ჩაკეტეს და სამი დღის განმავლობაში მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ პ. შატილოვს. მეორე კოლონა დ. სვიატოპოლკ-მირსკის მეთაურობით 28 აპრილს სოხუმიდან გავიდა გემებით ადლერის მიმართულებით. მეორე დღეს ესკადრა ადლერის კონცხს მიადგა და რაზმი მდ. მძიმთას მარჯვენა ნაპირზე დაბანაკდა. ჯიქები რუსებს ლოიალურად შეხვდნენ და განუცხადეს, რომ თურქეთში გადასახლება სურდათ. მაისის დასაწყისში რაზმი მდ. მძიმთას მარჯვენა ნაპირს აუყვა მთებისკენ, თან გზა გაჰყავდა. 10 მაისს, დ. სვიატოპოლკ-მირსკის მიერ პ. შატილოვის დასახმარებლად გაგზავნილმა რაზმმა გენერალ ბატეზატულის მეთაურობით ზურგიდან შეუტია აიბგელებს. მთიელები ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდნენ და დარწმუნდნენ, რომ წინააღმდეგობის გაწევა უაზრო იყო. მათ მორჩილება გამოუცხადეს რუსებს და ხერგილების გაწმენდა აღუთქვეს, ამასთან დრო ითხოვეს, რომ პური მოემკათ და თურქეთში წასასვლელად მომზადებულიყვნენ. რუსეთის ჯარის ნაწილებმა გააგრძელეს წინსვლა აიბგას სიღრმეში, რათა მთიელები აეჭულებინათ, გამოუცხადებინათ უსიტყვო მორჩილება. 12 მაისს აიბგამ სრული მორჩილება გამოაცხადა და თემის მოსახლეობა სანაპიროსაკენ გაემართა თურქეთში წასასვლელად<sup>55</sup>. ფაქტობრივად, ეს იყო ომის ბოლო აკორდი. აპჭიფუსხუს და ფსხუს წინააღმდეგობა უიმედო გახდა.

მაისის დასაწყისში შეტევაზე გადავიდა მესამე კოლონაც ვ. გეიმანის მეთაურობით. იგი მდ. სოჭის ზემო წელისაკენ მიემართებოდა, შემდეგ კავკასიონის მთავარი ქედის პარალელურად აპჭიფუსხუსკენ გაემართა. მეოთხე კოლონამ პ. გრაბეს მეთაურობით მდ. პატარა ლაბის სათავეებთან გადალახა კავკასიონის მთავარი

<sup>55</sup> Известия о последних военных действиях на Западном Кавказе. – „Кавказ“, 1864, 11/25 июня, №44; Д. А. Милютин. Воспоминания, გვ. 444-450; История Лейб-гренадерского Эриванского его Величества Александра Николаевича полка. Т. III. 1853-1870. Составил штабс-капитан Шабанов. Тифлис, 1871, გვ. 157-160.

ქედი, მდ. მძიმთას ხეობაში გადავიდა და 12 მაისს უკვე აპჭი-  
ფსხუში შევიდა. აპჭიფსხუელები იძულებული გახდნენ, შეესრუ-  
ლებინათ აღრე მიცემული პირობა. მათ დატოვეს თავიანთი საც-  
ხოვრებლები და ერთიანად ზღვის სანაპიროსაკენ გაემართნენ.  
იმავდროულად, ფსხუელებმა დეპუტაცია გამოგზავნეს რუსეთის  
სარდლობასთან. მათი ერთი ნაწილი თანახმა იყო ჩრდილოეთ  
კავკასიაში გადასახლებულიყო, ხოლო ნაწილს თურქეთში წასვ-  
ლა სურდა<sup>56</sup>.

1864 წლის 20 მაისს რუსეთის ჯარის ოთხივე კოლონა  
შეერთდა მდ. მძიმთას ზემო წელში, აპჭიფსხუს ცენტრში, აულ  
გუბაადვიში (რუს. კბაადა, ამჟ. კრასნაია პოლიანა) და მთიელთა  
წინააღმდეგობის უკანასკნელი კერა დაიკავა. 21 მაისს, გუბაად-  
ვის ველობზე კოლონებად გამწკრივებულ რუსეთის ჯარის ნაწი-  
ლებს მეფისნაცვალმა და მთავარსარდალმა მიხეილ რომანოვმა მი-  
ულოცა კავკასიის ომის დამთავრება. შემდეგ გაიმართა საზეიმო  
აღლუმი<sup>57</sup>.

მოუხედავად იმისა, რომ კავკასიის მრავალწლიანი ომი დამ-  
თავრებულად გამოცხადდა, დასავლეთ კავკასიის მთის ხეობებში,  
სახელდობრ, მდ. ფსეზუაფსეს სათავეებში ჯერ კიდევ იყვნენ  
დარჩენილი მთიელთა მცირე ჯგუფები, რომლებიც წინააღმდეგო-  
ბას არ წყვეტდნენ. მათ გასანადგურებლად შეიქმნა „მფრინავი  
რაზმები“, ხოლო შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე  
და ძღინარეთა ხეობებში კავკასიის არმიის სახაზო ბატალიონები  
განლაგდნენ<sup>58</sup>. ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ  
აფხაზეთის ავტონომიური სამთავროს შენარჩუნება რუსეთის ხე-  
ლისუფლებას არ სჭირდებოდა. 1864 წლის ივლისში ცარიზმა  
აფხაზეთის სამთავრო გააუქმა და უშუალო რუსული მმართვე-  
ლობა შემოიღო.

<sup>56</sup> *Известия о последних военных действиях на Западном Кавказе. – „Кавказ“, 1864, 11/25 июня, №44.*

<sup>57</sup> *Известия о последних военных действиях на Западном Кавказе. – „Кавказ“, 1864, 11/25 июня, №44; Ахчипсху. – „Кавказ“, 1864, №49; В. Солтан. Военные действия..., გვ. 467-469.*

<sup>58</sup> *А. Лилов. Последние годы борьбы... – „Кавказ“, 1867, №19; В. Солтан. Военные действия..., გვ. 470.*

ივლისში რუსეთის ჯარის ნაწილები ფსხუში შეიჭრნენ, ჩრდილოეთიდან, კავკასიონის ქედის მხრიდან სანჭაროს უღელტეხილით, და აფხაზეთიდან, დოუს უღელტეხილით. მცირე შეტაკება მოხდა ბზიფის შენაკადის მდ. გრიბზას ნაპირებზე. ფსხუელები თავგანწირვით იბრძონენ, მაგრამ დამარცხდნენ. ამრიგად, 1864წ. ივლისში რუსეთის ჯარებმა ფსხუ დაიკავეს<sup>59</sup>. ფსხუელთა ნაწილი, 105 ოჯახი (862 სული) ჩრდილოეთ კავკასიაში, მდ. ყუმას ხეობაში გადასახლდა<sup>60</sup>, ხოლო დიდი ნაწილი თურქეთში წავიდა. 1864 წლის ზაფხულში თურქეთში გადასახლდა 20 ათასი ჯიქი და 5 ათასი ფსხუელი<sup>61</sup>. ამის შედეგად თითქმის მთლიანად გაუკაცურდა მდ. მძიმთას ხეობა და მდ. ბზიფის ხეობის ზემო წელი.

ომის დამთავრების შემდეგ „ახლადდაპყრობილი მხარე არა-ჩვეულებრივ სანახაობას წარმოადგენდა, — წერდა გენერალი ს. დუხოვსკი. — მაისის ბოლოს, ივნისში და შემდეგ, გადაიხედავდი მაღალი მთიდან და დაინახავდი შესანიშნავ ხეობებს, ქედებს, მთებს, მდინარეებსა და ნაკადულებს; ბაღებს შორის აქა-იქ ჩანდა ნასახლარების კვალი, მაგრამ ყოველივე ეს უსიცოცხლო იყო, არსად სულიერის ჭაჭანება არ იყო. ზოგან ახალამოწვერილი ხორბალი ჯერ კიდევ მოწმობდა არცოთ დიდი ხნის წინ აქ მოსახლეობის არსებობას, მაგრამ სახნავი მინდვრები მეტწილად მიგდებული და მიყრუებული იყო და მხოლოდ შარშანდელი სიმინდის გადაჭრილი ღეროები მოწმობდა, რომ აქ ოდესაც ცხოვრობდნენ და შრომობდნენ ადამიანები. არ გინდოდა დაგეჯერებინა, რომ ამ უზარმაზარ სივრცეში, რასაც მაღალი მთის თხემიდან თვალი წვდებოდა, სულიერი არ ჭაჭანებდა. მოუხედავად ამისა, ეს ასე იყო. მთელი ეს შესანიშნავი ხედები, ბუნების ეს შესანიშნავი

<sup>59</sup> **И. Половицев.** Страна Псеху. Сухум, 1934, გვ. 31; **Г. А. Дзидзария.** Махаджирство.., გვ. 194.

<sup>60</sup> სცხესა, ფ. 545, ანაწ. I, ს. 65 — Переписка о поселении псхувцев в Кувинском ущельи и о довольствии их провиантом, ფურც. 2, 26, 36; ბ. ხორავა. ფსხუელების გადასახლება. — ახალგაზრდა მუცნიერთა ასოციაციის II რესუბლიური სამუცნიერო კონფერენციის შრომები. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2004, გვ. 256-259.

<sup>61</sup> **Г. А. Дзидзария.** Махаджирство.., გვ. 195.

ქმნილება უსიცოცხლო იყო და მნახველზე უფრო მძიმე და სევ-დიან შთაბეჭდილებას ახდენდა, ვიდრე სასიამოვნოს“.<sup>62</sup>

ამრიგად, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მცხოვრები ადილეელებისა და აბაზების მნიშვნელოვანი ნაწილი 1858-1864წწ. ოურქეთში გადასახლდა, ზოგიერთი ტომი კი, მაგალითად, უბისები – მთლიანად. გენერალ ნ. ევდოკიმოვის მიერ საომარი მოქმედებების შესახებ 1864წ. 21 ივლისს გაგეობული ანგარიშის თანახმად, დასავლეთ კავკასიიდან თურქეთში გადასახლდა 418 ათასი სული, ხოლო ყუბანსა და ლაბაზე – დაახლ. 90 ათასი სული<sup>63</sup>. გადასახლების პროცესი გრძელდებოდა 1865 წელსაც. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე თითქმის არ დარჩენ ადილელები და აბაზები, მათი მცირე ნაწილი აულებად ჩაასახლეს ყუბანზე. სულ, ოფიციალური მონაცემებით, დასავლეთ კავკასიიდან თურქეთში თითქოს 470 ათასი ადამიანი გადასახლდა<sup>64</sup>. ოუმცა, საფიქრებელია, რომ ეს ციფრი გარკვეულწილად შემცირებულია.

კავკასიელ მთიელთა თურქეთში ძალდატანებით გადასახლების გამო ევროპაში დიდი ხმაური ატყდა. რუსეთის ხელის-უფლება თავს იმართლებდა, რომ მთიელთა თურქეთში გადასახლება მათი ნება-სურვილით არ მომზდარა და ყოველივე მათი ჩარევის გარეშე მოხდა. როგორც ცნობილი პუბლიცისტი, გენერალი რ. ფადეევი აღნიშნავდა, კავკასიის ომში რუსეთის ხელის-უფლების მიზანს წარმოადგენდა: „сдвинуть горцев с восточно-го берега Черного моря и заселить его русскими. Эта мера была совершенно необходима для безопасности наших владений“. მაგრამ, როგორც იგი აღნიშნავდა ცინიზმით, არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა აღვილობრივი მოსახლეობის თურქეთში განდევნა. რუსეთს საკმარისად ჰქონდა მიწები ძდ. ყუბანის მარცხნა ნაპირზე მათ დასასახლებლად, მაგრამ ასევე არავითარი მიზეზი არ არსებობდა, დაეკავებინათ ისინი მათი სურ-

<sup>62</sup> А. Лилов. Последние годы борьбы.., „Кавказ“, 1867, №19.

<sup>63</sup> С. Эсадзе. Историческая записка.., გვ. 52.

<sup>64</sup> А. Берже. Выселение горцев с Кавказа. – „Русская старина“, т. 33, 1882, №1, გვ. 165-167.

ვილის წინააღმდეგ<sup>65</sup>.

რ. ფადეევი, რომელიც ოფიციალურ აზრს გამოხატავდა, გულახდილად აღნიშნავდა, რომ რუსეთის სახელმწიფო ინტერესი მთითხოვდა „соблюсти при поселении покорившихся только одно условие: чтобы нигде они, не примыкали к морю, чтобы по крайней мере несколько десятков верст отделяли их от берега“.<sup>66</sup> რ. ფადეევი უფრო მეტ გულახდილობასაც იჩენს და აღნიშნავს, რომ „это земля нужна была государству“, ხოლო რაც შექტბა აღილობრივ მოსახლეობას, მისი თქმით, „в них самих не было никакой надобности“.<sup>67</sup>

კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ ცარიზმა ვრცელი ტერიტორია მიიღო საკოლონიზაციოდ. 1861-1864წწ. დასავლეთ კავკასიაში კაზაკთა 111 სტანიცა (14239 ოჯახი, 85 ათასი სული) ჩაასახლეს<sup>68</sup>. იმავდროულად, ამ მხარეში ასახლებდნენ რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულ რუსებს, უკრაინელებს, თურქთიდან გადმოსახლებულ ბერძნებსა და სომხებს<sup>69</sup>, რომლებიც ცარიზმის დასაყრდენი უნდა ყოფილიყვნენ ამ მხარეში.

1866 წელს ხელისუფლებამ დასავლეთ კავკასიის ადმინისტრაციული მოწყობის რეფორმა განახორციელდა. ვრცელი მხარე მდ. ყუბანიდან კავკასიონის ქედამდე ყუბანის ოლქის, ხოლო შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო – შავი ზღვის ოკრუგის შემადგენლობაში შევიდა<sup>70</sup>. ეს უკანასკნელი ყუბანის ოლქის უფროსს ექვემდებარებოდა. 1896წ. იგი ყუბანის ოლქს გამოეყო და შავი ზღვის გუბერნიად გადაკეთდა.

ამრიგად, ცარიზმმა მიაღწია მიზანს – დასავლეთ კავკასია იმპერიის ადმინისტრაციულ სისტემაში მოაქცია.

<sup>65</sup> **Р. Фадеев.** Письма с Кавказа, გვ. 146-147.

<sup>66</sup> **Р. Фадеев.** Письма с Кавказа, გვ. 147.

<sup>67</sup> **Р. Фадеев.** Письма с Кавказа, გვ. 147.

<sup>68</sup> **Г. А. Дзидзария.** Махаджирство., გვ. 208.

<sup>69</sup> **С. Смоленский.** Воспоминания кавказца. – „Военный сборник“, 1875, №12, გვ. 222.

<sup>70</sup> 1870 წლამდე ტერიტორია ცემესის ყურიდან მდ. ტუაფსემდე შედიოდა არა შავი ზღვის ოკრუგში, არამედ ყუბანის ოლქში.

## **Б. К. ХОРАВА**

### **ЗАВОЕВАНИЕ РОССИЕЙ ЗАПАДНОГО КАВКАЗА И АБХАЗИЯ**

В августе 1859 года, завоеванием Россией Северо-восточного Кавказа, завершился один из важнейших этапов Кавказской войны (1817-1864). Но против России продолжали воевать горцы Западного Кавказа – многочисленные адыгейские и абазинские племена. В войне по завоеванию Западного Кавказа, Российское командование большое значение придавало фактору Абхазии. Было очевидно, что пока Россия владела лишь побережьем Абхазии, ее влияние в этом регионе не было бы прочным.

С осени 1860г. Кавказское командование приступило к новой тактике ведения войны. Главным средством завоевания края, была признана военная колонизация. Было решено, приступить к заселению Западного Кавказа казачьими станицами, а местное население выселить на прикубанскую равнину или в Турцию. Нависшая угроза побудила горцев Западного Кавказа обратиться с просьбой о помощи к Турции и западноевропейским державам. Но Европа и Турция остались равнодушными к трагедии горцев. Они понимали, что были не в силах приостановить победоносное шествие России на Кавказе, и участь горцев фактически была предрешена. В мае 1864 г. в верховьях р. Мзимта, в горном ауле Губаадв (по рус. Кбаада, нын. Красная поляна) общества Ахчипсху, Кавказская война была объявлена завершенной. После завоевания Западного Кавказа России уже ни к чему было сохранение автономного Абхазского княжества. В июле 1864 г. Абхазское княжество было упразднено и введено русское правление.

С окончанием Кавказской войны связано выселение большой части горцев Западного Кавказа в Турцию, процесс которого начался гораздо раньше. По официальным данным, в 1858-1864гг. в Турцию переселилось 470 тыс. душ, а с Кубани и Лабы – почти 90 тыс. душ. На Северо-восточном побережье

Черного моря и в горах Западного Кавказа почти не осталось адыгейского и абазинского населения. Российская империя получила обширную территорию для колонизации. Всего в 1861-1864 гг. на Западном Кавказе было образовано 111 казачьих станиц (85 тыс. душ). В то же время в этом крае поселяли переселившихся из внутренних губерний России русских, украинцев, а так же переселившихся из Турции греков и армян, которые должны были стать опорой царизма в этом крае. В 1866 г. была проведена реформа административного устройства Западного Кавказа. Обширный край от р. Кубани до Главного Кавказского хребта вошла в состав Кубанской области, а Северо-восточное побережье Черного моря – в состав Черноморского округа. Таким образом, царизм достиг цели – Западный Кавказ был включен в имперскую административную систему.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება  
აფხაზეთის ორგანიზაცია  
საისტორიო ძეგლი, 7, 2004

## რამაზ ჭანტურია

### ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის გაძლიერება ავხაზეთში XIX ს. 70-90-იან წლებში

XIX ს. 80-იანი წლებიდან რუსეთის ხელისუფლებამ იმპერიაში გააძლიერა იმპერიული შოვინისტური პოლიტიკა. ამ მიმართულებით ხელისუფლებამ გაატარა მთელი რიგი ღონისძიებებისა, რომელებიც მიმართული იყო, იმპერიაში შემავალი არარუსი ხალხების წინააღმდეგ. ცარიზმი სეპარატიზმს აბრალებდა არარუს ხალხებს და ძალატანებით გარუსების, კოლონისტების ჩამოსახლების, მშობლიური ენის წართმევის გზით მათ მოსპობას ესწრაფოდა. ცარიზმი კავკასიაში აღმინისტრაციული ავტონომიის ნასახსაც კი ვერ ურიგდებოდა, შუღლს თესავდა აქ მცხოვრებ სხვადასხვა ერთა შორის, ერთმანეთს უპირისპირდება მუსლიმებსა და ქრისტიანებს<sup>1</sup>.

რეაქციული ფურნალ-გაზეთები შეუდგნენ იმის მტკიცებას, რომ რუსი ხალხი რჩეული იყო და სლავი ხალხების მესვეურობის მისიაც მას ეკისრებოდა. ეს შოვინისტები რუსეთის იმპერიაში შემავალ არარუს ხალხებს ისტორიის „შავ მასალად“ თვლიდნენ<sup>2</sup>. რუსიფიკატორთა მიზნები ქართული ენისა და თვით ერის მოსპობისა კოლონიზაციის გზით შედარებით ადვილად განსახორციელებელი ჩანდა. ამიტომ, ეს მეორედი ქვეყნის გარუსებისა, სხვა ღონისძიებებთან ერთად, რომელებსაც 80-იანი წლებიდან რუსეთის იმპერია საქართველოსა და ამიერკავკასიაში ახორციელებდა, საერთო აღიარებას პოულობდა და მისი პრაქტიკულად გან-

<sup>1</sup> ა. იოსევლიანი. ცვლილებანი კავკასიის უმაღლეს მმართველობაში. კოლონიური ჩაგვრის გაძლიერება საქართველოში. – საქართველოს ისტორიის ნარკვეკები, ტ. V. თბ., 1970, გვ. 642.

<sup>2</sup> ა. სურგულაძე, პ. სურგულაძე. საქართველოს ისტორია. თბ., 1991, გვ. 84.

ხორციელებისათვის ყველაფერი კეთდებოდა<sup>3</sup>.

ქართველი ხალხის ეროვნული ჩაგვრა, რა თქმა უნდა, არ იყო მხოლოდ XIXს. 80-იანი წლებისთვის დამახასიათებელი მოვლენა. იგი ცარიზმის ბატონობის მთელი პერიოდის, მისი კოლონიური პოლიტიკის შემადგენელი ელემენტი იყო და მეფის რუსეთის მმართველობის დამკვიდრებას მოჰყვა თან. იმპერია საგანგებო ღონისძიებებს ატარებდა ქართველი ხალხის ეროვნული არსებობის, მისი კულტურისა და ისტორიის, ქართული ენის მოსახლობად, ქართველი ერის დანაწილებისა და მისი სხვადასხვა კუთხის დასაპირისპირებლად, დედასამშობლოსაგან აჭარის, სვანეთის, სამეგრელოს და აფხაზეთის ჩამოსაშორებლად<sup>4</sup>.

აფხაზეთში მდგომარეობა განსაკუთრებით გაუარესდა მას შემდეგ, რაც 1877-1878წწ. რუსეთ-ოურქეთის ომის დროს აფხაზმა ხალხმა აჯანყება მოაწყო რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. სოხუმის განყოფილების უფროსი პოლკ. არაკინი მოითხოვდა: აუცილებლად განესაზღვრათ ამბოხებაში თითოეული თემის მონაწილეობა, რასაც დრო დასჭირდებოდა. ამიტომ ის საჭიროდ მიიჩნევდა, რომ მთელი აფხაზეთის მოსახლეობა გამოეცხადებინათ „დამნაშავედ და მოდალატედ“ და მათი დასჯის მიზნით ჩატარებულიყო მცაცრი ღონისძიება<sup>5</sup>.

თითქმის იგივე მოთხოვნით გამოდიოდა გენერალ-მაიორი კრავჩენკო, რომელიც მთავარ ხელმძღვანელად და ცალკეული რაზმების ჩამოყალიბების ორგანიზატორებად თავად-აზნაურობას ასახელებდა. ამასთან ის არ გამორიცხავდა, რომ „მოდალატეობრივ“ მოქმედებაში მოსახლეობის სხვა ფენებიც ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას და, ამიტომ, აჯანყების ხელმძღვანელების

<sup>3</sup> **ა. იოსელიანი.** ბრძოლა ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ განათლებისა და ეკლესიის დარგში. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V. თბ., 1970, გვ. 648.

<sup>4</sup> **ა. იოსელიანი.** ბრძოლა ცარიზმისა, გვ. 644.

<sup>5</sup> საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (შემდგომში სცსს). ფ. 545, აღწ. 1, წე. 2, ს. 3207, ფურც. 41-42; იხ. აგრეთვე: **Г. Дзидзария.** Махаджирство и проблемы Абхазии XIX столетия. Сухуми, 1982, გვ. 415-416; **ხ. პაპასქირი.** ნარგევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიის წარსულიდან. ნაკ., I. თბ., 2004, გვ. 200; **С. Лакоба.** Очерки политической истории Абхазии. Сухуми, 1990, გვ. 35.

მსგავსად, მთელი მოსახლეობის სასტიკად დასჯას მოითხოვდა. ხელისუფლების ზემოხსენებული ორივე წარმომადგენელი ამას იმით ხსნიდა, რომ „ხელისუფლებას პქონოდა საშუალება მოეწყო ეს მხარე ისე, როგორც მას სურდა“.<sup>6</sup>

გიორგი წერეთელმა აფხაზი ხალხის „დალატზე“ აღნიშნა: „ვიყოთ გულახდილნი აფხაზეთის მიმართ... აქ უბრალო უკმაყოფილებაა აღმინისტრაციის მიმართ.“ ის აგრეთვე წერდა, თუ რა მძიმე ძღვომარეობა იყო აფხაზეთში და როგორ იყო გაუკაცრიელებული აფხაზეთი... „შეიძლება ადგილს დავარქვათ დღეს აფხაზეთი, როცა აქ აფხაზები საერთოდ არ არიან? თვითონ სიტყვა „აფხაზია“ უნდა დავივიწყოთ დღეიდან?“<sup>7</sup>.

ასეთივე განმარტებას აკეთებს ექიმი ი. ჭიხომიროვი 1878წ. „სანიტარულ მიმოხილვაში“: „ახლანდელი სოხუმი სრულიად განადგურებულია, ქალაქი მოსახლეობის მიერ მიტოვებულია“.<sup>8</sup>

ურნალი „Отечественные записки“ 1877 წლის აჯანყების შესახებ კრიტიკულად შენიშნავდა: „მხარის აღელვება, რომელშიც ნახევარზე მეტი ქრისტიანი იყო, გამოიწვია იმან რომ ამდენი ხნის განმავლობაში ჩვენ მათი ყურადღება ვერ მივიქციეთ. ამასთანავე, გაზეთების უქონლობამ და ინფორმაციის სიმცირემ უხეშ შეცდომებამდე მიგვიყვანა. იგივე აფხაზები არ გვიღალატებდნენ, რომ არ ენახათ ჩვენი სისუსტე და გულგრილობა მათ მიმართ.“

თუ ჩვენ ყურადღებით შევხედავთ აფხაზეთში აღელვების მიზეზს, უნდა გამოვტყდეთ, რომ ვერ დავინახეთ ჩვენი მხრიდან დაშვებული უხეში შეცდომები, უტაქტობა და არასწორი მოპყრობა მოსახლეობისადმი“.<sup>9</sup>

1877 წლის აჯანყებაში აფხაზები, ნებსით თუ უნებლიერ, აშკარად გამოდიოდნენ რუსეთის წინააღმდეგ და ამიტომაც, მოღალატებად იქნენ გამოცხადებული. ამ აჯანყებამ აფხაზეთის მოსახლეობას ეკონომიკურ ნგრევასთან ერთად, მძიმე მორალური

<sup>6</sup> ხვევა. ფ. 416, აღწ. 3, ს. 190, ფურც. 1-3; ის. აგრეთვე: **Г. Дзидзария.** Махаджирство..., გვ. 321.

<sup>7</sup> გაზ. „Голос“, IV:257, 1877; ის. აგრეთვე: **Г. Дзидзария.** Махаджирство..., გვ. 318.

<sup>8</sup> გაზ. „Лорოუება“, №100, 1878.

<sup>9</sup> **Г. Дзидзария.** Махаджирство..., გვ. 354.

დარტყმა მიაყენა. ამას დაემატა რუსეთის მხრიდან მთელი რიგი სადამსჯელო ღონისძიებები, რომელთაგან ყველაზე მძიმე მოსახლეობის აყრა და გადასახლება იყო. დიდი ტალღა გადასახლებისა მოჰყვა 1866 წლის აჯანყების ჩახშობას, მაგრამ მასობრივი გადასახლება აფხაზებისა თურქეთში გამოიწვია 1877-1878წწ. რუსეთ-თურქეთის ომში. დაახლოებითი გამოინგარიშებით, იმ პერიოდში თურქეთში გადასახლებულია 30000 აფხაზი, რომელიც წარმოადგენდა აფხაზეთის მოსახლეობის 40 პროცენტს<sup>10</sup>. ყველას, ვისზეც ოდნავ მაინც ეჭვი იქნა მიტანილი, ბრალად დაედო მონაწილეობა მოღალატეობრივ ქმედებებში, და გაასახლეს აფხაზეთის ტერიტორიიდან. ასე, მაგალითად, 1880 წელს გაასახლეს ბაირამ ოტირბა, სეიდიკ ავიძა, რომლებიც ყოველთვის სულის-ჩამდგმელნი იყვნენ რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ მიმართული გამოსვლებისა<sup>11</sup>. მთლიანად კი ამ მხარის ტერიტორიაზე სრულდებოდა მეფის ბრძანება, არასამედო პირთა „აღმინისტრაციული გასახლების“ შესახებ<sup>12</sup>.

1879 წელს არაკინი თავის მოხსენებით ბარათში წერდა, რომ ეს მხარე, კერძოდ აფხაზეთი, ხელსაყრელ პუნქტს წარმოადგენდა რუსეთის იმპერიის შემდგომი წინსვლისთვის აზიაში. ამისთვის აუცილებელი იყო, რომ ზღვისპირა ზოლი, რომელიც დაცარიელებული იყო (მუჰაჯირობის შედეგად), რუსეთის იმპერიისათვის სასურველი და სანდო მოსახლეობით შეევსოთ<sup>13</sup>. იმპერიის მესვეურები ასეც მოიქცინებ. მიწები, რომლებიც აფხაზმა მუჰაჯირებმა დატოვეს, მეფის ხელისუფლებამ მსხვილ სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებს დაურიგა. ამ პროცენტა 80-90-იან წლებში დიდი მასშტაბები მიიღო. აფხაზეთში არსებულ „თავისუფალ“ მიწებზეც რუსმა ჩინონიკებმა, სხვადასხვა ეროვნების კოლონისტების ჩასახლება დაიწყეს, მათ შორის იყვნენ: რუსები, ბერძენები, სომხები, ესტონელები, ბულგარელები და სხვა<sup>14</sup>. იმპე-

<sup>10</sup> 3. Аничабадзе. Очерк этнической истории абхазского народа. Сухуми, 1976, გვ. 25.

<sup>11</sup> ხველა. ფ. 545, აღწ. 1, წგ. 2, ს. 2968, ფურც. 1, 12.

<sup>12</sup> ხველა. ფ. 545, აღწ. 1, წგ. 1, ს. 1672. ფურც. 95.

<sup>13</sup> ხველა. ფ. 410, აღწ. 4, ს. 1894, ფურც. 8.

<sup>14</sup> 3. Аничабадзе. Очерк этнической истории..., გვ. 87.

რიის მესვეურები ეჭვის თვალით უყურებდნენ აფხაზეთის მკვიდრ მოსახლეობას, ხელისუფლება მათ ბოლომდე არ ენდობოდა და, მიწის სიმცირის მიუხედავად, ზღვისპირა ზოლში, მიწებს არ აძლევდა. 1880 წელს სოფელ ლიხნში მცხოვრება 315 კომლმა მიწით დაქმაყოფილების შესახებ თხოვნა წარუდგინა ხელისუფლებას. მათ მიერ არჩეულმა დეპუტატებმა ეს თხოვნა გადასცეს კომისიას, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ სოხუმის მიწათმომწყობი კომისიის თავჯდომარე ვედენსკი, ბიჭვინთის ოლქის უფროსი, მაიორი ალექსანდროვიჩი და მიწათმომწყობი, ტიტულარული „სოვეტნიკი“ ვოსკრესენსკი. მათ უარი განუცხადეს ლიხნის თემის დეპუტატებს დამატებითი მიწის ნაკვეთის მიცემაზე. ამის მიზეზად ის დაუდეს, რომ კომისიას ჰქონდა ცნობა იმის შესახებ, რომ ლიხნის ამ თემის მცხოვრებლები 1877-1878 წლებში თურქების შემოსვლის დროს მხარში ამოუდგნენ მათ და მონაწილეობა მიიღეს გუდაუთის დარბევაში. ამიტომ, ხელისუფლებამ ისინი არასანდოდ ჩათვალა და ზღვისპირა ზოლში მათ მიწის ნაკვეთების მიცემაზე უარი უთხრა<sup>15</sup>.

თავის მხრივ, სამურზაყანოს თავადაზნაურობაც ითხოვდა ხელისუფლებისაგან მიწების სწორად გადანაწილებას<sup>16</sup>, განსაკუთრებით მწვავედ იდგა მცირემიწიანობის საკითხი გუდაუთის, გუმისთის და კოდორის მონაკვეთებში<sup>17</sup>. ცნობილია, რომ კოდორის მაზრაში ანჩაბაძეები და ემუხვარები ითხოვდნენ მიწის ნაკვეთებს. ამავე საკითხს აყნებდნენ აგრეთვე ინალიტები და მარშანიებიც<sup>18</sup>.

1883წ. აპრილში სოხუმის განყოფილების უფროსი გენ. არაკინი ატყობინებდა კავკასიის ოლქის ხელმძღვანელს, თავად დონდურულ-კორსაკოვს იმის თაობაზე, რომ აფხაზეთში უკიდურესად დაძაბული იყო მდგომარეობა მიწის საკითხთან დაკავშირებით<sup>19</sup>.

კავკასიის ადმინისტრაციამ განსაკუთრებით გააძლიერა კოლონიზაცია უცხოური ელემენტებით. ადგილ-მამულებს ურიგებდნენ

<sup>15</sup> სტ. ფ. 545, აღწ. 1, წგ. 2, ს. 2214, ფურც. 2-3.

<sup>16</sup> სტ. ფ. 545, აღწ. 1, წგ. 2, ს. 2421, ფურც. 4.

<sup>17</sup> სტ. ფ. 545, აღწ. 1, წგ. 2, ს. 2628, ფურც. 13.

<sup>18</sup> ქცბ. ფ. 186, აღწ. 1, წგ. III, ს. 789, ფურც. 1-10.

<sup>19</sup> **В. Д. Авидзба.** Проведение в жизнь крестьянской реформы в Абхазии. Сухуми, 1985, გვ. 172.

რუს კოლონისტებს, მაშინ როცა ადგილობრივი მოსახლეობა მიწის დიდ შევიწროვებას განიცდიდა. განსაკუთრებით გულმოდგინებით შეუდგა ცარიზმი შავიზღვისპირა რაიონების ათვისებას. გათვალისწინებული იყო სოხუმ-გაგრის რაიონების რუსულ ახალ-შენებად გადაქცევა. აფხაზეთის ტერიტორიაზე ინტენსიურად მიმდინარეობდა რუსეთის იმპერიის ცენტრალური რეგიონებიდან ხელისუფლებისათვის სანდო ხალხის ჩამოსახლება<sup>20</sup>. ეს იყო იმპერიის დიდი გეგმის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა მხარეში ე.წ „რუსული მოქალაქეობის“ დამკვიდრებას. ამ უაღრესად მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი ამოცანის განხორციელების მთავარი პირობა კი, როგორც აღნიშნავდა კავკასიაში რუსული იმპერიული პოლიტიკის ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი გერმელმანი, სწორედ აფხაზეთის მხოლოდ და მხოლოდ „რუსული მოსახლეობით“ კოლონიზაცია იყო<sup>21</sup>.

ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, რომ აფხაზეთში მიწის გამო რთული ვითარება იყო, ამ დროს კი, ხელისუფლებამ, 1892წ. 8 ოქტემბრის ბრძანებით, გადაწყვიტა თავისუფალი მიწები მიეცათ თურქეთში მცხოვრები ბერძნების 40 ოჯახისთვის და ჩაესახლებინათ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. სოხუმის ოლქის აღმინისტრაცია ამაზე იმიტომ დათახმდა, რომ ისინი სანდო იყვნენ ხელისუფლებისათვის, როგორც მეურნეობის განვითარების, ასევე, განსაკუთრებით, პოლიტიკური თვალსაზრისითაც<sup>22</sup>. ასეთი ჩასახლებები გრძელდებოდა 1893 წელსაც. გუდაუთის მაზრაში ორენბურგის გუბერნიიდან 6 ოჯახი ჩამოასახლეს, 25 ოჯახი კაზაკებისა ჩამოასახლეს ბომბორის ველზე. რამდენიმე ოჯახი იქნა ჩამოსახლებული სოფელ ვლაძიმიროვაში, სოფელ ბაკლანოვკაში, სოფელ ესტონგაში, სოფელ ჩერნიგოვკაში და სხვ.<sup>23</sup>

ასეთი შევიწროვება აფხაზეთის „მოდალატებად“ შერაცხული მოსახლეობისა ამ უკანასკნელთა გულისწყრომას იწვევდა რუსეთის ხელისუფლების მიმართ. მკვიდრი მოსახლეობა ასევე

<sup>20</sup> სტატ. ფ. 545, აღწ. 1, წ. II, ს. 2628, ფურც. 13.

<sup>21</sup> ზ. პაპასქირი. ნარკვევები..., გვ. 210.

<sup>22</sup> სტატ. ფ. 229, აღწ. 2, ს. 1100, ფურც. 1.

<sup>23</sup> სტატ. ფ. 229, აღწ. 1, ს. 480, ფურც. 1-6.

მტრულად იყო განწყობილი კოლონისტების მიმართ (რუსი, ბერძენი და სხვ.)<sup>24</sup>. ასე, მაგალითად, ახალმოსახლეებს სერგეი გერაშენკოს, გადამდგარ უნტერ-ოფიცერს და გლეხს ფიოლორ სალოვს, რომლებიც საცხოვრებლად გადმოვიდნენ სოხუმის ოლქში, მოუკლეს შვილები. რუსი ახალმოსახლეების მკვლელობაში ბრალი ედებოდათ მაჟარა შარგაშიძეს, ანტონ ინალიფას, ხალიბა ინალიფას, ტასუც გუნბას, სელიმ ბგანბას, შახან ავიძბას, გიგ არლუნს, რომლებიც გადაასახლეს რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში<sup>25</sup>. ჩამოსახლებული მოსახლეობა აფხაზების თავდასხმებისაგან იმდენად იყო შევიწროებული, რომ შავი ზღვის სანაპირო ზოლზე გზის მშენებლობის უფროსი მთავარმართებელს თხოვნით მიმართავდა, რათა დაეყენებინათ კაზაკთა რაზმები, რომლებიც დაიცავდნენ მათ აფხაზების თავდასხმებისაგან<sup>26</sup>.

აფხაზეთში XIX ს. 90-იან წლებიდან იწყება შოვინისტურად განწყობილი რუსეთის კლერიკალური წრეების გააქტიურება. რუსი მოხელეები აფხაზეთის მოსახლეობაში შუღლსა და უნდობლობას თესდნენ<sup>27</sup>.

შოვინისტური ძალები მხოლოდ მიწების მიოვისებით და აფხაზი ხალხის გასახლებაში ხელშეწყობით არ კმაყოფილდებოდნენ. ისინი ცდილობდნენ აფხაზეთისა და აფხაზების საერთო ქართული ეროვნულ-კულტურული ორგანიზმიდან ამოგლეჯას<sup>28</sup>. კოლონიზატორულ ღონისძიებათა განხორციელებაში ცარიზმს სამწუხაროდ მხარში ედგა რუსული მართლმადიდებლური ეკლესია. აფხაზეთის ტერიტორიაზე ეკლესიებიდან განიდევნა ქართული წირვა-ლოცვა, დაუნდობელი ბრძოლა გამოეცხადა ქართველ-აფხაზთა კულტურულ ერთობას. აფხაზთა შორის ხელოვნურად, განგებ ნერგავდინებ ანტიქართულ განწყობილებას<sup>29</sup>.

მეფის რუსეთის რუსიფიკატორული საგანმანათებლო პო-

<sup>24</sup> ქცხა. ფ. 180, აღწ. 1, წერ. 2, ს. 20, ფურც. 271.

<sup>25</sup> ქცხხა. ფ. 229, აღწ. 2, ს. 4, ფურც. 100.

<sup>26</sup> ქცხა. ფ. 186, აღწ. 1, წერ. 2, ს. 20, ფურც. 331.

<sup>27</sup> ტ. ხუნდაძე. თედო სახოკია (მასალა ბიოგრაფიისათვის). კრებული. თბ., 1969, გვ. 65.

<sup>28</sup> ზ. პაპასქირი. ნარკვევები..., გვ. 212.

<sup>29</sup> ა. სურგულაძე. პ. სურგულაძე. საქართველოს..., გვ. 25.

ლიტიკა უარყოფით ზეგავლენას ახდენდა ქართულ-აფხაზურ ურ-თიერთობებზე. XIX ს. 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან ქართული ენა განვითარებული აფხაზეთ-სამურზაფანოს სკოლებიდანაც, მოსახლეობის 90%-ზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო<sup>30</sup>. ასეთ როგორ ვითარებაში, აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების საკითხებს, დიდ ყურადღებას უთმობდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები: იღია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი და სხვები. „დროება“, „ივერია“, „მოამბე“, „კვალი“, და სხვა. უკრნალ-გაზეთები სისტემატიურად ბეჭდავდნენ პუბლიკაციებს აფხაზეთის შესახებ<sup>31</sup>. აფხაზეთში, როგორც განაპირო კოლონიურ მხარეში, ცარიზმი თანმიმდევრულად ახორციელებდა რუსიულიკაციის პოლიტიკას. დაწესდა მკაცრი კონტროლი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობაზე. მეფის მთავრობის კურსი აფხაზეთში საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარების მხრივ, მთუხედავად ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებისა, მიმართული იყო გარუსებისაკენ, სკოლებში რუსულ ენაზე სწავლების დამკვიდრებისაკენ, მშობლიური ენის უარყოფისაკენ<sup>32</sup>.

ცარიზმის მნიშვნელოვან ამოცანას საქართველოსაგან აფხაზეთის ჩამოშორება და მისი მოსახლეობის გარეუსება წარმოადგენდა, მაგრამ რუსეთის იმპერიის ხელისუფალთა ვერაგობამ კიდევ უფრო გააღვივა აფხაზეთის მოსახლეობაში ანტირუსული განწყობილებანი.

როგორც ვხედავთ, ცარიზმი ცდილობდა, არ დაეშვა ეროვნული კონსოლიდაცია, მას სურდა გაეღვივებინა ერთა შორის შეულლი, ამით ის ესწრაფოდა ეროვნული თავისუფლების მოსპობის ველიკორუსული პროგრამის განხორციელებას.

<sup>30</sup> დ. ჩიტაია. სოციალ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება აფხაზეთში XX საუკუნის პირველ ოცეულში. თბ., 2001, გვ. 17.

<sup>31</sup> დ. ჩიტაია. სოციალ-ეკონომიკური..., გვ. 17.

<sup>32</sup> დ. ჩიტაია. სოციალ-ეკონომიკური..., გვ. 38.

**Р. И. ЧАНТУРИА**

**УСИЛЕНИЕ РУСИФИКАТОРСКОЙ ПОЛИТИКИ В  
АБХАЗИИ В 70-90-Х ГОДАХ XIXВ.**

В статье рассмотрена колониальная политика российских властей в Абхазии после русско-турецкой войны 1877-1878гг. Отмечено, что фактически изгнав из родных мест десятки тысяч абхазов в пределы Османской империи, российская администрация начала массовое заселение этих мест исключительно русскими. Наряду с этим, власти предприняли энергичные меры для обрушения края путем учреждения русских школ и перевода богослужения на старославянский язык.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება  
აფხაზეთის ორგანიზაცია  
საისტორიო ძეგლი, 7, 2004

## ოთარ ნიკოლებიშვილი

### სერგეი მესხი და აჭარაზეთის პრობლემა

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის საკითხს სერგეი მესხის ნააზრევში დიდი ადგილი არ დაუჭერია, პუბლიცისტის ეროვნული მრწამსის შესასწავლად და გასააზრებლად ამ თემაზე დაწერილი მისი წერილები მაინც მეტად მნიშვნელოვანია და ფასეული. იმის გამო, რომ ს. მესხის მიერ განხილული აფხაზეთის საჭირბოროტო საკითხები სისხლხორცეულად უკავშირდება იმ პერიოდის კავკასიელ ხალხთა მუკაჯირობის პრობლემას, უშუალოდ ს. მესხის თვალსაზრისის გაცნობამდე ნაშრომში რამდენიმე სიტყვა ამ მოვლენის შესახებაც უნდა თქვას.

როგორც ცნობილია, XIX საუკუნის რუსეთის იმპერიაში მასობრივი ხასიათი მიიღო კაგაასიის მთიელ ხალხთა ოსმალეთ-სა და სხვა მაპმადიანურ ქვეყნებში გადასახლების პროცესმა, რასაც მუკაჯირობის სახელით მოიხსენიებენ. ამ მოვლენამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები შეიძინა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რაც არსებითად განაპირობეს საგლეხო რეფორმამ, შამილის ხელმძღვანელობით მთიელ კავკასიელ ხალხთა მრავალწლიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დამარცხებამ, რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლის ომმა და იმ პერიოდის სხვა დიდმნიშვნელოვანმა ამბებმა.

მუკაჯირობის შედეგად კავკასიიდან თურქეთსა და სხვა მაპმადიანურ სახელმწიფოებში უამრავი ადამიანი გადასახლდა. სპეციალისტთა გათვლით, მათი რიცხვი სავარაუდოდ 750 ათას კაცს შეადგენს. ესენი იყვნენ: ჩერქეზები, უბიზები, ჩეჩნები, ყარახაელები, ყაბარდოელები, ოსები და კავკასიაში მცხოვრები სხვა ხალხები.

მუკაჯირობის პროცესი ქართველებსაც და აფხაზებსაც შე-ეხოთ. კერძოდ, რუსეთ-ოურქეთის 1877-78 წლების ომის შემ-დეგ საქართველოსათვის ახლადშემოერთებული ქართული ტერი-ტორიებიდან რელიგიური და სხვა ფაქტორების გათვალისწინე-ბით ათასობით იქაური ქართველი აიყარა მშობლიური მიწიდან და გადასახლდა თურქეთში.

რუსეთ-ოურქეთის 1853-56 წლების ომის, რუსეთის ხელის-უფლების მიერ 1864 წელს აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და 1866 წლის აფხაზეთის აჯანყების სისხლში ჩახშობის შემ-დეგ ამ მოვლენამ ფართო მასშტაბები აფხაზეთშიც შეიძინა, საი-დანაც თურქეთსა (ძირითადად) და არაბულ ქვეყნებში (სირია, იორ-დანია...) გადასახლებულ აფხაზთა რაოდენობამ ასი ათას კაცს გადაჭრდა.

მუკაჯირობის შედეგად აფხაზეთის ტერიტორიის მნიშვნელო-ვანი ნაწილი მთლიანად გაუკაცრიელდა. მიუხედავად იმისა, რომ იმპერიის ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა ამ მიწებზე რუ-სების ჩამოსახლებას, სპეციფიკური კლიმატურ-გეოგრაფიული პი-რობების გამო ამ პრობლემის ასე იოლად გადაწყვეტა, საბედნიე-როდ, მშანად ვერ მოხერხდა. ს. მესხი და იმ პერიოდის ქართვე-ლი ინტელიგენციის სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლები შეშფო-თებულნი იყვნენ ამ მოვლენით და თავიანთი შესაძლებლობის ფარგ-ლებში კველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, საქართველოს კვლავაც რომ შენარჩუნებინა მისოვის კუთხით ეს ძირძველი მხარე.

პოლიტიკური მოსაზრებით რუსეთის ხელისუფლება აშკარა-დაც და შენიღბულადაც უწყობდა ხელს მუკაჯირობის პროცესს. ბუნებრივა, მისოვის ძალზე სასურველი იქნებოდა რუსეთიდან იმ ხალხთა ნებაყოფლობითი გადასახლება, რომლებიც თავდადე-ბით იბრძოდნენ იმპერიის მონობისაგან თავის დასახსნელად და ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ეროვნულ და სო-ციალურ ფაქტორებთან ერთად მუკაჯირობის პროცესს უპირვე-ლეს საფუძვლად მაინც რელიგიური რწმენა დაედო. მაპმადიანი ღვთისმოსავნი და რუსეთისადმი მტრულად განწყობილი სახელ-მწიფოების ხელისუფალნი ფართო და აქტიურ პროპაგანდას ეწე-ოდნენ კავკასიელი მუსულმანების იმაში დასარწმუნებლად, რომ

რუსეთში დარჩენის შემთხვევაში მათ ძალად გააქრისტიანებდნენ. უმძიმეს ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილ ადამიანებს, რომლებიც იმავდროულად ეროვნულ ჩაგვრა-შევიწროებასაც განიცდიდნენ, ისინი დაბეჯითებით არწმუნებდნენ იმაში, რომ თურქეთში გადასახლების შემთხვევაში მათ იქაური ხელისუფლება ყველანარ დახმარებას აღმოუჩენდა ნორმალური ყოფით პირობების შესაქმნელად. როგორც ითქვა, XIX საუკუნის მეორე ნახევარში ამგვარი პროპაგანდით მოტყეებულმა ათასობით ადამიანმა საკუთარი წეით დატოვა შშობლიური მიწა-წყალი და საცხოვრებლად თურქეთსა და სხვა მეზობელ მაკადანურ სახელმწიფოებს მიაშურა. მაგრამ მკაცრმა ცხოვრებისულმა რეალობამ მათ მაღე გაუფანტა ამგვარი ილუზიები და მუჰაკირობა მათვის უდიდეს ეროვნულ ტრაგედიად იქცა.

ყოველივე ამაზე აქ ყურადღება იმიტომაც გავაძახვილეთ, რომ ს. მესხის ნაწირებში აფხაზეთზე მსჯელობა, პირველ ყოვლისა, სწორედ მუჰაკირობასთან და მისი ტრაგიკული შედეგების წარმოჩენასთანაა დაკავშირებული.

ამ პრობლემისადმი მიძღვნილი პირველი წერილი – „შავი ზღვის ნაპირების დასახლება“ ს. მესხმა 1875 წელს გამოაქვეყნა გაზეთ „დროებაში“.<sup>1</sup> მასში უდიდესი გულისტკივილითაა აღწერილი ის მძიმე მდგომარეობა, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე, სოხუმიდან ნოვოროსიისკამდე, შეიქმნა იქ მცხოვრები ზალხის თურქეთში გადასახლების შემდეგ. ბუნებრივი სიმდიდროითა და სილამაზით გამორჩეული და აყვავებული ეს ადგილები, ს. მესხის ინფორმაციით, იძუამად უკვე გავრანებული და გაუდანოებული იყო.

მოუხედავად იმისა, რომ ს. მესხის წერილები მკაცრი ცენტურის პირობებში იწერებოდა, რაც ავტორს მნიშვნელოვნად უშლიდა ხელს თავისუფლად და შეუზღუდველად გამოეთქვა საკუთარი მოსაზრებანი, იგი თუმცა შეფარულად და თავშეკავებულად, მაგრამ მაინც მიგვაზედრებს იმას, რომ მუჰაკირობის პროცესი რუსეთის იმპერიის ინტერესებშიც შედიოდა. ამ გზით რუსეთს საშუალება ეძლეოდა, სახელმწიფოდან გაესახლებინა ის ხალხები,

<sup>1</sup> გაზ. „დროება“, № 63, 1875წ. 6 ივნისი,

რომლებიც მის კოლონიურ უდელს არ ეგუებოდნენ და თავგამეტებით იბრძოდნენ ეროვნული თავისუფლების მოსაპოვებლად.

სწორედ ამიტომ წერს ს. მესხი, რომ კავკასიის ზღვისპირეთის დაცარიელება ადგილობრივი მოსახლეობისაგან თურქეთში მათი გადასახლების გზით რუსეთის „უმაღლესი მთავრობის სტრატეგიული მოსახრებით“ ხდებოდა. ამას კი ის შედეგი მოჰყავა, რომ „სოხუმის, ბიჭვინთის, გაგრის და სხვა ხეობებში, იქ, სადაც ადრე „სიცოცხლე ჰქებდა“, ახლა თითქმის კაცის ფეხის კვალსაც იშვიათად დაინახავთ. შხოლოდ აქა-იქ გიჩვენებენ თითო-ოროლა სოფელს, რომელშიც დაყვითლებული და გადარიცებული ჩერქეზები დგანან და ახლად გადმოსახლებულ რუსების კოლონიებია“<sup>2</sup>.

ს. მესხი აშკარა უქმაყოფილებას გამოთქვამს რუსეთის ხელისუფლების მიერ ამ ადგილების კოლონიზაციისათვის გატარებული პოლიტიკის გამო. ამ პოლიტიკის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ურჩი და ბუნტარულად განწყობილი კავკასიელი ხალხების საცხოვრებელ ადგილებში, შავი ზღვის სანაპიროზე, ამ მხარის საიმედო პლაცდარმად გადაქცევის მიზნით ხელისუფლება აქტიურად ცდილობდა რუსეთის შიდა გუბერნიებიდან მასობრივად ჩაესახლებონა რუსი ეროვნების ადამიანები. მთავრობა აქაურ მიწებს იმ წარჩინებულ მოხელეებსაც ურიგებდა ჯილდოებად, რომლებიც განსაკუთრებით იჩენდნენ თავს რუსული იმპერიული პოლიტიკის გატარებაში. ერთ-ერთი მათგანი ყოფილა ცნობილი ქართველობოძულე რედაქტორი – კატკვი, რომელსაც ბიჭვინთის მახლობლად ჰქონია გამოყოფილი მამული.

მაგრამ ერთ შემთხვევაშიც და მეორეშიც მთავრობის ამგვარ გადაწყვეტილებას, ს. მესხის შეფასებით, არავითარი სასიკეთო შედეგი არ მოჰყოლია. კერძოდ, „ზოგიერთები, მართალია, მიდიოდნენ და ესახლებოდნენ, მაგრამ ერთ-ორ წელიწადს უკან რწმუნდებოდნენ, რომ აქ ისინი ვერ მოთავსდებიან... და უკანვე ბრუნდებოდნენ“<sup>3</sup>.

<sup>2</sup> ს. მესხი. თხზულებანი სამ ტომად. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო **თხსებ ბოცვაძემ**. ტ. 2. თბ., 1963, გვ. 77.

<sup>3</sup> ს. მესხი. თხზულებანი, ტ. 2, გვ. 78.

ასევე არ გაამართლა ამ ადგილების „დამსახურებული“ რუსი ჩინოვნიკებისა და „ღენერლებისათვის“ გადაცემის პრაქტიკა-მაც. ს. მესხის თქმით, მათ არა თუ სათანადოდ ვერ მოუარეს ამ მიწებს, არამედ „არც კი უნახავთ თავის მამულები. თუ მყიდველი იპოვეს, გაჰყიდეს, და ვინც ვერ გაჰყიდა, ისე დაუტოვებია გავერანებული“<sup>4</sup>.

ს. მესხი ამის უმთავრეს მიზეზად კიდევ ერთხელ ასახელებს აფხაზეთისა და შავიზღვისპირეთის სხვა ადგილებისთვის დამახასიათებელ სპეციფიკურ ბუნებრივ პირობებს და შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთ გონივრულ გამოსავალს ხედავს – „ეს ალაგები ისევ კავკასიის ხალხებმა უნდა დაასახლონ და შეიმუშაონ; სხვა ტომისა და სხვა ქვეყნის ხალხის აქ მოთავსებას თვით ბუნება ეწინააღმდეგება“<sup>5</sup>.

ცხადია, ადვილად გასაგები მიზეზების გამო, ს. მესხი პირდაპირ და ნიღაბახდილად ვერ გაიღაშქრებდა ამ მოვლენის წინააღმდეგ. ამიტომ იგი ცდილობს ხელისუფლების ამ პოლიტიკას ისეთი არგუმენტების მოშველიებით დაუპირისპირდეს, რომელთა გამოც მას საფრთხე არ დაემუქრებოდა.

როგორც უკვე ითქვა, ამ თვალსაზრისით მის მიერ მოშველიებული ერთ-ერთი უმთავრესი არგუმენტი შავიზღვისპირეთისათვის მკვეთრად დამახასიათებელი სპეციფიკური კლიმატურ-ბუნებრივი პირობებია. მისი მტკიცებით, „ხსენებული ქვეყანა, თუმცა მშვენიერი და ბუნებით ძირდარი ქვეყანაა, მაგრამ აქ რუსები და საზოგადოდ ბარიდამ გადმოსახლებული ხალხი ვერ გასძლებს. ბარის ხალხს სულ სხვა აგებულება აქვს; მთაში ის ვერ იხეირებს, აგრეთვე როგორც მთის ხალხი ბარში. ჰკვა, მიწა, წყალი – ვერაფერი ვერ მიითვისებს“<sup>6</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ ს. მესხის მიერ ხაზგასმული ბუნებრივი პირობები იმხანად მართლაც სერიოზულად უშლიდა ხელს ზღვისპირეთის კოლონიზაციას, ჩვენი ღრმა რწმენით, მთავარი ამ შემთხვევაში მაინც იმის გამო შეშფოთება იყო, რომ

<sup>4</sup> ს. მესხი. ოხზულებანი, გვ. 2, გვ. 237.

<sup>5</sup> ს. მესხი. ოხზულებანი, გვ. 2, გვ. 237.

<sup>6</sup> ს. მესხი. ოხზულებანი, გვ. 2, გვ. 237.

ხელისუფლების მიერ გატარებული ამგვარი პოლიტიკის შედე-  
გად აფხაზეთი უცხო ხალხით დასახლდებოდა და ტერიტორიუ-  
ლადაც და ეროვნულადაც მოწყდებოდა საქართველოს.

ამიტომაც იყო, რომ აფხაზეთზე დაწერილ წერილებში ს.  
მესხი თავგამოდებით ამტკიცებდა ხელისუფლების მიერ გატარე-  
ბული პოლიტიკის სრულ უსაფუძღლობას და მოსახლეობისაგან  
დაცარიელებული და გავერანებული აფხაზეთის აღორძინების ერ-  
თადერთ გზად იქ იმ ხალხთა ჩასახლებას მიიჩნევდა, რომელთა  
„აგებულება უფრო ადვილად აიტანდა იქაურ ბუნებას“.

ასეთებად ს. მესხს, პირველ ყოვლისა, მეგრელები და  
იმერლები მიაჩნია. განსხვავებით რუსებისაგან და სხვა „სლავია-  
ნი“ ხალხებისაგან, რომლებიც „ამ ქვეყნებში ვერ სძლებენ იმ  
მიზეზის გამო, რომ ბარის ტრიალ მინდვრის მცხოვრებნი ვერ  
შეეთვისებიან მთა-კლდიან, ტყიან, ნოტიო ქვეყანას“, მეგრელები  
და იმერლები ამგვარი სიძნელის წინაშე არ დგანან და მათვის  
იქაური ბუნებრივი პირობები სავსებით მისაღებია და ადვილად  
შესაგუებელი.

ნათქვამის დასტურად ს. მესხი კიდევ ერთ, მისი აზრით,  
მეტად მნიშვნელოვან ისეთ არგუმენტსაც იშველიებს, რომელიც  
„ყველაზე უფრო უშლის რუსებსა და სლავიანებს შავი ზღვის  
ნაპირებზე დასახლებას: ეს გახლავთ ის გარემოება, რომ ამ ად-  
გილებში პური არ მოდის; აქ მოდის მხოლოდ სიმინდი, ზოგან  
შეიძლება მოიყანოს კაცმა ჩინებული ღვინო, თითქმის ყველგან  
შეიძლება ხილეულის და მწვანილის მოყვანა, მოშენება ფუტკ-  
რისა, აძრეშუმის ჭიისა და სხვა, მაგრამ პურის კი არსად და  
მოგეხსენებათ, რომ რუსს უპუროდ გაძლება არ შეუძლია“. მათ-  
გან განსხვავებით კი მეგრელებსა და იმერლებს „შეუძლიათ  
უპუროთ გაძლება, ერთიცა და მეორეც მთა-კლდიან და ნოტიო  
ჰავას შეჩვეულები არიან, ერთიცა და მეორეც სრული სამედო-  
ნი არიან პოლიტიკურის მხრით“.<sup>7</sup>

აფხაზეთის გადარჩენისა და ქართულ რეგიონად შენარჩუ-  
ნების შესახებ მსგავს მოსაზრებებს იმხანად სხვა ქართველი მა-  
მულიშვილებიც ხშირად გამოთქვამდნენ. ნათქვამის ნათელსაყო-

<sup>7</sup> ს. მესხი. ოხუცელებანი, გ. 2, გვ. 346.

ფად აქ გვინდა 1877 წელს ი. გოგებაშვილის ვრცელი წერილი – „ვინ უნდა იქნეს დასახლებული აფხაზეთში“ – გავიჩსენოთ. მსგავსად ს. მესხისა, აფხაზეთის კოლონიზაციაზე საუბრის დროს, ი. გოგებაშვილიც ამ მხარეში მხოლოდ მეგრელების დასახლებას უჭერს მხარს, ვინაიდან იქ ისინი „ისე გრძნობენ თავს, როგორც – საკუთარ სახლში. ეს არც გასაკვირია. სამეგრელო ერთადერთი კუთხეა ჩვენში, რომელიც ყოველმხრივ ძალიან ჰგავს აფხაზეთს“.<sup>8</sup>

აფხაზეთში მეგრელების დასახლებას, ი. გოგებაშვილის მართებული მოსაზრებით, „სახელმწიფო ორგანიზაციი მნიშვნელობაც აქვს“. ისინი „ისტორიული თვალსაზრისითაც უფრო კანონიერი მემკვიდრენი არიან განახლებული აფხაზეთისა... წინათ, არც ისე შორეულ წარსულში, აფხაზეთის აღმოსავლეთის ნაწილი მეგრელებს ეჭირათ და სასახლვრო მდინარე არა ენგური, არამედ კოდორი იყო. მაგრამ თურქეთის მხარდაჭერით აფხაზებმა განდევნეს მეგრელები ენგურს გადაღმა და დაიკავეს მაშინდელი სამეგრელოს ტერიტორიის ნაწილი... ამგვარად, აფხაზეთის დასახლება მეგრელებით წარმოადგენს ისტორიული სამართლიანობის აქტს“<sup>9</sup>.

აღბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ს. მესხისა და ი. გოგებაშვილის ამ მსჯელობას საფუძვლად, პირველ ყოვლისა, ის დიდი ტკივილი უდევს, რომლის ღიად და პირდაპირ გაცხადების უფლება იმხანად მათ არ ჰქონდათ. ამ შეფარული ქვეტექსტის არსე, ჩვენი აზრით, აშკარად ვიგრძნობთ მათი წერილების კითხვის დროს. მთავარი და არსებითი ამ შემთხვევაში სწორედ ესაა და არა იმაზე წუხილი, მართლაც გაძლებდა თუ არა „აოხრებულ და უპატიოსნო აფხაზეთში“ ჩასახლებული რუსი იქაურ ბუნებრივ პირობებში უპუროდ.

ს. მესხის წერილებს აფხაზეთზე იმავდროულად საცნობარო-ინფორმაციული ხასიათიც აქვს. ისინი მკითხველს გარკვეულ წარმოდგენას უქმნიან აფხაზეთზე, მათ ყოფასა და კულტურაზე. ს. მესხის შეფასებით, აფხაზები საკმაოდ „უმეცრები“ იყვნენ,

<sup>8</sup> ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად. ტ. 1. თბ., 1989, გვ. 371.

<sup>9</sup> ი. გოგებაშვილი. რჩეული თხზულებანი, ტ. 1, გვ. 399.

თუმცა ბუნებრივი სიმდიდრითა და შშენიერებით გამორჩეული ადგილის მკვიდრნი, მაგრამ ძველთაგანვე მაინც უბედურნი და ღარიბნი. ამ სიმდიდრით ისინი „მხოლოდ მდენად სარგებლობდნენ, რომ შიმშილით არ მოგვდარიყვნენ“ და იმაზე არასოდეს უფიქრიათ, უფრო მეტად გამოეყენებინათ ღვთის მიერ მათვის ნაბობები მდიდარი ბუნება და ზღვა, „გაემართათ აღებ-მიცემობა, პქონოდათ სხვა უფრო განათლებულ ხალხებთან მისვლა-მოსვლა, კავშირი და ამნაირად თვითონაც დამდგარიყვნენ განათლებისა და მოქალაქეობის გზაზე. არ ჰყიქრობდა იმიტომ, რომ ისტორიული გარემოება ამ ხალხებისა ისეთი იყო, რომ ამ გვარს საქმე-ებზე ზრუნვის ფიქრი ვერ შეეძლოთ“.<sup>10</sup> ასე დარჩნენ, ს. მესხის შეფასებით, აფხაზები – „ეს ჩინებული, შესანიშნავი ნიჭისა და ბუნებით დაჯილდოებული ხალხი თოთქმის ბარბაროსებად“.

მართალია, ს. მესხის ამ შეფასებაში ბევრი რამ რამდენადმე გადაჭარბებულია და ჩამოთვლილ მანკიერებათა განზოგადებულად მთელ ხალხზე გავრცელება შეიძლება გარკვეულწილად ტენდენციური მსჯელობის ნაყოფადაც მივიჩნიოთ, მაგრამ, ისტორიულადაც და თანამედროვე თვალთახედვითაც, ავტორისეულ მსჯელობაში ბევრი რამ რომ მაინც აშკარა სიმართლეა, ამას, ვფიქრობთ, დიდი მტკიცება არ სჭირდება. და მაინც, ამის მიუხედავად, ს. მესხი უდიდესი ადამიანური და ეროვნული სინაც-ულით საუბრობს აფხაზთა ტრაგიკულ ხვედრისა და მუჰაჯირობის შედეგად მათვის თავსდატეხილ უბედურებაზე.

ს. მესხის ინფორმაციით, 1878 წელს აფხაზეთიდან ოსმალეთში 50 ათასამდე აფხაზი გადასახლდა. ამ ტრაგიკული მოვლენის არსები თანამედროვე საზოგადოების უკეთ გარკვევის მიზნით ს. მესხი, როგორც „დროების“ რედაქტორი, თავის გაზეთში გარდა თავისი წერილებისა, სხვა ავტორთა პუბლიკაციებსაც ხშირად ბეჭდავდა ხოლმე. ერთ-ერთი მათგანი იყო აფხაზეთის ბლადოჩინის – მაჭავარიანის სტატია სათაურით: „ხალხის არეულობა აფხაზეთში“,<sup>11</sup> რომელსაც ასეთი სარედაქციო შენიშვნა პქონ-

<sup>10</sup> ს. მესხი. თხზულებანი სამ ტომად. შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა და კომენტარები დაურთო იოსებ ბოცფაძეგმ. ტ. 3. თბ., 1964, გვ. 20.

<sup>11</sup> გაზ. „დროება“, 1878წ., №152, №154, №155, №156.

და გაკეთებული: „ეს სტატია დაბეჭდილია რუსული გაზეთის „გოლოსის“ უკანასკნელ ნომრებში და დაწერილია მაჭავარიანი-საგან. სტატიაში ვნახეთ ჩვენ ბევრი საინტერესო ცნობები რო-გორც აფხაზეთში ოსმალოების შემოსვლაზედ, აგრეთვე ზოგი-ერთ იქაურს გავლენიან პირებზე და ამიტომ საჭიროდ დავინა-ხეთ, რომ ეს სტატია შემოკლებით გადმოგველო ქართულს ენა-ზედ და გაგვეცნო ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის“.

აღნიშნული წერილების სერიასა და სხვა საინფორმაციო მასალაზე დაყრდნობით, ს. მესხი გულისტივილით საუბრობს მშობლიური მიწიდან აყრილ და თურქეთში გადასახლებულ აფ-ხაზთა ტრაგედიაზე. იგი დარწმუნებით აუწყებს მკითხველს, რომ მუჰამედი აფხაზთა „მომტებულ ნაწილს“ ფაქტობრივად ძალით აიძულეს სამშობლოდან გადახვეწა. ავტორის გადმოცემით, ისინი „ხომალდებზე წაიყვანეს ოსმალეთში გადასასახლებლად. ისინი სტიროდნენ, ბლაონენ, ხელებს საკუთარი სამშობლოში ქვეყნის-კენ იშვერდნენ და როცა გვეთხოვებოდნენ, ამბოდნენ: მოახსე-ნეთ რუს მთავრობასაო, რომ ჩვენ ჩვენის ნებით არ მივდივარო, ძალად მივყავარო და ამის გამო მტრის ტყვეებად ჩაგვთვალონ და არა მოღალატეებათო“.<sup>12</sup>

ამგვარი არგუმენტების მოშველიებით ს. მესხი შეძლების-დაგვარად ცდილობს რუსეთის ხელისუფლების იმაში დარწმუნე-ბას, რომ აფხაზები ქვეყნის მოღალატენი არ არიან. მას იმედი აქვს, რომ, ყოველივე ზემოოქმედის გათვალისწინებით, „მთავ-რობა არ დაუშლის და ნებართვას მისცემს ყველა აბხაზებს, რო-მელნიც ხელ-ახლად თავის ქვეყანაში დაბრუნებასა და დასახლე-ბას მოინდომებენ“. გარდა კაცომოყვარეობის გრძნობისა, ს. მეს-ხის აზრით, „ამას მოითხოვს სამართლიანობაც და თვით სარ-გებლობაც, რადგან უეჭველია, რომ იმგვარი ხალხები, როგორც ჩერქეზები და აბხაზებია, უკეთესია მეგობრად ჰყავდეს კაცს, ვი-ნემ მტრად“.<sup>13</sup>

აფხაზებისა და, საერთოდ, კავკასიის სხვა მთიელ ხალხთა ტრაგიკულ ეროვნულ ხვედრს ს. მესხი სხვაგან კიდევ უფრო

<sup>12</sup> ს. მესხი. ოხზულებანი, ტ. 3, გვ. 21.

<sup>13</sup> ს. მესხი. ოხზულებანი, ტ. 3, გვ. 21.

აქტიურად გამოესარჩლა. ამ თვალსახრისით მეტად საინტერესოა მისი წერილი „მთიულეთის გადასახლება“, რომელიც „დროების“ 1879 წლის 26 და 27 ივნისის ნომრებში დაიბეჭდა<sup>14</sup>. მასში მან მოქალაქეობრივი გაბედულებით გაილაშქრა იმ დიდმპყრობლური პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც რუსეთის იმპერიის უმაღლესი ხელისუფლება ატარებდა კავკასიელ ხალხთა მიმართ. ამ ხალხებში ავტორი ცხადია აფხაზებსაც გულიხმობს.

ს. მესხი სავსებით მართებულად აკრიტიკებს სამთავრობო კომისიის მიერ მიღებულ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც კავკასიელ მთიელ ხალხთა მშობლიური ადგილებიდან აყრასა და „რუსეთის შუაგულ გუბერნიებში თითო-თითოდ და ოჯახობით გადასახლებას“ ისახავდა მიზნად. კომისიის გადაწყვეტილებით, „მთიულებს წაიყვანდნენ ეტაპით (ქვეითად, სალდაოებით) და დაასახლებდნენ იქ, სადაც შინაგან საქმეთა სამინისტრო უჩვენებდა“. კერძოდ, რომელთაც მიწის მუშაობა შეეძლოთ, მათ ტამბოვისა და სარატოვის გუბერნიებში დაასახლებდნენ, დანარჩენებს კი ქალაქებში. კომისიის აზრით, მთიულთა ამგვარი განცალკევებულ-დაქუცმაცებული განსახლება რუსეთის „შუაგულ გუბერნიებში“ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი უსაფრთხოებით იყო გამართლებული<sup>15</sup>.

ს. მესხი პრინციპულად და კატეგორიულად არ ეთანხმება კომისიის მიერ კანონპროექტის სახით შემოთავაზებულ ამგვარ გადაწყვეტილებას და მკაცრად აკრიტიკებს მას. ხალხთა ასეთი დასჯა, მისი აზრით, ყოვლად გაუმართლებელი ამბავია, „ძნელად წარმოსადგენი და დასაჯერებელი“, ვანაიდან არავითარი გამართლება არა აქვს იმ ფაქტს, „რომ მთავრობამ მოუსვას ხელი რამდენიმე ათი და ასი ათას მთიულს, მტყუანს და მართალს, და ყველა რუსეთის შუაგულ გუბერნიებში ანუ აღმოსავლეთ ციმბირში გადასახლოს“.

ამგვარი მოქმედების მიზანშეუწონლობას ს. მესხი რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოებით ხსნის. ჯერ ერთი, იმით, რომ მთიულების „რუსეთის ვერანა და უდაბნო ადგილებში“ დასახლება

<sup>14</sup> გაზ. „დროება“, 1879წ., №132, №133.

<sup>15</sup> ს. მესხი. ობზულებაზი, გ. 3, გვ. 198.

სასიკვდილოდ მათ გაწირვას ნიშნავდა. მას ვერაფრით აუხსნია, რატომ უნდა მოაშოროს ხელისუფლებამ ხალხი „თავის სამშობლო მთებს, რატომ უნდა დასაჯოს ასე მწარედ ის მთიულები, რომელთაც არავითარი დანაშაული, არავითარი ურჩობა და წინააღმდეგობა არ მიუძღვით მთავრობის წინაშე?“

იმის გამო, რომ კომისიის მიერ შედგენილი კანონპროექტი მთავრობას ჯერ მიღებული და დამტკიცებული არ ჰქონია, ს. მესხი, შეეცადა კონკრეტული მოსაზრებები გამოეთქვა მის შესარბილებლად. მართალია, მას, როგორც ეს დამოწმებული წერილიდან ნათლად და არაორაზროვნად ჩანს, აღნიშნული კანონპროექტი საერთოდ არ მოსწონდა, მაგრამ ცენზურულ-პოლიტიკური შებოჭილობის გამო თავისი ნამდვილი გულისხმის ბოლომდე გამოთქმის შესაძლებლობას იგი იმხანად მოკლებული იყო. ბუნებრივია, ს. მესხს ეს ყველაფერი კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რის გამოც ცდილობდა ხელისუფლება კომისიის მიერ შეთავაზებული გადასწვეტილების სრულ მიზანშეუწონლობაში ისეთი არუმენტების მოშველიებით დაერწმუნებინა, რომლებიც მთავრობისთვისაც მისაღები იქნებოდა.

მისი აზრით, ეს კანონი მთელ ხალხს კი არა, მხოლოდ იმ მთიულებს უნდა შეხებოდა, რომლებიც ხელისუფლების საწინააღმდეგო დანაშაულს ჩაიდენდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში მთავრობა არა თუ საწადელს ვერ მიაღწევდა, პირიქით, მისი ამგვარი მოქმედება სახელმწიფოს უფრო მეტ ვწებას მოუტანდა, ვიდრე სარგებლობას. ასე რომ, უდანაშაულო ხალხთა მშობლიური აღგილებიდან აყრა და გადასახლება, ს. მესხის აზრით, ეს იქნებოდა „გაუნათლებელ და უმეცარ მთიულების ერთობ მძიმე, სასტიკი და შეუბრალებელი დასჯა... ნუთუ სამართლიანობა იქნება, – აღშეოთებით კითხულობს პუბლიცისტი, – რომ ეს ორივენი (უდანაშაულო და ანტისახელისუფლებლო ამბოხების მოთავენი – ო.ნ.), ერთნაირად იქმნებ დასჯილნი, რომ ორთავეს ერთი-და-იგივე გზა უჩვენონ შუაგულ რუსეთისა და ციმბირისა“.<sup>16</sup>

წერილის დაწერის საფუძვლად ქცეული ნამდვილი გულისთქმის შესანიღბად და ცენზურისათვის თვალის ასახვევად ს.

<sup>16</sup> ს. მესხი. ობზულებანი, გ. 3, გვ. 195.

მესხი კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას „რუსეთის სახელმწიფო ონტერესების“ საწინააღმდეგო მოვლენად მიიჩნევს და დაბეჭითებით უსვამს ხაზს იმ ფატს, რომ ამ ღონისძიების გატარება „რუსეთის სახელმწიფოს დიდს ზარალს მოუტანს“.

აქვე ხელისუფლებას იგი იმაშიც არწმუნებს, რომ „იმ სასტიკი მაგალითების შემდეგ, რომელიც გამოსცადეს მთიულებმა ამ ომის დროს და ადრეც რამდენჯერმე, როცა აჯანყდნენ და ამ აჯანყებით ვერაფერი ვერ გაიტანეს გარდა იმისა, რომ შეუბრალებლად იქნენ დასჯილნი“, ისინი უკვე აღარ „განიზრახავენ აჯანყებასა და მთავრობის წინააღმდეგობას. ამ აჯანყებისათვის ათასობით გაიგზავნენ რუსეთსა და ციმბირში, ათასობით გზაზე და ადგილობრივ იქნენ დახოცილნი; ისე ოჯახი არა არის, რომ ერთი კაცი მაინც არ აკლდეს. ვინც დარჩნენ, იმათ კარგად ეხსომებათ – რა არის რუსის მთავრობის ურჩობა, შთამომავლობიდან შთამომავლობაზე გადავა ის სასტიკი ბედი, რომელიც იმათ ეწიათ რამდენჯერმე რუსის წინააღმდეგობისათვის“!<sup>17</sup>

ვფიქრობო, დამოწმებული ფრაგმენტი, თუმცა შენიდბულად, მაგრამ მაინც ნათლად და აშკარად გამოხატავს პუბლიცისტის შინაგან პროტესტს იმ ბარბაროსული კოლონიური პოლიტიკისადმი, რომელსაც რუსეთის ხელისუფლება ატარებდა კავკასიელ ხალხთა დასათრგუნად და დასამორჩილებლად. ს. მესხის აზრით, კავკასიელი მთიულები იმის გამო კი არ შეეგუენ რუსულ კოლონიალიზმს, რომ თავიანთი მდგომარეობით იყვნენ კმაყოფილები, არამედ იმიტომ, რომ სხვა გზა, სხვა საშველი აღარ ჰქონდათ და დაინახეს, რომ „ვერა გაუვიდათ-რა“.

მთიულ ხალხთა გადასახლების გამო ს. მესხის შეშფოთებას დიდად ზრდიდა ის გარემოებაც, რომ ეს მოვლენა საკუთრივ საქართველოსა და აფხაზეთისოვისაც ძალზე საზიანო იყო. ამის დასტურად მას ასეთი მაგალითი მოჰყავს: ხელისუფლების მიერ თავიანთი სამშობლოდან აყრილი და განდევნილი ჩერქეზები სოხუმის მაზრაში შეიჭრნენ, ხალხს თავს დაესხნენ და მათი მოგერიება „ჩერქეზები მმართველობას იაფად არ დაუჯდა“. ამას დაემატა ისიც, რომ „იმათგან ძალად დატოვებული ქვეყანა, თუმცა იქ სხვა-

<sup>17</sup> ს. მესხი. თხზულებანი, გ. 3, გვ. 200.

და-სხვა ჩინოვნიკებს, კატკოვებს და უცხო ქვეყნის კოლონიებს დაურიგეს მიწები, მაგრამ სულ გავერანდა, სულ შეუმუშავებელი და დაუსახლებელი დარჩა“.<sup>18</sup>

ამგვარი ამბებით შემფოთებული ს. მესხი გულისტკივილით აუწყებს მკითხველს, რომ ასეთი მოვლენები ახლა შესაძლოა ახლად შემოერთებულ „აჭარასა და საზოგადოდ მაპმადინ საქართველოშიც“ განვითარებულიყო, თუ ხელისუფლების უგუნური პოლიტიკის წყალობით იქიდან ადგილობრივი მოსახლეობა აიყრებოდა და თურქეთში გადასახლდებოდა.

ს. მესხმა მუჰაჯირობის აღკვეთისა და იმპერიული ხელისუფლების მიერ უმკაცრესი სასჯელისათვის გამეტებულ კავკასიელ ხალხთა გულის მოგების უმთავრეს საშუალებად სახელმწიფოსაგან „შერისხულ მთიულ ქვეწებში კარგი, პატიოსანი, ადგილობრივი ხალხის ხასიათისა და ენა-ჩვეულების მცოდნე ნაჩალნიკების“ დანიშვნა და იქ „ფაზარმებისა და საპყრობილების ნაცვლად“ ისეთი „შკოლების“ აშენება მიიჩნია, „რომლებშიაც იმათ ენასა და სარწმუნოებას პატივი და განმგებლობა ექნება“. „ჯარებისა და ზარბაზნების მაგიერად, – მოუწოდებდა იგი ხელისუფლებას, – გაგზავნეთ იქ კარგი, მცოდნე მასწავლებლები სახელმძღვანელო წიგნებითა და კალამ-ქაღალდითა, დააწესეთ ადგილობრივ ადათის მსგავსად კარგი სასამართლოები, გაგზავნეთ პატიოსანი მოსამართლები და – თქვენ ნახავთ, რომ ათი-ოცი წლის განმავლობაში თქვენ შეიძენთ ხალხს მშვიდობინს, მხნეს, მუშაკს, რომელიც თავის თავისთვისაც კარგი იქნება და სახელმწიფოსთვისაც ძვირფასი და გამოსადეგი“.<sup>19</sup>

ს. მესხის ამ სიტყვებში, ჩვენი აზრით, ნათლად და მკაფიოდ გამოიხატა იმ დამოკიდებულების უმთავრესი არსი, როთაც რუსეთის იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებას არარუსი ეროვნებებით დასახლებული ქვეწები უნდა ემართა.

<sup>18</sup> ს. მესხი. ოხზულებანი, ტ. 3, გვ. 201.

<sup>19</sup> ს. მესხი. ოხზულებანი, ტ. 3, გვ. 202.

## **О. Н. НИКОЛЕИШВИЛИ**

### **СЕРГЕЙ МЕСХИ И ПРОБЛЕМА АБХАЗИИ**

В статье освещено публицистическое наследие видного представителя грузинского национально-освободительного движения II половины XIXв. Сергея Месхи по абхазской проблематике. На конкретном материале показано, как глубоко переживала передовая грузинская общественность трагическую участь абхазского народа. Это сочувствие выражено, в частности, в публикациях С. Месхи. В них, кроме того, дана обличительная критика имперской политики российских властей, что выражалась в массовом заселении русскими освободившихся в результате махаджирства земель с целью окончательного покорения данного края.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება  
აფხაზეთის ორგანიზაცია  
საისტორიო ძეგანი, 7, 2004

## ირაკლი გელენავა

### თავისუფალი – თვითმოქმედი საზოგადოებები ავხაზეთში 1900-1917 წლებში

XX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთი, რუსეთის იმპერიის პერიფერიული მხარე, სოციალურ-ეკონომიკური პრობლებით იყო დატვირთული, მისი მოსახლეობის ძირითადი მასა უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა, ხოლო კულტურულად ჩამორჩენილი იყო.

თვითმხილველის თქმით, 1902 წელს სოხუმი სავაჭრო ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებდა. აქ ვაჭრობდნენ წვრილმანი აზიური საქონლით. ხშირი ყოფილა ხილის, ჩაის, თამბაქოს, ღილებისა და სხვა ათასი წვრილმანი საქონლის გასაყიდი დახლები, იყიდებოდა ადგილობრივი იაფიასიანი და ნატურალური ღვინოებიც. ასევე მრავლად ყოფილა სახელოსნოები და სასადილოები, რომლებიც საზოგადოების უბრალო ფენის წარმომადგენლებისათვის ყოფილა განკუთვნილი<sup>1</sup>. წვრილ ვაჭრობას განსაკუთრებული ადგილი ეკავა აფხაზეთის მოსახლეობის ყოფაში, ამ დროისთვის თითქმის ყველა დაბაში არსებობდა ბაზარი, ღუქნები, მაღაზიები და სახელოსნოები. იმდროინდელი კორესპონდენტი გვამცნობს: „დაბა ოჩამჩირეში ღუქნები და მაღაზია 100-ზე მეტია“.<sup>2</sup> გვაქვს სხვა ცნობაც, რომ სამურზაყანოს სოფლებში ტოგონში (აჩიგვარა) და ოქუმში 60-მდე ღუქანი ყოფილა<sup>3</sup>.

საყურადღებოა სხვა თვითმხილველის ცნობა, რომელიც 1906 წლით თარიღდება: „სოხუმი უფრო სოფელია ვიდრე ქალაქი, აქ გონიერივი სიღატაკეა და ისეთი ჩამორჩენილია ყველაფერში, ყვე-

<sup>1</sup> **В. Васюков.** Край гордой красоты. СПб, 1902, № 179; **გ. ზუხბაია.** სოხუმი. თბ., 1997, გვ. 137-138.

<sup>2</sup> გან. „ჩვენი ძეგობარი“, 1916წ. 18 ოქტომბერი.

<sup>3</sup> გან. „სახალხო ვურცელი“, 1914წ. 26 ივნისი.

ლა თავის სოროებში ჩამდვრალა და იქიდან უფურებს ქვეყანას... ცხოვრება აქ თითქოს შეჩერებულია, წინსვლა სრულიად არ ეტყობა. აქ თითქმის ნასახიც არ მოიპოვება საზოგადოებრივი ცხოვრების: კლუბი და ჭორიკანაობა – აი რაში იხარჯება აქაურების ღრო. „ფორმისათვის“ გაზეთებსაც კითხულობენ, მაგრამ ეს მათ გონიერებას არ ეკარება: მათი სული და გული სხვა რამეს შეუბოჭავს, მათი ოცნება სხვა ქვეყანაში ტრიალებს: ფული და მოსვენება, „ჭამობია და ძილობია“, – აი აქაურების იდეალი<sup>4</sup>.“

ასეთი ულიმდამო ყოფიერება საოცარი ბუნებრივი რესურსებით მდიდარ კუთხეში, რა თქმა უნდა, წარმოშობდა ცდუნებას შემძლე და პრივილეგირებული წარმომადგენლების მხრიდან, რომ მაქსიმალურად გამოყენებინათ აფხაზეთის კლიმატური და ბალნეოლოგიური პირობები. ყველაზე მეტ აქტიურობას რომანოვების საგვარუულოსთან დანათესავებული პრინცი ალექსანდრე ოლდენბურგელი იჩენდა. მისი მიზანი იყო გაგრაში „ისეთი კურორტი შეუქმნა, რომ რუსეთის მოწინავე საზოგადოება აქეთკენ მოეზიდა და ის ფულები და აურებელი ქონება, რომელსაც უცხოეთში ფლანგავდა რუსობა, აქვე რუსეთში დარჩენილიყო<sup>5</sup>.“

იყო პირველი შედეგებიც, სერიოზული ინვესტიციები ჩაიდო გაგრის საკურორტო ზოლის მშენებლობაში. გადაწყდა, გაგრაში 1902 წელის 6 დეკემბერს ეკურთხებინათ პრინც ოლდენბურგელის სახელზე აგებული სანატორიუმი<sup>6</sup>. უკვე მოგვიანებით აღვრთოვანებული მოგზაური ასე აღვიწერდა გაგრას: „უზარმაზარი შენობები, სანატორიუმები, კიოსკები, აბანოები, ახალი სტილის სასახლე-სასტუმროები“<sup>7</sup> და სხვ.

XX საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების გვალდაკვალ, აფხაზეთში აშკარაა არა მარტო პრივილეგირებული წარმომადგენლების ფენების აქტივობა, არამედ დემოკრატიული ფენების ძალისხმევა, რათა აფხაზეთის მოსახლეობის ერთფეროვანი ყოფა შეცვლილიყო

<sup>4</sup> გაზ. „გალდა“, 1906წ. 17 (29) ნოემბერი.

<sup>5</sup> გაზ. „საქართველო“, 1918წ. 1 (14) იანვარი.

<sup>6</sup> გაზ. „იურია“, 1902წ. 20 ნოემბერი.

<sup>7</sup> გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911წ. 2 ნოემბერი.

უკეთესობისაკენ. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევა ადასტურებს, რომ ამ მხრივ 1900-1917 წლებში აფხაზეთის მოსახლეობის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ თვითმოქმედი გაერთიანებები, თანამეგობრობები, საქველმოქმედო ორგანიზაციები, სათვისტომოები და სხვ. ასეთი გაერთიანებების ინტერესთა სფეროს წარმოადგენდა: მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, საინვესტიციო პოლიტიკა, ჯანმრთელობა, უპოვართა და ლტოლვილთა დახმარება, მოსახლეობის დასვენებისა და კულტურული გართობის ორგანიზაცია. ჩვენი ვარაუდით, ყველაზე ეფექტური შედეგებით გამოიჩინდნენ ეკონომიკური პროფილის გაერთიანებები.

მრეწველობის სფეროში ამხანაგობათა ინიციატივა ყველაზე მეტად შავი ზღვის პირას რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის რეალიზაციასთან დაკავშირებით გამოიკვეთა. რკინიგზას აფხაზეთისათვის, როგორც დღეს, ისე მაშინაც, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ამიტომაც ბუნებრივად ჩანს „კავკავის გზის საზოგადოების“ წევრთა აქტივობა, რომ მიეღოთ მთავრობისაგან შავი ზღვის ნაპირას რკინიგზის გაყვანის უფლება, რაც მათ მოიპოვეს 1902 წელს<sup>8</sup>.

უფრო შთამბეჭდავია აფხაზეთში სასოფლო-სამეურნეო პროფილის გაერთიანებათა და ამხანაგობების მუშაობის ინტენსივობა: 1899 წლის დასაწყისში დრონდაში დაარსდა „მებრეშუმეობის ამხანაგობა“,<sup>9</sup> 1900 წელს სოხუმში დაარსდა „კავკასიის სამეურნეო საზოგადოება“ რომლის წესდებაც დაამტკიცა კავკასიის მთავარმართებელმა<sup>10</sup>. ამავე პერიოდში დრანდაში არსდება „სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება“,<sup>11</sup> 1903 წელს შეიქმნა „სამურზაყანო-კოდორის ფრინველთა გამშენებელი საზოგადოება“.<sup>12</sup> 1911 წელს სოხუმში შეიქმნა მომხმარებელთა საზოგადოება „სოლიდარობა“, რომელსაც თავისი წესდება ჰქონდა<sup>13</sup>.

უკვე შექმნილი სასოფლო-სამეურნეო პროფილის საზოგა-

<sup>8</sup> გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902წ. 27 ივნისი.

<sup>9</sup> გაზ. „კვალი“, 1901წ. 25 თებერვალი; იხ. ასევე: თ. სახოკია. ჩემი საუკუნის ადამიანები. თბ., 1984, გვ. 52.

<sup>10</sup> გაზ. „ივერია“, 1900წ. 28 მაისი.

<sup>11</sup> გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904წ. №2418.

<sup>12</sup> გაზ. „ივერია“, 1903წ. 19 აპრილი.

<sup>13</sup> გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911 წ, 26 ივლისი.

დოებების ძირითადი მიზანი იყო სოფლის მეურნეობის პროგრესული ფორმების დაწერვა, რაც წინ წასწევდა რევიონის არა მარტო სოფლის მეურნეობას, არამედ აფხაზეთის ტერიტორიაზე აგრარული მეცნიერების საფუძვლებსაც დაწერვავდა. ამ დასკვნის საფუძველს გვაძლევს ის, რომ უკვე 1911 წელს სოხუმის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება შეუდგა სასოფლო-სამეურნეო ჟურნალის „ჩერნომორსკი სელიანინის“ გამოცემას და დეპარტამენტისაგან ითხოვდნენ ფინანსურ დახმარებას, ყოველწლიურად 700 მანეთო, რათა ასეთი საჭირო ჟურნალის გამოცემა არ შეწყვეტილიყო<sup>14</sup>. ჟურნალმა „ჩერნომორსკი სელიანინმა“ გარკვეული როლი შეასრულა აფხაზეთში აგრარული ტექნოლოგიების დაწერვის საქმეში.

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებების ინიციატივას ზოგჯერ ოფიციალური სტრუქტურებიც ეწყობოდნენ, რადგან რწმუნდებოდნენ მათ მიერ დაწყებული საქმის მნიშვნელობაში. მაგალითად, სოხუმის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას მიწათმოქმედების სამინისტრომ საცდელი საფრინველეს მოსაწყობად 300 მანეთი გადასცა<sup>15</sup>.

უფრო დეტალური ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებზე ჩვენ არ გავვაჩნია, მაგრამ გვაქვს ცნობა, რომ 1915 წელს დაბა ოჩამჩირის მცხოვრებნი ქუთაისის გუბერნატორის წინაშე შუამდგომლობები, რომ მან ნება დართოს, დააარსონ „ოჩამჩირის მომხმარებელი საზოგადოება“. <sup>16</sup> ამავე წელს სოფ. გუდაუთის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღმრეს გუბერნატორის წინაშე, რათა ამ უკანასკნელს „სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების“ დაარსების ნება დაერთო<sup>17</sup>. ამავე პერიოდში პრესის მონაცემები მოუთოებენ, რომ სოხუმში მოქმედებას იწყებს „კოოპერატივის მომხმარებელი საზოგადოება“, „პატრონი“.<sup>18</sup>

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებების ერთ-ერთი მიმართუ-

<sup>14</sup> გაზ. „სახალხო გაზეთი“. 1911წ. 14 ოქტომბერი.

<sup>15</sup> გაზ. „იმერეთი“, 1913წ. 9 ივლისი.

<sup>16</sup> გაზ. „საქართველო“, 1915წ. 12 ქისტეშობისთვე.

<sup>17</sup> გაზ. „საქართველო“, 1916წ. 1 მარტი.

<sup>18</sup> გაზ. „საქართველო“, 1915წ. 3 ნოემბერი.

ლება იყო პირველი მსოფლიო ომის მძიმე პირობებში მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით მომარაგება. ისინი აარსებდნენ საცხობებს, პურის მაღაზიებს, ფარდულებს და ა. შ. არის ინფორმაცია, რომ 1915 წელს სამურზაყანოში გახსნეს კოოპერატიული ფურნე და გეგმაში ჰქონიათ მასთან სხვადასხვა სანოვაგისათვის განყოფილების გახსნაც<sup>19</sup>. ამავე წლის მიწურულს დაბა ოჩამჩირის მცხოვრებლებმა დაარსეს „მომხმარებელთა საზოგადოება“, რომელსაც ჰქონდა ფურნე, იგი დახმარებას უწევდა მატერიალურად გაჭირვებულ ხალხს. მის შესახებ იძღროინდელი კორესპონდენტი წერდა: „ეს ამხანაგობა მხოლოდ სამი ოვეა არსებობს და უკვე კვალიც დაამჩნია“.<sup>20</sup>

აფხაზეთში საკმაოდ წარმატებული იყო ურთიერთოდამხმარე, ანუ „საურთიერთობო“, საზოგადოებები. მისი პირველი ხსენება 1900 წელს დავაფიქსირეთ, როცა გაზეთმა „კვალმა“ დაბეჭდა ინფორმაცია, რომ სოხუმში „განუზრახავთ დაარსონ საურთიერთობო ნდობის საზოგადოება“. ამ საზოგადოების მოღვაწეობის წარმატებებზე ისიც მოუთითებს, რომ 1912 წელს მას უკვე 900 წევრი ჰყავდა<sup>21</sup>. მათი ძირითადი ამოცანა გაჭირვებული თანამოქალაქეების დახმარება, მათ შორის მატერიალური მხარდაჭერის გაწევაც იყო. 1904 წლის 14 დეკემბერს სოხუმში აკურთხეს ადგილობრივი საქველმოქმედო საზოგადოების მიერ გახსნილი ღამის თავშესაფარი. ამ თავშესაფარში გაჭირვებულ ხალხს დამის გათევის გარდა შეეძლოთ აგრეთვე ჩაი და ცხელი საჭმელი მიეღო<sup>22</sup>.

„სულ ორ კვირაში თავშესაფარს იმდენი ხალხი მოაწყდა, – წერს იძღროინდელი კორესპონდენტი, – რომ ნახევარსაც ვერ აქმაყოფილებდა“. აქვე ამ წერილის ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „არც ერთ ქალაქში ამდენი მაწანწალა არ დაეხეტება როგორც სოხუმში“. ამ საზოგადოებას ქალაქის მთავრობა წლიურად ას თუმანს აძლევდა თურმე, რითაც უკმაყოფილოა წერილის ავტორი და ამბობს: „...შემდეგში ორ ამდენსაც მოითხო-

<sup>19</sup> გაზ. „საქართველო“, 1915წ. 22 ოქტომბერი.

<sup>20</sup> გაზ. „საქართველო“, 1916წ. 9 ოქტომბერი.

<sup>21</sup> გაზ. „თებერ“, 1912წ. №91.

<sup>22</sup> გაზ. „ივერია“, 1904წ. 6 იანვარი.

ვენ (დაფინანსებას – იგ.) და ის კი ავიწყდებათ, რომ მაწანწალათა სამასპინძლოდ კი არა, წარჩინებულ პირთა შესახვედრადაც ნება არა აქვს ქალაქის საბჭოს დახარჯოს რამე საზოგადო ფულიდან“.<sup>23</sup>

საუროიერობო ნდობის საზოგადოება სპონსორების მოძიებითა და თავისუფალი სახსრების მოზიდვითაც იყო დაგავებული. არის ცნობა, რომ 1911 წელს საზოგადოებამ ანონიმური სპონსორის მიერ შემოწირული თანხა 500 მანეთი ასე გაანაწილა: „1) 100 მან. საქველმოქმედო საზოგადოებას. 2) 100 მან. ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოებას. 3) 100 მან. ჭლექთან მებრძოლ საზოგადოებას. 4) 100 მან. ქართულ სასკოლო საზოგადოებას. 5) 100 მან. აფხაზეთის სასკოლო საზოგადოებას“.<sup>24</sup>

როგორც დავინახეთ, ქველმოქმედება ამხანაგობებისა და საზოგადოებების მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იყო, მაგრამ აფხაზეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, სპეციალური საქველმოქმედო საზოგადოებები იქმნებოდა, რომელთა საწესდებო მოვალეობას შეადგენდა უპოვართა და მიუსაფართა მატერიალური და სულიერი დამხმარება, ასევე სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა გაერთიანება. მაგალითად, სოხუმში შედგა „ურთიერთ შორის დამხმარე საზოგადოება“, რომლის მიზანი იყო, ერთ ჯგუფად გაერთიანებინა სხვადასხვა პროფესიის ადამიანი, აღმოეჩინა წევრებისა და მათი ოჯახებისათვის როგორც მატერიალური, აგრეთვე სულიერი დამხმარება, გაჭირვების დროს გაეცა სესხი. ოუ ამ ორგანიზაციის წევრს დაითხოვდნენ სამუშაოდან, საზოგადოებას უნდა ეზრუნა მისი დასაქმებისათვის, ასევე ამ ადამიანისათვის მიეწოდებინა „გონიერი და სასარგებლო გასართობი“, საზოგადოებას უნდა უზრუნველეყო თავისი წევრების გონებრივი და ზნებრივი განვითარებისათვის საჭირო პირობები, როცა მათ ამისათვის ექნებათ თავისუფალი დრო<sup>25</sup>.

1908-1911 წლებში სოხუმში ასევე უკვე ფუნქციონირებდა „ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოება“,<sup>26</sup> „ჭლექთან მებრ-

<sup>23</sup> გახ. „ივერია“, 1904წ. 6 იანვარი.

<sup>24</sup> გახ. „სახალხო გაზეთი“, 1911წ. 14 დეკემბერი.

<sup>25</sup> გახ. „კვალი“, 1902წ. 29 სექტემბერი.

<sup>26</sup> გახ. „სახალხო გაზეთი“, 1911წ. 14 დეკემბერი.

ძოლი საზოგადოება“ (რომლის წესდება მთავრობას 1904 წელს დაუმტკიცებია),<sup>27</sup> „ქართული სასკოლო საზოგადოება“,<sup>28</sup> „აფხაზეთის სასკოლო საზოგადოება“,<sup>29</sup> „ცეცხლისაგან დამზღვევი საურთიერთო საზოგადოება“<sup>30</sup> და სხვ.

განსაკუთრებული ეფექტურობით გამოირჩეოდა ქართული საქველმოქმედო საზოგადოების სოხუმის განყოფილება, რომელიც დაარსდა 1915 წლის ნოემბერში. იგი აქტიურ დახმარებას უწევდა ადგილობრივ ხელმოკლე ოჯახებს. დაარსებიდან ერთი თვის განმავლობაში ამ საზოგადოებისათვის დახმარების სათხოვნელად 166 ოჯახს მიუმართავს. ამ ოჯახების წევრთა რაოდენობა 654 სულს შეადგენდა, ამათგან მამაკაცი იყო 150, ქალი – 185, ბავშვი – 319. დახმარება აღმოჩნდა 31 ოჯახს, რაც საშუალოდ ოჯახზე 5 მანეთი იყო. საქველმოქმედო ღონისძიებების გასაძლიერებლად განყოფილებამ დაადგინა, შეექმნა დაწესებულება რომელიც ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებას მოემსახურებოდა. ამისათვის აირჩიეს 5 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც მიანდეს მოლაპარაკება საჩაიეს პატრონთან (ბულვარის საუკეთესო ნაწილში), რომ ამ უკანასკნელს კვირაში 2 დღით მათოვის დაეთმოთ საჩაიე, ისე, რომ მიღებული შემოსავალი მათი ყოფილიყო<sup>31</sup>. მეტად საყურადღებოა, რომ იმავე 1916 წლის აგვისტოში „ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას“ სოხუმში შემოხინეულ აფხაზთა დასახმარებლად ქ. სოხუმის განკარგულებაში 500 მანეთი გადაუდგია<sup>32</sup>. ამავე საზოგადოების მიერ ლტოლვილი აფხაზებისა და საერთოდ ომისაგან დაზარალებულებისთვის დახმარების გაწევის გახშირებაზე გვაწვდის ცნობას გაზ. „ჩვენი მეგობრის“ კორესპოდენტიც<sup>33</sup>.

<sup>27</sup> გაზ. „ცნობის ვურცელი“, 1904წ. 17 ნოემბერი; იხ. აგრეთვე: „სახალხო გაზეთი“, 1911წ. 14 დეკემბერი.

<sup>28</sup> გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911წ. 14 დეკემბერი.

<sup>29</sup> გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911წ. 14 დეკემბერი.

<sup>30</sup> გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911წ. 19 ოქტომბერი.

<sup>31</sup> გაზ. „სახალხო ვურცელი“, 1916წ. 7 აპრილი.

<sup>32</sup> გაზ. „სახალხო ვურცელი“, 1916წ. 28 აგვისტო, კვირა, №660 (გაზეთს 28 აგვისტო შეცდომით აწერია, უნდა იყოს 30 აგვისტო – ი.გ.).

<sup>33</sup> გაზ. „ჩვენი მეგობარი“, 1916წ. 14 დეკემბერი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მრავალეროვან აფხა-  
ზეთში პარალერულად მოქმედებდნენ საზოგადოებები ეროვნული  
ნიშნით. მაგალითად, არსებობდა ბერძნების<sup>34</sup>, სომხებისა და რუ-  
სების (ჭეშმარიტ რუსთა კავშირის) საზოგადოებები<sup>35</sup>. ამ უკანა-  
სკნელის მოღვაწეობა განსაკუთრებით გამოირჩეოდა ანტიქაროუ-  
ლი საქმიანობით.

თვითმოქმედი საზოგადოებები ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ  
განათლებისა და კულტურის სფეროშიც, ეს მათი უპირველესი  
მოღვაწეობა იყო.

სოხუმში არსებობდა „ფილარმონიული საზოგადოება“,<sup>36</sup> „სა-  
ხალხო უნივერსიტეტის საზოგადოება“, რომელიც 1908 წელს  
დაარსდა, მოქმედება დაიწყო სახალხო უნივერსიტეტმა, რომლის  
კურსებზე 30-40 კაცი დადიოდა, ამ კურსებზე სწავლა რუსულ  
ენაზე მიმდინარეობდა<sup>37</sup>.

გარკვეული კვალი თვითმოქმედმა საზოგადოებებმა დაამჩნი-  
ეს აფხაზეთის თეატრალურ ცხოვრებასაც. სოხუმში ფუნქციონი-  
რებდა დრამატული ხელოვნების მოყვარულთა წრე, რომელსაც  
თავისი წესდებაც ჰქონდა<sup>38</sup>. მას 1911 წელს სახალხო უნივერ-  
სიტეტის საზოგადოებასთან შეერთება განუზრახავს<sup>39</sup>.

საქველმოქმედო საზოგადოებები და გაერთიანებები დიდ ფუ-  
რადღებას უთმობდნენ მოსახლეობის განათლებას და კულტუ-  
რულ დაწინაურებას. ამ მხრივ განსაკუთრებული ღვაწლი „ქარ-  
თველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“  
მიუძღვის. ამ ორგანიზაციის სოხუმის განყოფილების პირველი  
კრება 1909 წლის 17 მაისს იქნა მოწვეული, ხოლო მეორე –  
31 მაისს<sup>40</sup>. თუმცა მანამდეც „ქართველთა შორის წერა-კითხვის  
გამავრცელებელი საზოგადოება“ აქტიურად იყო ჩაბმული აფხა-  
ზეთში კულტურისა და განათლების გავრცელების საქმეში. 1903

<sup>34</sup> გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1911წ. 27 ნოემბერი.

<sup>35</sup> გაზ. „დროება“, 1909წ. 25 ივნისი.

<sup>36</sup> გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1912წ. 13 ივნისი.

<sup>37</sup> გაზ. „საქართველო“, 1915წ. 6 ქრისტეშობისთვე.

<sup>38</sup> გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911წ. 10 ივნისი.

<sup>39</sup> გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911წ. 20 ოქტომბერი.

<sup>40</sup> გაზ. „დროება“, 1909წ. 25 ივნისი.

წლის 10 ივნისს საზოგადოების გამგეობის დადგენილებით, სოხუმელი ქართველობის შუამდგომლობის საფუძველზე ოლქის მზრუნველის წინაშე აღიძრა შუამდგომლობა სოხუმში სასწავლებლის დაარსების თაობაზე<sup>41</sup>. გვაქვს ინფორმაცია, რომ სოხუმში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სასარგებლოდ იმართებოდა საქველმოქმედო საღამოების<sup>42</sup>.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სოხუმის განყოფილების გახსნის შემდეგ აფხაზეთის დაბებში შეიმჩნევა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ადგილობრივი განყოფილებების გახსნის მცდელობა. გვაქვს ინფორმაცია, რომ 1912 წელს გუდაუთის ქართველობა ცდილობდა დაერსებინა ადგილობრივი განყოფილება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“.<sup>43</sup> მოვლენების ამდაგვარმა განვითარებამ ორგანიზაციის საქმიანობა ამ მხარეში უფრო ეფექტური გახდა. მათ 1910 წელს ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორისაგან მიიღეს სოხუმში სკოლის დაარსების ნებართვა<sup>44</sup>. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ ზრუნავდა მის მიერ გახსნილი სკოლების მაწავლებელთა კადრების შერჩევაზე და მათ ჯამაგირზეც<sup>45</sup>. ორგანიზაცია აგრეთვე ზრუნავდა სკოლების განთავსებასა და სწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნისათვის. მაგალითად, გვაქვს ცნობა, რომ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სკოლა ქ. სოხუმში იოსელიანის სახლიდან ეგნატე გეგენავას სახლში გადაუტანიათ<sup>46</sup>. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ძალისხმევით აფხაზეთში ასევე იხსნებოდა სამკითხველოები, რაც, რა თქმა უნდა, ისევ და ისევ ადგილობ-

<sup>41</sup> გაზ. „ცნობის ვურცელი“, 1903წ. 12 ივნისი.

<sup>42</sup> გაზ. „ცნობის ვურცელი“, 1904წ. 10 ივნისი

<sup>43</sup> გაზ. „ბათუმის გაზეთი“, 1912წ. 27 ივნისი.

<sup>44</sup> გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1910წ. 8 მაისი.

<sup>45</sup> გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911წ. 5 ივნისი; იხ. აგრეთვე გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911წ. 23 ივნისი; გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911წ.

<sup>24</sup> აგვისტო.

<sup>46</sup> გაზ. „სახალხო გაზეთი“, 1911წ. 24 აგვისტო.

რივ მოსახლეობაში განათლებისა და კულტურის გავრცელების საქმეს ემსახურებოდა, ეწყობოდა სასარგებლო ლექციები, რომელ-თაგან შემოსული თანხა ამ სამკითხველოებს ხმარდებოდა<sup>47</sup>.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზო-გადოების“ საქმიანობა არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ განათ-ლების სისტემით. ორგანიზაცია აქტიურად იყო ჩაბმული მხარის კულტურულ ცხოვრებაში. გვაქვს ინფორმაცია, რომ „ქართველ-თა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასთან“ შეთანხმებით ქ. სოჭმი შეიქმნა სცენისმოყვარეთა წრე, რომელ-მაც წარმატებით დაიწყო მოღვაწეობა, ხოლო წარმოდგენებიდან მიღებული მთელი შემოსავალი საქველმოქმედო მიზნებს ხმარდე-ბოდა. 1915 წელს გაზეთ „საქართველოს“ კორესპონდენტი გვამ-ცნობს, რომ ერთ-ერთი მათი წარმოდგენიდან მიღებული შემოსა-ვალი ლტოლვილთა დასახმარებლად გადაუდვიათ<sup>48</sup>. „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ინიცია-ტივით ასევე იმართებოდა სხვადასხვა სახის კულტურული ღო-ნისძიებები. მაგალითად, გაზეთი „საქართველო“ გვამცნობს, რომ 1916 წლის 14 იანვარს სოხუმში ამ ორგანიზაციის თაოსნობით გამართულა ქართული საღამო, რომლის შემოსავალიც დახლო-ებით 4 ათას მანეთამდე ასულა<sup>49</sup>. „სახალხო ფურცლის“ ცნო-ბით კი, ამ ორგანიზაციის თაოსნობით სამურზაყანოში, კერძოდ: დაბა აჩიგვარაში 1916 წლის 29 დეკემბერს, დაბა გალში 1917 წლის 3 იანვარს და ოქტომბრი 6 იანვარს, – გაიმართა სცენის-მოყვარეთა წარმოდგენები<sup>50</sup>. საზოგადოება მუშაობდა სხვა მიმარ-თულებითაც. მაგალითად, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გა-მავრცელებელ საზოგადოებას“, თავადის ქალ ანჩაბაძის თავმჯდო-მარეობით, 1916 წლის გაზაფხულზე გაუხსნია საჩაიე „ფინჯანი ჩაი“, რომლის შემოსავლის 10% უნდა მოხმარებოდა „ქართველ-თა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, ხო-ლო 10% კი წითელი ჯვრის სასარგებლოდ უნდა გამოეყენები-

<sup>47</sup> გაზ. „იმერეთი“, 1913წ. 6 ივლისი.

<sup>48</sup> გაზ. „საქართველო“, 1915წ. 5 ქრისტეშობისთვე.

<sup>49</sup> გაზ. „საქართველო“, 1916წ. 26 ოქტომბერვალი.

<sup>50</sup> გაზ. „სახალხო ფურცლი“, 1917წ. 22 იანვარი.

ნათ. თუმცა ამ საქმეს არ გაუმართლებია და საქმე ზარალით დასრულებულა<sup>51</sup>.

ამრიგად, აშკარაა, რომ აფხაზეთში XX საუკუნის დასაწყისში საზოგადოებრიობის გადაუდებელ მოთხოვნას წარმოადგენდა თვითმოქმედი საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნა, რომლებიც მოწოდებული იყვნენ გაერღვიათ ის ერთსახოვანი ცხოვრების წესი, რასაც ამკვიდრებდა ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკა და შეეთავაზებინათ საკუთარი თანამოქალაქეებისათვის რეალური დახმარება როგორც მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ასევე განათლებისა და კულტურის, რიგითი ადამიანებისადმი ჰუმანიტარული დახმარების მიმართულებით. ჩვენს მიერ მოპოვებული მასალა ნათლად ადასტურებს, რომ აფხაზეთის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა პირველი მსოფლიო ომის პირობებშიც შეძლეს მოწინავე აგრარული ტექნოლოგიების შეძლებისამებრ დანერგვა, გაჭირვებულთა და მიუსაფართა მატერიალური დახმარება, კულტურული ცხოვრების ორგანიზება, ჯანმრთელობის კერების შექმნა.

<sup>51</sup> გამ. „ცხობის ვურცელი“, 1903წ. 16 ივნისი.

## **И. И. ГЕЛЕНАВА**

### **СВОБОДНЫЕ – САМОДЕЯТЕЛЬНЫЕ ОБЩЕСТВА В АБХАЗИИ В 1900-1917гг.**

С 1900г. в Абхазии начали функционировать т.н. „свободные самодеятельные общества“. Эти „общества“ в основном имели сельскохозяйственный профиль. В Сухуми было создано общество потребителей – „Солидарность“. Функционировало и сельскохозяйственное общество, которое выпускало свой журнал: „Черноморский селянин“, на страницах которого велась пропаганда передового аграрного опыта. Особенно успешной была деятельность „Общества взаимопомощи“, которое впервые упоминается в 1900г. В 1912г. данное общество насчитывало 900 членов. В Абхазии создавались также общества по национальным признакам. Это были „общества“: греков, русских („Союз истинных русских“), армян и т.д. „Самодеятельные общества плодотворно трудились в области просвещения и культуры. В этом плане особенно следует отметить деятельность „Общества по распространению грамотности среди грузин“, а также Общество народных университетов и Филармонического общества.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება  
აფხაზეთის ორგანიზაცია  
საისტორიო ძეგანი, 7, 2004

## ა რ ძ ე რ ლ ო ბ ი ა , გ თ ხ მ ბ რ ა ვ ი ა

### ნოდარ ბერულავა

#### ეშერის ნაძალაქარის მასალები და ელიტისტური ეპოქის ისტორიის ზოგიერთი საკითხი

ეშერის ნაძალაქარი ძველი დიოსკურიის მიდამოების ერთ-ერთი დასახლებაა, რომლის არქეოლოგიური მასალის გამოყენებას ისტორიკოსები ცდილობენ დიოსკურიის ხასიათის, სტატუსისა და მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის საკითხებზე მსჯელობისას. მკვლევართა ერთი ნაწილი დიოსკურიას თავისუფალ ბერძნულ პოლისად მიიჩნევს (ი. ვორონოვი, ა. ბოლტუნოვა), მეორე ნაწილის აზრით, ის კოლხეთის სამეფოზე დამოკიდებული პოლისი იყო, შერეული მოსახლეობით (მ. ინაძე, გ. ლორთქიფანიძე და სხვ.), მესამენი კოლხურ ქალაქად თვლიან, გარკვეული ბერძნული ელემენტითა და ელფერით (ო. ლორთქიფანიძე, ნ. ლომოური). ეს ბოლო თვალსაზრისი ო. ლორთქიფანიძის მოსაზრებას ემყარება, რომელმაც გამოიკვლია მკვიდრი მოსახლეობის ნასახლარები დიოსკურიის და ფაზისის მიდამოებში და ვერ იპოვა იქ ბერძნული გავლენის ვერავითარი კვალი<sup>1</sup>. ამის საპირისპიროდ, პირველი ვერსიის მიმდევრები, ძირითადად, ეშერის მასალებით ოპერირებენ, რადგან ეს სოხუმის ყურის ერთადერთი დასახლებაა, სადაც ნაპოვნია ბერძნული მოსახლეობის კვალი, ასევე დიდი რაოდენობით ბერძნული კერამიკა და ბერძნული არქიტექტურა. ბერძნების აქ ცხოვრების უტყუარი ნიშანია ძვ.წ.

<sup>1</sup> О. Лордкипаниძе. К проблеме греческой колонизации Восточного Причерноморья (Колхида). – В сб.: „Проблемы греческой колонизации Северного и Восточного Причерноморья“. Тб., 1978, გვ. 170-260.

VI-VІІІ. „კამირის კლასის“ როდოს-იონიური კერამიკის ნატეხები ჰორიზონტალური ზოლებით (ნახ. I). ამ კერამიკის საყოფაცხოვრებო ხასიათი გამორიცხავს მის აქ გამოჩენას სავაჭრო საქონლის სახით, ე. ი. ეს კოლონისტების რაღაც ინვენტარი იყო<sup>2</sup>. გ. შამბა აღნიშნავს, რომ ემერის მასალებში ბერძნული კერამიკა საერთო კერამიკული მასალის 10%-ს კი არ აღემატება არც ერთ ეპოქაში<sup>3</sup>. პრაქტიკულად, აქ არსებული მთელი ადრეანტიკური ბერძნული კერამიკა შემოტანილია, მაგრამ არსებობს ერთი მონაპოვარი, რომელიც ადგილობრივი ბერძნული კერამიკული წარმოების არსებობასაც ადასტურებს. ეს არის ეშერის დასავლეთით ნაპოვნი ძვ.წ. III საუკუნის პირველი ნახევრის ამფორის ფეხები ქ. დიოსკურიის დამღით. ასეთ დამღებს მხოლოდ პოლისებში სვამდნენ<sup>4</sup>. ოუმცა ამ დროიდან კოლხეთში და მთელ ახლო აღმოსავლეთში ბერძნული და ადგილობრივი კერამიკული ფორმები ისე უახლოვდება ერთმანეთს, რომ მათი გაყოფა პრობლემატური ხდება. ამიტომ ელინისტურ ხანაში ბერძნული ფორმის კერამიკის არსებობა დიოსკურიის რაიონში ი. ვორონოვისა და ა. ბოლტუნოვას ვერსიის დასტურად არ შეიძლება ჩაითვალოს. დიოსკურიაში პოლისის სტატუსის არსებობის სერიოზული დასტურია დიოსკურიის დამღა ზემოთ აღწერილი ამფორის ფეხებზე. საგულისხმოა, რომ ის ადრეელინისტურ ხანას მიეკუთვნება. ამ დროს მთელ ახლო აღმოსავლეთს ბერძნ-მაკედონელები დაეპატრონნენ. წმინდა მკვიდრ სახელმწიფოებშიც კი (ბიოვინია, კაპადოკია და სხვ., მათ შორის, აღბათ კოლხეთიც) შესამჩნევია ელინიზაცია. ელინისტური ხანის მმართველები პოლისებს ეყრდნობოდნენ და ქმნიდნენ მათ, სადაც კი შეეძლოთ. ამასთან, ისინი ცდილობდნენ პოლისების რეალური თავისუფლება თანდათანობით დაეყვანათ იმ დონემდე, რომელსაც ჩვენ „მუნიციპალურ ავტონომიას“ ვეძახით, თუმცა, ამავე დროს, აფართოვებდნენ ქალაქურ ხორებს (დაქვემ-

<sup>2</sup> **Г. Шамба.** Эшерское городище. Тб., 1980, გვ. 27.

<sup>3</sup> **Г. Шамба.** К истории Абхазии в раннеантичную эпоху. – В сб.: „Проблемы греческой колонизации Северного и Восточного Причерноморья“. Тб., 1978, გვ. 341.

<sup>4</sup> **Г. Лордкипаниძе.** Колхида в VI-II вв. до н.э. Тб., 1973, გვ. 43.

დებარებულ სამეურნეო ტერიტორიებს) და მათგან, ფაქტობრივად, აღმინისტრაციულ ერთეულებს ქმნიდნენ. ეს პოლიტიკა თითქმის ყველგან ტარდებოდა მეტნაკლები ინტენსიურობით და პიკს რომაულ ეპოქაში მიაღწია.

პარალელურად კოლონიების ბარბარიზაციის პროცესი მიმდინარეობდა. კოლონიზაციის ყველა რაიონში, მათ შორის იქაც, სადაც პოლისებმა თავისუფლება შეინარჩუნეს, ადგილობრივი სახელმწიფოები არ არსებობდა, აბორიგენები კი იჩაგრებოდნენ. ეს უკანასკნელნი პოულობდნენ მოქალაქეობას. კოლონიური ქალაქები წმინდა ბერძნულ ხასიათს კარგავდნენ, მათში ძლიერდებოდა კულტურების სინთეზი, ბერძნული ენა სიწმინდეს კარგავდა, ანდა ქალაქი ხდებოდა ორენოვანი. ძვ.წ. IIს.-ში უკვე არსებობდა ისეთი კოლონიები, რომელთა ეთნიკური სახე შეცვლილი იყო, მაგალითად, ქ. ლეფთა ნუმიდიაში (მართალია, ეს ფინიკიური, და არა ბერძნული, კოლონია იყო, მაგრამ ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს). მისი მოქალაქები იცავდნენ ძველ ფინიკიურ (სიდონურ) კანონებს, მაგრამ ლაპარაკობდნენ ნუმიდიურად, შერეული ქორწინებების გამო<sup>5</sup>. ასევე, ჰანიბალის მიერ ქ. სეგუნთის შტურმის აღწერიდან აშკარად ჩანს, რომ ქალაქის დამცველები მკვიდრი ესპანელები იყვნენ, თუმცა ეს ბერძნული კოლონია იყო<sup>6</sup>. საქმე იმაშია, რომ იქ, სადაც აბორიგენები მეომრობით გამოირჩეოდნენ, ქალაქის თავდაცვაც პრაქტიკულად მათ ხელში გადადიოდა. ყველა ეს მომენტი თამამად შეიძლება ვივარაუდოთ დიოსკურიის რაიონთან მიმართებაშიც, მათ შორის, ეშერის მასალებზე დაყრდნობითაც. ასე, მაგალითად, ადრე ხსენებული დიოსკურიის დამდა, როგორც ვთქვთ, პოლისური იყო. ეშერისაგან დასავლეთით მისი აღმოჩენა საკმაოდ დიდი ხორის არსებობაზე მეტყველებს. კოლხეთისთვის ელინისტური ტრადიციები უცხო არ იყო და ქალაქის მიერ პოლისის სტატუსის ფლობა (განურჩევლად იმისა, ფლობდა თუ არა ამ სტატუსს ადრეც, თუ მხოლოდ მაშინ მიიღო), განპირობებული იყო არა მარტო შიშით გაძლიერებული ელინის-

<sup>5</sup> Гай Саллюстий Крисп. Югуртинская война. М., 1985, გვ. 83.

<sup>6</sup> Тит Ливий. История от основания Рима. – „Историки Античности“, т. II. М., 1989, გვ. 125-126.

ტური სამყაროს წინაშე, არამედ მაშინდელი საერთაშორისო პრაქტიკითაც. ოუმცა ქალაქური მიწების გაფართოება არა ბერძნულ, არამედ კოლხურ ელემენტს აძლიერებდა დიოსკურიაში, რადგან იქ მცხოვრები კოლხები მოქალაქეობას იღებდნენ. რაც შეეხება დიოსკურის თავდაცვას, ის ყოველთვის კოლხთა ხელში იყო. ამაზე მეტყველებს ადგილობრივ სამარხებში კოლხური საბრძოლო იარაღის სიუხვე და ბერძნულის სიმცირე. ეს უკანასკნელი პრაქტიკულად შემოიფარგლება ძვ.წ. Vს. 2 მუზარადის ნარჩენებით, აგრეთვე არის დორიული მაპარის მსგავსი რამდენიმე მახვილი 2-ჯერ მოტეხილი ფორმის ფხით, რომელთაგან ერთი ეშერიდანაა. ის იდო კოლხურ მახვილთან ერთად. ყველა ეგზემპლარი კოლხური სამარხიდანაა, მაგრამ რადგან ქსენოფონტემ მსგავსი მახვილები ხალიბებთან დააფიქსირა, როგორც მათი მთავარი იარაღი<sup>7</sup>, ხოლო საბერძნეთში გავრცელებული სხვა ტიპის მახვილები აქ არ გვხვდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ სამარხებში ნაპოვნი მახვილები ადგილობრივი წარმოებისაა.

მიუხედავად ამისა, ყველაფერი ასე მარტივად როდია. ელინისტური ხანის დასაწყისი ელინური სამყაროს გააქტიურების პერიოდია, რომლის პარალელურად იწყება კოლხური სამეფოს დასუსტება<sup>8</sup>. მაშინ არავინ ელოდა, რომ ალექსანდრე დიდის სიკვდილის შემდეგ ელინები შიდა ომებში ჩაეფლობოდნენ და მათი ექსპანსია პრაქტიკულად შეჩერდებოდა. იმ პერიოდში კოლხეთი-სათვის საშიში ხდება ბოსფორის სამეფოც, რომელიც ამ დროს ძლიერების ზენიტს აღწევს, რადგან მას აქვს მეზობელი, ნახევრად მომთაბარე ხალხების ძალის გამოყენების საშუალება. ყველა ეს ფაქტორი გავლენას ახდენდა დიოსკურიის მდგომარეობაზე. სწორედ მაშინ ახლო აღმოსავლეთში აქტიურად მიმდინარეობდა, ერთი მხრივ, პოლისური სტრუქტურების საყოველთაო დანერგვისა და, მეორე მხრივ, ადგილობრივი ხელმწიფულების მიერ პოლისებზე კონტროლის დამყარების პროცესები. ეს პროცესები დიოსკურიისთვისაც არ იქნებოდა უცხო, მაგრამ ზემოთ აღწერილი ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც ხელს უწყობდ-

<sup>7</sup> Ксенофонт. Анабасис. История Греции. М., 1976, გვ. 313.

<sup>8</sup> გ. ინაძე. ძველი კოლხეთის საზოგადოება. თბ., 1994, გვ. 170-171.

ნენ ბერძნების სეპარატიზმს, ალბათ გაროულებებით წარიმართებოდა. ამას უკავშირდება ეშერის ერთ-ერთი საიდუმლო – აქ ნაპოვნი ბრინჯაოს სტელის ნატეხები ბერძნული წარწერების ნარჩენებით, რომელიც მეტყველებს რომელიდაც „ქალაქის“ აღებასთან დაკავშირებულ საომარ მოქმედებებზე. ი. ვინოგრადოვი ამ წარწერას ძვ.წ. IV-III საუკუნეების მიჯნით ათარიღებს<sup>9</sup>. ეს სწორედ ის დროა, როცა ზემოთ აღწერილი პროცესები პიკს აღწევს, ამიტომაც ჩვენ, თავის დროზე, შესაძლებლად ჩავთვალეთ სტელის წარწერაში აღწერილი შეიძრალებული კონფლიქტის სავარაუდო ახსნა დიოსკურიელი ბერძნების ანტიკოლხური ამბოხებით, რომელიც უნდა წარმართულიყო ბოსფორელთა და ჩრდილოელი „ბარბაროსების“ დახმარებით<sup>10</sup>. არსებობს არქეოლოგიური მასალაც, რომელიც ამ ვერსიის სასარგებლოდ ლაპარაკობს და აგრეთვე ადასტურებს, რომ ეს სავარაუდო ამბოხება ჩახშობილი იქნა.

თვით ი. ვორონოვი, რომელიც ყოველთვის ხაზს უსვამდა ეშერის დასახლების წმინდა ბერძნულ ხასიათს, ძვ.წ. III საუკუნის I ნახევრიდან ეშერის „ბარბარიზაციას“ ანუ კოლხიზაციას აღიარებს, რადგან ამ დროიდან ეშერის ზედა მოედანზე კოლხური სამაროვანი ფუნქციონირებს<sup>11</sup>. მასთან დაკავშირებულია ეშერის დასახლების ტიპის პირველი ცვლილებები: თავდაპირველად ეს იყო დიოსკურიის „ემპორიუმი“ – სავაჭრო ფაქტორია ხორის გარეუბანში, სადაც ქალაქის პროდუქცია მეზობელი კოლხური სოფლების საქონელზე იცვლებოდა. თვით ეშერელები სოფლის მუქრნეობას აქტიურად არ ეწეოდნენ<sup>12</sup>, მაგრამ ასეთი ძლიერი კოლონიზაციის

<sup>9</sup> **Ю. Виноградов.** Бронзовая плита с надписью из Вани. Приложение. Надпись на бронзе из Эшеры. – „Вестник древней истории“, 1995, №3, გვ. 48-60.

<sup>10</sup> **Б. ბერჟულავა.** ბერძნული წარწერა ეშერიდან. – ქართული კულტურის ისტორიის საკითხები, გ. I. თბ., 1995, გვ. 64-67.

<sup>11</sup> **Ю. Воронов.** Восточное Причерноморье в эпоху эллинизма. – В сб.: *Причерноморье в эпоху эллинизма*. Тб., 1985, გვ. 460.

<sup>12</sup> თუმცა ი. ვორონოვი ვარაუდობს აქ ბერძნული აგრარული დასახლების არსებობას, მაგრამ ამის დამტკიცებას ცდილობს მხოლოდ ერთი ფაქტით – წისქვილის დოლაბის პოვნით (იხ.: **Г. Лордкипаниძე.** Колхида в VI-II вв. до н.э., გვ. 45).

შედეგად ეშერას მართლაც შეეძლო დაეკარგა სავაჭრო და შეეძინა აგრარული ფუნქციები (ვაჭრობა აქ მართლაც ბერძნების ხელში იყო, ხოლო მიწათმოქმედება და ხელოსნობა – კოლხების). ალბათ იმ დროისათვის დიოსკურიამ ისე განავითარა თავისი ვაჭრობა, რომ მას დამატებითი ეპიროიუმები არ სჭირდებოდა.

ეშერის დასახლების ხასიათის რიგით მეორე ცვლილება უკავშირდება მითრიდატე VI ევპატორს. მის მიერ კოლხეთის დაპყრობის შემდეგ, პონტოს მეფის ერთ-ერთი დასაყრდენი პუნქტი ეშერა გახდა. თუკი მანმდე ეშერაში არსებობდა მიწათხრილი და, შესაბამისად, ალბათ ხისა და მიწის სიმაგრე, ახლა აქ ქვის მასალი-საგან ნაშენი ციხე შენდება. ამ დროს ნადგურდება კოლხური სამაროვანი, რაც თავისთავად მწვავე დაპირისპირებას გულისხმობს. ეშერაში ფუნდამენტალური ქვის ნაგებობები აგებულია კირქვის ან თიხის ხსნარით, კრამიტის სახურავებით და მობათქაშებული კდლებით. შენდება კერამიკული წყალსადენი, რომელიც უძველესია შავიზღვისპირეთში. ამიერიდან ეშერამ კეთილმოწყობილი ელინისტური ქალაქის იერი შეიძინა<sup>13</sup>. ცალკეული ნიმუშები ასეთი ქალაქერი არქიტექტურისა, რომლის არსებობას ი. ვორონოვი და ა. ბოლტუნოვა ამ დასახლების ბერძნული ხასიათის მაჩვენებლად მიიჩნევენ, აქ შეიძლება ადრეც არსებობდა, რაც ელინისტური ხანისათვის ბუნებრივია, მაგრამ მისი ძირითადი ნაწილი სწორედ მითრიდატეს დროს მიეკუთვნება. ამ გარემოებას, ისევე როგორც ზოგიერთ სხვას (მაგალითად, ეშერაში შეიარაღების რამდენიმე ახალი ტიპის არსებობას<sup>14</sup>), თ. თოდუა იყენებს იმის დადასტურებად, რომ მითრიდატეს ბატონობის პერიოდში

<sup>13</sup> **Г. Шамба.** Эшерское городище, გვ. 57.

<sup>14</sup> ამ მხრივ საინტერესოა „კარაგულის კბილანები“ ანუ „ნიორი“. ის წარმოადგენდა 4 ბასო ჩხირს ან მოკლე ლურსმანს ერთმანეთთან ისე მიღუდებულს, რომ ერთ ჩხირს თავი ყოველთვის ზემოთ აქვს აწეული (ნახ. II, D). მას იყენებდნენ მტრის მხედრობის წინააღმდეგ, უყრიდნენ ცხენებს ჩლიქების ქვეშ, მაგრამ გ. შამბა მას რატომდაც ისრების კატეგორიას აკუთხებს (იხ.: **Г. Шамба.** Эшерское городище, გვ. 62). პრინციპში, შესაძლებელია, რომ მას ზოგიერთ შემთხვევაში იყენებდნენ როგორც ისარს, ამაგრებდნენ რა ისრის ტარზე და სტყორცნიდნენ საჭირო მიმართულებით. ასეთი ადრეული ეპოქისათვის ეს იარაღი მართლაც იშვიათია.

კოლხეთში გარკვეული პროგრესული ძვრები შეიმჩნეოდა<sup>15</sup>.

ჩვენი აზრით, ეშერის და მისი მსგავსი მითრიდატული და-საყრდენი პუნქტების მასალების გამოყენება ამ თეზისის დასამტ-კიცებლად არ გამოგვადგება. მითრიდატეს დროს ეშერა კოლხურ დასახლებას უკვე არ წარმოადგენდა. ეშერის ციხის მშენებლობის დროს კოლხური სამარხის განადგურება ადგილობრივი მოსახლე-ობის განდევნაზე მეტყველებს. დიოსკურის მიდამოებში მდებარე დანარჩენ კოლხურ დასახლებებშიც ქრება ცხოვრების ნაკვალე-ვი. ამ პირობებში ეშერის მოსახლეობის მკვეთრი ზრდა შეიძლე-ბა იყოს მხოლოდ მექანიკური, ე. ი. ჩამოსული ხალხის ხარჯზე. ამას უკავშირდება ეშერის დასახლების ხასიათის მეორე ცვლი-ლება. მითრიდატიდები, სხვა ელინისტური მონარქებისაგან განს-ხვავებით, არა პოლისურ, არამედ სამეფო მიწათმფლობელობის სისტემას ეყრდნობოდნენ. ისინი ასხვისებდნენ პოლისურ და სა-ერთოდ კერძო მიწებს მეფის ხაზინის სასარგებლოდ. მეფის და-საყრდენს ეშერისნაირი სიმაგრეები – „კატოიკიები“ წარმოადგენ-და. ამავე დროს იქ განთავსებული იყო მეფის საწყობები. მათი რიცხვი კოლხეთში 80-ზე მეტი იყო. სამეფო მიწებზე სახლდე-ბოდნენ მეფისადმი ლოიალური მეომარი ტომები, რომლებიც ამ მიწებს ამუშავებდნენ და იცავდნენ<sup>16</sup>. მოცემულ შემთხვევაში ამ როლს ალბათ ასრულებდა ჰენიონთა ტომი, ბზიფის იქით მცხოვ-რები მეომარი ხალხი, შეიძლება კოლხთა ეთნიკურად ახლობელი, მაგრამ პოლიტიკურად მითრიდატესადმი ერთგულებით გამორჩე-ული. ეს ერთგულება მათ ბოლომდე შეინარჩუნეს, ალბათ იმი-ტომ, რომ ის მათი მოკავშირე იყო საშიში მეზობლების – კოლ-ხების და აქაველების წინააღმდეგ. ამავე დროს, შესაძლებელია, მათ მითრიდატესაგან მიღეს ახალი მიწები კოლხეთში, მაგრამ ქალაქურ ცხოვრებას ალბათ ნაკლებად ეგუებოდნენ. ძირითადად ისინი სახლდებოდნენ ახლომდებარე მიწებზე, საიდანაც იდევნებო-და მკვიდრი მოსახლეობა.

ჩვენი აზრით, ასეთი პოლიტიკა აძლიერებდა სამეფო ხე-ლისუფლებას, მაგრამ, მეორე მხრივ, პონტოს სამეფოს შინაგანი

<sup>15</sup> Т. Тодуа. Колхида в составе Понтийского царства. Тб., 1990, გვ. 21.

<sup>16</sup> ИО. Сапрыкин. История Понтийского царства. М., 1996, გვ. 338.

არამდგრადობის მიზეზიც იყო. მითრიდატე, თავისთავად, თავისი ეთნიკურად ჭრელი იმპერიის მთელი მოსახლეობის სიმპათიებს ვერ დაიძისახურებდა, ამიტომ ის მოსახლეობის ზოგიერთ ჯგუფს აძლიერებდა დანარჩენების ხარჯზე. ელინებთან ის ელინი იყო, ბარბაროსებთან კი – ბარბაროსი. ქალაქებში მფარველობდა ყველაზე განვითარებულ ელემენტს – ბერძნულენოვან მოსახლეობას, მაგრამ აგრარულ პოლიტიკაში პირიქით, ხშირად იწვევდა „ბარბარიზაციას“, აწინაურებდა ჩამორჩენილ მეომარ ტომებს, მათი ერთგულების მიხედვით. ამით ის წინააღმდეგობაში ვარდებოდა როგორც ელინ მიწათმფლობელებთან (თუმცა ეს კოლხეთს ნაკლებად ეხება – აქ ბერძნები ძირითადად ქალაქელი ვაჭრები იყენენ), ასევე ძველ, შედარებით განვითარებულ მიწათმოქმედ მოსახლეობასთან. ამ უკანასკნელსაც აქა-იქ ჯერ კიდევ ჰქონდა შერჩენილი მეომრული სული და შეეძლო შეიარაღებული ოპოზიციის შექმნა. ამას ეშერის მასალებიც მეტყველებენ. ი. ვორონოვმა სიჩქარის ნიშნები შეამჩნია ეშერის ციხის აგების დროს<sup>17</sup>. ეს უნდა ადასტურებდეს მითრიდატეს მიერ კოლხეთის ეტაპობრივი დაპყრობის ვერსიას, ყოველ შემთხვევაში, მეტყველებს არასრულ კონტროლზე კოლხეთის ზოგიერთ მიუვალ რეგიონზე, სადაც მას წინააღმდეგობას უწევდნენ. ამას მოწმობს ზოგიერთი ჩვენთვის ცონბილი ფაქტიც, კერძოდ, რომაელთა მომავალი მოკავშირის, არისტარქეს მოღვაწეობა, რომელიც, როგორც ჩანს, აქ ანტიმითრიდატული მოძრაობის სათავეში იდგა.

ცნობილია, რომ როცა მცირე აზიაში დამარცხებული მითრიდატე ბოსფორისაკენ მიდიოდა, მან გამოიზამთრა დიოსკურიაში<sup>18</sup>. ამ ქალაქის არჩევა აიხსნება სამხედრო მოქმედებების თეატრიდან საქმაო დაშორებით, აქ ჩასახლებული ბერძნულენოვანი და ჰენიონური მოსახლეობის საიმედოობითა და ბოსფორისკენ გზის ურთულესი მონაკვეთის (ჩრდ.-აღმ. შავიზღვისპირეთან) სიახლოვით. როგორც ჩანს, დიოსკურიაში ყოფნის დროს მითრიდატე სადაზვერვო და დიპლომატიური ხასიათის ღონისძიებებს ატა-

<sup>17</sup> **Ю. Воронов.** Диоскуриада-Себастополис-Цхум. М., 1980, გვ. 75.

<sup>18</sup> **Аппиан.** Митридатские войны. – „Вестник древней истории“, 1946, №4, გვ. 239-305.

რებდა ამ მიმართულებით. პომპეუსმა, რომელმაც ამიერკავკასია ძვ.წ. 65წ. დაიპყრო, მისი დევნა შეწყვიტა და დიოსკურიამდე არ მისულა, თორემ ამ ქალაქის აღება წყაროებში აისახებოდა<sup>19</sup>. როგორც ჩანს, კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე წესრიგის დამყარება მან ზემოთ ნახსენებ არისტარქეს ანდო, რომელიც, სტრაბონის მიხედვით, პომპეუსის მხარეზე მებრძოლი ადგილობრივი დინასტი (სკეპტური) იყო<sup>20</sup>. არისტარქე კოლხეთს 18 წლის განმავლობაში მართავდა. როგორც ჩანს, ის დაიღუპა ძვ.წ. 48 წელს კოლხეთში რომის წინააღმდეგ აჯანყებული ბოსფორის მეფის, მითრიდატეს ძის ფარნაკეს შეჭრის დროს. ამ მოვლენებს უნდა უკავშირდებოდეს ეშერის დასახლების განადგურება.

დაახლოებით ძვ.წ. I საუკუნის შუახანებში ეშერა აღებული იქნა უცნობი მტრის მიერ. ბრძოლა საკმაოდ გააფორმებული უნდა ყოფილიყო. მას თან ახლდა ნგრევა და ხანძარი. ამას ადასტურებს იქ ნაპოვნი ასზე მეტი ორიგინალური ისრის პირი, ჩხირზე გაკეთებული დამახასიათებელი გაფართოებით, რომლის დანიშნულება იყო ისრის პირის ტარში ზედმეტი შეჭრის არდაშვება. ისრების ჩხირები ხშირად გაღუნულია დიდი სიჩქარით ისრის კედელთან შეჯახების გამო (ნახ. II, E).

ამავე შტურმის შედეგია დიდი რაოდენობით ნაპოვნი კატაპულტის ბირთვებიც. ისინი ქვის ადგილობრივი ნაირსახეობისაგან არის გაკეთებული. მოუხედავად ამისა, მკვლევარები ი. ვორონოვი და გ. შამბა, როგორც ჩანს მათი ნაშრომებიდან, მათ მაინც თავდამსხმელთა იარაღად მიიჩნევენ<sup>21</sup>. ასეთი დასკვნის გაკეთება აღნათ შესაძლებელია ბირთვების დისლოკაციის საფუძვლზე, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია<sup>22</sup>. აღნიშნუ-

<sup>19</sup> Г. Лордкипаниძе. К истории древней Колхиды. Тб., 1970, გვ. 36.

<sup>20</sup> К. Голенко. Аристарх Колхидский и его монеты. – „Вестник древней истории“, 1984, №4, გვ. 110-111.

<sup>21</sup> Г. Шамба. Эшерское городище, გვ. 60; Ю. Воронов. Диоскуриада-Себастополис-Цхум, გვ. 76.

<sup>22</sup> მაგალითად, თუ ქალაქის დამცველები იყენებდნენ, მათი ნაწილი მაინც გროვებად უნდა იყოს შეჯგუფებული, ხოლო თუკი თავდამსხმელები – მაშინ ზოგიერთი ბირთვი ან კედლის წყობაში იქნება შეჭრილი, ან სულაც დამსხვრეული.

ლი მკვლევარები ეშერის დამანგრეველად ადგილობრივ მთიელ (მათი აზრით, აფხაზურ) ტომებს მიიჩნევდნენ, მაგრამ მთიელთა ლაშქარის კვდლების დანგრევის და ბირთვების ტყორცნის საშუალებები არ უნდა ჰქონოდა. ამას ყურადღება მიაქცია ო. ოოდუამ, რომელმაც ეშერის აღება ფარნაკეს, ან მის მეტოქეს, მითრიდატე პერგამონელს მიაწერა<sup>23</sup>. ამ ვერსიის სუსტ ადგილად მიგვაჩნია ეშერის მასალებში არისტარქეს 18-წლიანი, საკმაოდ ენერგიული მმართველობის პერიოდთან დაკავშირებული ნარჩენების არარსებობა. არადა, ეს დრო, უდავოდ, არანაკლები ეთნო-პოლიტიკური ძვრებით ხასიათდებოდა, ვიდრე მითრიდატეს ხანა, ოუმცა საპირისპირო მიმართულებით (არისტარქე, ალბათ, აქ ისევ ძველ მოსახლეობას დაბრუნებდა). ჩვენ მიგვაჩნია, რომ თვით არისტარქემ დაანგრია ეშერის ციხე მაშინ, როცა პომპეუსის წასვლის შემდეგ თავის კონტროლს ამტკიცებდა მთელ კოლხეთში. ო. ვორონოვთან პოლემიკის დროს, რომელიც ეშერის ერთ-ერთ სავარაუდო დამანგრეველად სტრაბონისეულ სოანებს თვლიდა, ზემოთ აღწერილი ისრის პირებს კი სოანურ მოწამლულ ისრებთან აიგივებდა, ო. ოოდუა აღნიშნავს, რომ სვანეთში ასეთი ისრის პირები არ არის ნაპოვნი, თანაც შხამიან ისრის პირებს ჩვეულებრივ სხვა ფორმა აქვს, რომელიც აბჯრის წინააღმდეგ საერთოდ გამოუსადევარია<sup>24</sup>. ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ო. ვორონოვი სტრაბონის „სოანებს“ არა სვანებად, არამედ პროტო-აფხაზურ ტომებად – „პენიონებად“ მიიჩნევდა. ხოლო რაც შეეხება ისრის ფორმას, ის ორიგინალურია და არაა დამახასიათებელი არა მარტო სვანებისათვის, არამედ, პირველ რიგში, ელინისტური არმიებისათვისაც. ჩვენთვის უცნობია, თუ კოლხეთის რომელ რაიონებს ეყრდნობოდა არისტარქე პირველ რიგში და ისრის პირის რომელი ფორმა იყო გავრცელებული კოლხეთის ამა თუ იმ ნაწილში ძვწ. I საუკუნის შუასანებში, შხამის წასმა კი ნებისმიერი ისრის პირზე შეიძლება, გააჩნია შხამს. მართლაც, ეთნოგრაფიული მასალებიდან ცნობილია სპეციალური ფორ-

<sup>23</sup> Т. Тодуа. Крепости Митридата в Колхиде. – „Вестник древней истории“, 1998, №1, გვ. 142.

<sup>24</sup> Т. Тодуа. Крепости Митридата в Колхиде, გვ. 141-142.

მის ისრის პირები, შხამისათვის გაკეთებული სპეციალური მილებით, გათვალისწინებული უაბჯრო მტრის წინააღმდეგ, რადგან სპეციფიკური ფორმა ზღუდავდა მათ სახვრეტ ძალას. ცნობილია, აგრეთვე, ისრის პირები სპეციალური დარებით, საწამლავის უფრო ხანგრძლივი შეკავებისათვის, მაგრამ უშეუალოდ ბრძოლის წინ მოწამვლისათვის მისი სპეციალური ფორმა არ იყო აუცილებელი. შეუა საუკუნეების აზიაში, როგორც სტეპების მომთაბარეებთან, ასევე ცივილიზებულ ქვეყნებში (განსაკუთრებით ინდოეთში), ეს წესი ფართოდ იყო გავრცელებული, მაგრამ იარაღის ფორმაზე შესამჩნევი გავლენა მას არ ჰქონდა.


და ბოლოს, არისტარქეს ლაშქარი, პირველ რიგში, კოლხური, და არა სკანური, იქნებოდა, მოუხედავად იმისა, რომ ანტიპონტოური პარტიზანული ომის დროს ის, შესაძლებელია, პირველ რიგში, მთის მოსახლეობას ეყრდნობოდა. მითრიდატეს დამარცხების შემდეგ მთელ კოლხეთში, ცხადია, დიდი პატრიოტული ტალღა აგორდებოდა. წარჩინებულები ალბათ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ რომაელებისა და არისტარქეს მიმართ ერთგულების გამოხატვაში. შედეგად, არისტარქეს საერთოკოლხური ძალა უნდა ჰყოლოდა მითრიდატეს მომხრეებისაგან კოლხეთის გასათავისუფლებლად. ამ უკანასკნელთა ერთ-ერთი დასაყრდენი კი დიოსკურია იყო. აქედან შედარებით ახლოს მდებარეობდა ბოსფორი და ჯერ კიდევ საშიში მითრიდატე. აქვე იმყოფებოდნენ მისი მოკავშირე ჰენიოხებიც.

ამის მოუხედავად, საკუთრივ დიოსკურია არისტარქეს შეიძლება დიდი ბრძოლის გარეშე ჩაბარდა, ისე, რომ მისი არსენალების დიდი ნაწილი ხელუხლებელი დარჩა და ეშვერის წინააღმდეგ გამოყენებული იქნა არისტარქეს მიერ. არც ისაა გამორიცხული, რომ მითრიდატეს ბევრი მომხრის გაქცევის შემდეგ დიოსკურია საერთოდ დაცარიელდა და მისი დაცვა, დარჩენილი ძალებით, მითრიდატეს მომხრეებს არ შეეძლოთ, მითუმეტეს, რომ ამ ქალაქში მითრიდატეს დროსაც დარჩებოდა კოლხური მოსახლეობის ნაწილი, რომელიც არისტარქეს მოლოდინში იყო. ამიტომაც მათ ძალების კონცენტრაცია მოახდინეს ეშვერაში, მათთვის სანდო ხალხით დასახლებულ ახალ ქალაქში, სადაც მთავარი ბრძოლა

მოხდა. ამ მსჯელობის საფუძველს, ისევ და ისევ, იმ ადრე ხსენებული კატაპულტების ბირთვების არსებობა გვაძლევს, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში, თუკი მათ ნამდვილად მოიერიშე მხარე იყენებდა, ან თუნდაც ორივე მხარე ერთად. საქმე იმაშია, რომ ანტიკურ არმიებს, როგორც წესი, ლაშქრობების დროს ბირთვების მარაგი თან არ დაჰქონდა. საჭიროების შემთხვევაში ისინი ადგილზე ნაპოვნ, თითქმის დაუმუშავებელ ქვებს იყენებდნენ. ამავე დროს, ეშერის ბირთვები კარგადაა დამუშავებული. ასეთი ბირთვები, ჩვეულებრივ, ინახებოდა სამხედრო საწყობებში, არსენალებში, და განკუთვნილი იყო სტაციონარული ქვის მტყორცნელებისათვის. დიოსკურია ერთადერთი ჩვენთვის ცნობილი ახლომდებარე პუნქტი იყო, სადაც მსგავსი არსენალები უნდა არსებულიყო.

როგორც ჩანს, ამ მოვლენების შემდეგ ეშერის აღდგენა ვერ მოხერხდა, რადგან ამის სახსრები არავის გააჩნდა. გარდა ამისა, კოლხური მოსახლეობა, მსხვილი მიწათმფლობელობის კონკურენციის პირობებში, ქალაქში გადმოსახლების ტენდენციებს ავლენდა, რაზეც, მ. ინაძის აზრით, დიოსკურის ახლომდებარე ყველა კოლხური დაბის თანდათანობითი დაცარიელება მიუთითებს<sup>25</sup>.

<sup>25</sup> მ. ინაძე. ანტიკური ხანის კოლხეთის ქალაქები. – „გაცნე“, ისტორიის... სერია. თბ., 1963, №, გვ. 228.



I. იონიური კერამიკის ფრაგმენტები (ძვ.წ. Vს.)

II. საბრძოლო იარაღი ეჭერიდან:

A – მახვილები („დორიული მაპარის“ ტიპის იარაღი და ორპირიანი, წვეტიანი კოლხური მახვილი, ძელისებური ტარის ქუდი ძვ.წ. IIIს. სამარხიდან).

B – შუბისპირები გახსნილი მისრით.

C – საბრძოლო ცულები ჩაქუჩისებური ყუით.

D – „კარაკულის კბილანები“.

E – ჩხირიანი ისრის პირები (ძვ.წ. IIს.).

**Н. Б. БЕРУЛАВА**

**МАТЕРИАЛЫ ЭШЕРСКОГО ГОРОДИЩА И  
НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ИСТОРИИ  
ЭЛЛИНИСТИЧЕСКОЙ ЭПОХИ**

Эшерское городище – наиболее оригинальное из связанных с Диоскурией поселений, остатки которых найдены на территории Сухумской бухты. Если остальные найденные здесь поселения представлены в основном могильниками, в Эшере удалось исследовать и остатки собственно поселения, дважды менявшего свой характер. Начало оно свое существование в VI-Vвв. до н.э., как греко-местный эмпориум, т.е. внешняя фактория Диоскурии в дальнем конце ее хоры, где происходил обмен городских товаров на продукцию близлежащих колхских сёл. С середины IIIв. до н.э. она является уже аграрным пригородом Диоскурии, колхским поселком с могильником. В первой половине Iв. до н.э. это крепость – катойкия, опорный пункт Митридата VI-го в захваченной Колхиде. С этим, очевидно, связана гибель городища, разрушенного в середине Iв. до н.э. неизвестным врагом. В статье дана интерпретация истории городища, высказаны версии в связи с каждым из вопросов, возникающих при изучении материалов данного поселения.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება  
აფხაზეთის ორგანიზაცია  
საისტორიო ძეგლი, 7, 2004

## რეზო ხვისტანი

### ადრე შუა საუკუნეების მცირე პლასტიკის ნიმუში სპასტილან

წინამდებარე სტატიაში განხილულია მესტიის რაიონის სოფელ ნეგუნში (ლეჩერის საკრებულო) შემთხვევით მიკვლეული ეკლესიის ნაშთის გაწმენდისას აღმოჩნდილი, ყალიბში ერთიანად ჩამოსხმული ბრინჯაოს გულსაკიდი ჯვარი, რომელზეც ქრისტეს ჯვარცმაა გამოსახული (სურ. 1).

ჯვრის მეტნაკლებად სწორი მკლავები ბოლოებში მომრგვალებულია. ჯვრის კიდე გამოყოფილია მის ირგვლივ შემოხაზული დარით. ჯვარცმის სცენა მკვეთრი, დაბალი რელიეფითაა გამოსახული.

კოლობიუმით შემოსილი ქრისტე მოცემულია en face. შუბლზე ორი კლავნილი ხაზია დატანილი, რაც შესაძლოა ეკლის გვირგვინს გამოსახვდეს. უთმო თავს რელიეფურად ამაღლებული, წრეში მოქცეული ჯვარი ადგას. ჯვრის ეს მკლავი ერთმანეთისაგან დაცილებული ორი პარალელური საკიდო ბოლოვდება.

ჯვრის იდეურ-კომპოზიციური ცენტრი ჭაბუკი ქრისტეს ფიგურაა, რომელიც გამოსახულია ცოცხალი, ღია ოვალებით. ქრისტეს სახეზე წამებით გამოწვეული ტანჯვის ნაცვლად სიმშვიდეა აღბეჭდილი. სახე და ოდნავ დაგრძელებული ჰორიზონტალური მკლავები სხეულთან შედარებით მაღალი რელიეფითაა გადმოცემული.

ქრისტეს სახის ნაკვთები, პირი, ნუშის ფორმის გახელილი თვალები, აზიდული წარბები და ტანსაცმლის დეტალები პირობითადაც გამოყვანილი მეტ-ნაკლები სიღრმის ჩაჭრილი ხაზებით. ცხვირის გამოშასველი ხაზები მორკალულ წარბებში გადადის. სამოსის ფართო სახელოები ნაკეცებიანია. ნაკეცები ვერტიკალურად ჩაჭრილი ხაზებითაა გადმოცემული.

ჯვარცმაში ნახატი მოკლებულია პლასტიკურობას, უგუ-

ლებელყოფილია ფორმათა მოდელირების ხერხი. განსაკუთრებით სქემატურადაა შესრულებული კოლობიუმის სახელოებსქვედა ნაწილი, სადაც არც ერთი ნაოჭი არ მიანიშნებს სხეულის რომელიმე ნაწილს. სხეულის პროპორციები დარღვეულია. განსაკუთრებით დისპროპორციულადაა გადიდებული ხელები და ფეხები.

მართალია, ქრისტეს სხეულის ფორმა და პლასტიკურობა ნაკლებად იგრძნობა, მაგრამ უსიცოცხლოდ დაშვებული, ატროფირებული ქვედა კიდურები, რომლებიც პირდაპირ იღლის ქვეშ იწყება, მისადაგებულია სახელოების ნაკეცთა დინამიკასთან. სახელოების ნაკეცებს, რომლებიც ორივე მხარეზე თითქმის უკისრო თავთან იწყება, აქცენტი მაცხოვრის თავზე გადააქვს.

ქრისტეს თავს ზემოთ აღმართული წრეში ჩასმული ჯვარი, ზომითა და მონახაზით, ოსტატურადაა შეწყვილებული ნიკაპიდან ფეხებამდე დაშვებულ კოლობიუმთან, რაც პირობითი სქემის ფიგურულ რელიეფში მაცხოვრის სახისაკენ მზერის მიმართველ ძველერთ დინამიურ აქცენტად აღიქმება.

შესაუგუნების საქართველოში უმაღლეს დონეზე ასულ ლითონის მხატვრულ დამუშავებასთან შედარებით ლითონის მხატვრული ჩამოსხმა მკრთალადაა წარმოდგენილი<sup>1</sup>, მაგრამ ყალიბში ჩამოსხმული ნიმუშები მაინც საკმაოდ გვაქვს. უშუალოდ ჯვარცმის გამოსახულებიანი ჩამოსხმული გულსაკიდი ჯვრები ცნობილია შენაქოდან<sup>2</sup>, ძველი გავაზიდან<sup>3</sup>, ვანის ვილაეთიდან, თებამიდან<sup>4</sup>, სოხუმიდან, ლიხნიდან<sup>5</sup>, ახალქალაქიდან<sup>6</sup> და ულუმბოდან<sup>7</sup>. ზემოთ

<sup>1</sup> Г. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство. Тб., 1959, გვ. 12.

<sup>2</sup> რ. დოლაბერიძე. არქეოლოგიური მასალა სოფელ შენაქოდან. თბ., 1973, გვ. 17-21, ტაბ. I.

<sup>3</sup> ლ. ჭილაშვილი. ძველი გავაზი. თბ., 1975, გვ. 51, 62-67, ტაბ. XVI-5.

<sup>4</sup> მ. ლაბაძე. გულსაკიდი ჯვრები. არქეოლოგიური ძიებანი. – ახალგაზრდა მკვლევართა II-III სამეცნიერო სერიის მასალები. თბ., 1982, გვ. 186-187.

<sup>5</sup> Л. Г. Гельбак. Два предмета мелкой пластики из коллекции музея. – Труды Абхазского государственного музея, IV. Сухуми, 1974, გვ. 168; Л. Г. Хрушкова. Материалы мелкой пластики средневековой Абхазии. – Материалы по археологии Абхазии. Тб., 1979, გვ. 62-74, ტაბ. 43, 1-2.

<sup>6</sup> გ. გაბუნია. სამხრეთ საქართველოს მთიანეთის ექსპედიცია. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-92 წლებში. თბ., 2004, გვ. 5-6.

<sup>7</sup> პ. წერეთელი. გულსაკიდი ჯვარი ულუმბოს ღმრთისმშობლის მონასტრიდან. ხელნაწერი, გვ. 1-14, სურ. გ-1.

ჩამოთვლილი ყველა ნიმუში ადრე შუა საუკუნეებს განეკუთვნება.

როგორც ცნობილია, ქრისტიანულ იკონოგრაფიაში თავიდან-ვე ჯვარცმის ორი ტიპი გავრცელდა: ადრინდელ თეოლოგიურ ინტერპრეტაციაზე აგებული, ცოცხალი ქრისტე, რომელიც სიკვდილზე გამარჯვების იდეას გამოხატავს და დოგმატიკური დებულების სანაცვლო – ტანხვა-წამებით გარდაცვლილი ქრისტე<sup>8</sup>. ნეს-გუნის ჯვრის პირდაპირ ძღვომი, თვალებგახელილი ქრისტეს ფიგურის გამოსახულება შეესაბამება ადრექრისტიანული დოგმატური ვერსიის – ტრიუმფატორის იკონოგრაფიულ ტიპს. მასზე ადრინდელ თეოლოგიურ ინტერპრეტაციაზე აგებული ჯვარცმის („სიკვდილი-თა სიკვდილისა დამორგუნველი“) კომპოზიციაა გამოსახული.

როგორც აღვნიშნეთ, ნესგუნის გულსაკიდ ჯვარზე გამოსახულ ჯვარცმულ ქრისტეს სხეულს ნიკაბიდან ფეხებამდე დაშვებული გრძელი კოლობიუმი მოსავს. ცნობილია, რომ ადრე შუა საუკუნეების ძეგლებზე ჯვარცმული მაცხოვრის სხეული ფეხის ტერფამდე დაშვებული კოლობიუმითაა დაფარული, IXს.-დან კი წინსაფრიანი ქრისტეს ტიპი მკვიდრდება<sup>9</sup>.

გრძელი კოლობიუმი მოსავს VII-VIIIსს.-ით დათარიღებულ, სვანეთში დაცულ სირიულ თასზე გამოსახულ ჯვარცმულ ქრისტეს<sup>10</sup>. გრძელი კოლობიუმით შემოსვის ნიმუშებია აგრეთვე საცხენისია და კიტროულის სტელებზე (VI-VIIIსს.) გამოსახული ჯვარცმის კომპოზიციები<sup>11</sup>.

ზოგიერთი ნიმუშით ნესგუნის გულსაკიდი ჯვრის ახლო პარალელებია VIIIს.-ით დათარიღებული უსანეთის სტელა, სადაც ნათლისლების კომპოზიციაში ყრმა ქრისტეს კვერცხისებური

<sup>8</sup> **თ. საფვარელიძე.** XII საუკუნის ქართული ჭედური ხელოვნების ისტორიიდან. თბ., 1980, გვ. 3.

<sup>9</sup> **ლ. გ. ხრუშკოვა.** Материалы..., გვ. 65.

<sup>10</sup> **გ. ტუბინაშვილი.** Сирийская чаша в Ушгуле. – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. XI-13, 1941, გვ. 1-19, ტაბ. 2-4; **კ. მაჩაბელი.** Из сокровищницы Сванетии. Тб., 1982, გვ. 74-89, ტაბ. 14-17.

<sup>11</sup> **გ. ჯავახიშვილი.** ადრევეკოდური ხანის ქართული სტელები. თბ., 1998, გვ. 35, ტაბ. XXIX, სურ. 1; **კ. მაჩაბელი.** Каменные кресты Грузии. Тб., 1998, გვ. 145-165, სქემა 7, ტაბ. 18; **გ. ოთხმეზური.** სტელა ნაეკლესიარ „ბერიჯვრიდან“. – „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1, 1986, გვ. 88-94.

უნიმბო თავი პირდაპირაა დასმული პირობითად გადმოცემულ ტანზე და VIII-IX სს.-ის გველდესის კანკელის ფილის რელიეფი, სადაც გრძელკოლობიუმიანი ჯვარცმული ქრისტე უნიმბოდაა წარმოდგენილი<sup>12</sup>.

ნესგუნის გულსაკიდ ჯვარზე ქრისტეს ფიგურა ხაზობრივ-გრაფიკულ მანერაშია შესრულებული. ფიგურა გაშლილია მთელ სიბრტყეზე, გადიდებულია კიდურების ზომები, ზედაპირი მჭიდროდაა შევსებული ფიგურით, რაც პირობითობისა და სიბრტყობრიობის შთაბეჭდილებას ქმნის. რელიეფურ დეკორში პლასტიკური ამოცანების გადაწყვეტის ორნამენტულ-სიბრტყობრივი სტილის დომინირება კი შეა საუკუნეთა ქართული ხელოვნების განვითარების ე.წ. გარდამავალი ეტაპის (VIII ს. II ნახევარი – X ს. I ნახევარი) ხალხური შემოქმედებისათვისაა დამახასიათებელი<sup>13</sup>.

ცალკე განხილვას მოითხოვს წრეში ჩასმული ჯვარი, რომელიც ნესგუნის გულსაკიდ ჯვარზე მაცხოვრის თავზეა აღმართული. ჯვარცმის კომპოზიციაში მაცხოვრის უნიმბო თავს ზემოთ წრეში ჩასმული ჯვრის გამოსახვის სხვა ნიმუში, ნესგუნის გულსაკიდი ჯვრის გარდა, ჩვენთვის უცნობია.

ნესგუნის ნიმუშზე წრეში ჩასმული ჯვარის გამოსახვა, ჩვენი აზრით, არ ნიშნავს დაბალი დაოსტატების ხელოსნის რომელიმე ნიმუშისადმი თავისუფალ, თვითნებურ მიღვომას. ნესგუნის ჯვარი ყალიბშია ჩამოსხმული, რაც, თავისთავად, ტირაჟირებას გულისხმობს. შეუძლებელია ოფიციალური ეკლესია შერიგებოდა საეკლესიო ხელოვნების კანონიკის ფარგლებს გარეთ გასვლას, ქრისტიანულ იკონოგრაფიაში დაკანონებული სქემისა და შემუშავებული ტიპის დარღვევებს, მთ უმეტეს, ქრისტიანობის ისეთ კულტინაციურ მოვლენაში, როგორიცაა ჯვარცმა. გულსაკიდი ჯვრის შემქმნელი უთუოდ იმ იკონოგრაფიული ნიმუშით ხელმძღვანელობდა, რაც ანატვიფრის სახით ნესგუნის ჯვარმა შემოგვინახა.

<sup>12</sup> გ. ჩუბინაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. ტ. I. ტფ., 1936, გვ. 212-213, ნახ. 166-167; გ. ტუბინაშვილი. ხანდისი. თბ., 1972, გვ. 115-116, ტაბ. 88-89; კ. მაჩაბელი. კаменные кресты Грузии, გვ. 197-219, სქემა 10, ტაბ. 22; რ. შმერლინგ. Малые формы в архитектуре средневековой Грузии. Тб., 1962, გვ. 67-76.

<sup>13</sup> გ. ჯავახიშვილი. ადრეფენდალური ხანის..., გვ. 213.

როგორც ცნობილია, ქართული რელიეფების სტილის სპეციფიკა, ერთი მხრივ, განპირობებული იყო უცხოეთიდან მზა სახით შემოტანილი ადრექტისტიანული ტრადიციებით, მეორე მხრივ, იმ პუნქტებში, სადაც საერთოდ მიღებული ნიმუშები არ არსებობდა – ფორმების ადგილზე, დამოუკიდებლად შექმნით<sup>14</sup>. სადაც ასეთი ორიგინალური ფორმები იქმნება, შეინიშნება გარკვეული მოუხეშაობა, მერყეობა, რაც გარკვეულწილად კომპოზიციური აგების, ჩანაფიქრის ერთიანობით ინიღება<sup>15</sup>.

ნესგუნის გულსაკიდ ჯვარზე ქრისტეს თავზე გამოსახული ჯვარი სიმბოლურად ჯვარცმას უნდა გადმოსცემდეს. ნიშანდობლივია, რომ ქრისტიანობის ადრეულ ხანაში ჯვარცმის სიუჟეტს სიმბოლურად მისტიკური კრავითა და ჯვარით გადმოსცემდნენ, ქრისტეს ფიგურიანი ჯვარცმა კი VII.-დან ჩნდება<sup>16</sup>.


საქართველოში აღმოჩენილი ყალიბში ჩამოსხმული გულსაკიდი ჯვრებიდან ნესგუნის ნიმუში ფორმით ყველაზე მეტ მსგავსებას ღიანის (VII-VIII ს.) და ულუმბოს (VII-VIII ს.) ჯვრებთან ავლენს. მსგავსება შენიშნება ჯვრის ვერტიკალური ძკლავების ბოლოების ოდნავ გაგანიერებასა და მომრგვალებაში, ქრისტეს უნიმბოდ გამოსახვაში, ჯვარცმულის პოზაში, ფონისა და რელიეფთა დონეების ურთიერთმიმართებაში, ხელებისა და მთლიანად სხეულის პროპორციულ თანაფარდობაში.

სტილისტური ნიშნებისა და არსებული პარალელების საფუძველზე ნესგუნის გულსაკიდი ჯვარის შექმნის დროდ VII ს. II ნახევარი და VIII ს. I ნახევარი გვესახება.

<sup>14</sup> Г. Чубинашвили. Болниssкий Сион. – *Известия* Института языка, истории и материальной культуры им. акад. Н. Я. Марра, т. 9. Тб., 1940, გვ. 146.

<sup>15</sup> К. Мачабели. Каменные кресты Грузии, გვ. 23.

<sup>16</sup> Г. Чубинашвили. Болниssкий Сион, გვ. 120.



სურ. 1

**Р. Г. ХВИСТАНИ**

**ОБРАЗЕЦ РАННЕСРЕДНЕВЕКОВОЙ МЕЛКОЙ  
ПЛАСТИКИ ИЗ СЕЛА НЕСГУН (СВАНЕТИ)**

В статье рассматривается литый в бронзе подвесной крест, на котором изображено распятие Христа, найденный в селе Несгун Местийского района.

Фигура молодого Христа изображена *en face*. Фигура построена на ранней теологической интерпретации христианской иконографии, где Христос изображается триумфатором (идея победы жизни над смертью). Христос изображен с открытыми глазами, живой. На лице, вместо боли вызванной казнью, изображено спокойствие.

По стилистическим чертам и существующим аналогиям Несгунский крест можно датировать второй половиной VII века и первой половиной VIII века.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება  
აფხაზეთის ორგანიზაცია  
საისტორიო ძეგლი, 7, 2004

## დიფო დევდარიანი

### რელიგიური დღესასწაულები დალის სვანეთში. „კერძ“

სუკუნეზე მეტი გავიდა კოდორის ხეობაში სვანთა ხელახალი ჩასახლებიდან. ხეობაში ჩამოსახლდნენ ენგურისპირა სვანეთის სხვადასხვა თემის წარმომადგენლები.

დალელი სვანი ენგურის მხარეს მოწიწებით „გუიდამ შუანს“ („ძირი სვანეთი“) ეძახის<sup>1</sup>.

თავიანთი პირველსაცხოვრისის პატივისცემა, უპირველესად, მედავნდება იმაში, რომ ჩამოსულმა სვანებმა შეუბლალავად შეინარჩუნეს ენა<sup>2</sup> და რიგი მდიდარი სვანური ადათ-წეს-ჩვეულებებისა.

ზოგადად, სვანური სამყარო მდიდარია წინარექრისტიანული რელიგიური რიტუალებით, რაც ქრისტიანული წეს-მსახურების წაად საინტერესოდ იქნა ადაპტირებული და დღემდეა სიცოცხლისუნარიანი. ასეთ რიტუალთა წრეს მიეკუთვნება „კერძ“-ი. იგი ზემო სვანეთის კუთხით გადმოტანილი, დღემდეა შენარჩუნებული მულახისა და პადიშის თემიდან წარმომავალ სვანებში. „კერძ“ უქმე დღეთა ციკლია და გრძელდება ერთი კვირის განმავლობაში. იგი ეძღვნება ოჯახის მოძრავ ქონებას – საქონლის სიმრავლესა და ნაყოფიერებას.

„კერძი“ იწყება ცნობილი სვანური დღესასწაულის – „ლამპრობის“ მომდევნო სამშაბათს. „ლამპრობა“, თავისი ატრიბუციით, ზოროასტრულ კულტმსახურებას წარმოადგენს. „კერძის“ ხდო-

<sup>1</sup> გუიდამ – ამ ტერმინის ფუძე – „გუ“ – გულს აღნიშავს.

<sup>2</sup> დალელთა ენა – მეტყველების რიტმსა და ინტონაციას გარკვეული თავისებურება გადაკრავს, რაც არ ბლალავს სვანური ენის სტრუქტურას.

მიღებას ოომ „ლამპრობა“ განსაზღვრავს, ეს მისი – „კერბის“ სიძველეზე მიანიშნებს და უმკიდრებს მას ადგილს სვანურ წარმართულ დღესასწაულთა პანთეონში.

„კერბის“ დადგომას „კერბი ლიჭუნის“ (კერბის შემოხვევა, შემოკვრა) ეძახიან. წარმოვადგენთ ამ რიტუალის მულახურ ვარიანტს.

საუქმოდ ამზადებდნენ დიდი რაოდენობით შეშას – ერთი კვირის სამყოფს. სამშაბათს, ოოგორც ითქვა, ლამპრობის მესამე დღეს ოჯახის უფროსს გამოაქვს საჭრელ-საჩხვლეტი ხელსაქ-მის იარაღები (ნაჯახი, დანები, მაკრატელი, ნემსები...) უღელი, თოკი, ინახავს მათ, დადებს აღთქმას „ჯგერაგთან“ (წმ. გიორგი), ოომ დაიცავს „კერბს“ მომდევნო სამშაბათამდე, ე. ი. თავს შეიგავებს საოჯახო თუ საგარეო ხელსაქმისაგან. ოჯახში იკრძალება ხარებით მუშაობა, ზემოჩამოთვლილი ინსტრუმენტებით სარგებლობა, რეცხვა, იატაკის დაგვა, რაიმეს გაცემა. ამათგან, პარასკევიდან, ნებადართულია („უი მეფუშდე ლი“) იატაკის დაგვა, რეცხვა, ნივთისა თუ ფულის გაცემა-გასესხება, თმის ვარცხნა. საინტერესოა იატაკის დაგვის „ახსნის“ (სვან. უი ლიფუშდე) ცერემონიალი.

ხუთშაბათის დამეს ოჯახის ყოველი წევრის სასოფუმალ-ქვეშ დებენ ქალალდებს. დილას (პარასკევს) დიასახლისი უბრად გვის იატაკს, ნაგავს შეახვევს ზემოხსენებულ ქალალდებში, მიაქს სამი გზის შესაყარზე და წვავს. მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევა ნება ლაპარაკის.

სამშაბათის დილას ოჯახის უფროსს გამოაქვს შენახული იარაღები, დაილოცება – იტყვის: „ჭოლში ჯგერაგ, მაზუმა კერბ უი ანლეჩენს, ეჩიცალ ლანეშდ – კერბ მეფუშდე“ („ჭოლაშის<sup>3</sup> წმინდაო გიორგი, რამდენადაც კერბი დაგვეცვას, იმდენად შეგვეწიე – კერბი ახსნილია“).

ჰადიშელთა მსგავსი რიტუალიც „ლამპრობაზეა“ ორიენტირებული, მაგრამ იმ განსხვავებით, ოომ იგი „ლამპრობას“ წინ უძღვის. უქმე იწყება შაბათს და ასევე მთელი კვირა გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში იკრძალება ყოველგვარი ხელსაქმე. იატა-

<sup>3</sup> ჭოლაში – მულახის ერთ-ერთი სოფელია

კის და ეზოს გამოგვა შეიძლება კონად შეკრული ქინძის ღეროებით. განსაკუთრებულია მექქსე, დამამთავრებელი დღე – შაბათი. ამ დღეს ოჯახის მთელი შემადგენლობა (ეს არ ეხება ძუძუთა ბავშვს) შიმშილობს. მაგრამ უფლება ეძლევათ, მოიხმარონ გარედან, ე. ი. სხვა ოჯახიდან, ვისოვისაც უქმე არ არის, მოტანილი საჭმელ-სასმელი. ამასთან, აკრძალულია ტრაპეზის გამართვა და წყლის დალევა სასადილო ოთახში (კერასთან), სადილობენ აივანზე ან ეზოში. ასეთ შეღავათს მოკლებულია საქონელი. მას დილიდან აშიმშილებენ და აჭმევენ საღამოებაში. „კერბის“ დამთავრებას აღნიშნავენ ღორის „კუბადარების“ (ხორციანი პური) შელოცვით. საქონლის სიმრავლესა და ბარაქას შესთხოვენ „ჯერაგს“.

საქონლის გამრავლებასთანაა ასევე დაკავშირებული სახალხო დღეობა – ბოსლობა, რომელიც იანვარ-თებერვალში იმართებოდა მთელს დასავლეთ საქართველოში. იგი მოყვებოდა მოისრობა-მირსობას – წარმართულ დღესასწაულს. ბოსლობას ზემო სვანეთში ლელუმესარის უწოდებენ<sup>4</sup>.

ბოსლობას აღნიშნავენ ქვემოსვანეთშიც; რაჭაში ბოსლობა განსაკუთრებით ქალების უქმე იყო – კერვა-ქსოვა არ შეიძლებოდა, ქალები მარხულობდნენ; ლეჩხუმში ბოსლობა ეძღვნებოდა „ხარების ჯანიერებას“, სამეგრელოში ბოსლობას ზეიმობდნენ 17 დღით ადრე დიდმარხვის დაწყებამდე<sup>5</sup>. როგორც ვხედავთ, „კერბს“ იგივე ფუნქციური დატვირთვა აქვს, რაც ბოსლობას, მაგრამ აქ უფრო „კერბის“ თავისებურება იქცევს ყურადღებას.

„კერბიდან“ არა ჩანს ნაყოფიერების ღვთაება ბოსლეს სახე – იგი არ მოიხსენიება. მის მაგივრად მიმართებაში არიან „ჯგერაგთან“.

ვფიქრობთ, ცალკე კვლევის ღირსია ის, რომ სვანურ წარმართულ ღვთაებათა პანთეონში „ჯგერაგ“ ერთ-ერთი პირველთა-განია. იგი ფიგურირებს არაქრისტიანული სამყაროდან შემორჩენილ ბევრ რიტუალში, რაც უნდა ნიშნავდეს არა წმ. გიორგის

<sup>4</sup> ა. გელოვანი. მითოლოგიური დექსიკონი. თბ., 1983, გვ. 105.

<sup>5</sup> ნ. აბაკელია, ქ. ალავერდაშვილი, ნ. დამბაშიძე. ქართულ ხალხურ დღეობათა კალებდარი. თბ. 1991, გვ. 56-57.

კულტის შეღწევას წარმართულ დღესასწაულთა წიაღში, არამედ ბევრად უფრო ადრინდელი „ჯგერაგ“-ის გარდასახვას ქრისტიან წმინდანია.

„გერბ“ ორიენტირებულია უძველეს სვანურ დღესასწაულზე – „ჯგერაგ ლამპრობაზე“ (ჯგერაგის ლამპრობა), რომელიც მამაკაცთა (ქედის დამხურავთა) სიმრთელისა და სიმრავლის სალოცავი რიტუალია. საინტერესოა, რომ ეს ზოროასტრული წეს-მსახურება ხვდება „ლალჩას“ მოძღვნო კვირადღეს.

ეს უკანასკნელი კი ძველი ახალი წლის (ზომხას) მომყოლ ახალ მთვარეზე აღინიშნება. ლალჩა-ლილჩე ნიშნავს დაცვას. ამ დღეს კლავენ წითელ მამალს და ლოცულობენ ოჯახის წევრთა (უფრო მამრთა) მშვიდობასა და ჯანმრთელობაზე. გამოდის, რომ „ლალჩა“ ლამპრობის მოსამზადებელი დღესასწაულია. „ზომხა“ ხდომილებით ქართულ წარმართულ კალენდარს არ უკავშირდება, რის გამოც მისი ათვლის წერტილად აღება გაუგებრობას იწვევს. აქ, ვფიქრობთ, შეცდომის სათავე ქრისტიანობამდელი სვანური ახალი წლის – „ზომხას“ ხელოვნურ გადაადგილებაშია, როცა იგი, ჩვეულებრივ, გასაგები ინტერვალით, დაუკავშირეს ახალ სტილს.

სვანური წარმართული კალენდრით ახალი წლის (ზომხას) ხდომილება გარკვევას მოითხოვს და ამდენად, ზემოთ ნახსენები რიტუალების აღნიშვნის ცნობილი თარიღებიც, ბუნებრივია, სინამდვილეს არ შეეფერება. მთუხედავად ამ ხელისშემსლელი აღრევისა, აქ კარგად ჩანს ერთმანეთზე დამოკიდებულება და შინაგანი ლოგიკა ზემოთ აღნიშნულ წარმართულ რიტუალთა შორის.

„გერბი“, „ჯგერაგი ლამპრობი“, „ლალჩა“, „ზომხა“ – ამ წრედის შეკვრაში ასტრალური ფაქტორები – მზე და მთვარე – ფიგურირებენ. მზის დღე სვანურად „მიუ-ლადად“-ი, ე. ი. კვირადღეა. ამ დღეს ხვდება ყოველთვის ლამპრობა. რაც შეეხება მთვარის კალენდარს და მით სარგებლობას, მთვარის ზეგავლენისადმი რწმენა ყველაზე მეტად სვანებშია შემორჩენილი, და იგი ამ ტომის ოდინდელ ასტრალურ ცოდნა-გამოცდილებაზე მიგვანიშნებს.

„გერბ“ სულხან-საბასთან განიმარტება კრებად. მაგრამ, ამ რიტუალის შინაარსიდან გამომდინარე, ჯერჯერობით, მისი რაი-

მენაირი დაკაგშირება თავყრილობასთან ვერ ხერხდება.

ურადსაღებია „კერბის“ დადგომა-დამთავრების გამოსახატავი სიტყვა-ფორმების შერჩევა: „ლიჭუნი“ (შემოხვევა, შემორტყმა, შემოკვრა) და „ლიფშუდე“ (აშვება, ახსნა). ეს სიტყვები ემოციურად დატვირთულია, შეიძლება ითქვას, ხატოვანია და გარკვეულ ასოციაციას აღძრავს. ისინი შთაბეჭდავად გამოხატავენ რიტუალის შინაარსს: შემოხვევა წრის შემოკვრაა – ტაბუს დადება ყოველდღიურ ჩვეულებრივობაზე – საოკუპაცია-სამეურნეო საქმიანობაზე. ესაა საკრალური წრე-სამანი, რომლის შიგნით ნებაყოფლობით მოქცეული ოჯახი კარგვეული დროით ცხოვრობს უჩვეულოდ – ყოველდღიური ხელსაქმისგან თავშეკავებით; ხოლო განსაზღვრულ დღეს „კერბი“ არა უბრალოდ წყდება თუ მთავრდება, არამედ ხდება მისი აშვება, ახსნა („უ ლიფშუდე“) – იხსნება შეგნებულად შემოზღუდული სალტე და ამით სვანი თავს ვალმოხდილად თვლის. მას სწამს, რომ „ჯგერაგ“ სასურველს მიაგებს დამსახურებისამებრ – თუ რამდენად პირწმინდად აღასრულა მან „კერბის“ ყველა მოთხოვნილება.

სამწუხაროდ, „კერბის“ მსგავს რიტუალებს მატერიალისტური მსოფლგაგება, ტრადიციულად, როგორც წესი, ცრურწმენას მიაკუთვნებდა და სრულებით ვერ ხედავდა მათში ბუნების მჭვრეტელობის იმ უნარ-შესაძლებლობებს, რაც წარსული ცივილიზაციის ხალხებს გააჩნდათ და შემდგომ ესტაფეტად გადასცეს მოძღვნო თაობებს.

დღეს ადამიანის ბევრ იდუმალ ქმედებასა და ბუნების ძნელად მოსახსნელ მოვლენებს თანხდათან აღიარებენ. ამასთან დაკავშირებით, სიტყვახმარებაში სულ უფრო გამოიყენება ფორმები – მაგიური და მისტიკური, რომელთა მიღმაც საგულისხმოა არა მოჩვენებები, არამედ ჯერაც ბოლომდე შეუცნობიერებელი მოვლენები.

სპეციალური ლიტერატურა ცოცხალ საკვლევ საგნად აღიქვამს ძველიდან შემორჩენილ რელიგიურ წეს-ჩვეულებათა ყველა დეტალს და სიმბოლურ მინიშნებას, რომელთა გაშიფვრითაც ხშირად გავხდებით მოწმე ბუნებისმცოდნეობაში ადამიანთა გამოცდილებისა.

სვანური „კერბიც“ მდიდარ საკვლევ მასალას იძლევა. წარმოვადგენთ რამდენიმე მომენტს. როგორც აღვნიშნეთ, სახლში დაგროვილ ნაგავს უბრად ხვეტენ და წინა დამით ოჯახის ყოველი წევრის სასოფლქვეშ დადებული ქაღალდებით წვავენ სამი გზის შესაყარზე.

ვფიქრობთ, დაგროვილი ნაგვის გატანა ესაა უარყოფითი ენერგიის ამოწვა, ამოქაჩვა სახლის არედან; ნაგავი იწვის სასოფლქვეშ ამონადებ ქაღალდში, რადგან სასოფლა ადგილი, სადაც მძინარე ადამიანის თავს, ე. ი. მოქანცულ აზროვნებას დარაჯობენ და ესხმიან მოარული ნეგატიური ძალები. სწორედ ამ აგრესიის კვალს უნდა შლიდეს სასოფლამიდან გამოტანილი ქაღალდი. მსგავს დეტალებს კიდევ მოიცავს ეს რიტუალი. ასე, მაგალითად, ახსნას მოითხოვს, რომ ეს მაგიური ღონისძიება ტარდება უბრად და რომ ნაგავს წვავენ სამი გზის შესაყარზე.

მარხვა და შიმშილობა განწმენდვაა, იგი თვითგვემით თავდამდაბლებაა ცოდვილი ადამიანისა ღვთის წინაშე. მას, ამასთან, ზნეობრივთან ერთად, პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს. ამ მომენტით შეიძლება რამე სიახლეს ვერ გავაწვდიდეს „კერბის“ ჰადიშური ვარიანტი, მაგრამ აქ საინტერესო სიახლე და უჩვეულობაა საქონლის შიმშილობა. საქონლის შიმშილობით თანაზიარად გახდომით, სვანის ცნობიერებაში ოთხფეხა ცხოველი არაა მხოლოდ, როგორც ასეთი, პირუტყვი. აქ შინაური ცხოველის დანიშნულება პრაქტიკულ-გამოყენებითს სცილდება და რაღაც საკრალურამდე მაღლდება. აქედან ჩანს სვანის რწმენა, რომ „კერბის“ აღსრულებისას ანგარიშვალდებულებებში ღვთაება ჯგერაგის წინაშე თავისი წილიც უნდა მიიტანოს საქონელმაც, რამეთუ სამაგიეროს თხოვნა თავად საქონლის გამრავლებაა. ამგვარად, „კერბით“ რქოსანი არსება გამოდის არაინერტული, შეგნებული ელემენტი, რომელსაც ასევე მოეთხოვება უფალთან ნაცვალ-მიგებით ურთიერთობაში ჩართვა.

ღვთაებათა მომადლიერება — მათგან წყალობის გამოთხოვნა სისხლიანი მსხვერპლშეწირვითა და მიწის ნამუშაკევის გაღებით ჩვეულებრივი კანონი გახლდათ ბევრი რელიგიისთვის. უფლის მომადლიერების პირველი ცდაა ბიბლიაში — აბელი და კაენი

მსხვერპლშეწირვის თაოსნებია და, ამავე დროს, ღმერთთან მი-  
მართების ამგვარი გზის არჩევით მათ ადამიანთა გვარში მკვლე-  
ლობაც დაამკვიდრეს.

მსხვერპლშეწირვის წესი შემდგომ, ფაქტობრივად, ადამიან-  
თა მანიად იქცა. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, არმაზის კულტს  
ბავშვებს სწირავდნენ.

ნივთიერ ელემენტთა მსხვერპლშეწირვის ყველა ვარიანტით  
უფლის სახე ადამიანთა წარმოსახვაში უმაღ პრიმიტიულად წარ-  
მოჩნდება, ვიდრე ამაღლებულად. ამის ფონზე სულ სხვანაირად  
გამოიყერება უქმე დღეთა დაწესების ტრადიცია – ადამიანთა მი-  
ერ სამუშაო დღეების გაწირვაც თავისებური მსხვერპლშეწირვაა.  
საქონლისა და ოჯახის ბარაქის თხოვნისას ადამიანი უფალს მა-  
ინცდამანც უძღვნის იმას, რაც უპირველესი პირობაა ადამიანის  
განკარგულებაში მატერიალური კეთილდღეობის მისაღწევად –  
ესაა დრო, სამუშაო დღეები. ადამიანი მთელი კვირა უქმობს, დარ-  
წმუნებული იმაში, რომ ამის სამაგიეროდ უფალი წყალობას არ  
დაიშურებს.

ვფიქრობთ, ამ ფაქტით ადამიანი ღმერთს უცხადებს ნდო-  
ბას და ცდილობს დაუმტკიცოს, რამდენად აქვს მას – ადამიანს  
გაცნობიერებული მისი – ღვთისადმი დამოკიდებულება, რომ მას,  
ადამიანს კარგად ესმის ღვთის ყოვლისშემძლეობა – თავად დრო,  
რომლის შრომა-ჯაფისთვის გამოყენება ადამიანთა ცხოვრების გა-  
რანტია, ხომ ღვთის ხელმწიფებაშია და, ამდენად, შეიგნებს რა  
ადამიანი ამ რეალობას, აკეთებს განაცხადს: იგი დამოკიდებულია  
უფრო არა სამუშაო დროის გამოყენებაზე და ჭაპანწყვეტით მი-  
ღებული შრომის ნაყოფზე, არამედ ღვთის ნებაზე, რომლისგანაც  
ყოველგვარი სასწაულია მოსალოდნელი. მაგრამ ამ ნდობის გა-  
მოცხადებასთან ერთად „კერძით“ ადამიანი ატარებს, როგორც  
უკვე ვნახეთ, რიგ მაგიურ ღონისძიებებსაც, რაც ოჯახს უქმნის  
იმუნიტეტს და მიმართულია იმ უარყოფითი ენერგიის გასაღებად  
და უკუსაქცევად, რაც ბუნებაშია და რომლის ერთ-ერთ წყაროს  
ადამიანიც შეიძლება წარმოადგენდეს. ეს უნდა იგულისხმებოდეს,  
როცა იკრძალება ოჯახიდან ნივთის თუ ფულის გაცემა-გასესხე-  
ბა, თმის ვარცხნა, რეცხვა, და სხვა.

„კერბ“ და სხვა მსგავსი რელიგიური დღესასწაულები ის შემოქმედებაა, რომლითაც ადამიანი ცდილობდა ღვთიურ ძალებთან მიახლოებას და ორიენტირებას ადამიანთა როული ურთიერთობის ღაბირინთში, სადაც ქვენა სურვილები რეალიზდებიან უხილავ მომწუსხველ ველად და რომლის ზემოქმედების მსხვერპლი ხშირად ხდება იგივე ადამიანი.

**Д. Д. ДЕВДАРИАНИ**

**РЕЛИГИОЗНЫЕ ПРАЗДНИКИ В ДАЛЬСКОЙ СВАНЕТИ.  
„KERB“**

Сванский мир богат дохристианскими религиозными ритуалами. Среди этих ритуалов определенный интерес представляет „Керб“. „Керб“ – это цикл праздничных дней и продолжается в течение одной недели. „Керб“ начинается в первый же вторник после другого сванского праздника „Лампроба“. В статье описывается праздничный ритуал „Керб“, и отмечено, что через „Керб“ и ему подобные религиозные праздники народ проявлял стремление приблизиться к божественным силам.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება  
აფხაზეთის ორგანიზაცია  
საისტორიო ძეგანი, 7, 2004

## მ ს ი ფ ლ ი რ ი ს ტ რ ი ა

### ნოდარ დარსანია

#### ამნიჭოფება IV (ეხნატონი) – მეოცენებე ფარაონი, თუ ფანატიკოსი რეფორმატორი

ამნიჭოფება IV (ეხნატონის) მმართველობის პერიოდში (ძვ.წ. 1370-1353წ.) ეგვიპტე მეტად უჩვეულო და უცნაური მოვლენების მოწმე ხდება. ამ დროს ქვეყანაში განხორციელებული გარდაქმნები, თავისი შინაარსითა და მასშტაბურობით, წარმოადგენს, უსათულ მნიშვნელოვანს, ასევე დრამატიზმითა და ტრაგიზმით აღსავსე ისტორიულ მოვლენას. ამ რელიგიურ-პოლიტიკური რეფორმის გატარება უშუალოდ თვითონ რეფორმატორი ფარაონის პიროვნებასთანაა დაკავშირებული. ეხნატონი უჩვეულო, განსაკუთრებული ფიგურაა. მისმა დაუკავებელმა ენერგიამ, ჰეშმარიტებისადმი მუდმივმა ლტოლვამ ის უნაყოფო მისტიკოსად კი არა, ნამდვილ შემოქმედად მოუვლინა თავის ქვეყანას. მან შესძლო თავისი მსოფლიშედველობის გატარება ცხოვრებაში, სამეფო ხელისუფლების გამოყენების გზით. მისი პიროვნებით, როგორც ადრე, ისე დღესაც დაიწერებასტული არიან ცნობილი მეცნიერები.

ეგვიპტოლოგი არტურ ვეიგალი ასე წარმოგვისახავს ეხნატონის იდილიურ სურათს: „უკვე სამი ათასი წელია, რაც ის გვაძლევს იმის მაგალითს, თუ როგორი უნდა იყოს მეუღლე, მამა, პატიოსანი კაცი; მან გვიჩვენა, თუ რას უნდა გრძნობდეს პოეტი, რაში უნდა გვარიგებდეს დამრიგებელი, რას უნდა აღწევდეს მხატვარი, რისი უნდა სჯეროდეს მეცნიერს და რაზე უნდა ფიქრობდეს ფილოსოფოსი. და როგორც სხვა გამოჩენილი მასწავლებლები, მან ყველაფერი გაიღო თავისი სარწმუნოებისათ-

ვის“.<sup>1</sup> ზოგიერთი ეგვიპტოლოგი ასეთი დახასიათების საწინააღმდეგოდ სვამს შეკითხვას, ხომ არ იყო ეხნატონი მონა რაიმე ფიზიკური ნაკლოვანებისა<sup>2</sup>. უამრავი გამოსახულების წყალობით ცნობილია, თუ როგორ გამოიყურებოდა ამენპოტეპ IV (ეხნატონი) – პატარა თავი გაზნექილი კეფით, წვრილი და გრძელი კისერი, წვრილი ხელები, წვივები და ტანი. სამაგიეროდ, მკერდი და მუცელი საკმაოდ გამოშვერილი, განიერი მენჯი და სავსე თეძოები ჰქონდა. ამენპოტეპ IV (ეხნატონის) ქალური აღნაგობა დიდი ხანია განაცვიფრებდა მეცნიერებს<sup>3</sup>. ზოგიერთები უყოფმანოდ ასახელებენ ავადმყოფობას, რომლითაც იტანჯებოდა ფარაონი: „ფრელის სინდრომი“, „მძიმე სექსუალური სწეულება“. ლეფევრი ეჭვსაც კი გამოოქვამს, ხომ არ იყო ეხნატონი გადაცმული ქალი<sup>4</sup>. მიუხედავად მეცნიერების გარევული ნაწილის მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულებისა, ამარნას ძეგლებმა ასევე კარგად შემოგვინახა ეხნატონის გარევნობა, რომელიც იმ დროისათვის ჩვეული დახვეწილი რეალიზმით არის გადმოცემული. ჩვენ თვალწინიშვინი წარმოგვიდგება ერთობ უღონო, უძლური, სუსტი აღნაგობის ჭაბუკი. სამაგიეროდ, წვეტიანი ნიკაპი, მოხდენილი გრძელი პირისახე, წვრილი და გრძელი კისერი, ღრმა მეოცნებე თვალები მატებენ მის გარევნობას ერთგვარ, არაჩვეულებრივ, მომაჯადოებელ იერ-სახეს მეოცნებე პიროვნებისა. ასე გვონია, თითქოსდა მარად მოგიზგიზე, ცეცხლოვანი სული წვავს მის სუსტ სწეულს, დაღალულს, დაქანცულს სულიერი ტვირთის სიმძიმის ქვეშ. მართლაცდა, მას შეეძლო სრული უფლებით ხმამაღლა ეთქვა: „სული მხნეა, სხეული კი უღონო“.<sup>5</sup>

ეხნატონი პირად ცხოვრებაში წარმოგვიდგება, როგორც ერთგული, ოჯახის უფროსი ადამიანი, რომელსაც მხურვალედ უყვარს თავისი მეუღლე ნეფერტიტი, „ბედინერი ქალბატონი“, როგორც მას უწოდებდნენ იძლროინდელ ბეგლებში, და მისი ექვსი ქალიშვილი. ეხნატონი მუდმივად წარმოგვიდგენს თავის თავის

<sup>1</sup> А. Вейгал. Эхнатон – фараон-Вероотступник. М., 2004, გვ. 19.

<sup>2</sup> К. Жак. Египет Великих фараонов. М., 1992, გვ. 189.

<sup>3</sup> о. პერეპიოლგიбо. ოქროს კუბოს საიდუმლო. თბ., 1979, გვ. 56.

<sup>4</sup> К. Жак. Египет Великих фараонов. М., 1992, გვ. 190.

<sup>5</sup> В. И. Авдиев. Древно-египетская реформация. М., 1923, გვ. 70.

ოჯახურ წრეში, მეუღლისა და ქალიშვილების თანხლებით, არა მარტო შინ – სასახლეში, არამედ ოფიციალურ მიღებებსა და საზემო ცერემონიალებზე. ყველა მარტივ, სადა და უბრალო სურათზე ნათლად ჩანს თბილი დამოკიდებულება ოჯახისადმი და სიყვარული ოჯახური სიმყუდროვისადმი. ეს გახლდათ ის მთავარი დამახასიათებელი თვისებები, როთაც გამოირჩეოდა ეხ-ნატონი, როგორც ადამიანი თავის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

როგორც აღვნიშნეთ, მას თავდავიწყებით უყვარს თავისი მეუღლე ნეფერტიტი. აქმესის აკლდამაზე ელ-ამარნაში გამოსახულია, მეუღლესთან ერთად, როგორ მიქრის ის (ეხნატონი) მსუბუქ ეტლზე ამხედრებული, ამ ეტლზე შემდგარი თუ როგორ ჩუქნის მას თავის მეფურ ამბორს, მზიური ატონის ზეციურ სხივებქვეშ<sup>6</sup>.

რასაკვირველია, ეხნატონზე გარკვეული გავლენა ჰქონდათ ადამიანებს, რომლებიც მუდმივად მას გარს ეხვია. პირველ რიგში, ესენი იყვნენ: მისი დედა ტი (ამენპოტეპ III მეუღლე, უძრალო ხალხის წრიდან გამოსული), რომელმაც მიაღწია ხელისუფლების მწვერვალს თავისი პირადი თვისებების წყალობით), ასევე მეუღლე ნეფერტიტი, რომელსაც მუდმივად ვხედავთ იმ დროის ყველა გამოსახულებაზე ფარაონის გვერდით. მაგრამ მაინც არ შეიძლება მათი გავლენის გაზიადება და თვითონ ეხნატონის ნათელი და თვითმყოფადი ინდივიდუალობის უარყოფა, რადგან ამ გრანდიოზული რეფორმის სულისჩამდგმელი და განმახორციელებელი უშუალოდ ეხნატონი იყო. ამენპოტეპ IV-ის (ეხნატონის) მეუღლე დედოფალი ნეფერტიტი გახლდათ ყველა ამ მოვლენის თანამდეროვე და ეგვიპტის პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების აქტიური მონაწილე. თანამედროვენი ხოტბას ასხამენ მის მომხიბვლელობას, მიმზიდველობას, საოცარ სილამაზეს, თავდაპირველად ის ბეღნიერი იყო ცხოვრებაში, სარგებლობდა ღვთაებრივი მეუღლისა და ქვეშვრდომების დიდი სიყვარულით. მას უწოდებდნენ „ზემო და ქვემო ეგვიპტის ქალბატონს“, „ორივე მიწის მბრძანებელს“.<sup>7</sup> მაგრამ ბოლო დროს

<sup>6</sup> В. И. Авдиеv. Древно-египетская реформация, гл. 72.

<sup>7</sup> А. С. Шофман. Древний мир в лицах и образах. Казань, 1990, гл. 30.

ნეფერტიტი შერისხული იქნა ფარაონის მიერ. დიდმა სიყვარულმა ადგილი დაუთმო გულგრილობას, გულცივობას. ამას დაემთხვა უთანხმოება სასახლეში. ჰორემხების სამხედრო პარტია ინტრიგებსა და ხრიკებს ხლართავდა ფარაონის წინააღმდეგ, რადგან არ იზიარებდა ფარაონის მიერ განხორციელებულ გარდაქმნებს. ნეფერტიტის – ახალი რელიგიის თავგამოდებულ თაყვანის სიცემელს დაუწყეს დევნა. ამას დაემატა ისიც, რომ მას გამოუჩნდება ძლიერი მეტოქე კიის სახით, რომელმაც შეძლო ფარაონის გულის მოგება, ამენპოტეპ IV (ეხნატონის) მეფობის ბოლო წლებში კიის გავლენა სასახლეში საგრძნობლად იზრდება. ის შეძლებს ნეფერტიტის ხელისუფლებიდან ჩამოშორებას. ნეფერტიტის ბედის შესახებ სამი მოსაზრება პრევალირებს: დედოფალი გარდაიცვალა, ან გახდა შურისძიების მსხვერპლი, ან შეურიგდა მეტოქის აღზევებას და დარჩა მეუღლის გვერდით. პირდაპირი ცნობები მისი გარდაცვალების დროზე, რომლებსაც შეიძლება დავეყრდნოთ, არ გაგვაჩინა<sup>8</sup>.

არა მხოლოდ ვიწრო ოჯახურ წრეში და ოჯახისადმი უსაზღვრო სიყვარულში უნდა ღირსებოდა ეხნატონს გამოევლინა თავისი გენია. სახელმწიფო მოღვაწეობის ფართო ასპარეზზე წარმოგვიდგება ის, როგორც ბრძენი მმართველი, უშრეტი მატერიალური და სულიერი ძალების პატრონი. მართალია, მისი საგარეო პოლიტიკა, რომელსაც ამ ნაშრომში ზოგადად შევეხებით, წარმოადგენდა მისი სისუსტის აღიარებას, მაგრამ, სამაგიეროდ სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკის მასშტაბით მან გამოავლინა დიდი ენერგია და ორგანიზაციურული ნიჭი. ყველა თავისი ძალები შეალია თავის საყვარელ საქმეს, რეფორმის გატარებას და სახელმწიფოს ახალ ყაიდაზე გარდაქმნას. ამიტომ, ბუნებრივია, მას არ შეეძლო სათანადო დონეზე წარემართა საგარეო პოლიტიკა და შეენარჩუნებინა ეგვიპტის წამყვანი მდგომარეობა მსოფლიოს სხვა სახელმწიფოებს შორის, რომელიც მოუპოვეს მას მისმა წინაპრებმა. მაგრამ მანც სიმტკიცე და დაუოკებელი ენერგია წარმოადგენს ეხნატონის, როგორც სახელმწიფოს მმართველის ძირითად თვისებებს. დაუპირისპირდა რა თებეს უმაღლეს

<sup>8</sup> А. С. Шофман. Древний мир в лицах и образах, гл. 31.

ქურუმობას, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული ამონის კულტთან, ეხნატონს არ დაუყოვნებია, არ შემდრკალა არაფრის წინაშე, რომ შეემუსრა მოწინააღმდეგე და უზრუნველეყო თავისი რეფორმის წარმატება. ის წაშლის ამონის სახელს წინა დროის ყველა ძეგლზე ხალხის მეხსიერებიდან სამუდამოდ გასაქრობად. მას სჯეროდა სახელის მაგიური ძალისა. ის იცვლის თავის სახელსაც და „მენპოტეპ“-ის მაგივრად ოქმევს ახალ ღვთისმოსავ სახელს ეხნატონს (ატონის გაბრწყინება). აუქმებს ეგვიპტის წინანდელი ღმერთების ტაძრებს, ხელუნლებლად ტოვებს მხოლოდ ჰელიოპოლისის კულტ რა-ჰორას. რა-ჰორახტა, რომლის-განაც ნაწილობრივ წარმოიქმნა მზის დისკოს – ატონის კულტი. ყველა აჯანყება მის წინააღმდეგ დიდი სისასტიკით იქნა ჩახშობილი. ფარაონი შეუბრალებლად უსწორდებოდა იმათ, ვინც კი მისი ნების წინააღმდეგ გამოვიდოდა. ყველაზე გამანადგურებელი დარტყმა ფანატიკოსი ფარაონის მხრიდან თებეს ქურუმობამ იწვნია, რადგან თებეს ქურუმობაში ხედავდა ფარაონის ხელისუფლება მთავარ მოწინააღმდეგეს, როგორც სახელმწიფოში წამყვან როლზე პრეტენზის მქონე ძალაზე<sup>9</sup>. მისი შინაგანი სულიერი სახე გვაოცებს თავისი მთლიანობითა და სისრულით, მუდმივი შთამაგონებელი შემოქმედებით ურყევი რწმენით თავისი სარწმუნოების ჭეშმარიტებაში, მასში ერთიანად შეერწყა ეგვიპტური ნაციონალური ხასიათის, სულისა და გენის საუკეთესო თვისებები. მან მთლიანად შეისისხლხორცა თავისთავში ძველეგვიპტელი ადამიანისა და სახელმწიფო მოღვაწის იდეალი. როგორც გიგანტური კლდე, ეხნატონი მარტოდმარტო აღიმართა აღმიანთა მღელვარე ზღვისა და თავისი დროის მოვლენათა წინაშე. საუბედუროდ, ყველამ ვერ გაუგო მას, ვერ აღიქვა სრულად მისი სარწმუნოება და ასევე არ აღმოჩნდა ვინმე მისი დიადი და ნათელი საქმის გამგრძელებელი.

<sup>9</sup> А. С. Шофман. Древний мир в лицах и образах, გვ. 29.

## **Н. Э. ДАРСАНИЯ**

### **АМЕНХОТЕП IV (ЭХНАТОН) – ФАРАОН МЕЧТАТЕЛЬ ИЛИ РЕФОРМАТОР ФАНАТИК**

В период правления фараона Аменхотепа IV (Эхнатона) 1370-1353гг. до н.э. Египет становится свидетелем довольно необычных и странных событий. Осуществленные в это время в стране преобразования, по своему содержанию и масштабности, представляют собой весьма важное, вместе с тем насыщенное трагизмом и драматизмом историческое событие. Проведение этой религиозно-политической реформы непосредственно связано с личностью фараона-реформатора.

Эхнатон фигура необычная, исключительная, его внутренние поиски не превратили его в бесплодного мистика. Он сумел претворить в жизнь свой видения, используя свою царскую власть.

По бесчисленным изображениям доподлинно известно, как выглядел Аменхотеп IV (Эхнатон). Острый подбородок, изящное длинное лицо, худая и длинная шея, мечтательные глаза придавали его облику какую-то необычайную духовную силу. Как будто вечно пламенеющий огонь духа сжигает его слабое тело изнемогающее под тяжестью душевной ноши.

В частной жизни Эхнатон выступает перед нами как верный семьянин, горячо любящий свою жену Нефертити, своих шестерых дочерей.

Главная черта Эхнатона, как государственного деятеля заключается в его реформаторской смелости, в его неиссякающем новаторстве, переустройстве государства на новый лад.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება  
აფხაზეთის ორგანიზაცია  
საისტორიო ძეგანი, 7, 2004

## პახაპერ ფიფია

### ანტონიშვილის აღმოსავლური პოლიტიკა და პოლიტიკი

მც.წ. ის. დასაწყისიდან რომის საგარეო პოლიტიკაში გან-  
საკუთრებით აქტუალური გახდა „აღმოსავლეთის საკითხი“.<sup>1</sup> ტე-  
რიტორიული გაფართოებისაკენ კონცენტრირებული რომის გვი-  
ანდელი რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი საზღვრების გა-  
ფართოების აგრესიული პოლიტიკა კულმინაციას ძვ.წ. ის. 60-იან  
წლებში აღწევს, როდესაც პომპეუსის ძლევამოსილი ლაშქრობის  
შედეგად წინა აზიის ბევრი ქვეყანა რომის პოლიტიკური გავლე-  
ნის ქვეშ მოექცა. ამ დროიდან მახლობელ აღმოსავლეთში საფუძ-  
ველი ეყრება ახალ საერთაშორისო-პოლიტიკურ წესრიგს – სამ-  
ხედრო ძალით განმტკიციებულ „რომაულ რეჟიმს“, ხოლო რომის  
აღმოსავლური პოლიტიკა საუკუნეების მანძილზე რეგიონის კულ-  
ტურულ-პოლიტიკური განვითარების ერთ-ერთ მთავარ განმსაზ-  
ღვრელ ფაქტორად იქცა.

აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი, ისტორიული კოლხეთი რო-  
მის აღმოსავლური პოლიტიკის ორბიტაში და პომპეუსის სამხედ-  
რო კამპანიის არეალში ძვ.წ. 65წ. მოექცა. პომპეუსმა კოლხეთი  
ცალკე აღმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულად გამოყო, ხო-  
ლო მისი ყოფილი მეტროპოლია – პონტოს სამეფო, გაუქმებუ-  
ლად გამოაცხადა<sup>2</sup>. აპიანეს ცნობით, პომპეუსმა კოლხთა დინას-  
ტიად არისტარქე დანიშნა.

<sup>1</sup> App., Mithr., 118; აპიანე. მითოდატეს ომების ისტორია. ბერძნული  
ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და საძი-  
ებლები დაურთო **თ. ყაუხხიშვილმა.** თბ., 1959.

<sup>2</sup> App., Mithr., 114.

ძვ.წ. 48-47წწ. კოლხეთი ახალი ოქტავის არენა გახდა. ბოსფორის მეუე ფარნაკემ, ისარგებლა რა კეისარსა და პომპეუსს შორის მიმდინარე სამოქალაქო ომით (ძვ.წ. 49-48წწ.), მოინდომა მამისეული სამეფოს რესტავრაცია. დიონ კასიოსის ცნობით, ფარნაკემ ადვილად დაიპყრო კოლხეთი, მცირე არმენია, კაპადოკიის ნაწილი და სხვ. ოლქები<sup>3</sup>. მაგრამ მაღლე, ალექსანდრიიდან დაბრუნებულმა კეისარმა ძვ.წ. 47წ. ზელასთან სასტიკად დაამარცხა ფარნაკე, რომელიც ბოსფორში გაიქცა. ფარნაკეს არყოფნაში ბოსფორში აჯანყდა მის მიერ მმართველად დატოვებული ასანდროსი, რომელთანაც ბრძოლაში ფარნაკე დაიღუპა. ასანდროსთან ბრძოლაში იღუპება კეისრის მიერ ბოსფორის მმართველად გაგზავნილი მითრიდატე პერგამონელიც<sup>4</sup>.

ფარნაკეს მიერ კოლხეთის დამორჩილება უბრძოლველად არ უნდა მომხდარიყო. როგორც სტრაბონის ცნობიდან ირკვევა<sup>5</sup>, ფარნაკეს, ხოლო შემდეგ კი მითრიდატე პერგამონელის, რომელიც ბოსფორისაკენ კოლხეთზე გავლით გაემართა, კოლხეთის ტერიტორიაზე გადაადგილებას შშვიდობიანი ხასიათი არ ჰქონია<sup>6</sup>.

თუ რა ვითარება იყო კოლხეთში და ვინ იდგა მისი მმართველობის სათავეში მითრიდატე პერგამონელის დაღუპვის (ძვ.წ. 47წ.) შემდეგ, წყაროებში დაფიქსირებული არ არის და ჩვენთვის უცნობია. მოგვიანებით კი მას პოლემონის პონტოს სამეფოს შემადგენლობაში ვხედავთ. სტრაბონის ცნობით, „უკანასკნელად პოლემონს ჰქონდა კოლხიდა“<sup>7</sup> კოლხეთის პოლემონის პონტოს სამეფოს შემადგენლობაში შეყვანა, თვითონ ანულირებული პონტოს სამეფოს რესტავრაცია და პომპეუსის მიერ შექმნილი მმარ-

<sup>3</sup> Dio Cass., XLII, 45, 1-3; დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და კომენტარები დაურთო **6. ლომოურმა.** თბ., 1966.

<sup>4</sup> App., Mithr., 120; Dio Cass., XLII, 45-48.

<sup>5</sup> Strabo, XI, 2, 17; თ. ყაუხეჩიშვილი. სტრაბონის გეოგრაფია. ცნობები საქართველოს შესახებ. თბ., 1957.

<sup>6</sup> ქ. ფიფიძა. კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიიდან (ძვ.წ. I საუკუნეები). – „ხაისტორიო ძეგბანი“, I, 1998, გვ. 24-25; ჩ. ი. ლომიური. Грузино-римские взаимоотношения. Тб., 1981, გვ. 121-124.

<sup>7</sup> Strabo, XI, 2, 18.

თველობის სისტემის შეცვლა დაკავშირებული იყო რომის აღმოსავლური პოლიტიკის რადიკალურ ტრანსფორმაციასთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა „მეორე ტრიუმვირატის“ მმართველობის პერიოდში და რაც, საბოლოო ჯამში, იყო აღმოსავლეთში ორი ძლიერი პოლიტიკური ძალის – რომისა და პართიის ურთიერთობის ახალ ფაზაში შესვლის შედეგი.

ძვ.წ. II. 50-იან წლებში რომის აღმოსავლურ პოლიტიკაში იწყება ახალი ეტაპი – იმპერიის აღმოსავლური პოლიტიკის კარდინალურ მიმართულებად იქცა პართიის სახელმწიფოსთან ურთიერთობის საკითხი. სანამ პონტო და სომხეთი რომის მოწინააღმდეგები იყვნენ, რომაული დიპლომატია ყოველმხრივ ცდილობდა, არ დაეშვა აღმოსავლეთის სახელმწიფოთა კოალიციისათვის პართიის სამეფოს მიმწრობა და იგი თავს პართიის მეგობრად ასაღებდა, მაგრამ, პონტოს სამეფოს განადგურების, ტიგრან II-ის „რომაული ხალხის მეცნიერად და მოკავშირედ“ გამოცხადების შემდეგ პართია-რომის შორის ურთიერთობა გაუარესდა და გარდაუგალი იყო მათ შორის კონფლიქტი. რომისა და პართიის მშვიდობიანი თანაარსებობის ხანმოკლე პერიოდი დასრულდა ძვ.წ. 53წ., როდესაც კარასთან ბრძოლაში პართიელებმა პირწმინდად გაანადგურეს აღმოსავლეთის მმართველის, ტრიუმვირ მარკუს კრასუსის არმია.

პართიასა და რომის შორის დაწყებულმა დაპირისპირებამ პერმანენტული ხასიათი მიიღო, რმდენიმე საუკუნის მანძილზე გაგრძელდა და ამ დაპირისპირების შედევრად აღმოსავლეთში შეიქმნა ე.წ. „პოლიტიკური დუალიზმის“ სისტემა, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მახლობელი აღმოსავლეთის შემდგომ განვითარებაზე. ბრძოლა რომისა და პართიას შორის აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში პეგემონობისათვის არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ პირდაპირი სამხედრო აგრესით, მებრძოლი მხარეები ცდილობდნენ ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩარევას და მოწინააღმდეგე ქვეყნის საშინაო გაროულებების თავის სასარგებლოდ გამოყენებას. რომისა და პართიის გარშემო იწყება აღმოსავლეთის სხვადასხვა პოლიტიკური თუ სოციალური ჯგუფების გაერთიანება.

რომის აღმოსავლური პოლიტიკისა და პართია-რომის ურ-  
თიერთობაში ამ ახალი ეტაპის დაწყება გახდა სწორედ აღმო-  
სავლეთში პომპეუსის მიერ შექმნილი მმართველობის სისტემის  
რეორგანიზაციის მიზეზი.

ძვ.წ. 42წ. რესპუბლიკელთა დამარცხების შემდეგ, ტრიუმვი-  
რებმა (ოქტავიანე, ანტონიუსი და ლეპიდუსი) გაინაწილეს პო-  
ვინციები. აღმოსავლეთი ანტონიუსს ერგო. იგი მაშინვე გაემართა  
აზიისაკენ და დაიწყო ენერგიული ზომების გატარება. ანტონი-  
უსმა საკუთარი სურვილისამებრ შეცვალა მცირე აზიის პოლი-  
ტიკური რუკა. აღმოსავლეთის საზღვრების უსაფრთხოების გაძ-  
ლიერების მიზნით ანტონიუსმა უარი თქვა პომპეუსის მიერ შექ-  
მნილ მმართველობის სისტემაზე და ხელახლა აღადგინა მის მი-  
ერ გაუქმებული სამეფოები. მათ შორის აღდგენილ იქნა პონტოს  
სამეფოც. მის სათავეში ძვ.წ. 40წ. დანიშნული ფარნაკეს შვილი  
დარიოსი მალევე შეცვალა კილიკის ყოფილმა მმართველმა პო-  
ლემონ ლაოდიკელმა<sup>8</sup>. პონტოს სამეფოს ტახტზე ძველი დინას-  
ტიის ახლით შეცვლა, რომელსაც არაგითარი კავშირი არ ჰქონ-  
და მითრიდატიდების სამეფო სახლთან, მიუთითებს, რომ პარ-  
თია-რომის მომავალ დაპირისპირებაში ანტონიუსი არ ენდობოდა  
მითრიდატეს შვილიშვილ დარიოსს, პოლემონი კი, რომელიც ცნო-  
ბილი იყო თავისი ანტიპართიული პოზიციით, უფრო მისაღები  
კანდიდატურა იყო ანტონიუსისათვის<sup>9</sup>. გარდა ამისა, ანტონიუსმა  
დალატისათვის სიკვდილით დასაჯა კაბადოკის მეფე არიარატე  
და მისი სამფლობელო არქელაოს კომაგენელს გადასცა<sup>10</sup>. პისი-  
დიისა და ფრიგიის მმართველმა ამინტამ მიიღო გალატიის სა-  
მეფო, პაფლაგონია გადაეცა დინასტი დეიოტარ ფილადელფიოს<sup>11</sup>.  
სირიისა და კილიკიის დიდი ნაწილი კვიპროსთან და კირენას-

<sup>8</sup> Dio Cass., XLIX, 25.

<sup>9</sup> С. Ю. Сапрыкин. Из истории Понтийского царства Полеменидов (По  
данным эпиграфики). – „Вестник древней истории“, 1993, №2, გვ. 27-29;  
С. Ю. Сапрыкин. Понтийское царство. М., 1996, გვ. 308.

<sup>10</sup> Dio Cass., XLIX, 32.

<sup>11</sup> Е. С. Голубцова. Северное Причерноморье и Рим на рубеже нашей эры.  
М., 1951, გვ. 74; The Cambridge Ancient History. Vol. X. Cambridge, 1963,  
გვ. 34.

თან ერთად ანტონიუსმა ეგვიპტის სამეფოს შეუერთა<sup>12</sup>, ხოლო თავისი და კლეოპატრას შვილი – ალექსანდრე პელიოსი, სომხეთისა და მიდის მეფედ აკურთხა<sup>13</sup>.

პონტოს სამეფოს აღდგენის და ანტონიუსის მიერ გატარებული ღონისძიებების ძირითადი მიზანი იყო მცირე აზისა და სირის რომაული სამფლობელოების გარშემო მოკავშირე, „ბუფერული“ სამეფოების მტკიცე ზღუდის შექმნა და მისი მეშვეობით ძვწ. 40-იანი წლების ბოლოდან პართიელთა გახშირებული თავდასხმებისაგან თავის დაცვა<sup>14</sup>. რომის მოკავშირე მეფეები იღებდნენ საშინაო საქმეებში დამოუკიდებლობას, სანაცვლოდ კი მათი ჯარები იმპერიის განკარგულებაში იმყოფებოდნენ და მათ ეკისრებოდათ რომის აღმოსავლეთის საზღვრების უსაფრთხოების დაცვა<sup>15</sup>.

როგორც აღვნიშნეთ, კოლხეთი რომაელებმა პონტოს მეფე პოლემონს დაუქვემდებარეს, მაგრამ სტრაბონის ზემოთ მოყვანილი ცნობის<sup>16</sup> გარდა, ანტიკურ წყაროებში არავთარი მინიშნება არ არის პონტო-კოლხეთის იმდროინდელი დამოკიდებულების შესახებ, რაც თავისთვად ამნელებს იმის დადგენას, თუ კონკრეტულად როდის უნდა მომხდარიყო კოლხეთის შესვლა პონტოს სამეფოს შემადგენლობაში. არსებობს მოსაზრება, რომ კოლხეთის პონტოს სამეფოს სისტემაში შეყვანას ადგილი უნდა ჰქონდა ავგუსტუსის მმართველობის დროს<sup>17</sup>. თუმცა, იმ დროს აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, მეკლევართა უძრავლესობა მიიჩნევს, რომ კოლხეთის შეერთება პონტოს სამეფოსთან ანტონიუსის დროს უნდა მომხდარი-

<sup>12</sup> Т. Моммзен. История Рима. Т. V. М., 1949, გვ. 329.

<sup>13</sup> Plut., Ant., 54; Dio Cass., XLIX, 41.

<sup>14</sup> С. Ю. Сапрыкин. Понтийское царство, გვ. 308.

<sup>15</sup> Е. С. Голубцова. Северное Причерноморье.., გვ. 74; Л. С. Ильинская. Римская экспансия в Малой Азии в конце республиканского периода (I в. до н.э.). Автoreферат кандидатской диссертации. М., 1966, გვ. 15.

<sup>16</sup> Strabo, XI, 2, 18.

<sup>17</sup> М. П. Инадзе. К истории Грузии античного периода (Флавий Арриан и его сведения о Грузии). Автoreферат кандидатской диссертации. Тб., 1953, გვ. 12; М. П. Инадзе. Причерноморские города древней Колхиды. Тб., 1968, გვ. 240.

ყო<sup>18</sup>, რადგანაც ანტონიუსს, რომელიც ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე განაგებდა აზიას, საეჭვოა, რომ უფერადღებოდ და-ეტოვებინა კოლხეთი, რომელიც მითრიდატე პერგამონელის და-ლუპვის შემდეგ უმმართველოდ დარჩა, რაც უცილობლად ქმნიდა ამ ქვეყნის დაკარგვის საფრთხეს<sup>19</sup>. ამასთან, კოლხეთის პოლე-მონისათვის გადაცემა უნდა განხორციელებულიყო არა ამ უკანა-სკნელის ტახტზე ასვლისთანავე, არამედ ცოტა მოგვიანებით, ვი-ნაიდან პოლემონის გამეუყებისთანავე დაიწყო ხანგრძლივი ომი პარ-თიასთან, რომელიც ძვ.წ. 35 წლამდე გაგრძელდა. ამიტომაც ან-ტონიუსს ამ დროს არ ჰქონდა კოლხეთის საკითხის გადაწყვე-ტის შესაძლებლობა. მით უმეტეს, რომ პოლემონი აქტიურად იბრძოდა რომაელების მხარეზე, ძვ.წ. 36წ. კი იგი ანტონიუსის ტაქტიკური შეცდომის გამო ტყვედ ჩავარდა და თითქმის ერთი წლის განმავლობაში პართიელთა მოკავშირე მიღიელების ტყვეო-ბაში იმყოფებოდა<sup>20</sup>. ცხადია, პოლემონის გარეშე ანტონიუსი არ შეეცდებოდა კოლხეთის საკითხის მოგვარებას<sup>21</sup>. ძვ.წ. 35წ. რო-დესაც ანტონიუსმა გადაწყვიტა სომხეთის დაპყრობა, მის მხარე-ზე გადავიდა მიღის ატროპატენის მეფე, რომელიც უკამაყოფი-ლო იყო სომხეთისა და პართის დაახლოებით. მიღიასა და ან-ტონიუსს შორის გამართული მოლაპარაკების წარმატებით დას-რულებაში დიდი როლი ითამაშა მიღიელთა ტყვეობაში მყოფმა პოლემონმა, რომელმაც იკისრა ანტონიუსთან შუამავლობა და მო-ახერხა კიდეც ანტონიუსსა და მიღის მეფეს შორის კავშირის დადება. გაწეული სამსახურისთვის ანტონიუსმა ძვ.წ. 35-33წ.

<sup>18</sup> **Н. Ю. Ломоури.** Грузино-римские..., გვ. 126; **თ. თოდუა.** რომაული სამყარო და საქართველოს შაგიზღვისპირეთი. დისერტაცია ისტო-რიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებ-ლად (ხელნაწერის უფლებით). თბ., 1995, გვ. 27; **С. Ю. Сапрыкин.** Понтийское царство, გვ. 312-313.

<sup>19</sup> **Н. Ю. Ломоури.** Восточное Причерноморье и Рим в I в. н.э. – Истори-ко-филологические разыскания, I. Тб., 1980, გვ. 133; **Н. Ю. Ломоури.** Гру-зино-римские..., გვ. 127.

<sup>20</sup> *Plut.*, Ant., 38; *Dio Cass.*, XLIX, 25.

<sup>21</sup> **თ. თოდუა.** რომაული სამყარო..., გვ. 27-28; **Т. Т. Тодуа.** Колхида в составе Понтийского царства. Тб., 1990, გვ. 75.

პონტოს მეფეს ჯილდოდ გადასცა მცირე არმენია<sup>22</sup>. სწორედ ამ დროს უნდა მიეღო პოლემონს კოლხეთიც, რამდენადაც ეს ორი რაიონი ერთმანეთთან დაკავშირებული იყო საერთო საზღვრებით და ისტორიული ბედითაც<sup>23</sup>.

ამრიგად, კოლხეთი პოლემონის პონტოს სამეფოს შემადგენლობაში შეყვნილ იქნა ძვ.წ. 35-33წ<sup>წ.</sup>, ანტონიუსის მმართველობის პერიოდში. ანტონიუსის დროს პოლემონის პონტოს სამეფოს შემადგენლობაში კოლხეთისა და მცირე არმენიის გარდა შედიოდა მდინარეების ლიკოსისა და ირისის აუზის მიწები, აღმოსავლეთ ფაზემონიტიდა, ამასია, ამისო, ფარნაკია და ტრაპეზუნტი შავიზღვისპირეთის ნაწილთან ერთად<sup>24</sup>.

მოუხედავად იმისა, რომ ანტონიუსის მმართველობა დიდხანს არ გაგრძელებულა, მის მიერ შექმნილმა პოლემონიდური პონტოს სამეფომ საკმაოდ ხანგრძლივი დროის მანძილზე, ახ.წ. 63 წლამდე იარსება და მთელი ამ პერიოდის განმავლობაში კოლხეთი მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

<sup>22</sup> Dio Cass., XLIX, 33, 2 - 44, 3.

<sup>23</sup> С. Ю. Сапрыкин. Понтийское царство, გვ. 312-313.

<sup>24</sup> С. Ю. Сапрыкин. Понтийское царство, გვ. 310; D. Magie. Roman Rule in Asia Minor. Vol. I (Text). Princeton, NJ, 1950, გვ. 434-435.

## **К. К. ПИПИЯ**

### **ВОСТОЧНАЯ ПОЛИТИКА АНТОНИЯ И КОЛХИДА**

В 65г. до н.э., в результате походов Помпея Колхида вошла в орбиту политического влияния Рима. Помпей выделил Колхиду в качестве отдельной политической единицы, а ее бывшую метрополию – Понтийское царство – упразднил. Однако созданная Помпеем на Ближнем Востоке политическая система долго не продержалась, причиной чего являлась радикальная трансформация восточной политики Рима, вызванная обострением римско-парфянских противоречий.

С середины Iв. до н.э. начинается длительное перманентное противостояние Парфии и Рима за господство в Передней Азии. С целью укрепления восточных границ Антоний отказался от созданной Помпеем системы управления и восстановил упраздненные им государства. В числе прочих было восстановлено и Понтийское царство, во главе которого был поставлен бывший правитель Киликии Полемон из Лаодикеи. Антоний вновь изменил политическую карту Ближнего Востока. Целью данных мероприятий было создание прочного кольца буферных государств вокруг восточных владений Рима. Что же касается Колхиды, она была введена в состав восстановленного Понтийского царства. При этом, передача Колхиды Полемону должна была иметь место не непосредственно в момент воцарения Полемона, а несколько позже, поскольку воцарение Полемона совпало по времени с началом римско-парфянской войны, продлившейся до 35г. до н.э., поэтому Антоний не имел возможности решить вопрос Колхиды. Тем более, что Полемон активно помогал римлянам и в 36г. до н.э. попал в плен, в котором находился в течение одного года. После освобождения Полемона Антоний в 35/33г. до н.э. вознаградил его передачей Малой Армении. Именно в это время Полемон должен получить и Колхиду.

В период правления Антония в состав владения Полемона, кроме Колхиды и Малой Армении, входили земли бассейна рек Ликоса и Ирисса, Восточная Фаземонитида, Амасия, Амис, Фарнакия и Трапезунт с частью Черноморского побережья.

Несмотря на кратковременность правления Антония, созданное им Понтийское царство просуществовало довольно долго, до 63г. н.э. и на протяжении всего этого периода Колхida являлась его неотъемлемой частью.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება  
აფხაზეთის ორგანიზაცია  
საისტორიო ძეგლი, 7, 2004

## პახაბერ ფიფია

### ტრაიანეს აღმოსავლური ლაშქრობის ისტორიისათვის

ახ.წ. ს. მიწურულს რომის იმპერიის მმართველი ხდება იმპერატორთა შორის ერთ-ერთი საუკეთესო („Optimus“) პოლიტიკოსი და ბრწყინვალე მხედარომთავარი მარკუს ულპიუს ტრაიანე (98-117წ). ტრაიანემ მოახერხა რომაულ სამყაროში ახალი პოლიტიკური ატმოსფეროს შექმნა, პრინციპატის ჩიხიდან გამოყვანა, განუზომელი ავტორიტეტის მოპოვება სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში და ოულიუს-კლავდიუსებისა და ფლავიუსების მმართველობის დროს შენელებული ექსპანსიონისტური პოლიტიკის აღორძინება.

შედარებით მყარმა და სტაბილურმა საშინაო მდგომარეობამ, სენატისა და არმიის სრულმა მხარდაჭერამ, ტრაიანეს საშუალება მისცა დაწყო ფართო შეტევითი ოპერაციები თითქმის ყველა მიმართულებით<sup>1</sup>. ტრაიანეს მიერ წარმოებულ ძლევამოსილ ომებს, განსაკუთრებით კი მის აღმოსავლურ კამპანიას, ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს რომის იმპერიის ისტორიაში. იგი დიდი ხანია იპყრობს მკვლევართა ყურადღებას, რამაც ასახვა პპოვა როგორც რომის ისტორიის შესახებ საერთო, განმაზოგადებელ ნაშრომებში<sup>2</sup>, ასევე ამ ლაშქრობისადმი მიძღვნილ სპეცი-

<sup>1</sup> **Н. А. Машкин.** История древнего Рима. Л., 1948, გვ. 437; *История древнего Рима*. Под редакцией **В. И. Кузищина**. М., 1981, გვ. 218-220; **E. Luttwak.** The Grand Strategy of the Roman Empire from the First century A.D. to the Third. Baltimore–London, 1976, გვ. 97-111.

<sup>2</sup> **Т. Моммзен.** История Рима. V. M., 1949, გვ. 359-364; **А. Г. Бокщанин.** Парфия и Рим. Ч. II. M., 1966, გვ. 224-248; **К. Крист.** История времён римских императоров от Августа до Константина. Т. I. Ростов-на-Дону, 1997, გვ. 404-410.

ალურ გამოკვლევებში<sup>3</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ტრაიანეს აღმოსავლური ლაშქრობის შესახებ არსებობს საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა, ამ პრობლემის ბევრი ასპექტი ბოლომდე გარკვეული არ არის, რაც გამოწვეულია წყაროთა სიმცირითა და ფრაგმენტულობით.

105-106წწ. დუნაისპიროვთში ტრაიუმფალური ლაშქრობის და დაკიის სამეფოს პროვინციად გამოცხადების შემდეგ<sup>4</sup>, ტრაიანემ დაიწყო მზადება დიდი აღმოსავლური კამპანიისთვის, რომელიც მიზნად ისახავდა რომის ისტორიული მტრის – პართიის სამეფოს დამხობასა და აზიაში რომისა და პართიას შორის განუწყვეტელი დაპირისპირების შედეგად შექმნილი ე.წ. „პოლიტიკური დუალიზმის“ სისტემის საბოლოოდ მოსპობას. პართიის სამეფოს საშინაო და საგარეო ძლიერების დეტალურად შესწავლისა და მომავალი ფართომასშტაბიანი საომარი ოპერაციებისათვის დიდი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ, ტრაიანემ დაიწყო იმპერიის აღმოსავლეთის საზღვრებისაკენ ჯარების გადასრულა<sup>5</sup>. ომის საბაბიც მაღლე გამოჩნდა და იგი კვლავ პართია-რომის ურთიერთობაში ყველაზე პრობლემატური – სომხე-

<sup>3</sup> **В. И. Ламзин.** Вопросы хронологии и топографии восточных походов Траяна (114-117гг.). – *Вестник Московского университета*, серия VIII. История, 1, 1977, გვ. 51-64; **R. P. Longden.** Notes on the Parthian Campaigns of Trajan. – *The Journal of Roman Studies*, vol. XXI. London, 1931; **J. Guey.** Essai sur la guerre parthique de Trajan (114-117). Bucharest, 1937; **F. A. Lepper.** Trajan's Parthian War. London, 1948; **N. C. Debevoise.** A Political History of Parthia. Chi., 1938.

<sup>4</sup> იხ. **И. Т. Кругликова.** Дакия в эпоху римской оккупации. М., 1955, გვ. 64-72; **Т. Д. Златковская.** Мёзия в I и II вв. н.э. М., 1951, გვ. 71-84; **Н. А. Чаплыгина.** Римляне на Дунае (I-III века н.э.). Кишинев, 1990, გვ. 42-53.

<sup>5</sup> ტრაიანეს აღმოსავლური ლაშქრობისათვის მზადების შესახებ იხ. **ქ. ფიფიძე.** რომის მიერ აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ეთნო-პოლიტიკურ გაერთიანებათა მმართველთათვის „სამეფო ხელისუფლების“ გადაცემის დროის საკითხისათვის. – „საისტორიო ძეგბანი“, III, 2000, გვ. 69-72; **ქ. ფიფიძე.** რომისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ურთიერთობა ა.ძ.წ. I-II სს. დისერტაცია ისტორიის მცნობებისათვის განვითარების სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერის უფლებით). თბ., 2004, გვ. 92-95; **А. Г. Бокшанин.** Парфия и Рим, ч. II, გვ. 224-234.

თის საკითხი გახდა. დაახლ. 110წ. პართიის სამეფოს ტახტზე პაკორ II-ის ნაცვლად ადის ხოსრო<sup>6</sup>, რომელმაც სომხეთის მეფობა ტრაიანეს მიერ დამტკიცებულ აქსედარს წაართვა და მის ნაცვლად ტახტზე მისოვის სასურველი კანდიდატი – პართამასირისი აივანა<sup>7</sup>. საპასუხოდ ტრაიანემ, რომელმაც ეს აქცია 63წ. კომპრომისული ხელშეკრულების დარღვევად ჩათვალა, 113წ. ოქტომბერში დატოვა რომი და აღმოსავლეთისაკენ გაემართა<sup>8</sup>. იმავდროულად ევფრატის საზღვრისაკენ დაიძრნენ დუნაის ლეგიონები<sup>9</sup>. აღმოსავლეთში კონცენტრირებულ იქნა უზარმაზარი სამხედრო ძალა, 11 თუ 13 ლეგიონი და მოკავშირეთა დამხმარე ჯარები, რომელთა საერთო რაოდენობა 140-150 ათასს აღწევდა<sup>10</sup>. როგორც ხოსრომ, ასევე პართამასირისმა სცადეს კარსმომდგარი კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება და ტრაიანეს ელჩობა გაუგზავნეს, მაგრამ უშედეგოდ<sup>11</sup>. ტრაიანემ უარი განაცხადა დაზავებაზე და 114წ. დასაწყისში ანტიოქიაში მივიდა. აქედან კი სწრაფი მარშით დაიძრა ჩრდილოეთისაკენ და მდ. ევფრატის მახლობლად მდებარე ქ. არსამოსატას უბრძოლველად აღების შემდეგ მივიდა მცირე არმენის ქ. სატალაში, სადაც გულუხვად დაასაჩუქრა მაკრონებისა და ჰენიონების მეფე ანქიალე<sup>12</sup>. სატალადან იმპერატორმა გვზი პირდაპირ სომხეთის დედაქალაქის არტაშატისაკენ აიღო. არტაშატი აღებულ იქნა, არმენია კი პროვინციად გამოცხადდა<sup>13</sup>. მომდევნო წელს კი რომაელებმა კვლავ გააგრძელეს ტრიუმფალური სვლა სამხრეთისაკენ, ახლა უკვე პართიის ტერიტორიაზე და ხელთ იგდეს ადიაბენა, ბაბილონი, სელევკია და პართიის სამეფოს დედაქალაქი – ქტეზიფონი, ხო-

<sup>6</sup> N. C. Debevoise. A Political History..., გვ. 216.

<sup>7</sup> Dio Cass., LXVII, 17.

<sup>8</sup> Arrianus, Parthica, fr. 34; Malala, Chron., fr. 270; А. Г. Бокщанин. Парфия и Рим, ч. II, გვ. 236; В. И. Ламзин. Вопросы хронологии..., გვ. 53.

<sup>9</sup> К. Крист. История времен..., გვ. 406.

<sup>10</sup> А. Г. Бокщанин. Парфия и Рим, გვ. 234; К. Крист. История времен..., გვ. 406.

<sup>11</sup> Dio Cass., LXVIII, 17-19.

<sup>12</sup> Dio Cass., LXVIII, 19,2.

<sup>13</sup> Dio Cass., LXVIII, 21; Eutr., Brev., VIII, 3.

ლო სპარსეთის ყურეზე გასვლის შემდეგ, 115წ. მიწურულს მე-სოპოტამიაც რომის პროვინციად გამოცხადდა<sup>14</sup>. მაგრამ, დიდების ზენიტში მყოფი ტრაიანეს სამხედრო წარმატებები მხოლოდ გარეგნულად იყო ეფექტური, სინამდვილეში კი ძალზე არამყარი აღმოჩნდა. უზარმაზარ ტერიტორიაზე გაფანტული რომაული არ-მის ზურგში იფეთქა მძლავრმა აჯანყებამ, რომელიც სწრაფად გავრცელდა არა მარტო ახლადდაპყრობილ შუამდინარეთში, არამედ კირქაში, კვიპროსსა და ეგვიპტეში<sup>15</sup>, რის შედეგადაც ასე წარ-მატებით დაწყებული აღმოსავლური კამპანია ჩაიშალა და 117წ. ზაფხულში რომაელები იძულებული გახდნენ დაეცალათ მთელი შუამდინარეთი, ხოლო უკანმობრუნებული იმპერატორი კილიკია-ში გარდაიცვალა<sup>16</sup>.

როგორც ზემოთ ვნახეთ, დიონ კასიონი (153-235წწ.) საკ-მაოდ დაწვრილებით აგვიწერს ტრაიანეს ლაშქრობას სომხეთსა და მესოპოტამიაში და მისი მოძრაობის მარშრუტს ანტიოქიიდან დაწყებული ვიდრე ამ კამპანიის დასასრულამდე. აქ გვინდა შევ-ჩერდეთ დიონ კასიონის თხზულების ერთ ფრაგმენტზე. აღმო-სავლური კამპანიის საწყის ეტაპზე, არმენის ქალაქ არსამოსა-ტას აღების შემდეგ<sup>17</sup> ტრაიანე სომხეთის შუაგულისაკენ კი არ დაიძრა, არამედ კვლავ გამობრუნდა რომის გამგებლობაში მყოფ ტერიტორიაზე და გეზი აიღო აღმოსავლეთში რომაელთა მფლო-ბელობის უკიდურესი ჩრდილოეთ ფორპოსტის ქ. სატალასაკენ, სადაც მან საჩუქრებით დააჯილდოვა მაკრონებისა და პენიოხე-ბის მეფე. აღნიშნულ გარემოებას პირველად ყურადღება მიაქცია პროფ. ნ. ლომოურმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ტრაიანე მხო-ლოდ ანქიალეს დასაჩუქრების მიზნით არ წავიდოდა სატალაში, არამედ იგი აქ უნდა შეხვედროდა მოკავშირეთა ჯარებს და, კერ-

<sup>14</sup> Dio Cass., LXVIII, 26; *Malala*, Chron., fr, 274; *Eutr.*, VIII, 3.

<sup>15</sup> Dio Cass., LXVIII, 29-32.

<sup>16</sup> Dio Cass., LXVIII, 33; LXIX, 1.

<sup>17</sup> იხ. დიონ კასიონის ცხოვები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და კო-მენტარები დაურთო ნ. ლომოურმა. ობ., 1966, გვ. 82, შენ. 2, გვ. 135; **Н. Ю. Ломоури.** Грузино-римские взаимоотношения. Тб., 1981, გვ. 227, შენ. 59; **В. И. Ламзин.** Вопросы хронологии.., გვ. 53.

ძოდ, მაკრონ-ჰენიოხთა რაზმებს<sup>18</sup>.

როგორც ჩანს, სატალა წარმოადგენდა რომაელთა ჯარების თავშეყრის პუნქტს და, ჩვენი აზრით, აქ კონცენტრირებული იყო არა მხოლოდ მოკავშირეთა დამხმარე რაზმები, არამედ რომაელთა აღმოსავლური კამპანიის მონაწილე ძირითადი ძალები – რეგულარული ჯარის ნაწილები, მათ შორის, რაც მთავარია, დუნაისპირეთიდან გადმოყვანილი, ყველაზე ბრძოლისუნარიანი ლეგიონები, რაც განპირობებული იყო შეძლევი გარემოებებით. სატალა წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს ფორპოსტს და რომის ძლიერების ერთ-ერთ საყრდენს აღმოსავლეთში<sup>19</sup>. სატალას ციხე-სიმაგრე მდებარეობდა მაღლობზე, სტრატეგიულად ხელსაყრელ ადგილას. იგი კონტროლს უწევდა დიდი არმენიიდან მცირე არმენიისაკენ მიმავალ გზებს<sup>20</sup> და, როგორც აღნიშნავს ო. მიტ-ფორდი, წარმოადგენდა ყოველგვარი თავდასხმებისა და გამოსვლების ძირითად მაკონტროლებელ პუნქტს სომხეთსა და კავკა-სიაში<sup>21</sup>. გარდა ამისა, სატალა აღმოსავლეთში, სხვა რომაული ლეგიონების ბანაკებთან შედარებით გორგაული ულადაც ყველაზე ახლოს იყო სომხეთის დედაქალაქ არტაშატთან.

რაც შეეხება სატალაში კონცენტრირებულ რომაულ ჯარებს, აქ ვესპასიანეს (69-79წწ.) დროიდან დისლოცირებული იყო ერთი ლეგიონი, ხოლო ტრაიანეს მიერ პართია-სომხეთთან საომრად მზადების პირობებში სატალაში, ჩვენი აზრით, თავმოყრილ იქნა იმპერიის სხვადასხვა პროვინციებიდან აღმოსავლეთში გადაყვანილი ლეგიონების ერთი ნაწილიც. თუ ვასალური ნაბატეის

<sup>18</sup> დიონ კასიონის ცხობები..., გვ. 135-136; **Н. Ю. Ломоури.** Грузино-римские..., გვ. 183-184, 227.

<sup>19</sup> იხ. პ. ფიფა. მაკრონ-ჰენიოხების „სამეფო“ – რომის მოკავშირე აღმოსავლეთში. – „საისტორიო ძეგბანი“, IV, 2001, გვ. 53-54; პ. ფიფა. რომისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის..., გვ. 76-78.

<sup>20</sup> **А. П. Акопян.** Римская система укреплений на границе Малой и Великой Армении. – *Историко-филологический журнал*, 4(115), 1986, გვ. 155; **T. B. Mitford.** Billioti's Excavations at Satala. – In *Anatolian Studies*, XXIV, 1974, გვ. 210-222; **T. B. Mitford.** Some Inscriptions from the Cappadocian Limes. – *The Journal of Roman Studies*, LXIV, 1974, გვ. 165.

<sup>21</sup> **T. B. Mitford.** Some Inscriptions..., გვ. 165.

სამეფოს გაუქმების შემდეგ (106წ.), რომის აღმოსავლეთის საზღვრებზე განლაგებული იყო 7 ლეგიონი<sup>22</sup>, მათ შორის 2 დისლოცირებული იყო კაპადოკიაში – სატალასა (Legio XVI Flavia Firma) და მელიტენეში (Legio XII Fulminata),<sup>23</sup> ტრაიანეს მიერ აღმოსავლეთისაკენ სამხედრო ნაწილების გადაადგილების შემდეგ, ამ შვიდ ლეგიონს დაემატა იმპერიის სხვადასხვა რეგიონებიდან გადმოყვანილი ექვსი ლეგიონი<sup>24</sup>. მათ შორის იყვნენ დუნაისპირეთიდან გადმოყვანილი სამხედრო ნაწილებიც – ზემო პანონიდან XV Apollinaris\* და XXX Ulpia, ზემო მეზიდან VII Claudia-ს, ხოლო დაკიიდან XIII Gemina-ს ვექსილაციები<sup>25</sup>.

აღმოსავლეთში ახალგამოჩენილი ლეგიონებიდან თუ მათი ცალკეული ვექსილაციებიდან, სატალაში, ჩვენი აზრით, თავმოყრილ იქნა სწორედ დუნაისპირა პროვინციებიდან გადმოსროლილი, ზემოჩამოთვლილი სამხედრო ნაწილები. ამ ძოსაზრებას მხარს უჭირს ის გარემოება, რომ ტრაიანეს ლაშქრობის შემდგომ, სატალაში Legio XVI Flavia-ს ნაცვლად დგას სწორედ ზემო პა-

<sup>22</sup> А. Г. Бокщанин. Парфия и Рим, გვ. 233, ჟეб. 81.

<sup>23</sup> ბ. ფიფიძ. რომისა და აღმოსავლეთ..., გვ. 75-76; А. Г. Бокщанин. Парфия и Рим, გვ. 233, ჟებ. 81; Т. В. Mitford. Some Inscriptions.., გვ. 164-168.

<sup>24</sup> А. Г. Бокщанин. Парфия и Рим, გვ. 234; N. C. Debevoise. A Political History.., გვ. 220; The Cambridge Ancient History. Vol. XI. Cambridge, 1954, გვ. 242.

\* ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ლეგიონი XV Apollinaris თავიდან-ვე იდგა სატალაში (იხ. Т. Моммзен. История Рима, V, გვ. 358, ჟებ. 1), თუმცა მკვლევართა უმრავლესობის მიერ ეს მოსაზრება უარყოფილია და დოკუმენტურად დასტურდება, რომ XV ლეგიონი აღმოსავლეთში გადმოყვანილ იქნა ტრაიანეს მიერ პართია-სომხეთში ლაშქრობის დაწყების წინ (ამ პრობლემის შესახებ დაწვრ. იხ. ბ. ფიფიძ. რომისა და აღმოსავლეთ..., გვ. 75-76; О. В. Кудрявцев. Провинция Каппадокия в системе римской восточной политики (17-72 гг). – Вестник древней истории, 1955, №2, გვ. 70, ჟებ. 3; О. В. Кудрявцев. Исследования по истории Балкано-Дунайских областей в период Римской империи и статьи по общим проблемам древней истории. М., 1957, გვ. 185, ჟებ. 37; М. И. Максимова. Античные города Юго-Восточного Причерноморья. М.-Л., 1956, გვ. 312; Т. В. Mitford. Some Inscriptions.., გვ. 164-168).

<sup>25</sup> О. В. Кудрявцев. Исследования.., გვ. 185, ჟებ. 37.

ნონიდან ახლად გადმოვანილი Legio XV Apollinaris.\*<sup>26</sup> გარდა ამისა, დუნაისპირეთიდან გადმოსროლილი ჯარებისთვის ყველაზე ხელსაყრელი სადისლოკაციო პუნქტი, როგორც სტრატეგიული, ასევე საკომუნიკაციო ოვალსაზრისით, სწორედ სატალა იყო, რადგანაც ამ ღროს ფუნქციონირებდა შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროდან აღმოსავლეთ სანაპიროსაკენ მიმავალი უმნიშვნელოვანესი მაგისტრალი, რომელიც იწყებოდა ქვემო მეზიაში და კალატის-ტომი-ისტრია-ტირასის გავლით მიემართებოდა ტავრიკის ხერსონესისაკენ, ხოლო აქედან კი ტრაპეზუნტისა და არტაშატისაკენ<sup>26</sup>. რა თქმა უნდა, ტრაიანე დუნაისპირეთიდან აღმოსავლეთში ლეგიონების გადასაყვანად სწორედ ამ გზას გამოიყენებდა, მით უმეტეს, რომ ამ მაგისტრალის ბოლო პუნქტი, სომხეთის დედაქალაქი – არტაშატი წარმოადგენდა კიდეც მისი ლაშქრობის ერთ-ერთ მთავარ ობიექტს. ტრაპეზუნტში მისული დუნაის ჯარებისათვის უახლოესი სასაზღვრო-სადისლოკაციო პუნქტი სატალა იყო. ტრაპეზუნტიდან არტაშატისაკენ მიმავალი გზაც სწორედ სატალაზე გადიოდა და ეს გზა რომაულთა მიერ, ჯერ კიდევ ვესპასიანეს დროიდან საგანგებოდ იყო გამაგრებული<sup>27</sup>.

ასე რომ, ტრაიანეს სომხეთზე გალაშქრების წინ, სატალა რომის აღმოსავლეული ციხესიმაგრებილან ყველაზე მნიშვნელოვან სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმს და საკომუნიკაციო პუნქტს წარმოადგენდა სომხეთის მიმართ. მისი სომხეთის დედაქალაქთან

\*\* ზოგიერთი მკვლევარის აზრით, XV Apollinaris-ს საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა სომხეთზე ლაშქრობაში და იგი იმთავითვე სატალის დასაცავად იქნა დატოვებული (იხ. **О. В. Кудрявцев.** Исследования.., გვ. 182-183; **T. B. Mitford.** Some Inscriptions.., გვ. 168).

<sup>26</sup> **Т. Д. Златковская.** Мёзия.., გვ. 104-105; **F. E. Cumont.** Fragment de bouclier portant une liste d'etapes. – Syria, VI, 1925, გვ. 17.

<sup>27</sup> **თ. თოდუა.** რომაული სამყარო და საქართველოს შავიზევისპირეთი. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერის უფლებით). თბ., 1995, გვ. 49; **თ. თოდუა.** რომაული სამყარო და კოლხეთი. თბ., 2003, გვ. 12-15; **Ф. Е. Кюмон.** Научно-археологическое путешествие в Понт и Малую Армению. Понтийское исследование. II. Перевод и комментарии **А. Ташяна.** Вена, 1919, გვ. 370-371; **М. И. Максимова.** Античные города.., გვ. 313; **T. B. Mitford.** Billioti's excavations.., გვ. 211-220.

სიახლოვე და მათ შორის არსებული კომუნიკაციები ხელსაყრელი იყო რომაელთა მრავალრიცხოვანი ჯარების სწრაფი მანევრირებისათვის, რაც გამოიყენა კიდეც ტრაიანემ. გარდა ამისა, სატალა იყო რომაული ვექსილაციების ძირითადი გამანაწილებელი ბაზა კავკასიაში<sup>28</sup> და, ამდენად, იგი ამ რეგიონის ერთგვარ სამხედრო ცენტრსაც წარმოადგენდა. ყოველივე ამასთან ერთად, დასავლეთ შავიზღვისპირეთიდან აღმოსავლეთში მიმავალ უმნიშვნელოვანეს მაგისტრალზე მდებარეობამ განაპირობა ის, რომ ტრაიანეს მიერ სატალაში კონცენტრირებულ იქნა როგორც მეზობელი რეგიონების მოკავშირეთა დამზადებელი, ასევე რომის რეგულარული ჯარების ისეთი საუკეთესო ნაწილები, როგორიც იყო მთელი იმპერიის სამხედრო ძალებში გამორჩეული, მკაცრად დისციპლინირებული და სასტიკ ბრძოლებში გამოწროობილი დუნაის ლეგიონები.

<sup>28</sup> პ. ფიფია. რომისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის..., გვ. 76-77.  
218

## **К. К. ПИПИЯ**

### **К ИСТОРИИ ВОСТОЧНОГО ПОХОДА ТРАЯНА**

В статье уточняется один из важных вопросов, связанных с восточным походом Траяна (114-117 гг. н.э.). По данным источников, на начальном этапе восточной кампании, продвигающейся к Армении Траян, после взятия армянского города Арсамосаты, двинулся на Север и вошёл в г. Саталу, где щедро одарил царя махелонов и гениохов Анхиала. Привлекает внимание то обстоятельство, что после взятия Арсамосаты, Траян двинулся не в глубь Армении, а вновь повернул на контролируемую римлянами территорию и направился к крайнему северному форпосту Рима на Востоке, г. Сатале. Естественно, Траян не пошёл бы в Саталу только лишь для награждения Анхиала. Как видно, Сатала являлась пунктом сбора римских войск и здесь, по нашему мнению, были сконцентрированы как вспомогательные отряды союзников, так и главные силы римлян – регулярные войсковые части, включая переброшенные с Дуная самые боеспособные легионы. Это было обусловлено следующими обстоятельствами: Сатала представляла собой наиболее значительный военно-стратегический плацдарм и коммуникационный пункт на армянском направлении. Она была удобно расположена и контролировала пути в Армению. Близость Саталы к столице Армении Арташату и существующие между ними хорошо налаженные коммуникационные линии, способствовали быстрому маневрированию римлян. Кроме того, в данное время функционировала важнейшая стратегическая магистраль, соединяющая Западное Причерноморье (Дунайские области) с Востоком. Конечный отрезок этого пути, участок Трапезунт-Арташат проходил именно через Саталу. С учётом всего этого, Траяном в Сатале были собраны как вспомогательные силы союзников из близлежащих регионов, так и отборные части римских войск – Дунайские легионы.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება  
აფხაზეთის ორგანიზაცია  
საისტორიო ძეგლი, 7, 2004

## ხათუნა პერტია

### აღრიანეს აღმოსავლური პოლიტიკა და იბერია

ქართულ სამყაროსთან რომის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაში III. 20-30-იანი წლები, იმპერატორ ადრიანეს (117-138წ.) მმართველობის ხანა, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფურცელია. ეს ეპოქა დიდი ხანია იპყრობს მკვლევართა ყურადღებას და შეიძლება ითქვას, რომ იგი ყველაზე კარგადაა შესწავლილი, თუმცა, ბუნებრივია, ბოლომდე ამოწურულად არ შეიძლება ჩაითვალოს და აღრიანეს ეპოქის რომისა და იბერიის ურთიერთობის საკითხის გარშემო ჯერ კიდევ ბევრი რამაა საკვლევი და დასაზუსტებელი.

რომისა და ქართული პოლიტიკური ერთეულების ურთიერთობებს საფუძველი ჩაეყარა ძვ.წ. 65წ., როდესაც რომაელმა სარდალმა გნეუს პომპეუსმა, იბერიასა და კოლხეთში ძლევამოსილი ლაშქრობის შემდეგ, ეს ქვეყნები, მის მიერ აზიაში დამორჩილებული სხვა სახელმწიფოებისა და ხალხების მსგავსად, რომის ხელდებულ ქვეყნებად გამოაცხადა<sup>1</sup>. მიუხედავად იმისა, რომ იბერია „რომაელი ხალხის მეგობარ და მოკავშირე“ ქვეყნად იქნა გამოცხადებული, რაც რომაულ პრატიკაში ფაქტობრივ ვასალობას ნიშნავდა<sup>2</sup>, რომის გავლენა მასზე ცვალებადი და არამყარი იყო.

<sup>1</sup> პომპეუსის იბერია-კოლხეთში ლაშქრობის შესახებ იხ.: გ. ფიფიძ. რომისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ურთიერთობა ახ.წ. I-II სს. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ხელნაწერის უფლებით). თბ., 2004, გვ. 25-32;

**Н. Ю. Ломоури.** Грузино-римские взаимоотношения. Тб., 1981, გვ. 99-117.

<sup>2</sup> იბერიასა და რომს შორის დადებული ხელშექრულების შესახებ იხ.: ლ. Алексидзе. К Вопросу о международно-правовых взаимоотношениях Иберии (Картли) с Римом. – თსუ მრომაჟი, ტ. 65, 1957, გვ. 161-179; **Н. Ю. Ломоури.** Грузино-римские.., გვ. 140; შდრ. ს. ჯანაშია. საქართველო ადრინისტრაციის ფუნქციების გზაზე. – წგნ.: ს. ჯანაშია. შრომები, I. თბ., 1949, გვ. 182-192.

ამასთან, პომპეუსის აღმოსავლური კამპანია იბერიის სამეფოსათვის ობიექტურად სასარგებლოც კი აღმოჩნდა, რამდენადაც ამ ლაშქრობის შედეგად იბერია განთავისუფლდა მძლავრი მეზობლების – მითრიდატული პონტოს სამეფოსა და „დიდი არმენიის“ პოლიტიკური გავლენისაგან<sup>3</sup>. პონტოს სამეფოს დაცემის, ტიგრან II-ის (ძვ.წ. 95-56წ.) მიერ რომის უზენაესობის აღიარების და ძლიერი „დიდი არმენიის“ მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ გადაქცევის შემდეგ, იბერიის წინაშე ახალი პერსექტივები დაისახა<sup>4</sup>. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება იბერიის სამეფოს გაძლიერება და მისი პოლიტიკური ამბიციების ზრდა, რასაც ხელს უწყობდა ქვეყნის სტრატეგიულ-გეოგრაფიული ძღებარეობა. იბერია აკონტროლებდა ჩრდილოეთ კავკასიის უღელტეხილებს, მათ შორის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დარიალის გადმოსასვლელს, რომელთა მეშვეობით ნებისმიერ დროს შესაძლებელი იყო იმიერკავკასიელი მრავალრიცხოვანი მეომარი ნომადების გადმოყვანა<sup>5</sup>. იბერიის მმართველ წრეებს, ჩრდილოკავკასიელ დაქირავებულ მეომართა რაზმებთან კავშირში, საჭიროების დროს, შეეძლოთ საკუთარი პოლიტიკური ინტერესების დაცვა და რეგიონის მასშტაბით ნებისმიერი სახელმწიფოსათვის პრობლემის შექმნა. ახ. წ. Iს. იბერია საკმაოდ აქტიურ და დამოუკიდებელ პოლიტიკას ახორციელებდა. ხშირად ეს პოლიტიკა წინააღმდეგობაში მოდიოდა რომის აღმოსავლურ პოლიტიკასთან (მაგ., ფარსმან I-ის დროს, Iს. 30-იან წლებში). თუმცა, აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური ვითარების, იმპერიის პართიასთან განუწყვეტელი დაპირისპირებისა და სომხეთისათვის მუდმივი ბრძოლის პირობებში, რომის მმართველი წრეები მულებული იყონენ, იბერიის მხოლოდ ფორმალური ვასალობით დაკმაყოფილებულიყვნენ, რათა ეს უკანასკნელი არ მიმხრობოდა მოწინააღმდეგის ბა-

<sup>3</sup> 6. ლომოური. საქართველოს საგარეო ურთიერთობათა სათავეებთან. – ქართული დიპლომატია, წელი 1994, გვ. 52.

<sup>4</sup> 6. ლომოური. საქართველოს საგარეო..., გვ. 52; Н. Ю. Ломоури. Грузино-римские..., გვ. 115.

<sup>5</sup> ს. ჯანაშია. ადრეული ფეოდალიზმი. – წგნ.: ს. ჯანაშია. შრომები. II. თბ., 1952, გვ. 181-182; ქ. ფიფია. რომისა და აღმოსავლეთი..., გვ. 27; Н. Ю. Ломоури. Грузино-римские..., გვ. 105-106.

ნაკს<sup>6</sup>.

ახ. წ. II ს. 20-30-იანი წლები იძერდა-რომის ურთიერთობა ახალ ფაზაში შედის, რაც დაკავშირებული იყო, ერთი მხრივ, თვითონ იძერის გაძლიერებასთან და, მეორე მხრივ, იმპერიის საგარეო პოლიტიკური კურსის რადიკალურ ტრანსფორმაციასთან. იმპერატორ ადრიანეს მმართველობის დროს რომი იძულებულია, უარი თქვას წინამორბედი იმპერატორის – ტრაიანეს (98-117წ.).) დროს დაწყებულ გლობალურ ექსპანსიაზე და კვლავ იმპერიის საზღვრების დაცვის, დაპყრობილი ტერიტორიების შენარჩუნების ავგუსტუსისეულ დოქტრინას დაუბრუნდეს<sup>7</sup>. რომის საგარეო-პოლიტიკური კურსის მკვეთრი ცვლილება განპირობებული იყო იმპერიაში შექმნილი საშინაო და საგარეო მდგომარეობით. მიუხედავად იმისა, რომ ანტონინუსების მმართველობის პერიოდი (96-192წ.) რომაული სამყაროს ისტორიაში „ოქროს ხანად“ არის ცნობილი, რომის სახელმწიფოში უკვე შეიმჩნეოდა სოციალურ-პოლიტიკურ წინააღმდეგობათა ზრდა<sup>8</sup>. მონათმფლობელური მეურნეობის კრიზისი აშკარად დაეტყო იმპერიის ცენტრს – იტალიას<sup>9</sup>, საქალაქო ცხოვრება ქვეითდება, იზრდება ლუმპენ-პროლეტართა რიცხვი. ანალოგიური პროცესები მიმდინარეობს პროვინციებშიც<sup>10</sup>. ადრიანეს მიერ ექსპანსიონისტურ პოლიტიკაზე უარის თქმა, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ბაზის შესუსტების გარდა, ნაკარნახევი იყო იმპერიის საზღვრებზე შექმნილი არასტატილური მდგომარეობით. ადრიანეს მმართველობის დასაწ-

<sup>6</sup> გ. მელიქიშვილი. საქართველოს ა. წ. I-III სს. – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I. თბ., 1970, გვ 525; **Н. Ю. Ломоури.** Грузино-римские.., გვ. 293.

<sup>7</sup> ქ. ფიფა. რომისა და აღმოსავლეთ... გვ. 98-99; **Н. Ю. Ломоури.** Грузино-римские.., გვ. 187-192.

<sup>8</sup> იხ.: **Н. А. Машкин.** История древнего Рима. Л., 1948, გვ. 458-459; **А. Г. Бокщанин.** Социальный кризис Римской империи в I веке н.э. М., 1954, გვ. 60-61.

<sup>9</sup> **А. Г. Бокщанин.** Социальный кризис.., გვ. 46-62.

<sup>10</sup> **С. И. Ковалёв.** К вопросу о характере социального переворота III-V вв. в Западной Римской империи. – „Вестник древней истории“, 1954, №3, გვ. 38-40; **А. В. Ранович.** Восточные провинции Римской империи I-III вв. М.-Л., 1949, გვ. 76-90.

ყისში კვლავ გრძელდებოდა ტრაიანეს დროს დაწყებული ებრა-ელთა აჯანყება<sup>11</sup>. დუნაის საზღვარზე ზეწოლა გააძლიერეს „ბარ-ბაროსულმა“ ტომებმა – სარმატებმა და ოცქსოლანებმა, უკმაყოფილების ტალღამ მოიცვა ბრიტანეთი და მავრიტანია<sup>12</sup>. 132წ. ივეთქა იუდეველთა მძლავრმა აჯანყებამ, რომელიც სამი წელი გაგრძელდა. ამ აჯანყების შედეგად გაუკაცრიელდა და გაიძარცვა იუდეა. კრიტიკულ მდგომარეობაში იყო რომის სამპერატორო ხაზინაც. ყოველივე ამის გათვალისწინებით, სირიის პროკონსულად ნამყოფ აღმოსავლეთის საკითხში კარგად ჩახდულ იმპერატორს შეუძლებლად მიაჩნდა პართიასთან ომის გაგრძელება. ადრიანეს საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებად საგარეო სტაბილურობის დაცვა იქცა. მისი ბიოგრაფის ელიუს სპარტიანეს ცნობით, „ადრიანე ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, დაუყოვნებლივ დაუბრუნდა მოქმედების ძველ წესს (იგულისხმება თავდაცვითი სტრატეგია – ხ.პ.) და მოელი თავისი ძალისხმევა წარმართა საყოველთაო მშვიდობის დამყარებისაკენ. ამიტომ მან ევფრატსა და ტიგროსს გაღმა მიწები მაშინვე დატოვა“.<sup>13</sup> რომსა და პართიას შორის საზღვარი კვლავ მდინარე ევფრატი გახდა<sup>14</sup>, ტრაიანეს დროს პროვინციად გამოცხადებულ არმენიაში კი აღდგენილ იქნა ადგილობრივი სამეფო არშაკიდებით სათავეში<sup>15</sup>.

იმპერატორის მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე უარის თქმაშ უკმაყოფილება გამოიწვია უმაღლესი მთავარსარდლების წრეში. ტრაიანეს საუკთხესო სარდლებმა – კუზიუსმა, კვიტუსმა, ცელსუსმა და პალმამ შეთქმულება მოაწყვეს ადრიანეს წინააღმდეგ. მართალია, შეთქმულება გასცეს და მათ სასტიკად გაუსწორდნენ, მაგრამ ადრიანეს არ შეეძლო თავი სავსებით მშვიდად ეგრძნო<sup>16</sup>. იმპერა-

<sup>11</sup> Г. Л. Лившиц. Классовая борьба в Иудее и восстания против Рима. Минск, 1957, გვ. 310-311.

<sup>12</sup> *El. Spart.*, Hadr., V, 2; *Euseb.*, Eccl. Hist., IV, 2.

<sup>13</sup> *El. Spart.*, Hadr., V, 3.

<sup>14</sup> *Eutr.*, Brev., VIII, 6,2.

<sup>15</sup> *El. Spart.*, Hadr., XXI, 11; *Dio Cass.*, LXVIII, 33.

<sup>16</sup> *Dio Cass.*, LXVIII, 32; А. Г. Бокшанин. Парфия и Рим. Ч. II. М., 1966; К. Крист. История времен Римских императоров от Августа до Константина. Т. I, Ростов-на-Дону, 1997, გვ. 420.

ტორმა ნათლად დაინახა, რომ დიდი ძალისხმევა იყო საჭირო ძალაუფლების შესანარჩუნებლად. ასეთ ვითარებაში, ადრიანე საბოლოოდ უარს ამბობს დაპყრობით ომებზე და საზღვრების მოელ პერიმეტრზე გლობალურ თავდაცვაზე გადადის. იმპერიის ყველაზე პრობლემატურ საზღვრებზე იწყება გრანდიოზული სამხედრო-საფორტიფიკაციო მშენებლობები<sup>17</sup>. იმპერატორმა ადრიანემ თავისი მმართველობის დიდი ნაწილი მოგზაურობებში გაატარა, რომლებსაც, პირადი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილების გარდა, სამხედრო-ადმინისტრაციული ინტერესებიც ედო საფუძვლად. მოგზაურობისას იმპერატორი ამოწმებდა რომაული გარნიზონების სამხედრო მომზადებასა და ბრძოლისუნარიანობას, თვალყურს ადვნებდა სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის – ე.წ. „ლიმესების“ მშენებლობას, პირადად აკონტროლებდა რომაული ადმინისტრაციის საქმიანობას პროვინციებში, სწავლობდა ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას<sup>18</sup>. ადრიანეს პრინცეპსობის ღროს ძალზე გაიზარდა პროვინციების როლი, იმპერიის კულტურის ცენტრმა კი ბერძნულენოვან სამყაროში გადაინაცვლა<sup>19</sup>. იმპერატორს მიაჩნდა, რომ საჭირო იყო საგარეო-პოლიტიკური კურსის აღმოსავლეთისაკენ წარმართვა და “Pax Romana”-ს დამყარება, უპირველეს ყოვლისა, მახლობელ აღმოსავლეთში, რომელსაც იმპერიისათვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც გეოსტრატეგიული, ასევე მატერიალური თვალსაზრისით.

იმპერიის საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლასა და მისი სამხედრო ძალების შესუსტებას ეფფრატის საზღვაოზე არ გამოუწვევია კარდინალური ცვლილებები მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში და რომის აღმოსავლურ სამფლობელოებზე არ გაძლიერებულა პართიის ზეწოლა, რამდენადაც ტრაიანეს ლამქრობებმა ძალზე დაასუსტა პართიის სამეფო და მას იმს უნარიც კი არ აღმოაჩნდა, რომ შექმნილი მდგომარეობა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. ადრიანეს მიერ შეთავა-

<sup>17</sup> *El. Spart.*, Hadr., XII, 6.

<sup>18</sup> **Н. А. Машкин.** История..., გვ. 445-446; *История древнего Рима*. Под ред. **В. И. Кузиццина**. М., 1981, გვ. 222; **К. Крист.** История времен..., გვ. 426; **S. Johnson.** Hadrian's Wall. L., 1997, გვ. 9.

<sup>19</sup> *История древнего мира. Древний Рим*. Минск, 1998, გვ. 409.

ზებული ზავი არშაკიდთა სამეფო სახლმა ყოველგვარი ზედმეტი პრეტენზიების გარეშე მიიღო<sup>20</sup>.

ასე რომ, ადრიანეს მმართველობის დასაწყისში საერთო-პოლიტიკური სიტუაცია მახლობელ აღმოსავლეთში მკვეთრად შეიცვალა. პართია-რომის ხანგრძლივი კონფრონტაცია წინა აზიაში ჰეგემონობისათვის თანდათან შეწყლდა. აღმოსავლეთში პოლიტიკური სიმძიმის ცენტრმა ევფრატის საზღვრიდან ჩრდილოეთით, კავკასიისკენ გადაინაცვლდა. ადრიანეს პრინცეპსობისას რომის აღმოსავლური პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ჩრდილო-კავკასიელი ნომადური ტომების, ალანების მხრიდან მოსალოდნელი საფრთხისა და ამ პრობლემასთან გარკვეულწილად დაკავშირებული, რომის „მოკავშირე და მეგობრის“ – იბერიის სამეფოს აგრესიული ქმედებების განეიტრალება იქცა. აღმოსავლეთში შექმნილმა ახალმა პოლიტიკურმა კონიუნქტურამ აღმავლობის გზაზე მდგარ იბერიის სამეფოს ხელსაყრელი პირობები შეუქმნა. საზღვრების გაფართოების აგრესიული პოლიტიკა, რომელსაც ეს ქვეყანა ახ.წ. II. მეორე ხახვარიდან ატარებდა, ადრიანეს დროს კულმინაციას აღწევს. გაძლიერებული იბერიის სამეფოს საოავეში, ბერძენ-რომელ ავტორთა ცნობებით, ენერგიული მეფე ფარსმანი დგას, რომელთანაც კავშირის შენარჩუნებას ასე უფრთხილდებოდა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა იმპერატორი. სპარსთა მხედრობის წინააღმდეგ მებრძოლი მეფე ქართულ წყაროებში „ქველის“ ეპითეტითაა შემკული. იბერიის მეფე ფარსმან II (III. 20-40-იანი წლები) არ ერიდება თვით რომის ავტორიტეტსაც კი და იმპერიის პოლიტიკურ სისტემაში ჩართული ქართული კოლხეთის ერთ-ერთ ზღვისპირა სექტორს – მაკრონ-ჰენიონებსა და ლაზებს შორის მოსახლე ზიდრიტთა ოლქს ეუფლება<sup>21</sup>.

<sup>20</sup> М. М. Дьяконов. Очерки истории древнего Ирана. М., 1961, гл. 225-228; А. Г. Бокшанин. Парфия и Рим, ч. II, гл. 253-254.

<sup>21</sup> ზიდრიტებს ეკაგათ დაახლოებით დღევანდელი აჭარა-ქობულეთის მხარე (იხ.: ბ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია. თბ., 1968, გვ. 10; შდრ. თ. ქემერტელიძე. საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონი ძველადმოსავლურ და ანტიკურ ხანაში. დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად (ხელხაწერის უფლებით). თბ., 1998, გვ. 215).

კაპადოკიის პროვინციის პროკონსული, ცნობილი ისტორიკოსი ფლავიუს არიანე (დახლ. 95-175წწ.) 131წ. მის მიერ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ჩატარებული საინსპექციო ვიზიტის ოფიციალურ ანგარიშში იმპერატორ ადრიანესადმი, პირდაპირ აღნიშნავს, რომ ზიდრიტთა ტომი ფარსმანის ქვეშვერდობი იყო<sup>22</sup>. რამდენადც არიანე საჭიროდ არ თვლის, სპეციალურად აღნიშნოს, თუ რომელ ფარსმანზეა საუბარი, უეჭველია, რომ აქ იგულისხმება ადრიანესთვის კარგად ცნობილი იბერიის მეფე<sup>23</sup>. ამდენად, თუ პლინიუსის (ახ.წ. 23/24-79წ.) ცნობით, 11c. 70-იანი წლებში იბერიის სამეფოს ძალაუფლება არ ვრცელდებოდა შავი ზღვის სანაპირომდე<sup>24</sup>, 131წ., ფარსმან II-ის დროს, იგი უშუალოდ ზღვის სანაპირო ზოლის ერთ ნაწილსაც აკონტროლებს. თუ გავითვალისწინებთ იმ დროს რომსა და იბერიას შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობას, ძნელი სავარაუდოა, რომ ფარსმანის მიერ ზიდრიტთა ოლქის დაკავება რომის თანხმობით მომხდარიყო<sup>25</sup>, თუმცა, როგორც აღნიშნავს კ. ფიფია, უშუალოდ სამარ მოქმედებებს ადგილი არ უნდა ჰქონოდა, რადგანაც კოლხეთის სანაპირო ზოლის ამ მონაკვეთზე, უშუალოდ ზიდრიტთა სამოსახლო ტერიტორიაზე, რომაული გარნიზონები არ ყოფილა დისლოცირებული<sup>26</sup>. ამასთან, ზიდრიტთა ტომი არიანეს მიერ აღწერილ სხვა ტომებთან შედარებით ყველაზე მცირერიცხოვანი და სუსტი ჩანს და, საფიქრებელია, რომ იბერიის მიერ ამ ოლქის დაპყრობას ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან დიდი წინააღმდეგობა არ უნდა შეხვედროდა<sup>27</sup>. ფარსმანის მიერ ზიდრიტთა ოლქის დაპყრობას ადგილი უნდა ჰქონოდა ადრიანეს მმართველობის დასაწყისში, როდესაც რომს ძალზე გართულებუ-

<sup>22</sup> *Agr.*, PPE, 11; ფლავიუს არიანე. მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო. თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუპა ნ. ძუძალმაძისა. თბ., 1961, გვ. 43.

<sup>23</sup> **Н. Ио. Ломоури.** Грузино-римские.., გვ. 192.

<sup>24</sup> *Plin.*, NH, VI, 12.

<sup>25</sup> გ. მელიქიშვილი. საქართველო ა. წ. I-III სს., გვ. 526; **Г. А. Меликишвили.** К истории древней Грузии. Тб, 1959, გვ. 354.

<sup>26</sup> კ. ფიფია. რომისა და აღმოსავლეთ..., გვ. 100-102.

<sup>27</sup> კ. ფიფია. რომისა და აღმოსავლეთ..., გვ. 100-102.

ლი ჰქონდა საგარეო-პოლიტიკური მდგომარეობა. ჩვენი აზრით, ფარსმანის მიერ განხორციელებული ეს აქცია გახდა იმ კონფრონტაციის მიზეზი, რომელიც აღრიანეს პრინცეპსობის მთელ მანძილზე შეიმჩნეოდა იბერიასა და რომს შორის.

ფარსმან II რომთან გართულებული ურთიერთობის კონტექსტში კიდევ რამდენჯერმე ფიგურირებს ანტიკურ წყაროებში. ადრიანეს ბიოგრაფის, ელიუს სპარტიანეს ცნობით, იმპერატორმა მცირე აზიაში მოგზაურობისას, კაპადოკიაში ყოფნის დროს, „მე-გობრულ შეხვედრაზე მოიწვია ადგილობრივი მეფეები და მმართველები; მოწვეულ იქნა პართის მეფე ხოსროც, რომელსაც დაუბრუნა ტრაიანეს მიერ დატყვევებული ქალიშვილი და შეპირდა წართმეული ტახტის უკან დაბრუნებას. როდესაც მასთან გამოცხადდა ზოგიერთი მეფე, მათ ისე მოექცა, რომ იმათ, ვინც არ ისურვეს მასთან მისვლა, სანანებელი გაუხდათ. ის ასე, პირველ რიგში, ფარსმანის გამო მოიქცა, რომელმაც ქედმაღლურად უარყო მისი (ე. ი. ადრიანეს – ხ.3.) მოწვევა<sup>28</sup>. საკმაოდ დამაჯერებელი ჩანს უკანასკნელ ხანებში გამოთქმული მოსაზრება, რომ ფარსმანის მიერ ადრიანესთან გამოცხადებაზე დემონსტრაციული უარის თქმას რაღაც მიზეზი ექნებოდა და ეს მიზეზი, შესაძლებელია, სწორედ ზიდრიტთა ოლქის დაპყრობის გამო ურთიერთობის გაფუჭება ყოფილიყო<sup>29</sup>.

კაპადოკიაში 129 წ. ჩატარებული კრების შემდეგ<sup>30</sup> რომსა და იბერიას შორის ურთიერთობა კიდევ უფრო უნდა გართულებულიყო, თუმცა შეურაცხყოფილ ადრიანეს ძალა არ შესწევდა იმიერკავკასიელი ნომადებით ზურგგამაგრებული ფარსმანის დასასჯელად. ამიტომ იმპერატორი კვლავ დაომობას არჩევს და პირიქით, უხვად ასაჩუქრებს ფარსმანს<sup>31</sup>. ელიუს სპარტიანეს ცნობით, ადრიანე ბევრს დაურიგა საჩუქრები, მაგრამ ყველაზე მეტად დაასაჩუქრა „იბერიის მეფე, რომელსაც ბრწყინვალე საჩუქრების

<sup>28</sup> *El. Spart.*, Hadr., XIII, 8-9.

<sup>29</sup> ქ. ფიფა. რომისა და აღმოსავლეთი, გვ. 101-102.

<sup>30</sup> R. Syme. Hadrian and Vassal Princes. – *Athenaeum*, 59, 1981, გვ. 276; D.

Braund. Hadrian and Pharasmanes. – *Klio*, vol. 73, 1991, №1, გვ. 211-212.

<sup>31</sup> *El. Spart.*, Hadr., XVII, 10-11, XXI, 13.

გარდა, უძღვნა სპილო და ხუთასკაციანი კოპორტა“<sup>32</sup> ს. ჯანაშიას სამართლიანი შენიშვნით, „ფარსმანს, ჯერ ერთი, სათანადო სამხედრო მოთხოვნილებანი უნდა ჰქონოდა, რაკი მას ასეთ ძლვებს აძლევდნენ. შემდეგ, მას თვითონაც უნდა ჰყოლოდა ასეთი მუდმივი რაზმებიც, და საფიქრებელია, უფრო ძლიერიც, რომ ამ უცხოელებს, სამეურ კარზე რეალურ ძალთა მეგისათვის არასასურველი განწყობა არ შეექმნათ<sup>33</sup>. საერთოდ, ელიუს სპარტიანეს ეს ცნობა აზრთა დიდ სხვადასხვაობას იწვევს. ჯერ ერთი, „ავგუსტუსთა ისტორიის მწერლების“ (*Scriptores Historiae Augustae*) სხვადასხვა გამოცემებში ადრიანეს მიერ ფარსმანისთვის ნაჩუქარ მეომართა რაოდენობა სხვადასხვანაირადაა მითითებული. ზოგ გამოცემაში საუბარია 50,<sup>34</sup> ხოლო სხვაგან კი 500-კაციან რაზმზე<sup>35</sup>. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ ადრიანეს ძლვენი სინამდვილეში იყო იბერიის წინააღმდევე მიმართული აქტი, თითქოს რომს ამ მეომრების სახით მცხეთაში შენიდბული გარნიზონის ჩაყენება სურდა.

საკმაოდ დამაჯერებელი ჩანს ა. ბოსუორთის მოსაზრება. იგი არ ეთანხმება მკვლევართა იმ ნაწილს, რომელიც ადრიანეს მიერ გაგზავნილ მეომრებს საჩუქრად თვლის და ასევე არასწორად მიიჩნევს ამ რაზმის რაოდენობას 50 კაცთ განსაზღვრას<sup>36</sup>. ა. ბოსუორთის აზრით, ქართლის მეფეს გამოგზავნილი 500-კაციანი რაზმი, უპირველეს ყოვლისა, კავკასიის გადასასვლელების დასაცავად და მცხეთის გასამაგრებლად უნდა გამოეყენებინა<sup>37</sup>.

იმ დროს ამიერკავკასიაში შექმნილი ვითარებიდან და ადრიანეს მიერ ამ რეგიონში გატარებული ღონისძიებებიდან გამომდინარე იმპერატორის მიერ იბერიაში 500-კაციანი კოპორტის

<sup>32</sup> *El. Spart.*, Hadr., XXI, 17.

<sup>33</sup> ს. ჯანაშია. საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 206.

<sup>34</sup> *El. Spart.*, XVII. 11.

<sup>35</sup> *El. Spart.*, Hadr., XXI, 17. **В. В. Латышев.** Известия древних писателей о Скифии и Кавказе. – *Вестник древней истории*, 1949, №3, გვ. 376.

<sup>36</sup> **A. Bosworth.** Arrian and the Alani. – *Harvard Studies in Classical Philology*, 1977, 81, გვ. 215-217.

<sup>37</sup> **A. Bosworth.** Arrian and the Alani, გვ. 225.

გაგზავნა, როგორც ჩანს, უფრო ამ ქვეყანაში რომის პოზიციების განმტკიცებას ისახავდა მიზნად, ვიდრე ფარსმანის დასაჩუქრებას. როგორც აღვნიშნეთ, 129წ. კაპადოკიაში ადრიანესთან არგამოცხადების შემდეგ, იბერია-რომის ურთიერთობა განსაკუთრებით უნდა გაროულებულიყო. თუმცა ადრიანე, რომელიც მუდამ არიდებდა თავს პირდაპირ საომარ მოქმედებებს, ფარსმანზე ზემოქმედების მოსახდენად იწყებს იბერიის უშუალო სიახლოვეს, კოლხეთის სანაპიროზე არსებული რომაული სასაზღვრო-თავდაცვითი სისტემის მოდერნიზაციას. ამ პროცესს, როგორც გაარკვია კ. ფიფიამ, ადგილი ჰქონდა სწორედ 129-131წწ.<sup>38</sup> რომაელების მიერ განსაკუთრებით გამაგრებულ იქნა აფსაროსის კასტელუმი, რომელიც ესაზღვრებოდა უშუალოდ ზიდრატთა ოლქს და წარმოადგენდა ძირითად ფორპოსტს იბერიის სამეფოს წინააღმდეგ. აյ ადრიანეს დროს დისლოცირებული იყო საკმაოდ სერიოზული ძალა – 5 კოპორტა (3000 მეომარი). რაც, პირველ რიგში, სწორედ იბერიის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხით იყო განპირობებული<sup>39</sup>. გამაგრებულ იქნა ფასისის ციხეც, რომელიც სამხედრო მანქანებითაც ყოფილა აღჭურვილი<sup>40</sup>. როგორც ჩანს, სწორედ ამ დროს იქნა გაგზავნილი იბერიაშიც 500-კაციანი რაზმი, რომელსაც, ადრიანეს ფრთხილი და წინდახედული პოლიტიკიდან გამომდინარე, ოფიციალურად იმპერატორის საჩუქარი ეწოდა.

თუმცა ადრიანემ მაინც ვერ მოახერხა ურჩი ფარსმანის დაშოშმინება. ფარსმანს, რა თქმა უნდა, არ აწყობდა უშუალოდ მისი საზღვრების სიახლოვეს, ზიდრიტთა ახალშემოერთებულ ოლქთან, რომაული ფორპოსტების გაძლიერება. თავისი პოზიციების შესანარჩუნებლად იბერთა მეფემ დარიალის კარგი გაუხსნა მომთაბარე ალან-ოსებს. დიონ კასიოსის ცნობით: „ამასობაში იუდეველთა ომი დამთავრდა, ხოლო მეორე ომი ალანების ქვენიდან (რომლებიც მასაგეტები არიან) ატეხილ იქნა ფარსმანის

<sup>38</sup> ქ. ფიფია. რომისა და აღმოსავლეთ... გვ. 102-103.

<sup>39</sup> ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია, გვ. 8, 36; 376; Н. Ю. Ломоури. Грузино-римские..., გვ. 228-229; А. В. Леквинадзе. Понтийский Лимес. – Вестник древней истории, 1969, №2, გვ. 77; A. Bosworth. Arrian and the Alani, გვ. 220.

<sup>40</sup> აკკ., PPE, 11.

მიერ. ომმა ძალზე შეაწუხა ალბანია და მიდია, შეეხო აგრეთვე არმინიასა და კაპადოკიას, ხოლო მას შემდეგ, რაც ალანები, ერთი მხრივ, ვოლოგეზის საჩუქრებით იქნენ მოსყიდული და მეორე მხრით, კი კაპადოკიის მმართველის ფლავიუს არიანეს მიერ შეშინებულნი, ომი შეწყდა“<sup>41</sup>

ამ მოვლენებს, როგორც დიონ კასიონის ცნობიდან ჩანს, ადგილი ჰქონდა ოუდეველთა ომის, ე.ი. 132-135წწ. ოუდეაში სიმონ ბარ-კოხბას მეთაურობით მიმდინარე აჯანყების დასრულების შემდეგ. ამასთან, ალანების შემოსევა მას შემდეგ შეწყდა, რაც კაპადოკიის ლეგატს, ფლავიუს არიანეს ისინი შეუშინებია. არიანე კი კაპადოკიის მმართველი იყო 131-137წწ. ასე რომ, ალანთა შემოსევას ადგილი ჰქონია 135-137წწ.<sup>42</sup>

ფარსმანის მიერ მოწყობილმა ალანთა ლაშქრობამ დააზარალა ალბანეთი, სომხეთი, მიდია და რომის პროვინცია კაპადოკია<sup>43</sup>. ოუ ალანთა სომხეთში ლაშქრობას მანამდეც ჰქონდა ადგილი (72-74წწ.) და რომი ამ ფაქტს დიდ ყურადღებას არ აქცევდა, კაპადოკიაზე თავდასხმა უკვე აშკარად ანტირომაულ აქციას წარმოადგენდა<sup>44</sup>. ამასთან, ალანთა მიერ მიდიის დალაშქვრით, ფარსმანმა თავის წინააღმდეგ განაწყო პართიის სამეფოც. როგორც ჩანს, ფარსმან II ამ პერიოდში იმდენად გაძლიერდა, რომ იგი არ ერიდება პართიისა და რომის ერთდროულად გაღიზიანებას და მას შესწევს უნარი დაუპირისპირდეს ამ სახელმწიფოებს<sup>45</sup>. ალანთა ლაშქრობამ, ეტყობა, დიდი ზიანი მიაეწია პართიის სამეფოს. მეფე ვოლოგეზ II-მ (104-147წწ.) ალანთა თავდასხმის შეჩერება მხოლოდ სოლიდური თანხის გადახდის შემ-

<sup>41</sup> Dio Cass., LXIX, 15,1; თარგმანი მოყვანილია ნ. ლომოურის გამოცემის მიხედვით – იხ.: დოინ კასიონის ცხობები საქართველოს შესახებ. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და კომენტარები დაურთო ნ. ლომოურმა. თბ., 1966, გვ. 82.

<sup>42</sup> ა. გამყრელიძე. ახლადაღმოჩენილი ლათინური წარწერა ფარსმან მეფისა. – „ცისკარი“, 1959, №9, გვ. 139; Н. Ю. Ломоури. Грузино-римские.., გვ. 193.

<sup>43</sup> В. А. Кузнецов. Очерки истории алан. Орджоникидзе, 1984, გვ. 193-194.

<sup>44</sup> В. А. Кузнецов. Очерки истории алан, გვ. 193-194.

<sup>45</sup> Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб, 1959, გვ. 357.

დევ შეძლო და, ფარსმანის მხრიდან მოსალოდნელი შეძღვომი გაროულებების თავიდან ასაცილებლად, იძულებული გახდა დახმარება თავისი მეტოქისათვის – რომისათვის ეთხოვა. დიონ კასიონის ცნობით, ვოლოგეზმა ფარსმანზე საჩივარი გააგზავნა რომში და იმპერატორმა ადრიანემ იბერიის მეფისაგან მომხდარ ფაქტზე ოფიციალური განმარტება მოითხოვა<sup>46</sup>. მაგრამ ფარსმანმა არც ამ-ჯერად ისურვა რომში გამოცხადება და მისი წერილობითი პა-სუხი სენატში ელჩებს წაუკითხავთ<sup>47</sup>.

გარდა ამისა, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ დიონ კასიონი ალანთა მიერ დალაშქრულ ქვეყნებს შორის იხსენიებს ალ-ბანეთსაც. როგორც ცნობილია, იბერიის სამეფოს აღმოსავლეთი-საკენ, ალანეთის სამფლობელოთა ხარჯზე, ტერიტორიული გა-ფართოების მცდელობა შეიმჩნეოდა ჯერ კიდევ ახ.წ. სე.-ში, მე-ფე ფარსმან I-ის დროს. სავარაუდოა, რომ ფარსმან II-ის მმართველობისას, იბერიის გაძლიერება-აღმავლობის პერიოდში, ეს ტენ-დენცია კიდევ უფრო გაძლიერდა და ფარსმან II-მ ამ მმართველებით უფრო ქმედითი ღონისძიებები გაატარა. სწორედ ასეთ ღონისძიებად შეიძლება ჩაითვალოს ფარსმანის მიერ ალანეთში ალანთა შეჭრის ინსპირირება<sup>48</sup>. გამორიცხული არ არის, რომ სწორედ ამ პერიოდში მომხდარიყო იბერიის მიერ ალანეთის დასავლეთ ოლქის – ჰერეთის შემოერთება<sup>49</sup>. ყოველ შემთხვევა-ში, ფაქტია, რომ ფარსმანმა ალანთა გადმოყვანით და თავისი რეალური ძალის დემონსტრირებით საკმაოდ გაამყარა იბერიის პოზიციები ამიერკავკასიაში, შეინარჩუნა დაპყრობილი ზიდრიტ-თა ოლქი და მოგვიანებით მიაღწია იმასაც, რომ ანტონინუს პი-უსის (138-161წწ.) პრინცეპსობისას იმპერიამ ცნო იბერიის ტე-რიტორიული შენაძენი კოლხეთის ზღვისპირეთში.

<sup>46</sup> *Dio Cass.*, LXIX, 15, 1-2.

<sup>47</sup> ამ საკითხის შესახებ დაწვრ. იხ.: მ. ინაძე. იბერიისა და რომის ურთიერთობა II ს. პირველ ნახევარში. – ისტორიის ინსტიტუტის ქრომები, ტ. I. თბ., 1955, გვ. 321-322.

<sup>48</sup> Н. Ю. Ломоури. Грузино-римские..., გვ. 194.

<sup>49</sup> Н. Ю. Ломоури. Грузино-римские..., გვ. 194.

## **Х. Б. ПЕРТИА**

### **ВОСТОЧНАЯ ПОЛИТИКА АДРИАНА И ИБЕРИЯ**

Во время правления Адриана (117-138гг.) Римская империя была вынуждена отказаться от глобальной экспансии и перейти на оборонительную стратегию на всех границах. Адриан отказался от завоеванных Траяном (98-117гг.) Армении и Месопотамии: в Армении было восстановлено местное царство во главе с Аршакидами, а границей с Парфией снова стал Евфрат. Переход Рима на стратегическую оборону вызвал активизацию мелких политических единиц, в первую очередь, Иберии. Царь Иберии Парсман II занял „землю“ зидритов в прибрежной Колхиде. Захват края зидритов и должен был стать причиной противостояния между Римом и Иберией, которое продолжалось на протяжении всего правления Адриана.

В 129г., находившийся в Каппадокии Адриан пригласил к себе Парсмана II, однако царь Иберии отказался прибыть к нему, в результате чего отношения между Римом и Иберией еще более обострились. Император Адриан, который всегда избегал прямой конфронтации, для воздействия на Парсмана начал укрепление существовавшей в прибрежной части Колхиды римской погранично-оборонительной системы. В ответ на это царь Иберии открыл аланам путь через Дарьяльское ущелье (135-137гг.). В результате организованного Парсманом похода алан сильно пострадали Албания, Армения Мидия и римская провинция Каппадокия. По-видимому, Парсман в этот период чувствовал себя настолько сильным, что не опасался одновременно противостоять и Риму, и Парфии. Впоследствии преемник Адриана Антонин Пий (138-161гг.) признал расширение пределов Иберии в западном направлении.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება  
აფხაზეთის ორგანიზაცია  
საისტორიო ძეგანი, 7, 2004

## თემგიზ (ესტატე) ანთელავა

### ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის კოლონიური აოლიტიკის ზოგიერთი საკითხი. XIX ს. 60-იანი წლები – XX ს. დასაწყისი

კავკასიის ომის ოფიციალურად დამთავრების შემდგომ რუსეთის ხელისუფლებამ დონიდან, ვოლგიდან და სხვა ადგილებიდან ჩრდ. კავკასიაში ჩამოასახლა 100 ათასი კაზაკი. გრაფ მიხეილ ლორის-მელიქოვს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს, რომელსაც „რუსეთის დიქტატორს“ ეძახდნენ, 1865-1875 წლებში იყო თერგის ოლქის უფროსი და კაზაკთა ჯარის ატამანი, წერდა: „стесненность территории, происшедшая от водворения в пределах области 100 000 Казачьего населения, поставила большую часть туземных племен в полную невозможность прежних условий хозяйственного быта. Пока не будет урегулирован вопрос о землепользовании горцев, придется лет десять держать (уже для охраны казаков) большие войска, оставшиеся в Терской области после войны с Шамилем“.<sup>1</sup>

როგორც თერგის, ასევე რუსეთის მმპერიის ტერიტორიაზე კომპაქტურად დასახლებული კაზაკები წარმოადგენდნენ ნახევრად გასამხედროებულ სამეურნეო გაერთიანებას, რომლებიც იმ დროისათვის ითვლებოდა ძლიერ მობილურ, კარგად გაწვრთნილ და გამოცდილ სამხედრო ძალად. ატამანი, იასაული მედნიაკი 1918 წელს თერგის კაზაკთა სამხედრო წრის შეკრებაზე ამბობდა: „У нас, у Терского войска, большое хозяйство. Тут и ведра и рыбная ловля, и леса, и земли. Владеем мы этим исконно, частью по право войны, а частью по праву свободной колонизации“.<sup>2</sup>

<sup>1</sup> А. Авторханов. К основным вопросам истории Чечни. Грозный, 1930, გვ. 30.

<sup>2</sup> Отчет заседаний воинского круга Терского казачьего войска 7 созыва. Владикавказ, 1918, გვ. 10.

ომისა და მშვიდობიანი კოლონიზაციის საშუალებით კაზა-  
კებმა ინგუშებს წაართვეს ნოყიერი მიწები, და ამით ინგუშეთის  
ტერიტორია ხელოვნურად გაიყო ორ ნაწილად – მთისა და ბა-  
რის. კაზაკების მიერ მიტაცებულ ინგუშეთის ბარის ტერიტორია  
ისტორიაში შევიდა, როგორც სუნუის ხაზი, სადაც აშენდა ნაზ-  
რანის რედუტი, ციხეები – გროზნაია, ვნეზაპნაია, ბურნაია და  
სხვა მრავალი გამაგრებული პუნქტი. ეს ხაზი მოიცავდა ჩეჩნე-  
თის ტერიტორიასაც. თებერვლის რევოლუციის შემდგომ ინგუ-  
შებმა მოითხოვეს მიტაცებული მიწების დაბრუნება. დაიწყო სის-  
ხლისძვრელი, დაუნდობელი შეტაკებები ინგუშებსა და კაზაკებს  
შორის სუნუის ხაზისათვის. მსგავს მოვლენებს ადგილი ჰქონდა  
ჩეჩნეთშიც. ჩეჩნები იძულებული იყვნენ დაეთმოთ კაზაკებისათვის  
ბარის ტერიტორიები. „Противник был притиснут к горам... это  
было сделано по праву войны“, – წერდნენ რუსი ისტორიკო-  
სები<sup>3</sup>. ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობა, მისი ტერიტორიების  
კოლონიზაცია რუსეთის ისტორიოგრაფიაში შეფასებულია, რო-  
გორც ისტორიული მონაპოვარი. ამ „ისტორიული მონაპოვრის“  
შედეგი ტრაგიკული აღმოჩნდა მთიელი მოსახლეობისათვის. მთი-  
ელებმა დაკარგეს არა მარტო ეროვნულ-პოლიტიკური დამოუკი-  
დებლობა, არამედ აღმოჩნდნენ ფიზიკური განადგურების წინაშე.  
ყოველი კაზაკი მამაკაცი 90 დესეტინა სასოფლო-სამეურნეო სა-  
კარგულის მფლობელი გახდა. როგორც ვიცით, კავკასიის ომის  
დამთავრების შემდეგ რუსეთის მთავრობამ მხოლოდ ჩეჩნეთში  
ჩაასახლა 100 000 კაზაკი. ორმოცი წლის შემდეგ კი კაზაკთა  
რაოდენობა გაიზარდა ორნახევარჯერ<sup>4</sup>. კაზაკები, რომლებიც თერ-  
გის მოსახლეობის ერთ მეხუთედს შეადგენდნენ, ფლობდნენ ტე-  
რიტორიის 30% და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნახე-

<sup>3</sup> Очерки истории Чечено-Ингушской АССР. Грозный, 1972; А. Г. Гойго-  
ва. Народы Чечено-Ингушетии в борьбе против Деникина. Грозный, 1963;  
Н. П. Гриценко. Классовая и антиколониальная борьба крестьян Чечено-  
ингушетии на рубеже XIX-XX веков. Грозный, 1971; Д. З. Коренев. Рево-  
люция на Тереке. Орджоникидзе, 1967; Г. Д. Данилов. История Дагестана.  
М., 1968; И. Ф. Мужев. Национально-освободительное движение горцев Се-  
верного Кавказа (1900-1914). Нальчик, 1965 და სხვ.

<sup>4</sup> Сборник Терского казачества в прошлом и настоящем. Владикавказ,  
1918, გვ. 270.

ვარზე მეტს. გარდა ამისა, კაზაკების „ისტორიულ მონაპოვარს“ შეადგენდა კასპიის ზღვის 1625 კვადრატული კილომეტრი, თევზის ჭერის განსაკუთრებული უფლებები მდინარეებზე – თერგი, სუნჯა და მალკე. მათ ხელში იყო მარილის საბადოებიც. კაზაკების შემოსავლის მთავარი წყარო იყო ნავთობით მდიდარი მიწები. 1893-1917წწ. კაზაკებმა ნავთის მრეწველებისაგან მიწის არენდის საზღაურად მიიღეს 25 მლნ მანეთი. რევოლუციის წინ მათ უნდა მიეღოთ კიდევ 16 მილ. მანეთი<sup>5</sup>.

პეტრიაზე გასულ კაზაკ გენერლებს მთავრობა ასაჩუქრებდა 1500 დეს. მიწის ნაკვეთით, ოფიცრებს – 400, დაბალ ჩინოსნებს – 200-დან 100-მდე დესეტინით. რევოლუციამდე თერგის ოლქში ამგვარად გასაჩუქრებული მიწების ფართი შეადგენდა 132 ათას დესეტინას<sup>6</sup>. კაზაკური მეურნეობა სახელმწიფოს მიერ არ იძეგრებოდა, სამაგიეროდ კაზაკები პეტრიაზე გასვლამდე იმყოფებოდნენ სამხედრო-სავალდებულო სამსახურში სამურნეო საქმიანობის უფლებით.

ადმინისტრაციულად თერგის ოლქი დაყოფილი იყო კაზაკებისა და მთიელების განსახლების მიხედვით. კაზაკებით დასახლებული ტერიტორია შედგებოდა ოთხი ადმინისტრაციული ერთეულისაგან, რომელსაც განყოფილებას ეძახდნენ – პიატიგორსკის, მოზღვკის, ყიზლარის და სუნჯის. მთიელებით დასახლებული ტერიტორია დაყოფილი იყო ექვს ოკრუგად – ვლადიკავკაზის (ოსები), ნალჩიკის (ყაბარდიოლები და ბალყარები), ნაზრანის (ინგუშები), გროზნოსა და ვედენსკის (ჩეჩნები), ხასავიურტის (ყუმიხები)<sup>7</sup>.

კაზაკებით დასახლებულ განყოფილებებს ხელმძღვანელობდნენ ატამანები, ხოლო მთიელებით დასახლებულ ტერიტორიებს ოკრუგის, სოფლებისა და აულების სტარშინები. ვლადიკავკაზი იყო თერგის ოლქის ადმინისტრაციული ცენტრი. თერგის კაზაკთა წრის ატამანის, რომელიც იმავდროულად იყო ოლქის უფროსი და ჯარის სარდალი, რეზიდენცია განთავსებული იყო ვლა-

<sup>5</sup> Отчет заседаний войскового круга Терского казачьего войска VI созыва. Владикавказ, 1918, გვ. 35.

<sup>6</sup> Д. З. Коренев. Революция на Тереке, გვ. 13.

<sup>7</sup> И. Ф. Мужев. Национально-освободительное движение..., გვ. 96.

დიკაგაზში. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთის იმპერიის გუბერნიები, როგორც წესი იმართებოდნენ შინაგანს საქმეთა სამინისტროს მიერ, ხოლო კაზაკებით დასახლებული ოლქები ემორჩილებოდნენ თავდაცვის სამინისტროს.

როგორც ვხედავთ, რუსეთის მთავრობამ თავისი იმპერიული ზრახვების განსახორციელებლად ჩრდილოეთ კავკასიაში მმართველობის ისეთი სისტემის დანერგა, რომელმაც მთიელი მოსახლეობა მოაქცია პოლიტიკურ, კულტურულ, სამეურნეო და ადმინისტრაციულ იზოლაციაში.

1903 წელს ორგის ოლქის სამხედრო წრის ატამანი ნიკოლოზ II-ის სახელზე გაზავნილ მოხსენებით ბარათში აღნიშნავდა, რომ „თურგის კაზაკთა მატერიალურ მდგომარეობაზე მომაკვდინებელ გავლენას ახდენს მტაცებელ მთიელებთან მეზობლობა“<sup>8</sup>. იმპერატორმა მოხსენებით ბარათს შემდეგი რეზოლუცია დადო: „По моему мнению, это соседство поддерживает в Терских казаках старую удачу“.<sup>8</sup> ვფიქრობთ, რომ რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის მთელი არსი გამოხატულია რუსეთის იმპერატორის ამ ცინიკურ რეზოლუციაში.

რუსეთის იმპერიის მიერ დამორჩილებულ, დაპყრობილ ხალხებს შორის ჩრდილოეთ კავკასიის მთიელები, განსაკუთრებით ჩეჩენები და ინგუშები, განიცდიდნენ ყველაზე მძიმე და გამანადგურებელ დარტყმებს, ფიზიკურ, სულიერ და სოციალურ ჭერორს. 1912 წელს ოსი ჰუბლიცისტი გ. ცოგოლოვი წერდა: „В этом крае беспроственной нужды и из каждых семи душ наличного населения мужского пола за убогим столом природы имеется прибор только для одного человека, а остальные шесть человек должны встать из-за стола“.<sup>9</sup>

რუსეთმა ჩეჩენები და ინგუშები ისეთ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ ისინი იძულებული იყვნენ, მათი მამა-პაპისეული მიწები კაზაკებისაგან იჯარით აეღოთ და ამისათვის მათ უხდიდებ ყოველწლიურად 450 ათას რუბლს. აღმფოთებული ინგუშები პირველ სახელმწიფო სათათბიროს წერდნენ: „....После покорения

<sup>8</sup> Г. А. Ткачев. Гребенские, Терские и Кизлярские казаки. Владикавказ, 1912, გვ. 259.

<sup>9</sup> Г. Цоголов. Край беспроственной нужды. Владикавказ, 1912, გვ. 259.

Кавказа 2/3 наших земель, насильственно отобранных, перешли в руки казаков и мы, ингуши, для того, чтобы жить, должны арендовать земли у тех же казаков“.<sup>10</sup>

როგორც ვხედავთ, რუსეთის ხელისუფლების ძირითად დასაყრდენს ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოადგენდა შეიარაღებული ძალები, რომლის მთავარ ძალას წარმოადგენდა კაზაკობა. ამის დასადასტურებლად მოვიყვანთ კიდევ ერთი დოკუმენტს 1905 წლის ვლადიკავკაზის საქალაქო კომისიის მოხსენებითი ბარათოდან. „...У горцев отобрали лучшие земли, они загнаны в глубь диких ущелий... Поставленное вне действия общих законов **систематически преследуемое войсковым сословием**, которому покровительствовали власти, туземное население разоряется, дичает, озлобляется, ...проявляя недовольство в диких нормах кровавого мщения или мятежа“.<sup>11</sup>

რუსეთის ხელისუფლება ყოველნაირად ცდილობდა მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გახლეჩას და მთიელთა ერთმანეთისათვის წაკიდებას. რუსეთის ხელისუფლებამ მთიელთა ლოიალური დამოკიდებულების უზრუნველსაყოფად ზოგიერთ ხალხს უცვლელად დაუტოვა ტრადიციულად ჩამოყალიბებული მიწათსარგებლობის წესი. ასე, მაგალითად, ბალყარეთში, ყაბარდიში და ოსეთში მიწები თოთქმის სრულად ადგილობრივი მემამულებისა და შეძლებული გლეხების ხელში დარჩა, მაშინ როდესაც ჩეჩნეთში და ინგუშეთში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების, საძოვრების დიდი ნაწილი კაზაკებმა მიითვისეს. განსაკუთრებით პრივილეგირებულ ძღვომარებაში აღმოჩნდნენ ოსები. მათ მიმართ რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკა გაცილებით უფრო ლოიალური და ჰუმანური იყო, ვიდრე ჩეჩნებისა და სხვათა მიმართ. ჯერ კიდევ 1933 წელს, ოსეთის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ბ. სკიტსკი წერდა: „В процессе превращения Осетии в Российскую колонию духовный меч сыграл такую роль, какой он не играл при покорении других областей Се-

<sup>10</sup> Д. З. Коренев. Революция на Тереке, გვ. 17.

<sup>11</sup> Труды комиссии Владикавказской городской думы для рассмотрения вопросов о причинах грабежей и разбоев. Владикавказ, 1911, გვ. 1. ხაზგასხა ჩვენია – თ. ე. ა.

верного Кавказа. Главным образом в Осетии он был употреблен наряду со светским мечом еще с 18-го века, чтобы крепче привязать идеологическими путями Осетинские народные массы к колеснице Российского капитализма“.<sup>12</sup> Ад Шемотбеке гази, д. Скилбеки мбэдзэллабаში ჰქონდა ოსეთში რუსეთის მიერ ქრისტიანობის გავრცელება. დღეს ოსების დიდი ნაწილი ქრისტიან-მართლმადიდებლები არიან. ოსები ერთადერთია თერგის ოლქის მთიელთა შორის, რომელმაც რუსეთის ხელისუფლების ნებართვით მიიღო თავისი ანბანი და დამწერლიობა. ოსი ახალგაზრდები სწავლობდნენ რუსულ სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში. მთიელებს შორის მხოლოდ ოსებს ჰქონდათ სამხედრო-სავალდებულო სამსახურის გავლის უფლება, მხოლოდ ისინი იღებდნენ სამხედრო წოდებებს. მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის დროს გადაწყვიტა მთავრობამ მთიელ მოხალისეთა საჯარისო შენაერთის შექმნა, რომელიც ცნობილია „ველური დივიზიის“ სახელწოდებით.

ამ და სხვა საშუალებებით ხელისუფლება ახერხებდა, ოსეთის საზოგადოების დიდ ნაწილში რუსული მენტალიტეტის ჩამოყალიბებას. რუსეთმა მიაღწია თავის სანუკვარ მიზანს და შეძლო მთიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთიანი ფრონტის გახლეჩა-დასუსტება. ჩეჩნებისა და ინგუშების დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას მან დაუპირისპირა ყაბარდოელები, ბალყარები და ოსები.

დღევანდელი ე.წ. რუსეთის დემოკრატიული იდეების მატარებელი მთავრობა ძველი რუსული პოლიტიკის გამგრძელებლად გვევალება. დღეს ოსეთი რუსული პოლიტიკის საიმედო დასაყრდენია არა მარტო ჩრდილოეთ, არამედ სამხრეთ კავკასიაშიც.

ბატონყმობის გაუქმებამ რუსეთში ხელი შეუწყო ჩრდილოეთ კავკასიის კოლონიზაციის პროცესს. ალექსანდრე II-ის 1868 წლის 29 აპრილის კანონმა გააუქმა პეტრე I-სა და ეკატერინე II-ის კანონები მოსახლეობის თავისუფალი გადაადგილების შესახებ 1861წ. შემდგომ ჩრდილოეთ კავკასიაში ჩამოსულები თვლე-

<sup>12</sup> Записки Северо-Кавказского педагогического института. Владикавказ, 1933, გვ. 41.

ბოდნენ „ინოროდცებად“. 1868 წლის კანონმა თავისუფალი გადა-  
ადგილების შესახებ დიდი როლი ითამაშა კავკასიის კოლონიზა-  
ციის საქმეში. XIXს. ბოლოს ფუბანისა და თერგის ოლქში „ინო-  
როდცების“ რაოდენობა ჭარბობდა კაზაკებს 108765-ით. 1861-1880  
წლებში ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობა მკვეთრად იზრდება  
„ინოროდცების“ ხარჯზე<sup>13</sup>.

| წოდებრივი ჯგუფები                          | მოსახლეობის რაოდენობა<br>1861წ. | მოსახლეობის<br>რაოდენობა 1880წ. |
|--|---------------------------------|---------------------------------|
| კაზაკები, მემამულეები,<br>სახულიერო პირები | 618 097                         | 815 030                         |
| ადგილობრივი გლეხები                        | 303 767                         | 398 018                         |
| „ინოროდცები“                               | 9 630                           | 154 438                         |

კაზაკური ოლქების გვერდით აღმოცენდნენ „ინოროდცებით“  
კოლონიზირებული უზარმაზარი ტერიტორიები. 1896 წელს ფუბა-  
ნის ოლქს გამოეყო შავიზღვისპირეთისა და სტავროპოლის გუ-  
ბერნიები. ამ ტერიტორიების სამხედრო კოლონიზაცია ხელისუფ-  
ლებამ ვერ მოახერხა და ამიტომ, სტავროპოლისა და შავიზღვის-  
პირეთის კოლონიზაცია მოხდა „ინოროდცების“ ხარჯზე, რომლე-  
ბიც მირითადად სოფლის მეურნეობით იყვნენ დაკავებულნი. 1870-  
1892 წლებში გუბერნიის მოსახლეობა გაიზარდა 261 112 კაცით<sup>14</sup>.

ჩერქეზებით დასახლებული შავიზღვისპირეთი რუსეთმა შე-  
მოიერთა XIXს. 60-იან წლებში. ჩერქეზების ოურქეთში გასახ-  
ლების შემდგომ რუსეთის მთავრობა შეეცადა სამხედრო კოლო-  
ნიზაციის გზით მის ათვისებას. ამ მიზნით, შავიზღვისპირეთში  
ჩაასახლა ყებანიდან გადმოყვანილი სანაპირო ბატალიონი 629  
ოჯახით, რომლებმაც ვერ შეძლეს ამ უკაცრიელი ტერიტორიის

<sup>13</sup> Столетие военного министерства. Главное управление казачьих войск. СПб, 1902, გვ. 719.

<sup>14</sup> Н. Л. Янчевский. Гражданская борьба на Северном Кавказе. Т. I. Ростов-на-Дону, 1927, გვ. 9.

საკმაოდ დაბაბული კამათი გაიმართა გენერალური ასამბლეის ფუნქციების შესახებ. აგსტრალიის, ახალი ზელანდიის, ბელგიის, კანადის, ნიდერლანდებისა და ლათინური ამერიკის სახელმწიფოების წინადადებას, რომ გენერალურ ასამბლეას მინიჭებოდა ყველა უფლება, რაც დუმბარტონ თქ්სის შეთანხმებით უშიშროების საბჭოს უნდა ჰქონოდა, მხარი დაუჭირეს აშშ-მ და დიდმა

Department of State. Publication 2353. Conference Series 74 (Reprint). Wash., 1947, გვ. 3-5; **Конференция объединенных наций..**, გვ. 586-587.

<sup>19</sup> *Facsimile..*, გვ. 3; **Конференция объединенных наций..**, გვ. 587.

<sup>20</sup> *Facsimile..*, გვ. 4; **Конференция объединенных наций..**, გვ. 587-588.

<sup>21</sup> *Facsimile..*, გვ. 4; **Конференция объединенных наций..**, გვ. 588.

ბრიტანეთმაც. მაგრამ მოგვიანებით, საბჭოთა დელეგაციის კატეგორიული მოთხოვნის შემდეგ, დიდი სახელმწიფოები დაუბრუნდნენ დუმბარტონ ოქსში მიღებულ ფორმულირებებს და მხოლოდ ოდნავ განავრცეს ისინი<sup>22</sup>. შედეგად, გენერალურ ასამბლეას მიენიჭა გამოკვლევების ჩატარებისა და რეკომენდაციების მიცემის უფლება, რაც მიზნად ისახავდა პოლიტიკურ საკითხებში საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ხელის შეწყობას, საერთაშორისო სამართლის განვითარებასა და მის კოდიფიკაციას. გარდა ამისა, გენერალურ ასამბლეას მიენიჭა უფლება, მიუცა რეკომენდაციები საყოველოთა კეთილდღეობისათვის ნებისმიერი სახის სახითაო სიტუაციების დარეგულირებისათვის<sup>23</sup>.

ძირითადი ბრძოლა სან ფრანცისკოში, ბუნებრივია, გაიმართა უშიშროების საბჭოში კენჭისყრის პროცედურის შესახებ საკითხის განხილვისას. გაირკვა, რომ იალტაში შეთანხმებული ფორმულა მხარეებს სხვადასხვანაირად ესმოდათ. კერძოდ, საუბარი ეხებოდა სადავო საკითხის განხილვას უშიშროების საბჭოში. საბჭოთა დელეგაცია აცხადებდა, რომ მუდმივ წევრებს უნდა ჰქონოდათ ვეტო თვით ასეთი საკითხის დღის წესრიგში შეტან ის დროსაც კი. მაგრამ, საბოლოო ჯამში, მიღებული იქნა აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მიერ წამოყენებული ფორმულირება, რომელიც ამგვარ შემთხვევებს განიხილავდა, როგორც საპროცედურო საკითხებს და მასზე გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისი იყო მხოლოდ უბრალო უძრავლესობა. სამაგისტროდ, საბჭოში საკითხის განხილვისას მუდმივ წევრს უკვე შეეძლო ვეტოს გამოყენება, ოდონდ, რასაკვირველია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დავა უშუალოდ ამ სახელმწიფოს ეხებოდა<sup>24</sup>. სწორედ ამ უკანასკნელი მომენტის გამო სურდა საბჭოთა მხარეს ჰქონოდა ვეტოს დადების უფლება საპროცედურო საკითხებზეც. მაისის შუა რიცხვებში კვლავ გაჩნდა საბჭოთა კავშირის მხრიდან კონფერენციის ბოკოტირების საფრთხე უშიშროების საბჭოში კენჭისყრის საკითხის გამო. სიტუაციის განსამუხტავად ტრუმენმა, ბოლების რჩე-

<sup>22</sup> R. Russell. History of the United Nations, გვ. 648-647.

<sup>23</sup> Facsimile., გვ. 4-6; Конференция объединенных наций..., გვ. 589-592.

<sup>24</sup> Facsimile., გვ. 7; Конференция объединенных наций..., გვ. 594.

շոտ, մուսկովմի գաացիազնա ჰოპկინსი, რომელმაც შეძლო სტალინის დარწმუნება, რომ აშშ-ს მიერ წარმოდგენილი ვარიანტი არ შეიცავდა რაიმე ხიფათს საბჭოთა კავშირისათვის. შედეგად მოლოტოვი დაბრუნდა სან ფრანცისკოში და 8 ივნისს მიღწეულ იქნა შეთანხმება ყირიმში შემუშავებული ფორმულის ძალაში დატოვებაზე<sup>25</sup>. სხვა შემთხვევებში დუმბარტონ ოქსში ძიღვები ძიღვები გადაწყვეტილებები პრაქტიკულად უცვლელად იქნა დამტკიცებული.

წესდების VI თავი დაეთმო დავიბის მშვიდობიანად მოგვარებას. მასში აღინიშნა, რომ სადავო საკითხის წარმოშობის შემთხვევაში მხარეებმა ყველა საშუალება უნდა გამოიყენონ მის მშვიდობიანად მოსაგვარებლად, ხოლო თუ ისინი ამას ვერ მოახერხებენ, საკითხი განსახილველად გადასცენ უშიშროების საბჭოს<sup>26</sup>. გარდა ამისა, განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც წარმოიშობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის სახიფათო კონფლიქტი, უშიშროების საბჭოს მიეცა უფლება, განახორციელოს აუცილებელი ზომები კონფლიქტის მოსაგვარებლად და საჭიროების შემთხვევაში ძალაც გამოიყენოს მშვიდობის დასამყარებლად. ყოველივე ამან ასახვა ჰპოვა წესდების VII თავში<sup>27</sup>.

გარკვეული სირთულეები წარმოიშვა რეგიონალურ შეთანხმებებთან დაკავშირებით. ლათინური ამერიკისა და აშშ-ს წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ უშიშროების საბჭო არ უნდა ჩარეულიყო ამერიკის კონტინენტის საქმეებში და იქ წარმომობილი კონფლიქტები ადგილობრივი შეთანხმებებით უნდა მოგვარებულიყო<sup>28</sup>, მაგრამ დიდი ბრიტანეთისა და საბჭოთა კავშირის მიერ გაწეული წინააღმდეგობის გამო ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ მოხსნა თავისი მოთხოვნა. საბოლოო ჯამში, წესდების VIII თავში აღინიშნა, რომ გაერო არანაირად არ უშლიდა ხელს რეგიონალური ორგანიზაციების შექმნას, მაგრამ ყველა გადაწყვეტილება ძალის გამოყენების შესახებ უნდა მიეღო

<sup>25</sup> S. Meisler. United Nations: The First Fifty Years. New York, 1995, გვ. 15-16.

<sup>26</sup> Facsimile..., გვ. 8; Конференция объединенных наций..., გვ. 595-597.

<sup>27</sup> Facsimile..., გვ. 9-10; Конференция объединенных наций..., გვ. 597-601.

<sup>28</sup> United Nations Conference on the International Organization, San Francisco, California, April 25 to June 26, 1945. Selected Documents. Vol. III, Wash., 1946, გვ. 688.

უშიშროების საბჭოს<sup>29</sup>.

საერთაშორისო უკონომიკური და სოციალური თანამშრომლობის საკითხებს მიეძღვნა წესდების IX თავი, რომელშიც ჩამოყალიბდა შესაბამისი პრინციპები<sup>30</sup>. X თავში კი განისაზღვრა სპეციალური საბჭოს ფუნქციები და უფლებამოსილებები, რომელიც დაკავებული იქნებოდა ეკონომიკური და სოციალური საკითხებით<sup>31</sup>.

საკმაოდ მძიმე ბრძოლა გაიმართა მეურვეობის საერთაშორისო სისტემის შექმნასთან დაკავშირებით. წესდების XI-XIII თავები დაეთმო არათვითმმართველი ტერიტორიების საკითხების განსაზღვრას. უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო მეურვეობის საკითხზე საკმაოდ დაძაბული დებატები გაიმართა. საფრანგეთის დელეგაციამ წარმოადგინა პროექტი, რომელიც საერთოდ გამორიცხავდა კოლონიებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭებას, ხოლო საერთაშორისო მეურვეობის სისტემაში უნდა შესულიყო მხოლოდ მანდატსქვეშ მყოფი ტერიტორიები და ის მიწები, რომლებსაც წართმევდნენ მოწინააღმდეგეს მიმდინარე ომის შედეგად<sup>32</sup>. ბრიტანელებმა ფაქტობრივად ძველი სამანდატო სისტემის აღდგენა მოისურვეს, ხოლო ამერიკელები საკმაოდ საჩოთირო სიტუაციაში აღმოჩნდნენ. მათ სჭირდებოდათ იაპონიის მანდატსქვეშ მყოფი კუნძულების დაკავების დაკანონება<sup>33</sup>, ამიტომაც მათი პროექტიდან ამოვარდა კოლონიებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების დებულება. მიუხედავად ამგვარი წინააღმდეგობებისა, საბოლოო ჯამში, კონფერენციის მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ მეურვეობის სისტემის მთავარი ამოცანა იყო სამეურვეო ტერიტორიების პროგრესული განვითარება დამოუკიდებლობისაკენ ან თვითმმართველობისაკენ აღნიშნული ტერიტორიისა და მისი ხალხების სპეციფიკურობის გათვალისწინებით<sup>34</sup>. სამეურვეო სისტემა არ შეიძ

<sup>29</sup> *Facsimile..*, გვ. 11; **Конференция объединенных наций..**, გვ. 601-602.

<sup>30</sup> *Facsimile..*, გვ. 11-12; **Конференция объединенных наций..**, გვ. 602-603.

<sup>31</sup> *Facsimile..*, გვ. 12-14; **Конференция объединенных наций..**, გვ. 603-606.

<sup>32</sup> **Конференция объединенных наций..**, გვ. 34.

<sup>33</sup> R. B. Russell. The United Nations and United States Security Policy. Wash., 1968, გვ. 31.

<sup>34</sup> *Facsimile..*, გვ. 15; **Конференция объединенных наций..**, გვ. 608.

ლებოდა გავრცელდებულიყო გაეროს წევრ სახელმწიფოებზე<sup>35</sup>.

საერთაშორისო სასამართლოს და სამდივნოს საკითხების განხილვისას პრაქტიკულად უპრობლემოდ იქნა დამტკიცებული დუმბარტონ თქმაში შეთანხმებული წინადადებები, რამაც ასახვა პპოვა წესდების XIV<sup>36</sup> და XV თავებში<sup>37</sup>. გარკვეული უთანხმოება აქ იყო მხოლოდ გენერალური მდივნის არჩევასთან დაკავშირებულ საკითხებში, როდესაც აშშ-ს დელეგაციამ სცადა, ის გამოცხადებინა საპროცედურო საკითხად, მაგრამ სხვა დიდმა სახელმწიფოებმა არ დაუჭირეს მხარი ამ წინადადებას<sup>38</sup>.

წესდების დასკვნითი ოთხი თავი მიეძღვნა სხვადასხვა დადგენილებებს<sup>39</sup>, გარდამავალ პერიოდში უსაფრთხოების შესანარჩუნებლად განსახორციელებელ ღონისძიებებს<sup>40</sup>, შესწორებებს<sup>41</sup> და წესდების რატიფიკაციასა და ხელმოწერას<sup>42</sup>. გაეროს წესდება ხელმოწერილი იქნა სან ფრანცისკოში 1945წ. 26 ივნისს. პროცედურა დილით ადრე დაიწყო. წესდებაზე პირველი ხელმოწერები გააკეთეს ჩინეთმა, საბჭოთა კავშირმა, დიდმა ბრიტანეთმა და აშშ-მ, როგორც მასპინძლმა სახელმწიფოებმა, შემდეგ საფრანგეთმა, რის შემდეგაც ყველა დანარჩენმა მონაწილე სახელმწიფომ ანბანის მიხედვით<sup>43</sup>. წესდება ძალაში შევიდა 1945წ. 24 ოქტომბერს, როდესაც ის რატიფიცირებული იქნა უშიშროების საბჭოს ყველა მუდმივი წევრისა და ხელისმომწერ სახელმწიფოთა 2/3-ის მიერ<sup>44</sup>.

სან ფრანცისკოს კონფერენციაზე გაეროს წესდების დამტკიცებისა და ახალი საერთაშორისო ორგანიზაციის დაფუძნების მნიშვნელობა ძალიან დიდი იყო. გაერო ერთა ლიგასთან შედა-

<sup>35</sup> *Facsimile...*, გვ. 15; **Конференция объединенных наций...**, გვ. 609.

<sup>36</sup> *Facsimile...*, გვ. 17-18; **Конференция объединенных наций...**, გვ. 613-614.

<sup>37</sup> *Facsimile...*, გვ. 18; **Конференция объединенных наций...**, გვ. 614-615.

<sup>38</sup> **Конференция объединенных наций...**, გვ. 37.

<sup>39</sup> *Facsimile...*, გვ. 18-19; **Конференция объединенных наций...**, გვ. 615-616.

<sup>40</sup> *Facsimile...*, გვ. 19; **Конференция объединенных наций...**, გვ. 616-617.

<sup>41</sup> *Facsimile...*, გვ. 19-20; **Конференция объединенных наций...**, გვ. 617.

<sup>42</sup> *Facsimile...*, გვ. 20; **Конференция объединенных наций...**, გვ. 618.

<sup>43</sup> *Facsimile...*, გვ. 20; **Конференция объединенных наций...**, გვ. 38.

<sup>44</sup> **Конференция объединенных наций...**, გვ. 39.

რებით წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. გაეროს შექმნა დადებითად შეფასდა მთელს მსოფლიოში<sup>45</sup>. მისი შექმნა შესაძლებელი გახდა მხოლოდ დიდი სამეულის სახელმწიფოების ურთიერთშეთანხმებული მოქმედების შედეგად. მათ მიერ თავისთვის დაკანონებულმა ვეტოს უფლებამ საკმაოდ პოზიტიური როლი შეასრულა თავის დროზე და, შესაძლოა, მსოფლიოს თავიდან ააცილა ბირთვული ომი, თუმცა, დღესდღეობით, გაეროს ეფექტურობის ხარისხი საკმაოდ დაბალია, რისი მთავარი მიზეზიც სწორედ ერთხმივობის პრინციპია.

---

<sup>45</sup> *Charter of the United Nations*. Report to the President on the results of the San Francisco Conference. By the Chairman of the United States Delegation, the Secretary of State. New York, 1969, გვ. 30-31; **Y. M. Dean**. The Four Cornerstones of Peace. New York, 1946, გვ. 103; *Charter of the United Nations*. Commentary and documents [by] **Leland M. Goodrich**, **Edvard Hambro**, and **Anne Patricia Simons**. New York, 1969, გვ. 10-12; **D. B. Robins**. Experiment in Democracy. The Story of U.S. Citizen Organizations in Forging the Charter of the United Nations. New York, 1971, გვ. 149-150; **T. Connally**. My name is Tom Connally. By Tom Connally, as told to Alfred Steinberg. New York, 1954, გვ. 285-286; **A. Vandenbosch**, **W. N. Hogan**. The United Nations: Background, Organization, Functions, Activities. Westport, CT, 1970, გვ. 83; **Th. M. Franck**. Nation Against Nation: What Happened to the U.N. Dream and What the U.S. Can Do about It. Oxford, NY, 1985, გვ. 7; **Sh. Hazzard**. The Defeat of the Ideal: A Study of the Self-Destruction of the United Nations. Boston, MA, 1973, გვ. 4.

## **Т. З. ПАПАСКИРИ**

### **КОНФЕРЕНЦИЯ В САН-ФРАНЦИСКО. СОЗДАНИЕ ОРГАНИЗАЦИИ ОБЪЕДИНЕННЫХ НАЦИЙ**

В статье на основе анализа документальных материалов и мемуарных первоисточников, а также специальной литературы, рассмотрены ход и итоги конференции в Сан-Франциско, проходившей с 25 апреля по 26 июня 1945г..

Конференция протекала в 3 этапа. На первой стадии – с 25 апреля по 2 мая состоялось 8 пленарных заседаний. Кроме этого, главы делегаций Объединенных Наций собирались вместе и определяли круг вопросов, которые должны были быть рассмотрены на пленарных заседаниях. Второй этап, во время которого был окончательно выработан Устав ООН в комитетах, оказался достаточно продолжительным и продлился дольше запланированного. Поэтому заключительный этап конференции, во время которого проект Устава должен был быть утвержден на пленарном заседании, начался только 25 июня 1945г.

Во время конференции практически были подтверждены достигнутые в Думбартон-Оксе соглашения и решения Крымской конференции относительно голосования в Совете Безопасности. В результате, Устав ООН был подписан 26 июня 1945г. Утверждение Устава ООН и учреждение новой всемирной организации на конференции в Сан-Франциско имело огромное значение. Образование ООН было большим шагом вперед по сравнению с Лигой Наций, и ее создание было положительно оценено во всем мире. Учреждение новой организации было возможно лишь благодаря взаимосогласованным действиям стран „Большой Тройки“. Узаконенное ими право вето в свое время сыграло достаточно позитивную роль и, возможно, даже спасло мир от войны между ядерными государствами, хотя на сегодняшний день эффективность ООН весьма низка, главной причиной чего является как раз принцип единогласия.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება  
აფხაზეთის ორგანიზაცია  
საისტორიო ძეგანი, 7, 2004

## თემურაზ პაპასძირი

### გმრმანის პაპიტულაცია

1945წ. 16 აპრილს საბჭოთა ჯარებმა დაიწყეს შეტევა ბერლინზე და 25 აპრილისათვის გერმანიის დედაქალაქი მოლიანად აღყაში მოაქციეს<sup>1</sup>. ამავე დროს, ინგლისელებმა და ამერიკულებმა განაგრძეს წინსვლა და 25 აპრილს მდ. ელბაზე, ტორგაუს მახლობლად, ერთმანეთს შეხვდნენ 1-ლი ამერიკული არმიის V კორპუსის 69-ე დივიზიისა და საბჭოთა არმიის 58-ე გვარდიული დივიზიის ნაწილები<sup>2</sup>. ეს ნიმუში გერმანული არმიების შუაზე გახლებას. მონტგომერის სარდლობით მებრძოლმა ბრიტანულმა შენაერთებმა კი განავითარეს შეტევა ლიუბეკის მიმართულებით. 16 აპრილს მათ აიღეს ბრემენი, 29 აპრილს გადალახეს ელბა და 3 მაისს ხელი იგდეს კიდეც ლიუბეკი<sup>3</sup>. თავის მხრივ, გენ. პატონის მე-3 არმიამაც 22 აპრილს დაიწყო შეტევა დუნაის გაყოლებით, დაძლია გერმანელთა წინააღმდეგობა რეგენსბურგთან და 5 მაისს აიღო ლინცი. 22 აპრილსვე დაიწყო თავისი დასკვნითი შეტევა გენ. ა. პეტრის მე-7 არმიამაც, რომლის XV კორპუსმა 30 აპრილს აიღო მიუნხენი, 4 მაისს კი – ბერკტეს-გადენი და ზალცბურგი, VI კორპუსმა 3 მაისს დაიკავა ინსბრუკი და შემდეგ შეუერთდა მე-5 ამერიკული არმიის 88-ე დივიზიას, რომელიც იტალიიდან უტევდა<sup>4</sup>.

<sup>1</sup> История Великой Отечественной войны. В 6 томах. Т. 5. Гл. ред. И. П. Барбашин. М., 1963, გვ. 262-277.

<sup>2</sup> D. Eisenhower. Crusade in Europe, გვ. 411.

<sup>3</sup> B. Montgomery. 21-st Army Group. Normandy to the Baltic Germany, L., 1964, გვ. 453.

<sup>4</sup> The Seventh United States Army in France and Germany 1944-1945: Report of Operations. Heidelberg, 1946, გვ. 862-863; თ. პაპასქირი. სტალინი, რუსელტი და ჩერხილი ჰიტლერის წინააღმდეგ. 1941-1945. დიალოგმატიური ქრონიკა და სამხედრო მოქმედებები. თბ., 1996, გვ. 137.

ამასობაში კი გერმანიის ხელმძღვანელ წრეებში სერიოზული განხეთქილება მოხდა. 23 აპრილს ჰიტლერმა შერისხა გერინგი, რომელმაც მოსთხოვა ფიურერს მთელი ძალაუფლების მისთვის გადაცემა, რაც, მისი აზრით, ხელს შეუწყობდა ბრიტანელებსა და ამერიკელებთან საერთო ენის გამონახვას<sup>5</sup>. გერინგს ჩამოერთვა ყველა ჯილდო თუ წოდება და ის დაპატიმრებულ იქნა<sup>6</sup>. მიუხედავად ამისა, კაპიტულანტური განწყობილება უკვე ფართოდ იყო გავრცელებული გერმანიის უმაღლეს წრეებში<sup>7</sup>. ამ მხრივ ძალიან აქტიურობდა რაინსფორურერი ჰიმლერი, რომელსაც

<sup>5</sup> W. Shirer. The Rise and Fall of the Third Reich. New York, 1960, გვ. 988.

<sup>6</sup> W. Shirer. The Rise and Fall of the Third Reich, გვ. 988.

<sup>7</sup> უნდა აღინიშნოს, რომ წლის დასაწყისში თვითონ ჰიტლერმაც კი სცადა ზონდაჟი და იანვარში შვედეთში გააგზავნა თავისი მრჩეველი ფ. ჰესე, რომელსაც დაევალა დასავლეთელ მოკავშირეებთან სეპარატული დაზავების თაობაზე მემორანდუმის გავრცელება. აღნიშნული მემორანდუმის თანახმად, უნდა მომხდარიყო დაზავება დასავლეთში და გერმანიის მთელი შეიარაღებული ძალების გადასროლა აღმოსავლეთის ფრონტზე (იხ.: F. Hesse. Hitler and the English. Edited and translated from the German by F. A. Voigt. L., 1954, გვ. 198). ბუნებრივია, ინგლისელებმაც და ამერიკელებმაც ჰიტლერთან ნებისმიერ მოლაპარაკებებზე უარი განაცხადეს, თუმცა ჰესე სტოკოლმიდან ხელცარიელი არ დაბრუებულა. შვედი ბანკირის მარკეს ვალენბერგისაგან მან მიიღო რჩევა, რომ გერმანელებისათვის უკეთესი იქნებოდა მოლაპარაკებების წარმოება საბჭოთა მხარესთან. თუ ჰესეს ცნობას ვირწმუნებთ, საბჭოთა მხარე ნამდვილად გამოოქამდა ასეთ სურვილს, რასაც ადასტურებდა სსრკ-ს ელჩის ა. კოლონტაის შეხვედრა ვალენბერგთან. ჰესე სასწავლოდ დაბრუნდა გერმანიაში და აცნობა აღნიშნული შესაძლებლობის შესახებ რიბენტორპსა და ჰიტლერს. ბერლინში შესაძლებლად ჩათვალეს ამგვარი შეთანხმების შესახებ ფიქრი და ჰესე ხელახლა გაგზავნეს სტოკოლმში, სადაც უკვე ყველაფერი მზად იყო მოლაპარაკებების დასაწყებად. თუმცა მოულოდნელად ჰიტლერმა გადაიფიქრა და შეწყვიტა მოლაპარაკებები (იხ.: F. Hesse. Hitler and the English, გვ. 208-216). აქ აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ საბჭოთა მკვლევარი ვ. ისრაელიანი, რომელიც ჰესეზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ სტოკოლმში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები ბრიტანელებსა და ამერიკელებთან ებრაელების ნაწილის განთავისუფლების შესახებ, რატომდაც ყურადღებას არ აქცევს ჰესეს ამ მეორე ცნობას (იხ.: В. Л. Исаэлиян. Дипломатия в годы войны. М., 1985, გვ. 386).

კარგი კავშირები ჰქონდა შვედეთის წითელი ჯვრის წარმომადგენელ გრაფ ბერნადოტან. 13 აპრილს მან განუცხადა შვედ დიპლომატს, რომ გერმანელებს თავი უნდა ეცნოთ დამარცხებულებად დასავლეთის სახელმწიფოების წინაშე და სოხოვა ბერნადოტს, გადაეცა ეს ინფორმაცია ეიზენპაუერისათვის<sup>8</sup>. აქვე ჰიმლერმა ხაზი გაუსვა, რომ გერმანელებისთვის და განსაკუთრებით მისთვის შეუძლებელი იყო კაპიტულაციის გამოცხადება საბჭოთა ფრონტზე. მისი თქმით, აქ ბრძოლა გაგრძელდებოდა მანამ, სანამ „გერმანელთა ფრონტს არ შეცვლიდა დასავლეთის სახელმწიფოების ფრონტი“<sup>9</sup>? როდესაც გაირკვა, რომ ინგლისელებს და ამერიკელებს ჰიმლერთან გარიგებაზე წასვლის არანაირი სურვილი არ ჰქონდათ, ამ უკანასკნელმა უკვე დე გოლთან სცადა და-კავშირება და შესთავაზა მას კავშირის დადება როგორც ანგლო-საქსების, ისე რუსების წინააღმდეგ<sup>10</sup>.

ბერნადოტმა ჰიმლერის თხოვნა მართლაც შეასრულა და გადასცა ეს ინფორმაცია შვედეთში ბრიტანეთის ელჩის სერ ვიქტორ მალეტს და აშშ-ს ელჩ ჰირშელ ჯონსონს. მალეტმა დაუყოვნებლივ აცნობა ჩერჩილს გერმანელთა ინიციატივის შესახებ, რის შემდეგაც ბრიტანეთის პრემიერმა ჰიმლერის მოსაზრებები გააცნო მოკავშირეთა მთავარსარდალ დუატ ეიზენპაუერს<sup>11</sup>. ამავდროულად, ცნობა გერმანელთა შემოთავაზების შესახებ მიიღო ტრუმენმაც, თუმცა სწორედ ჩერჩილისაგან და არა ჯონსონისაგან, რომელმაც აშკარად დააგვიანა ვაშინგტონისათვის ინფორმაციის მიწოდება. აშშ-ს პრეზიდენტმა შორს დაიჭირა ჰიმლერთან მორიგების იდეა. მან 26 აპრილს სტალინს შეატყობინა რაიხს-ფიურერის ინიციატივის შესახებ და შეპირდა, რომ არ მიიღებდა ამ წინადაღებას. ტრუმენმა აცნობა სტალინს, რომ ამერიკელები გერმანელების კაპიტულაციის ერთადერთ მისაღებ ფორმად თვლიდნენ უპირობო კაპიტულაციას ყველა ფრონტზე სსრკ-ს,

<sup>8</sup> **В. Л. Исраэлян.** Дипломатия в годы войны, гл. 386.

<sup>9</sup> **W. Schellenberg.** Memoirs. L., 1958, гл. 193.

<sup>10</sup> „Из военных мемуаров де Голля“. – „Международная жизнь“, №4, 1961, гл. 110.

<sup>11</sup> **D. Eisenhower.** Crusade in Europe, гл. 398.

აშშ-ს და დიდი ბრიტანეთის წინაშე<sup>12</sup>. თავის მხრივ, არც ჩერჩილმა მიიღო ჰიმლერის წინადადება<sup>13</sup>. ასე რომ, სტალინი კმაყოფილი დარჩა მოკავშირეთა მოქმედებით<sup>14</sup>.

1945წ. 30 აპრილს, როდესაც უკვე საბჭოთა ჯარები ჰიტლერის ბუნკერისაგან სულ რაღაც ერთ კვარტალში იყვნენ, ფიურერმა თავი მოიკლა. სიკედილის წინ ჰიტლერმა დაწერა ანდერძი, რომლითაც თავის მემკვიდრედ დანიშნა გროს-ადმირალი დიონიცი. ამ უკანასკნელმა თავის რეზიდენციად აირჩია ფლენსბურგი, რადგანაც 2 მაისს საბჭოთა ჯარებმა დაასრულეს ბერლინის აღება. თავის მიმართვაში მან ხაზი გაუსვა, რომ მთელი ძალით გააგრძელებდა ბრძოლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ხოლო „ინგლისელებთან და ამერიკელებთან იომებდა იმდენად, რამდენადაც ისინი მას ხელს შეუშლიდნენ ბოლშევიკებთან ბრძოლაში“<sup>15</sup>. გარდა ამისა, დიონიცმა გასცა ბრძანება, რომ გერმანული ნაწილები ტყვედ ჩაბარებოდნენ მხოლოდ ინგლისელებსა და ამერიკელებს<sup>16</sup>. მის ამგვარ გადაწყვეტილებას გარკვეულწილად ხელს უწყობდა ეიზენჟაურის მიერ ჯერ კიდევ 1944წ. აგვისტოში გაცემული ბრძანება, რომლითაც ის უფლებას აძლევდა თავის ხელქვეითებს, მიეღოთ გერმანული შენაერთების კაპიტულაცია მათი მეთაურების მეშვეობით ფრონტის ნებისმიერ კონკრეტულ უბაზზე<sup>17</sup>. მისი აზრით, ეს მხოლოდ ტაქტიკური და სამხედრო საკითხი იყო და არა პოლიტიკური<sup>18</sup>. სამაგიეროდ, განხხვავებული იყო მთავარსარდლის მიდგომა გერმანი-

<sup>12</sup> Переписка председателя совета министров СССР с президентами США и премьер-министрами Великобритании во время Великой Отечественной войны 1941-1945 гг. (Здмдзмдз Переписка...). Т. II. Переписка с Ф. Рузвельтом и Г. Труменом (август 1941 г. – декабрь 1945 г.). М., 1957, გვ. 219-220.

<sup>13</sup> Переписка..., Т. I. Переписка с У. Черчиллем и К. Эттили (июль 1941 г. – ноябрь 1945 г.). М., 1957, გვ. 337-339.

<sup>14</sup> Переписка..., т. I, გვ. 339; Переписка..., т. I, გვ. 221.

<sup>15</sup> А. А. Галкин, О. М. Накропин. Капитуляция Германии и „правительство“ Дёница. – „Вопросы истории“, №8, 1956, გვ. 73.

<sup>16</sup> В. Л. Исраэлян. Дипломатия в годы войны, გვ. 389.

<sup>17</sup> F. C. Pogue. The Supreme Command. Wash., 1989, გვ. 480.

<sup>18</sup> D. Eisenhower. Crusade in Europe, გვ. 423.

ის მთავრობისადმი, რომელსაც, მისი აზრით, მოქმედების მხოლოდ ერთი გზა ჰქონდა დარჩენილი – უპირობო კაპიტულაცია ყველა ფრონტზე ყველა მოკავშირის წინაშე<sup>19</sup>.

დიონიცის ბრძანების მიღების შემდეგ გერმანელი ჯარისკაცები მიაწყდნენ მდ. ელბას, რათა გადაელახათ ის და დანებებოდნენ დასავლეთელ მოკავშირეებს. ნათელი გახდა, რომ დღედღეზე მოსალოდნელი იყო გერმანიის მთავრობის კაპიტულაცია. გერმანელები ბოლომდე ცდილობდნენ, რომ კაპიტულაცია გამოიცხადებინათ მხოლოდ დასავლეთის ფრონტზე, აღმოსავლეთში კი განეგრძოთ ბრძოლა საბჭოთა არმიების წინააღმდეგ. 29 აპრილს კაზერტაში ხელი მოეწერა იტალიაში განლაგებული გერმანული ნაწილების კაპიტულაციას, რომლის პირობებითაც საომარი მოქმედებები ამ ფრონტზე 2 მაისს შეწყდა. 4 მაისს მონტგომერის წინაშე კაპიტულაცია გამოაცხადეს გერმანიაში, ჰოლანდიასა და დანიაში მყოფმა გერმანულმა შენაერთებმა<sup>20</sup>, 5 მაისს კი უპირობო კაპიტულაცია გამოაცხადა იტალიის საზღვრის ჩრდილოეთით განლაგებულმა არმიათა ჯგუფმა „G“-მ.<sup>21</sup>

შექმნილ ვითარებაში დიონიცმა გადაწყვიტა, კიდევ ურთხელეცადა ბედი და გამოეცხადებინა საერთო კაპიტულაცია მოელ დასავლეთის ფრონტზე. ამ მიზნით მან მოკავშირეთა შტაბში, რომელიც რეიმსში იყო განლაგებული, გაგზავნა ადმირალი ფრიდებურგი. ამავე დროს, დასავლეთის ფრონტზე გერმანიის ჯარების მთავარსარდალმა ფელდმარშალმა კესელრინგმა მიმართა ეიზენპაუერს თხოვნით, რომ შეთანხმებულიყვნენ კაპიტულაციაზე, მაგრამ ამერიკელმა გენერალმა უარი განაცხადა მოლაპარაკებების წარმოებაზე, თუ საუბარი არ იქნებოდა ყველა ფრონტზე ვერმახტის ყველა ნაწილის კაპიტულაციაზე. იგივე განუცხადა ფრიდებურგს გენერალმა ბ. სმითმა<sup>22</sup>. პასუხად გერმანელმა ადმირალ-

<sup>19</sup> D. Eisenhower. Crusade in Europe, გვ. 423-424.

<sup>20</sup> B. Montgomery. 21-st Army Group. Normandy to the Baltic Germany, L., 1964, გვ. 430.

<sup>21</sup> The Seventh United States Army in France and Germany 1944-1945: Report of Operations. Heidelberg, 1946, გვ. 864.

<sup>22</sup> D. Eisenhower. Crusade in Europe, გვ. 425.

მა აღნიშნა, რომ მას არ ჰქონდა ამგვარ დოკუმენტზე ხელისმოწერის უფლება და დაუკავშირდა დოონიცს, რომელმაც ფრიდებურგის დასახმარებლად რეიმსში გენერალ-პოლკოვნიკი იოდლი გააგზავნა<sup>23</sup>.

ამასობაში მოკავშირეთათვის ნათელი გახდა, რომ გერმანელებს უბრალოდ დრო გაპყავდათ, რათა რაც შეიძლებოდა მეტი ჯარისკაცი გადაეტარებინათ ინგლისელებისა და ამერიკელების ფრონტის ხაზს იქით. ამიტომ ეიზენჰაუერმა დაავალა სმითს, რომელიც აწარმოებდა მოლაპარაკებებს იოდლისა და ფრიდებურგთან, გადაეცა გერმანელებისათვის, რომ ის „დახურავდა“ დასავლეთის ფრონტს და არ გადმოუშვებდა არც ერთ ჯარისკაცს, თუ დაუყოვნებლივ არ მოეწერებოდა ხელი უპირობო კაპიტულაციას<sup>24</sup>. მოკავშირეთა მთავარსარდლის ულტიმატუმმა შედეგი ძალიან სწრაფად გამოიღო. იოდლმა და ფრიდებურგმა მეორე დღესვე მიიღეს დიონიცისაგან უპირობო კაპიტულაციის აქტზე ხელის მოწერის უფლება<sup>25</sup>. 1945წ. 7 მაისს, დილის 2 საათსა და 41 წუთზე რეიმსში იოდლმა და სმითმა ხელი მოაწერეს აქტს გერმანის კაპიტულაციის შესახებ<sup>26</sup>. საომარი მოქმედები უნდა შეწყვეტილიყო 8 მაისს, 24 საათსა და 00 წუთზე<sup>27</sup>. მხოლოდ კაპიტულაციაზე ხელის მოწერის შემდეგ მიიღო იოდლი ეიზენჰაუერმა. მოკავშირეთა მთავარსარდალმა პკითხა გერმანელ გენერალს, გასაგები იყო თუ არა მისთვის ხელმოწერილი დოკუმენტის ყვე-

<sup>23</sup> D. Eisenhower. Crusade in Europe, გვ. 425-426.

<sup>24</sup> D. Eisenhower. Crusade in Europe, გვ. 426.

<sup>25</sup> D. Eisenhower. Crusade in Europe, გვ. 426.

<sup>26</sup> კაპიტულაციის ხელმოწერისა და მისი ძალაში შესვლის დროის აღნიშვნისას ბატჩერს – ეიზენჰაუერის თანაშემწევე – ხაზგასმით აქვს აღნიშნული, რომ ეს იყო ბრიტანეთში მოქმედი ზაფხულის დრო, რომელიც ბუნებრივზე 2 საათით წინ გადაწეული – “British Double Summer Time” (იხ.: H. C. Butcher. My Three Years With Eisenhower. New York, 1946, გვ. 833-834).

<sup>27</sup> რეიმსის კაპიტულაციის ტექსტი იხ.: World War II, Policy and Strategy: Selected Documents with Commentary. Ed. by Hans-Adolf Jacobsen and Arthur L. Smith, Jr. Santa Barbara, CA, 1979, გვ. 427. რუსულ ენაზე რეიმსის კაპიტულაციის ტექსტი იხ.: **Ф. Погно.** Верховное командование. М., 1959, გვ. 497.

ლა მუხლის შინაარსი და დადებითი პასუხის მიღების შემდეგ გააფრთხილა, რომ მას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა კაპიტულაციის პირობების დაცვაზე, მათ შორის გერმანელი სარდლების გამოცხადებაზე ბერლინში საბჭოთა მთავრობის წინაშე ოფიციალური კაპიტულაციის გასაფორმებლად<sup>28</sup>.

1945წ. 8 მაისს, 23 საათსა და 45 წუთზე<sup>29</sup>, ბერლინის გარეუბან კარლჰორსტში მოხდა გერმანიის მთავრობის მეორე ხელმოწერა უპირობო კაპიტულაციაზე, ამჯერად უკვე საბჭოთა კავშირის წინაშე. ამ დოკუმენტს, რომელსაც, ისევე როგორც რეიმსისას, ეწოდა აქტი გერმანიის სამხედრო კაპიტულაციის შესახებ, ხელი მოაწერეს სსრკ-ს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილემ, მარშალმა გიორგი შუკოვმა და ვერმახტის უმაღლესი სარდლობის შტაბის უფროსმა, ფელდმარშალმა ვილჰელმ კაიტელმა<sup>30</sup>.

<sup>28</sup> D. Eisenhower. Crusade in Europe, გვ. 427.

<sup>29</sup> J. R. Deane. The Strange Alliance: The Story of Our Efforts at Wartime Co-operation with Russia. New York, 1947, გვ. 177; J. de Lattre de Tassigny. Histoire de la Première Armée Française. P., 1949, გვ. 606; J. de Lattre de Tassigny. The History of the French First Army. Translated by Malcolm Barnes, with a pref. by General Eisenhower and an appreciation by B. H. Liddell Hart. L., 1952, გვ. 521. ეუკოვს თავის მეუკარებში მოხსენიებული აქვს, რომ ხელმოწერა დასრულდა 9 მაისს, 00 საათსა და 43 წუთზე (Г. К. Жуков. Воспоминания и размышления. М., 1969, გვ. 666-667). ამგვარი მონაცემი, როგორც ჩანს, გამოწვეული იყო სასამართ სარტყელებს შორის არსებული სხვაობით, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ აქ ეს შეცდომა გამოზნულად იყოს დაშვებული, რათა შეცდილიყო ხელმოწერის დღე.

<sup>30</sup> კაპიტულაციის ტექსტი იხ.: Внешняя политика Советского Союза в период Отечественной войны. Документы и материалы. В 3-х томах. Т. III. М., 1947, გვ. 261-262. კაპიტულაციის შემდეგ საბჭოთა მხარეებ მოაწყო 200-კაციანი ბანკეტი, რომელზეც ერთი საკმაოდ კურიოზული ფაქტი მოხდა: ეუკოვს და ტედერს დავიწყდათ (ან დაიგიწყებ), რომ სუვრას ფრანგი წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ და მისასალმებელ სადღეგრძელოში ერთი სიტყვითაც არ უხსესებიათ საფრანგეთი. ბუგბრივია, ამან გააღიზიანა საფრანგეთის წარმომადგენელი გენ. ჟ. დე ლატრ დე ტასინი, რომელმაც პროტესტის ნიშნად უარი თქვა სამეცნია და საჭმელზე, თანაც უკელავერი გააკეთა, რომ ჟუკოვისათვის ეცნობებინა ამის შესახებ. შედეგად, საბჭოთა მარშალს მოუწია საფრანგეთის სადღეგრძელოს ცალკე წარმოთქმა. გარდა ამი-

ჩვენი ყურადღება კაპიტულაციების საკითხმა იმიტომ მიიპყრო, რომ მოგვიანებით ისტორიკოსებს შორის დაიწყო დავა, რომელიც დღემდე გრძელდება, იმის თაობაზე, თუ რომელი კაპიტულაცია იყო მთავარი და რომელი ფორმალური. საბჭოთა მკვლევარები ერთხმად ამტკიცებდნენ, რომ რეიმსში ხელმოწერილი იქნა კაპიტულაციის მხოლოდ წინასწარი ოქმი, ხოლო ბერლინში კი – ოფიციალური აქტი<sup>31</sup>, მაშინ როდესაც დასავლეოელი ისტორიკოსები ძირითად კაპიტულაციად სწორედ რეიმსისას მიიჩნევენ და ბერლინისას მხოლოდ „ცერტონიას“, თანაც საბჭოთა სარდლობის წინაშე, უწოდებენ<sup>32</sup>. ოფიციალურ საბჭოთა ვერსიად კი იქცა პირველად უუკოვის მემუარებში გახმოვანებული ცნობა, რომ სტალინმა შეათანხმა მოკავშირეებთან აღნიშნული საკითხი და გადაწყდა რეიმსის კაპიტულაციის წინასწარ აქტად ცნობა<sup>33</sup>.

მნელი სათქმელია, მართლაც გაუგზავნა მსგავსი სახის შეტყობინება სტალინმა უუკოვს თუ არა (უუკოვის მემუარები საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდშიც კი არ ითვლებოდა მეტისმეტად სახდო წყაროდ – თ.პ.), მაგრამ ერთი რამ ნათელია: არანაირი შეთანხმება დიდი სამეულის ლიდერებს შორის ამის შესახებ არ ყოფილა. ერთადერთი, რაზეც შეთანხმდნენ მხარეები, იყო ის, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ გერმანის კაპიტულაციის შესახებ განცხადების გაკეთება გადაიდებოდა ერთი დღით, კაპიტულაციის ძალაში შესვლამდე<sup>34</sup>. თუმცა საბჭოთა ისტორიკოსე-

სა, მან ორკესტრს „მარსელიოზა“ შეასრულებინა (იხ.: **J. de Lattre de Tassigny. Histoire de la Première Armée Française**, გვ. 607-608; **J. de Lattre de Tassigny. The History of the French First Army**, გვ. 523).

<sup>31</sup> ИВОВ, т. 5, გვ. 351; *История второй мировой войны*. В 12 томах, пред. ред. ком. **А. А. Гречко** (т. 1-7) и **Д. Ф. Устинов** (т. 8-12). Т. 10, гл. ред. **Н. И. Шеховцов**. М., 1979, გვ. 363-364.

<sup>32</sup> E. F. Fisher, Jr. Cassino to the Alps, გვ. 524; Ch. McDonald. The Last Offensive, გვ. 475; F. C. Pogue. The Supreme Command, გვ. 490 და ა.შ.

<sup>33</sup> Г. К. Жуков. Воспоминания и размышления. М., 1969, გვ. 664; *История дипломатии*. В 5 томах, под ред. **В. А. Зорина** (т. I) и **А. А. Громыко** (т. II-V). Т. IV. М., 1975, გვ. 630.

<sup>34</sup> *Переписка..*, т. I, გვ. 356; *Переписка..*, т. II, გვ. 228. ხაზგასმა ჩვენია – თ.პ.

ბის მიერ ფაქტების ფალსიფიკაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ მემუარული მონაცემებით, რომლებიც ხშირად სუბიექტურ ხასიათს ატარებს და შეიძლება შეცდომები თავად ავტორის ბრალი იყოს<sup>35</sup>. პრაქტიკულად ყველა საბჭოთა (დღეს უკვე რუსი) მკვლევარი ბერლინში ხელმოწერილ დოკუმენტს მოიხსენიებს საბოლოო (ხაზ-გასმა ჩვენია – თ.პ.) აქტად გერმანიის კაპიტულაციის შესახებ<sup>36</sup>. ჩვენთვის უბრალოდ გაუგებარია, თუ რის საფუძველზე აკეთებენ ისინი ამ განცხადებას, რადგანაც საბჭოთა მთავრობის მიერ ოფიციალურად გამოცემულ ყველა დოკუმენტურ კრებულში დოკუმენტს, როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, რეიმსის კაპიტულაციის მსგავსად, ეწოდება „აქტი გერმანიის სამხედრო კაპიტულაციის შესახებ“<sup>37</sup>.

და მაინც, რომელი კაპიტულაცია შეიძლება ჩაითვალოს ძირითადად? ალბათ უფრო გამართლებული იქნებოდა, თავის დროზე შემდგარიყო ერთობლივი ხელმოწერის პროცედურა. მაშინ ამგვარი კამათი არც დაიწყებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ჩვენი აზრით, ამ დავაში ორივე მხარე მართალია, ოღონდ, რასაკვირველია, ნაწილობრივ. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ რეიმსის კაპიტულაცია სულაც არ იყო წინასწარი ოქმი. ეს იყო გერმანიის ოფიციალური კაპიტულაცია, რომელსაც ხელი მოეწერა დასავლეთელ მოკავშირეთა შტაბში. სხვათა შორის, ანტიპიტლერულ კოალიციაში მონაწილე სამივე ძირითადი ქვეყნის ლიდერი სულაც არ თვლიდა, რომ ეს აქტი იყო წინასწარი ოქმი. 1945წ. 7 მაისს ტრუმენმა სტალინს გააცნო ეიზენჰაუერის რეკომენდაცია, რომ გერმანიის კაპიტულაციის გამოცხადება მომზდარიყო სამშაბათს, 8 მაისს, ვაშინგტონის დროით დილის 9 სამზე<sup>38</sup>. ანალო-

<sup>35</sup> ჩვენი აზრით, უკავშირი ამ შემთხვევაში სიმართლეს უნდა ამბობდეს და სტალინმა ის ალბათ მიზანმიმართულდა შეიყვანა შეცდომაში.

<sup>36</sup> **В. Л. Исаэлиян.** Дипломатическая история Великой Отечественной войны. М., 1959, გვ. 307; **В. Л. Исаэлиян.** Дипломатия в годы войны, გვ. 391; **О. А. Ржешевский.** История второго фронта: Война и дипломатия. М., 1988, გვ. 41; **В. А. Секистов.** Война и политика. М., 1989, გვ. 429 და ძ.შ.

<sup>37</sup> **Внешняя политика..,** т. 3, გვ. 261-262; **Советско-английские отношения..,** т. II, გვ. 337-338; **Советско-французские отношения..,** т. II, გვ. 326-327; **Советско-американские отношения..,** т. II, გვ. 379.

<sup>38</sup> **Переписка..,** т. II, გვ. 227.

გიური შინაარსის წერილი აშშ-ს პრეზიდენტმა გაუგზავნა ჩერჩილსაც. თავის მხრივ, ბრიტანეთის პრემიერმა სტალინს შესთავაზა, რომ ასეთი განცხადება გაკეთებულიყო სამივე ქვეყანაში ერთდროულად – სამშაბათს 8 მაისს, გრინვიჩის დროით 15 საათზე, რაც შეესაბამებოდა დილის 9 საათს ვაშინგტონში და 16 საათს მოსკოვში<sup>39</sup>. პასუხად, სტალინმა აცნობა ჩერჩილს და ტრუმენს, რომ 8 მაისს ის ვერ გააკეთებდა ასეთ განცხადებას, რის მიზეზად საბჭოთა ლიდერმა მოიყვანა ის ფაქტი, რომ დიონიცის ბრძანება ცალკეულ ნაწილებს შეიძლებოდა არ შეესრულებინათ და ამიტომ მას სურდა, მოცეადა მანამ, სანამ გერმანის კაპიტულაცია ძალაში შევიდოდა<sup>40</sup>. ეს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უნდა მომზდარიყო 8 მაისს, 24 საათსა და 00 წუთზე. სტალინმა ასევე აცნობა მოკავშირებას, რომ საბჭოთა კავშირში განცხადება გერმანიასთან ომის გამარჯვებით დასრულების შესახებ გაკთდებოდა ოთხშაბათს, 9 მაისს, საღამოს 7 საათზე<sup>41</sup>.

იყო თუ არა სტალინი ამ შემთხვევაში გულწრფელი მოკავშირეების წინაშე? ჩვენი აზრით, ის ამ წერილით ნიღბავდა თავისი მოქმედების ნამდვილ მიზანს. მას კარგად ესმოდა, რომ თუ ის გერმანის კაპიტულაციის შესახებ გამოაცხადებდა 8 მაისს, სანამ არ იქნებოდა ხელმოწერილი აქტი ბერლინში, ეს ერთგვარად და-ამცირებდა საბჭოთა კავშირის წვლილს გამარჯვებაში. ამაზე მეტყველებს კიდეც ჩვენს მიერ ზემოთ მოხსენიებული შეტყობინება უკავიადმი, რომელშიც სტალინი აცხადებს: „ომის ძირითადი სიმძიმე გადაიტანა საბჭოთა ხალხმა, და არა მოკავშირეებმა, ამიტომაც კაპიტულაცია ხელი უნდა მოეწეროს ანტიპიტლერული კოალიციის წევრი ყველა ქვეყნის უმაღლესი სარდლობის წინაშე, და არა მხოლოდ მოკავშირეთა უმაღლესი მთავარსარდლის წინაშე“.<sup>42</sup>

<sup>39</sup> Переписка.., т. I, გვ. 354.

<sup>40</sup> Переписка.., т. I, გვ. 356; Переписка.., т. II, გვ. 227-228.

<sup>41</sup> Переписка.., т. I, გვ. 356; Переписка.., т. II, გვ. 228. აღსანიშნავია, რომ სტალინმა არ შეასრულა თავისი პირობა და გამარჯვების შესახებ საბჭოთა კავშირში 9 მაისს დილადრიან გააკეთებინა განცხადება (იხ.: A. Werth. Russia at War, 1941-1945. New York, 1964, გვ. 969; А. Верт. Россия в войне. 1941-1945. М., 1967, გვ. 707).

<sup>42</sup> Г. К. Жуков. Воспоминания и размышления, გვ. 663-664.

აშკარაა, სტალინმა სწორედ იმიტომ გადადო 9 მაისამდე განცხადების გაკეთება, რომ მას არ სურდა, რაიმეთი მაინც ყოფილიყო დავალებული მოკავშირებისაგან, 8 მაისს ბერლინში ხელმოწერილი აქტის შემდეგ კი ეს ასე არ იქნებოდა<sup>43</sup>. ასე რომ, საბჭოთა ლიდერის ამგვარი მოქმედების შემდეგ კარლჰორსტის კაპიტულაცია უკვე აღმოჩნდა არა უბრალოდ რატიფიკაცია, არამედ სრულიად ოფიციალური აქტი. შედეგად, ჩვენ მივიღეთ ორი, პრაქტიკულად იდენტური დოკუმენტი, რომელთა შორის არის განსხვავება მხოლოდ მე-2 პუნქტში, სადაც საუბარი არის გერმანელი ჯარისკაცების მხრიდან მოკავშირეთა შეიარაღებული ძალებისა და ტექნიკისათვის ზიანის არმიენების შესახებ. აյ, საბჭოთა მხარის მოთხოვნით, ტექნიკის ჩამონათვალს დაემატა ფრაზა: „აპარატები და საერთოდ ომის საწარმოებული სამხედრო-ტექნიკური საშუალებები“.<sup>44</sup> მცირე განსხვავება არის დასკვნით, მე-6 მუხლშიც, თუმცა მას უკვე იძულებითი ხასიათი აქვს, რადგანაც აյ საუბარი

<sup>43</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს კიდევ ერთი თვალსაზრისი, თუ რატომ იქნა გადადებული საბჭოთა კავშირში გერმანიის კაპიტულაციის შესახებ განცხადების გაკეთება 9 მაისამდე. ამის მიზეზად ა. ვერთი მიიჩნევს იმას, რომ არ იყო განთავისუფლებული პრადა (იხ.: A. Werth. Russia at War, გვ. 969; A. Верт. Россия в войне, გვ. 707). ჩვენი აზრით, ეს არ არის მთლიად მართებული თვალსაზრისი, რადგანაც, როგორც უკვე აღვნიშნება როგორც თავად ვერთი იხსენიებს, განცხადება გერმანიის კაპიტულაციის შესახებ 9 მაისს გაკეთდა დილადრიან, როდესაც საბჭოთა ნაწილებს ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქი ჯერ კიდევ ბოლომდე არ ჰქონდათ აღებული. გარდა ამისა, თუ საბჭოთა მხარეს აწუხებდა პრაღის სასწრავოდ განთავისუფლების საკითხი, მაშინ ის მისცემდა უფლებას ამერიკელებს, გაეკეთებინათ ეს. ჯ. პატონის მე-3 არმიას ხომ რამდენიმე დღით ადრე შეეძლო ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში შესვლა. რასაკვირველია, სტალინის მოქმედება პოლიტიკური მოსაზრებებით იყო განპირობებული და ამის გამო ის წავიდა ზედმეტ მსხვერპლზე როგორც საბჭოთა ჯარისკაცებში, ისე პრაღის მოსახლეობაში, რომელმაც 5 მაისს აჯანყება დაიწყო (ИВМВ, т. 10, გვ. 352).

<sup>44</sup> შდრ.: World War II, Policy and Strategy, გვ. 427; **Ф. Погью.** Верховное командование, გვ. 497; Внешняя политика., т. 3, გვ. 261. ჩვენი აზრით, ეს არაფრისმომცემი ჩამატება საბჭოთა მხარეში მხოლოდ იმისთვის ჩააწერინა ტექსტში, რომ მოგვიანებით ბერლინის კაპიტულაცია გამოეცხადებინა ძირითად დოკუმენტად.

მიღის აუთენტურ ენებზე, რომლებადაც გამოცხადებულია რუსული და ინგლისური, მაშინ როდესაც რეიმსის კაპიტულაციის ტექსტში აუთენტურად მხოლოდ ინგლისური ენაა ჩაწერილი<sup>45</sup>. სამაგიეროდ, რეიმსისა და ბერლინის კაპიტულაციების მე-4 პუნქტი იძენტურია. არადა, ამ მუხლში მოყვანილი დებულებით, შესაძლებელი იყო აქტის შეცვლა სხვა დოკუმენტო კაპიტულაციის შესახებ<sup>46</sup>. ეს გვაძლევს ჩვენ საფუძველს, ვამტკიცოთ, რომ ეს ორი აქტი თანაბარი ძალის დოკუმენტია. რეიმსში ხელმოწერილი დოკუმენტი არის გერმანის კაპიტულაცია დასავლეთელი მოკავშირების წინაშე, ხოლო ბერლინში გაფორმებული აქტი – გერმანის კაპიტულაცია საბჭოთა კავშირის წინაშე. ჩვენი აზრით, სწორედ ამის დასტურია ეიზენჰაუერის ზემოთ უკვე მოყვანილი სიტყვები იოდლისადმი.

სტალინის მიერ გერმანის კაპიტულაციის გამოცხადების ერთი დღით გადავადებამ განაპირობა ის, რომ ევროპასა და აშშ-ში გერმანიაზე გამარჯვების დღედ ითვლება 8 მაისი, ხოლო აწ უკვე ყოფილ საბჭოთა კავშირში კი – 9 მაისი. ეს ჯერ კიდევ 1945წ. 8 მაისს აღნიშნა უინსტონ ჩერჩილმა თავის საზეიმო სიტყვაში: „ჩვენ დღეს (ე. ი. 8 მაისს – თ.პ.) ძირითადად ჩვენს თავზე ვფიქრობთ, ხვალ კი გადავუხდით მადლობას ჩვენს რუს მეგობრებს“<sup>47</sup>

რეიმსისა და ბერლინის აქტები მეტად ზოგადი დოკუმენტები იყო და ისინი მხოლოდ გერმანის სამხედრო კაპიტულაციას ეხებოდა, დეკლარაციას კი გერმანის დამარცხებისა და გერმანის ტერიტორიაზე უზენაესი ხელისუფლების თავის თავზე აღების შესახებ აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა – გ. უკროგმა, დ. ეიზენჰაუერმა, ბ. მონტგომერიმ და უ. დე ლატრ დე ტასინიმ – 1945წ. 5 ივნისს მოაწერეს ხელი ბერლინში. ამ დოკუმენტით, რომელიც პრემბულისა და 15 მუხლისაგან შედგებოდა, მოკავშირებმა გან-

<sup>45</sup> შდრ.: *World War II, Policy and Strategy*, გვ. 427; **Ф. Погью.** Верховное командование, გვ. 497; *Внешняя политика..*, т. 3, გვ. 262.

<sup>46</sup> შდრ.: *World War II, Policy and Strategy*, გვ. 427; **Ф. Погью.** Верховное командование, გვ. 497; *Внешняя политика..*, т. 3, გვ. 262.

<sup>47</sup> *Conditions of Surrender: Britons and Germans Witness the End of the War.* – Ed. by Ulrike Jordan. L., 1997, გვ. 146.

საზღვრეს გერმანიის ოკუპაციის პირობები. I პუნქტის თანახმად, გერმანიის შეიარაღებულ ძალებს უნდა შეეწყვიტათ ნებისმიერი სახის წინააღმდეგობა<sup>48</sup>, რაც, პრინციპში, უკვე ისედაც მომხდარი იყო. II მუხლით უნდა მომხდარიყო ყველა შენაეროის განიარაღება და გერმანიის 1937წ. 31 დეკემბრისათვის არსებულ საზღვრებში დაბრუნება<sup>49</sup>. III და IV პუნქტებით გერმანიის კუთვნილი ყველა თვითმფრინავი და გემი უნდა დარჩენილიყო დისლოკაციის ადგილზე და დალოდებოდა მოკავშირეთა ბრძანებას გადაადგილების შესახებ<sup>50</sup>.

დეკლარაციის V მუხლი შეიცავდა იმ დაწესებულებების, საგნებისა თუ ნივთების ზოგად ნუსხას (ფასტიკა-ქარხნები, ხომალდები, თვითმფრინავები, დოკუმენტები, ნახაზები, გადაზიდვის საშუალებები და ა.შ.), რომლებიც გერმანელებს უნდა გადაეცათ მოკავშირეებისათვის. გარდა ამისა, ისინი ვალდებული იყვნენ, გამოეყოთ საკმარისი რაოდენობით მუშა-ხელი ობიექტების ექსპლუატაციისა თუ შენარჩუნებისათვის<sup>51</sup>. დეკლარაციის VI პუნქტი ავალდებულებდა გერმანელებს მათ ხელო მყოფი ყველა სამხედრო ტყვისა თუ უცხო ქვეყნების მოქალაქეების განთავისუფლებას და თავისუფლების აღმკვეთი დაწესებულებების მოკავშირეთა კონტროლქვეშ გადაცემას<sup>52</sup>. VII მუხლით გერმანელებს უნდა გადაეცათ მოკავშირეებისათვის სრული ინფორმაცია შეიარაღებული ძალებისა და დანაღმული ტერიტორიების შესახებ<sup>53</sup>.

დეკლარაციის VIII პუნქტი კრძალავდა რაიმე ზიანის მიყენებას ნებისმიერი სამხედრო თუ სამოქალაქო ქონებისა და დოკუმენტებისათვის<sup>54</sup>. IX მუხლით კავშირგაბულობის ყველა საშუალება უნდა გადასცემოდა მოკავშირეებს, მანამდე კი მათი ფუნქციონირება უნდა შეწყვეტილიყო, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას თავად მოკავშირეები მოისურვებდნენ<sup>55</sup>. X პუნქტით

<sup>48</sup> Советско-французские отношения..., т. II, გვ. 335.

<sup>49</sup> Советско-французские отношения..., т. II, გვ. 335-336.

<sup>50</sup> Советско-французские отношения..., т. II, გვ. 336.

<sup>51</sup> Советско-французские отношения..., т. II, გვ. 337.

<sup>52</sup> Советско-французские отношения..., т. II, გვ. 338.

<sup>53</sup> Советско-французские отношения..., т. II, გვ. 338-339.

<sup>54</sup> Советско-французские отношения..., т. II, გვ. 339.

<sup>55</sup> Советско-французские отношения..., т. II, გვ. 339.

დეკლარაციის უფლებამოსილება ვრცელდებოდა მთელ სამხედრო ქონებაზე, რომელიც გერმანიის ტერიტორიაზე გააჩნდა მოკავშირეთა წინააღმდეგ მეომარ ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს<sup>56</sup>. XI მუხლი ეხებოდა ნაცისტების ლიდერებს, რომლებიც უნდა დაეპატიმრებინათ მოკავშირეთა მოთხოვნების შესაბამისად. გარდა ამისა, გერმანელებს უნდა გადაეცათ ყველა პირი, განურჩევლად მისი მოქალაქეობისა (თუნდაც ის ყოფილიყო გაერთიანებული ერების წევრი სახელმწიფოს მოქალაქე – თ.პ.), ვისაც ჩადენილი ჰქონდა დანაშაული საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობის წინაშე<sup>57</sup>.

დეკლარაციის XII პუნქტით მოკავშირები უფლებას იტოვებდნენ, განელაგებინათ შეიარაღებული ძალები სურვილის მიხედვით გერმანიის მთელ ტერიტორიაზე<sup>58</sup>. XIII მუხლით მოკავშირები აცხადებდნენ, რომ აუცილებლობის შემთხვევაში განახორციელებდნენ ნებისმიერ ზომას გერმანიის წინააღმდეგ, რომელსაც ჩათვლიდნენ საჭიროდ შშვიდობისა და უსაფრთხოების შესანარჩუნებლად. გარდა ამისა, ისინი იტოვებდნენ გერმანიისათვის მომავალში დამატებითი მოთხოვნების წაყენების უფლებას<sup>59</sup>. XIV და XV პუნქტებით განსაზღვრული იყო დეკლარაციის ძალაში შესვლის ორიღი და მისი ტექსტის აუთენტურობის დამადასტურებელი ენები – ინგლისური, რუსული და ფრანგული<sup>60</sup>.

გარდა დეკლარაციისა, იმავე დღეს ხელი მოეწერა შეთანხმებებს გერმანიის საოკუპაციო ზონებად დაყოფისა<sup>61</sup> და საკონტროლო მექანიზმის შექმნის შესახებ<sup>62</sup>. გერმანია დაიყო 4 საოკუპაციო ზონად: აღმოსავლეთში უზენაესი ხელისუფლება უნდა განეხორციელებინა საბჭოთა კავშირს, ჩრდილო-დასავლეთში – დიდ ბრიტანეთს, სამხრეთ-დასავლეთში – ამერიკის შეერთებულ შტატებს, დასავლეთში კი – საფრანგეთს. ე.წ. „დიდი ბერლინის“ რაიონს ოთხივე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები დაიკავებ-

<sup>56</sup> Советско-французские отношения..., т. II, გვ. 339.

<sup>57</sup> Советско-французские отношения..., т. II, გვ. 339-340.

<sup>58</sup> Советско-французские отношения..., т. II, გვ. 340.

<sup>59</sup> Советско-французские отношения..., т. II, გვ. 340.

<sup>60</sup> Советско-французские отношения..., т. II, გვ. 340-341.

<sup>61</sup> Советско-французские отношения..., т. II, გვ. 343.

<sup>62</sup> Советско-французские отношения..., т. II, გვ. 341-342.

დნებ და მის სამართავად უნდა შექმნილიყო ცალკე კომენდატურა, რომელშიც შევიდოდა ოთხივე სახელმწიფოს თითო-თითო წარმომადგენელი<sup>63</sup>. საკონტროლო მექანიზმის შესახებ შეთანხმებით განისაზღვრა, რომ შეიქმნებოდა საკონტროლო საბჭო, რომელშიც შევიდოდნენ მოკავშირეთა საოკუპაციო ძალების სარდლები, რომლებიც, ამავდროულად, იქნებოდნენ თავიანთი საოკუპაციო ზონების უზენაესი ხელისუფლები. გადაწყვეტილებები საკონტროლო საბჭოს უნდა გამოეტანა კონსენსუსის საფუძველზე<sup>64</sup>.

5 ივნისს ხელმოწერილი დოკუმენტებით დაიწყო გერმანიის ოკუპაცია. საომარი მოქმედებები ევროპაში ოფიციალურად შეწყდა. მოკავშირეებს სამხედრო თვალსაზრისით რჩებოდათ მხოლოდ ერთი მოწინააღმდეგე – იაპონია, თუმცა ომი აღმოსავლეთში და-სასრულს უახლოვდებოდა. 1945წ. 2 სექტემბერს იაპონიამ ასევე მოაწერა ხელი უპირობო კაპიტულაციას<sup>65</sup>, რითაც მეორე მსოფლიო ომი უკვე საბოლოოდ დასრულდა.

<sup>63</sup> Советско-французские отношения..., т. II, გვ. 343.

<sup>64</sup> Советско-французские отношения..., т. II, გვ. 341.

<sup>65</sup> ბექსი იხ.: *World War II, Policy and Strategy*, გვ. 435-436; *Сборник действующих договоров, соглашений и конвенций, заключенных СССР с иностранными государствами*. Вып. XI, М., 1955, გვ. 137-139.

## Т. З. ПАПАСКИРИ

### КАПИТУЛЯЦИЯ ГЕРМАНИИ

В статье на основе анализа соответствующих первоисточников – документальных материалов и мемуаров, а также специальной литературы, освещены последние дни войны в Европе. 7 мая 1945г., в 2 часа 41 минут утра в Реймсе ген. А. Йодль с немецкой стороны и ген. Б. Смит со стороны союзников подписали акт о капитуляции Германии. Военные действия должны были прекратиться 8 мая, в 24:00. 8 мая 1945г., в 23 часа 45 минут, в пригороде Берлина Карлхорсте была подписана вторая безоговорочная капитуляция Германии, в этот раз уже перед Советским Союзом. Данный документ назывался идентично Реймскому – Акт о военной капитуляции Германии и его подписали заместитель Верховного Главнокомандующего вооруженных сил СССР маршал Георгий Жуков и глава Штаба Высшего Командования Вермахта фельдмаршал Вильгельм Кейтель.

После войны среди историков начался и продолжается по сей день спор о том, какая из капитуляций была главной, а какая формальной. Западные исследователи основной считают как раз Реймскую капитуляцию, Берлинскую же называют лишь „церемонией“, и то перед советским командованием, в то время как советские историки единодушно утверждали, что в Реймсе был подписан лишь предварительный протокол, а в Берлине – официальный акт. Официальной же советской версией стала упоминаемая в мемуарах Жукова справка о том, что Сталин согласовал вопрос с союзниками, и было решено счесть Реймскую капитуляцию предварительным актом.

Между тем, никакого соглашения по данному вопросу между лидерами „Большой Тройки“ не было. Стороны договорились лишь о том, что заявление о капитуляции Германии прозвучало бы в СССР на день позже, после вступления в силу Реймского акта. Однако фальсификация фактов советскими историками не ограничивается только мемуарной конъ-

юнктурой, которая часто субъективна и может быть вызвана тенденциозностью самого автора. Практически все советские исследователи называли подписанный в Берлине документ „**Заключительным** актом о капитуляции Германии“, несмотря на то, что во всех официально изданных в СССР сборниках документов, данная капитуляция, подобно Реймской, озаглавлена следующим образом: „Акт о военной капитуляции Германии“.

Очевидно, Сталин скрывал истинные причины переноса объявления о капитуляции Германии. Он прекрасно понимал, что такой шаг до подписания акта в Берлине, принизил бы роль СССР в победе над Третьим Рейхом. После же подписания 8 мая акта в Берлине ситуация изменилась, и Карлхорстская капитуляция из просто ратификации превратилась в совершенно официальный акт. В итоге, получилось так, что эти два акта в правовом отношении имеют равную силу: подписанный в Реймсе документ является капитуляцией Германии перед Западными союзниками, а акт, оформленный в Берлине – капитуляцией Германии перед Советским Союзом.

Перенос Сталиным на один день объявления о капитуляции Германии и определил то обстоятельство, что в Европе и США днем победы над Германией считается 8 мая, а в теперь уже бывшем Советском Союзе – 9 мая.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება  
აფხაზეთის ორგანიზაცია  
საისტორიო ძეგლი, 7, 2004

## პ რ ი ტ ი პ ა , ბ ი ბ ლ ი მ ბ რ ა ვ ი ა

### ზურაბ პაპასეირი

#### ს ა ი დ ტ ე რ ე ს ი რ ი ნ ა შ რ ი ს ი ს ტ რ ი ა ზ ე

##### რ ე ც ე ნ ზ ი ა

შ ა ლ ვ ა ვ ლ ი რ ე ს ი ს ა კ ა ნ დ ი დ ა ტ რ ი დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა ზ ე :  
„ა ფ ხ ა ზ თ ა ს ა მ ე ფ ვ ი ა“

„ა ფ ხ ა ზ თ ა“ ს ა მ ე ფ ი ა დ წ ი რ დ ე ბ უ ლ ი დ ა ს ა ვ ლ უ რ -ქ ა რ თ უ ლ ი ს ა -  
ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს წ ა რ მ ი ქ მ ნ ა -გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა , მ ი ს ი ე თ ნ ი რ -კ უ ლ ტ უ რ უ ლ ი დ ა  
პ ი ლ ი ტ ი კ უ რ ი ი ს ტ ი რ ი ი ს ს ა კ ი თ ხ ე ბ ი დ ი დ ი ხ ა ნ ი ა ი ქ ც ე ვ ს მ კ ვ ლ ე -  
ვ ა რ თ ა ს ა გ ა ნ გ ე ბ ი ყ უ რ ა დ ლ ე ბ ა ს . მ ა რ თ ა ლ ი ა , ი ს ტ ი რ ი კ ი ს თ ა ა რ ა ე რ თ ი  
თ ა ბ ი ს ნ ა ყ ი რ ი მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი კ ვ ლ ე ვ ი ს შ ე დ ე გ ა დ ქ ა რ თ უ ლ ი ს ტ ი რ ი  
ი მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ა დ ყ უ ვ ე ლ მ ხ რ ი ვ ა რ გ უ მ ე ნ ტ ი რ ე ბ უ ლ ი შ ე ხ ე დ ე ლ ე ბ ა „ა ფ ხ ა ზ თ ა“  
ს ა მ ე ფ ი ს ე თ ნ ი კ უ ლ ტ უ რ უ ლ ი დ ა პ ი ლ ი ტ ი კ უ რ -ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს ტ ი რ ი ვ  
ი ე რ -ს ა ხ ე ზ ე , ნ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ი ა მ ი ს ი რ ი ლ ი დ ა ა დ გ ი ლ ი ს ა ე რ თ ო -  
ქ ა რ თ უ ლ პ ი ლ ი ტ ი კ უ რ ს ა მ ყ ა რ მ შ ი , მ ა გ რ ა მ ი ნ ტ ე რ ე ს ი ა ღ ნ ი შ ნ უ ლ ი  
პ რ ი ბ ლ ე მ ი ს შ ე მ დ გ მ მ ი გ ა ლ რ მ ა ვ ე ბ უ ლ ი შ ე ს წ ა ვ ლ ი ს ა დ მ ი ჯ ე რ კ ი დ ე ვ  
დ ი დ ი ა , უ კ ა ნ ა ს კ ე ლ პ ე რ ი ი მ დ ე ბ ლ ი კ ი , შ ე ი დ ლ ე ბ ა ი თ ქ ვ ა ს , ე რ თ ი -ო რ ა დ  
გ ა ი ზ ა რ დ ა . ე ს , პ ი რ ვ ე ლ რ ი გ შ ი , გ ა ნ ა პ ი რ ი ბ ა ა რ ა ი მ დ ე ნ ა დ მ ე ც ნ ი ე -  
რ უ ლ მ ა ა უ ც ი ლ ე ბ ლ ი ბ ა მ , რ ა მ დ ე ნ ა დ ა ც პ ი ლ ი ტ ი კ უ რ მ ა ფ ა ქ ტ ი რ ე ბ მ ა .  
კ ე რ ი დ , ა ფ ხ ა ზ უ რ ი ს ე პ ა რ ა ტ ი ს ტ უ ლ ი ე წ . „ი ს ტ ი რ ი ი მ რ ა ფ ი ს “ მ ხ რ ი -  
დ ა ნ „ა ფ ხ ა ზ თ ა“ ს ა მ ე ფ ი ს თ ე მ ი თ გ ა უ თ ა ვ ე ბ ე ლ მ ა ს პ ე კ უ ლ ი რ ე ბ ა მ .

ს ა ყ ვ ე ლ თ ა ო დ ც ნ ი ბ ი ლ ი ა , რ ო მ ს ე პ ა რ ა ტ ი ს ტ უ ლ ა დ გ ა ნ წ ყ რ ი -  
ბ ი ლ ი ა ფ ხ ა ზ ი ი ს ტ ი რ ი კ ი ს -პ ი ლ ი ტ ი კ ი ს ე ბ ი ყ უ ვ ე ლ ნ ა ი რ ა დ ც დ ი ლ ო -  
ბ ე ნ თ ა ვ ე ს მ მ ა ხ ვ ი მ ს ს ა ზ ო გ ა დ ლ ე ბ ა ს ფ ა ლ ს ი ფ ი კ ა ტ ი რ უ ლ ი თ ე ზ ი ს ი  
ი მ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ , რ ო მ „ა ფ ხ ა ზ თ ა“ ს ა მ ე ფ ვ ი ყ უ რ ა დ გ ა ი ს ტ ი რ ი ი მ რ ა ფ ი ს “ მ ხ რ ი -  
დ ა ნ „ა ფ ხ ა ზ თ ა“ ს ა მ ე ფ ი ს თ ე მ ი თ გ ა უ თ ა ვ ე ბ ე ლ მ ა ს პ ე კ უ ლ ი რ ე ბ ა მ .

მწიფო, რომლის სამართალმემკვიდრეს თითქოს წარმოადგენს ამ-  
ჟამინდელი აფხაზეთის თვითაღიარებული რესპუბლიკა. აფხაზური  
სეპარატისტული „ისტორიოგრაფიის“ ეს მტკიცება ვერავითარ  
კრიტიკას ვერ უძლებს. ის იმდენად საფუძველს მოკლებული და  
არასერიოზულია, რომ, ერთი შეხედვით, არც არის ღირსი აკა-  
დემიური პასუხისა. მაგრამ არც ის იქნებოდა გამართლებული,  
რომ საქართველოს მტრების ეს აღვირახსნილი „ისტორიოგრა-  
ფიული“ თარეში მოლად უპასუხოდ დაგვეტოვებინა. გარდა ამი-  
სა, გასათვალისწინებულია ის გარემობაც, რომ თავისთავად არც  
ისტორიული მეცნიერებაა ერთ ადგილზე გაჩერებული და ნების-  
მიერი პრობლემა, მათ შორის თვით ყველაზე ამომწურავდ და-  
მუშავებულიც კი, შემდგომ შესწავლას საჭიროებს. ასეთ პრობ-  
ლემათა რიცხვს მიეკუთვნება „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიაც, რო-  
მელსაც ეძღვნება შალვა გლოველის სადისერტაციო ნაშრომი.

შ. გლოველის მიერ შესრულებული სამუშაო, მისივე სამართ-  
ლიანი შენიშვნით, წარმოადგენს „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიის  
მონოგრაფიულ გამოკვლევას. ამასთან, იმთავითვე უნდა აღვნიშ-  
ნოთ, რომ ეს ნამდვილად არ არის ამ პოლიტიკური ერთეულის  
მონოგრაფიული შესწავლის პირველი ცდა. ამგვარი სამუშაო კარ-  
გა ხანია ჩატარებულია. თავდაპირველად, პროფ. ზურაბ ანჩაბაძემ  
თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში შუა საუკუნეების აფხაზეთის  
ისტორიულ წარსულზე სპეციალური თავი მიუძღვნა „აფხაზთა“  
სამეფოს ისტორიას<sup>1</sup>, ხოლო შემდგომ აკად. მარიამ ლორთქიფა-  
ნიძემ სადოქტორო დისერტაციაში ასევე ცალკე თავად გამოყო  
„აფხაზთა“ სამეფო<sup>2</sup>. ეს ორი ნაშრომი, ჩვენი აზრით, შეიძლება  
ჩათვალოს „აფხაზთა სამეფოს“ ისტორიის ყოველმხრივი, მონო-

<sup>1</sup> 3. В. Аничабадзе. Из истории средневековой Абхазии. Сухуми, 1959, გვ. 95-159.

<sup>2</sup> მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გა-  
ერთიანება. თბ., 1963, გვ. 176-200; მ. ლორთქიფანიძის ეს ნაშრომი,  
როგორც ცნობილია, გადამუშავებული სახით შესულია „საქართვე-  
ლოს ისტორიის ნარკვენების“ II ტომის ქართულ (მ. ლორთქიფანი-  
ძე. ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა. – საქართველოს  
ისტორიის ნარკვენები, ტ. II. თბ., 1973, გვ. 416-445) და რუსულ (М.  
Д. Лордкипанидзе. Возникновение новых феодальных государств. – წგნ.:  
Очерки истории Грузии, т. II. Тб., 1988, გვ. 280-306) გამოცემებში.

გრაფიული შესწავლის პირველ ცდად. მათში დასმული და სათანადო მეცნიერული კომპეტენტურობითაა განხილული „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიის ყველა საკვანძო საკითხი. გარდა ამისა, „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიის ცალკეული საკითხები საფუძვლი-ანადაა დამუშავებული სხვა ქართველ მკვლევართა შრომებშიც<sup>3</sup>.

ყოველივე ეს, ბუნებრივია, რამდენადმე ართულებდა ახალ-გაზრდა მკვლევარის მუშაობას, თუმცა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მან წარმატებით გაართვა თავი ამ სირთულეს და შეძლო ორიგინალური ნაშრომის შექმნა „აფხაზთა“ სამეფოზე.

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლის, 5 თავისა (ამათგან მე-5 თავი დაყოფილია 5 პარაგრაფად) და დასკვნისაგან. ნაშრომს დართული აქვს დამოწმებული საისტორიო წყაროებისა და სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის საკმაოდ ვრცელი სია (სულ 337 დასახელების), რომელშიც შესულია გამოცემები ქართულ, რუსულ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე.

შესავალში მოცემულია საკვლევი თემის აქტუალობის დასაბუთება. აქვე მოკლედაა მიმოხილული პრობლემის ირგვლივ არსებული ისტორიოგრაფიული მექანიზმებით. ნაშრომის პირველ თავში გადმოცემულია „აფხაზთა“ სამეფოს წარმოქმნის ისტორია. დისერტაციის სწორად აღნიშნავს, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული პოლიტიკური ერთეულის სახელწოდებასთან დაკავშირებით არაერთგაროვანი მიღება და „ეგრის-აფხაზების სამეფოსა“<sup>4</sup> და „ლიხსიქეთის სამეფოსთან“<sup>5</sup> შედარებით სავსებით მართებულად უპირატესობას ანიჭებს სახელწოდებას – „აფხაზთა სამეფო“. ერთია მხოლოდ, ჩვენ ვთვლით, რომ მოცემულ სახელწოდებაში წინწკლებში უნდა მოვაქციოთ არა გამოთქმა – „აფხაზთა სამეფო“ მთლიანად, როგორც ეს თითქმის საყოველთაოდაა მიღებული ისტორიოგრაფიაში, არამედ მხოლოდ სიტყვა „აფხაზთა“. „აფხაზთა“ სამეფოს მთლიანად წინწკლებში მოქ-

<sup>3</sup> ზ. პაპასქირი. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკ. I. უძველესი დროიდან 1917 წლამდე. თბ., 2004, გვ. 37-55. იქვე შესაბამისი ლიტერატურა.

<sup>4</sup> მ. ლორთქიფანიძე. ახალი ფეოდალური სამთავროების..., გვ. 341.

<sup>5</sup> ა. აბდალაძე. ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა ურთიერთობა IX-XI საუკუნეებში. თბ., 1988, გვ. 41.

ცევით ჩვენ ერთგვარად, ეჭვის ქვეშ ვაყენებთ თვით სამეფოს არ-სებობის რეალურობას. არადა, ამ შემთხვევაში სწორედ სიტყვა „აფხაზთა“ არ შეესაბამება თავის რეალურ შინაარსს და საჭიროებს დამატებით განმარტებას, რის გამოც აუცილებელია მისი წინწკლებში ჩასმა. რაც შეეხება სიტყვა „სამეფოს“ ან „მეფეს“ (გამოთქმა „აფხაზთა“ მეფე-ში), აქ ყველაფერი გარკვეულია – „აფხაზთა“ სამეფო ნამდვილად იყო სამეფო, რომელსაც მართავდა მეფის ტიტულის მატარებელი სუვერენული ხელმწიფო.

ნაშრომის ამ თავში დისერტანტი საკმაოდ დაწვრილებით მიმოიხილავს დასავლეთ საქართველოში VIIIს. 30-იან წლებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. ის სწორად აღნიშნავს, რომ მირისა და არჩილის მოღვაწეობა იყო დასაწყისი „ქართული სახელმწიფოს ახალი ფორმით“ აღდგენისა. ასევე მართებულია დასკვნა აფხაზეთის ერისთავის – ლეონ I-ის არჩილთან ვასალურ ურთიერთობაში შესვლის შესახებაც, მაგრამ ვერ გავიზიარებთ დისერტანტის დასკვნას თითქოს ეს ყოფილიყოს უბრალოდ „ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება“, რომელიც მოგვიანებით დაედო დასავლეთ საქართველოში ახალი ქართული სახელმწიფოს (იგულისხმება „აფხაზთა“ სამეფო) შექმნას. აქ ჩვენ საქმე გვაქვს უფრო დიდ მოვლენასთან – ბიზანტიის ხელდებული მხარის – აფხაზეთის ინტეგრირებასთან საერთო-ქართულ (ანუ ქართლ-ეგრისის) პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სივრცეში.

საინტერესოა დისერტანტის დაკვირვებები „აფხაზთა“ სამეფოს შექმნის დროის შესახებ. ის მხარს უჭერს ლეონ II-ის გამეფების ვახუშტისეულ დათარიღებას (786წ.)<sup>6</sup> და „აფხაზთა“ სამეფოს შექმნას ისტორიოგრაფიაში მიღებული VIIIს. მიწურულის ნაცვლად<sup>7</sup> VIIIს. 80-იანი წლებით ათარიღებს. სავსებით სწორია შ. გლოველის ხაზგასმა იმაზე, რომ „აფხაზეთის ერისთავის“ ევიდო „ეგრის-აფხაზეთის გაერთიანება გამოწვეული იყო საერთო ინტერესებით“ და რომ გაერთიანებისას ეგრის-აფხაზეთს

<sup>6</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – ქართლის ცხოვრება, გ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. გაუხსიშვილის მიერ. ობ., 1973, გვ. 127, 795-796.

<sup>7</sup> С. Н. Джанашия. О времени и условиях возникновения Абхазского царства. – წგნ.: ს. ჯანაშია. შრომები. II. ობ., 1952, გვ. 339.

შორის რაიმე სერიოზულ დაპირისპირებას არ შეიძლება ადგილი ჰქონოდა. მკვლევარი ასევე მართებულად მიიჩნევს „დიდ შეცდო-მად“ იმის მტკიცებას, თითქოს ლეონ II-ს ხაზარები ეგრისის დასაპყრობად გამოეყენებინოს. ასევე სწორია დისერტანტის გან-მარტება, რომ ქართველი მემატიანე „დაპყრობაში“ გულისხმობს ხელისუფლების აღებას „დაუფლებას“ უკვე გაერთიანებულ ეგ-რის-აფხაზეთში და არა აფხაზეთის მიერ ეგრისის დაპყრობას, როგორც ეს სურს წარმოაჩინოს ზოგიერთ აფხაზ ისტორიკოსს<sup>8</sup>.

რაც შეეხება დისერტანტის მტკიცებას, თითქოს უკვე ეგ-რის-აფხაზეთის გაერთიანება აფხაზეთის მთავრის ხელისუფლე-ბის ქვეშ (VIIIს. 80-იანი წლების დამდეგისათვის), იყო ანტიბი-ზანტიური აქტი და ის არ შეიძლებოდა მომხდარიყო იმპერიის სანქციოთ, ეს, ჩვენი აზრით, მეტ არგუმენტაციას მოითხოვს. ამ შემთხვევაში, არ მიგაჩნია მთლად გამართლებულად აქცენტის გაკეთება ბიზანტიის სამინაო-პოლიტიკურ ცხოვრებაში განვითა-რებულ კრიზისულ მოვლენებზე (ხატმებრძოლება), როთაც თით-ქოს ისარგებლა აფხაზეთის ერისთავმა და კონსტანტინოპოლის სურვილის საწინააღმდეგოდ გააგრთიანა ეგრის-აფხაზეთი თავისი ხელისუფლების ქვეშ. ჩვენი აზრით, ამ მოვლენის შეფასებისას, პირველ რიგში, გათვალისწინებული უნდა იქნეს არა ბიზანტიის იმპერიის შიგნით მიმდინარე მოვლენები, არამედ ვითარება საერ-თაშორისო არებაზე, კერძოდ კი ბიზანტია-არაბების დაპირისპი-რების ხასიათი და ქართული პოლიტიკური სამყაროს ადგილი ამ დაპირისპირებაში. თუ ამ რეალობიდან გამოვალთ, სრულიად ცხადი ხდება, რომ VIIIს. 60-იანი წლებიდან მაინც, არა თუ არ-ჩილის „სამეფო“ სახლი, რომლის წევრიც გახდა VIIIს. 30-იან წლებში „ერისთავი კეისრისა“ ლეონ, არამედ, როგორც ჩანს, თვით არაბების მიერ აღზევებული ადარნასე ბაგრატიონის ხელისუფლე-ბა განუდგა სახალიფოს და პრობიზანტიურ ორიენტაციას დაადგა (ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია ადარნასე ბაგრატიონის კურა-პალატის ტიტულით მოხსენიება). როგორც ცნობილია, ამ მხრივ კიდევ უფრო შორს წავიდა ნერსე ერისთავი, რომელსაც გამოკ-ვეთილი ანტიარაბული პოლიტიკის გამო ხალიფაშ საერთოდ ჩა-

<sup>8</sup> **М. М. Гунба.** Абхазия в I тысячелетии. Социально-экономические и по-литические отношения. Сухуми, 1989, გვ. 243.

მოართვა ერისმთავრის ტახტი. ასეთ მკვეთრად გამოხატული ან-ტიარაბული კონიუნქტურის პირობებში ძნელი წარმოსადგენია, ვი-ვარაუდოთ რაიმე კონფრონტაცია ბიზანტიასა და ქართულ პოლი-ტიკურ სამყაროს შორის (ამას ფაქტობრივად გამორიცხავს იოვა-ნე საბანისძის ოხზულების საერთო სულისკვეთება). აფხაზეთის ერისთავის მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით გაბატო-ნება კი, ჩვენი აზრით, მოხდა იოვანე არჩილის-ძის (რომელიც ეგ-რისის მმართველად ითვლებოდა) გარდაცვალების შემდეგ და ეს მთლიანად სტეფანოზ-არჩილის „სამეფო“ სახლის შიდა დინასტი-ური მოვლენა იყო. ერთი სიტყვით, ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ არაა აუცილებელი ეგრის-აფხაზეთის აფხაზეთის მთავრის ხელი-სუფლების ქვეშ მოქცევა, რომელიც VIIIს. დამდეგისათვის ნამდვი-ლად მომხდარი ფაქტია, განვიხილოთ ანტიბიზანტიურ აქტად. სხვა საქმეა ამ გაერთიანებული ქვეყნის მეთაურის ლეონ II-ის განდ-გომა იმპერიისაგან და მის მიერ სახელმწიფოებრივი სუვერენი-ტეტის ატრიბუტის – მეფის ტიტულის მიღება, რომელიც, მარ-თლაც ერთნიშნად, ურტყამდა კონსტანტინოპოლის ინტერესებს.

სადისერტაციო ნაშრომის მე-2 თავი ეძღვნება „აფხაზთა“ სამეფოს საზღვრებსა და ტერიტორიულ დაყოფას. მასში განსა-კუთრებული ყერადღებაა გამახვილებული „აფხაზთა“ სამეფოს სამხრეთ საზღვარზე და ამასთან დაკავშირებით საგანგებოდაა გაანალიზებული „აბო ტფილელის მარტვილობისა“ და სხვა წყაროთა მონაცემები ტრაპეზუნტის მხარის „აფხაზთა“ სამეფო-სადმი დამკიდებულების შესახებ. ავტორი, ჩვენი აზრით, საკმარ დამაჯერებლობით ასაბუთებს იმას, რომ „აბო ტფილელის მარტ-ვილობის“ შესაბამისი ცნობა გულისხმობს ტრაპეზუნტისა და მისი შემოგარენის მოქცევას „აფხაზთა“ სამეფოს ფარგლებში.

ამავე თავში, ხაზგასმულია, რომ შიდა ქართლზე „აფხაზ-თა“ სამეფოს კონტროლის დამყარების შემდეგ „ქართლის ერის-თავად“ დაინიშნა ტახტის მემკვიდრე კონსტანტინე, რაც დისერ-ტანტის მართებული შენიშვნით ამ რეგიონის განსაკუთრებულ მნიშ-ვნელობაზე მოუთოებს. ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ შიდა ქართ-ლის მართვის სადაცემის უფლისწულებისათვის ჩაბარების ტრა-დიცია, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ IXს. 60-იანი წლებიდან „აფხაზთა“ მეფის გიორგი I „აღწეფელის“ დროიდან იღებს სა-

თავეს და ამის აღნიშვნაც იყო საჭირო. ამასთან უშუალოდაა დაკავშირებული ე.წ. – „ჩიხის საერისთავოსა“ და „ჩიხის ერის-თავის“ სტატუსის საკითხი. დისერტაციი იხილავს „მატიანე ქართლისადს“ ცნობას „აფხაზთა“ მეფე გიორგი I-ის მიერ ქართლის დაპყრობისა და „ერისთავად ჩიხას ძე დემეტრესი“-ს დატოვების შესახებ. ქართულ ისტორიოგრაფიაში, „მატიანე ქართლისად“-ს ამ ცნობაში დაფიქსირებულ ერისთავად მიიჩნევენ ბაგრატ დემეტრეს ძეს გიორგი I-ის ძმისწულს<sup>9</sup>, რომელიც მოგვიანებით, იმავე ქრონიკის ცნობით, გიორგი I-ის ქვრივმა და ომანე შავლიანმა „შთააგდეს... ზღვასა“ და სასიკვდილოდ გაწირეს.

შ. გლოველი უკრიტიკოლ იღებს ამ ოვალსაზრისს და ასევე ასკვნის, რომ ჩიხას დატოვებული ერისთავი არის ბაგრატ დემეტრეს ძე. ჩვენ არა ვართ დარწმუნებული, რომ „ძე დემეტრესი“, რომელიც გიორგი I-მა „დაუტევა ერისთავად ჩიხას“ და „ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერქუა ბაგრატ, რომელი იცნობების ექსორიაქმნილობით“ მაინცდამაინც ერთი და იგივე პიროვნებაა. „მატიანე ქართლისად“-ს აღნიშნული ცნობა, ჩვენი აზრით, არ გვაძლევს ამის ასე დაბეჯითებით მტკიცების საშუალებას. ოვალსაჩინოებისათვის საჭიროდ მივიჩნევთ მოვიყვანოთ „მატიანეს“ ტექსტის შესაბამისი ნაწილი სრულად: „მას უამსა გამოვიდა გიორგი, აფხაზთა მეფე, მმა ოეოდოსესი და დემეტრესი, ძე ლეონისი; დაიპრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ძე დემეტრესი, და ვითარ გარდაიცვალა გიორგი აფხაზთა მეფე, დარჩა ძე დემეტრესი მცირე, რომელსა ერქუა ბაგრატ, რომელი იცნობების ექსორია-ქმნილობით. და ცოლმან გიორგი მეფისამან მოკლა ძე დემეტრესი, ერისთავი ჩიხისა. და ეცრუა იგი ივანე მთავარსა შავლიანსა, და შთააგდეს ბაგრატ ზღუასა. ხოლო ღმერთმან განარინა იგი, და მიიწია ქალაქად კოსტანტინეპოლედ“.<sup>10</sup> ჩვენი აზ-

<sup>9</sup> ი. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. II. თბ., 1965, გვ. 100; ბ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VIII. თბ., 1990, გვ. 354; მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება..., გვ. 517; მ. ბახტაძე. ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში. თბ., 2003, გვ. 127.

<sup>10</sup> მატიანე ქართლისა. – ქართლის ცხოვრება. ტ. I. ტექსტი დადგენილი ყელა მირთადი ხელნაწერის მიხედვით ს. გაუხშიშვილის მიერ. თბ., 1955, გვ. 258.

რით, აქ აშკარად დემეტრე „აფხაზთა“ მეფის ორ ძებუა საუბარი. აქედან ერთია ის, რომელიც გიორგი I-მა „დაუტევა ერისთავად ჩიხას“ და რომელიც მოკლა გიორგი I-ის ქვრივმა, ხოლო მეორე, რომელიც ჯერ კიდევ იყო მცირეწლოვანი და „რომელსაც ერქუა ბაგრატ“. „მატიანე ქართლისად“-ს ტექსტის ამგვარ გაგებას უჭერს მხარს ვახუშტი ბატონიშვილი, რომელიც სრულიად გარკვევით წერს, რომ: „უამსა ამას გამოვიდა მეფე აფხაზთა და დაიპყრა ქართლი და დაუტევა ერისთავად ჩიხას ტინენ ძე დიმიტრისა. ხოლო შემდგომად, გარდაიცვალა რა გიორგი მეფე აფხაზთა, ცოლმან მისმან მოკლა ტინენ ძე დიმიტრისა და ეცრუა იოანე მთავარსაცა და შთააგდეს ძე დიმიტრისავე ბაგრატ ზღუასა შინა“.<sup>11</sup> ამ ინფორმაციას კიდევ უფრო აზუსტებს ვახუშტი ბატონიშვილი თავისი თხზულების სხვა ადგილის. ის წერს: „ამისთვის შეიძყრა (გიორგი I-ის ქვრივმა – ზ.პ.) ძე დიმიტრისა ერისთავი ჩიხისა ტინენ და მოკლა იგი და უმრწემესი ძე დიმიტრისავე ბაგრატ მცირე ჰასაკითა ექსორია ჰყო და მოგზაური ბაგრატ შთააგდეს ზღვასა შინა“.<sup>12</sup>

ამრიგად, ეჭვს გარეშეა, რომ ვახუშტი ბატონიშვილს ჰქონდა სავსებით ძვაფით წარმოდგენა იმის შესახებ, რომ დემეტრე „აფხაზთა“ მეფეს ჰყავდა ორი ძე: ერთი – ტინენ, რომელიც თავისმა ბიძამ „აფხაზთა“ მეფე გიორგი I-მა დანიშნა „ერისთავად ჩიხას“, ხოლო მეორე – უმრწემესი – ბაგრატ, რომელიც მცირეწლოვანი იყო. ვფიქრობთ, არა გვაჭვს არავითარი საფუძველი არ ვენდოთ ვახუშტი ბაგრატიონის ამ დაზუსტებას. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ „მატიანე ქართლისად“-ს ტექსტის ჩვენთვის საინტერესო ადგილის ტრადიციული ინტერპრეტაცია უნდა გადაისინჯვოს.

სადისერტაციო ნაშრომის ამავე თავში, დისერტანტი სავსებით მართებულად იზიარებს ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გიორგი I-ის მიერ ქართლის დაპყრობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა რეგიონზე „აფხაზთა“ მეფის მტკიცე ძალაუფლების დამყარებას<sup>13</sup>.

<sup>11</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა..., გვ. 131. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.

<sup>12</sup> ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა..., გვ. 797. ხაზგასმა ჩვენია – ზ.პ.

<sup>13</sup> დ. მუსეელიშვილი. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები. II. თბ., 1980, გვ. 184.

უაღრესად საინტერესოა სადისერტაციო ნაშრომის მე-3 თავი, რომელშიც დადგენილია „აფხაზთა“ მეფების ქრონოლოგიური რიგი. მასში კრიტიკულადაა გაანალიზებული „აფხაზთა მეფეთა დივანი“-ს მონაცემები. სწორადაა შენიშნული, რომ ე.წ. „აფხაზთა“ მეფეთა დინასტია, როგორც ამას ფიქრობდა პ. ინგოროვა<sup>14</sup>. მაგრამ დისერტანტის მცდელობა გადასინჯოს იმავე პ. ინგოროვას თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ლეონ I-ის შემდეგ აფხაზთის ხელისუფლების სათავეში უნდა ყოფილიყვნენ თეოდორე I და კონსტანტინე II<sup>15</sup> (ამ სქემას მხარს უჭერდა ზ. ანჩაბაძეც)<sup>16</sup>, ჩვენი აზრით, მთლად დამაჯერებელი არ არის. ამ შემთხვევაში მითოთება ქართულ წყაროებზე (იგულისხმება „მატიანე ქართლისად“) არაფერს იძლევა. „მატიანე ქართლისად“-ს ავტორი მხოლოდ ლეონ I-ისა და ლეონ II-ის ნათესაურ კავშირს აფიქსირებს და სულაც არ ამბობს იმას, რომ ლეონ II მაინც და მაინც თავისი ბიძის ლეონ I-ის შემდეგ მოვიდა ქვეყნის სათავეში. „მატიანე ქართლისად“-ზ ლეონ II-ის მაინც და მაინც ლეონ I-ის მმისწულობაზე იმიტომ გაამახვილა ყურადღება, რომ თავისი, როგორც ჩანს ხანგრძლივი, ნაყოფიერი მოღვაწეობით, სწორედ ის იყო უფრო ცნობილი ქართული საზოგადოებისათვის. რაც შეეხება მის მომდევნო მთავრებს – თეოდორესა და კონსტანტინეს (ამ უკანასკნელის რეალურობა ეჭვს არ იწვევს), მათი ყოფნა ხელისუფლების სათავეში, ეტყობა არც ხანგრძლივი ყოფილა და არც რაიმეთი ღირშესანიშნავი. ამ თვალსაზრისით არ შეიძლება არ დაგვაფიქროს იმანაც, რომ იოვანე საბანისძე, რომელიც არ იშურებს საქებარ სიტყვებს აფხაზთის მთავრის მისამართით, რატომდაც არ გვამცნობს მის ვინაობას. ვფიქრობთ, ეს მთავარი ლეონ I, რომ ყოფილიყო, „ამო ტფილელის მარტვილობის“ ავტორი, ამას აუცილებლად აღნიშნავდა.

სადისერტაციო ნაშრომის ამ ნაწილში დისერტანტი ყურადღებას ამახვილებს თანამეფობის ინსტიტუტზე „აფხაზთა“ სამეფო-

<sup>14</sup> პ. ინგოროვა. გიორგი მერჩულე. ქართველი მწერალი მეათე საუკუნეებისა. თბ., 1954, გვ. 192-193.

<sup>15</sup> პ. ინგოროვა. გიორგი მერჩულე, გვ. 193.

<sup>16</sup> პ. ვ. აჩაბაძე. Из истории средневековой Абхазии., გვ. 78.

ში. ამ თვალსაზრისით „უდავოდ ფასეულია მისი დაკვირვებები „ფავნელის დაწერილის“ მონაცემებზე. აქევ შ. გლოველი მსჯელობს „მეფეთა დივანის“ დოსითეოსისეულ ნუსხაში დაფიქსირებულ მეფე „ანტარნასე-დავითზე“ და გვთავაზობს მეტად საინტერესო პიპოლებას, მასში ვიგულისხმოთ დავით III დიდი კურაპალატი.

სარეცენზით გამოვლევის IV თავში დისერტანტი თანმიმდევრულად გადმოგცემს ქვეყნის გაერთიანებისათვის ქართული პოლიტიკური გაერთიანების ბრძოლის ისტორიას და წარმოაჩენს „აფხაზთა“ სამეფოს როლსა და ადგილს ამ პროცესში. ნაშრომში სწორადაა შენიშნული, რომ ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის მიმდინარე ბრძოლაში წარმართველი საკუთრივ საქართველოს გაერთიანების იდეა არ ყოფილა, არამედ ეს იყო სწრაფვა სამეფო-სამთავროთა საზღვრების გაფართოებისა და ჰეგემონობისათვის. ასევე სწორია დასკვნა იმის შესახებ, რომ ცალკეულ სამეფო-სამთავროებში იყრნება ქვეყნის გაერთიანებისა და ერთიანი ცენტრალიზებული ხელისუფლების შექმნის მოსურნე ძალები, თუმცა ვერ დავეთანხმებით დისერტანტის აზრს თითქოს ამ ძალების „ძირითადი ბირთვი“ შიდა ქართლში ყოფილიყოს. ამ თვალსაზრისით იოანე მარუშის ძის პიროვნებაზე ყურადღების გამახვილება არაფერს არ იძლევა, ვინაიდან ის შიდა ქართლის არისტოკრატის ლიდერი არ იყო და არც შიდა ქართლი წარმოადგენდა მის „საკუთარ სამფლობელოს“, როგორც ამას შეცდომით აღნიშნავს შ. გლოველი. იოანე მარუშის ძე იყო ქუთაისის ტახტის, ანუ ქვეყნის ცენტრალური ხელისუფლების სრულუფლებიანი წარმომადგენელი რეგიონში. ის ფაქტობრივად ასრულებდა მეფისნაცვლის ფუნქციას, რაც შეეხება შიდა ქართლის არისტოკრატის, ის არა თუ არ იყო გამაერთიანებელი მოძრაობის (რომლის ინიციატორი და სულის ჩამდგმელი იყო იოანე მარუშის ძე), ავანგარდში, არამედ, პირიქით, ფაქტობრივად, ერთიანად გამოდიოდა ბაგრატ უფლისწულის ხელისუფლების ქვეშ სრულიად საქართველოს გაერთიანების მარუშის ძისული გეგმის წინააღმდეგ.

ჩვენ სწორად მიგვაჩნია დისერტანტის დასკვნა იმის შესახებ, რომ ბაგრატის 975 წელს უფლისციხეში დასმით იოანე მარუშის ძესა და დავით კურაპალატს სულაც არ უცდიათ შიდა ქართლის „აფხაზთა“ სამეფოსაგან გამოყოფა და ახალი სახელ-

მწიფოს შექმნა, როგორც ამას ფიქრობს გ. მჭედლიძე,<sup>17</sup> მაგრამ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ მის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ დემეტრე „აფხაზთა“ მეფის გარდაცვალების შემდეგ ქუთაისის ტახტზე თეოდოსი უსინათლოს დასმა ოპანე მარუშის ძის დასის ძალისხმევით ძოხდა და რომ ეს თითქოს მიზნად ისახავდა დასავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე „ლეონიდების“ დინასტიის შენარჩუნებას, რათა შემდგომ ამ დინასტიის წარმომადგენელს (დედის ხაზით) ბაგრატ უფლისწულს ჰქონდა „აფხაზთა“ მეფის ტახტის დაკავების ლეგიტიმური უფლება.

ჯერ ერთი, არსაიდან ჩანს, რომ ამ დროს ქუთაისის ტახტის მიტაცებას ლამობდა მაინც და მაინც სხვა საგვარეულოს წარმომადგენელი და მეორეც, უშუალოდ თეოდოსი უსინათლოს ქუთაისში გამეფების შემდგომ განვითარებულ მოვლენათა მსვლელობიდან, ლოგიკურად გამომდინარეობს, რომ ოპანე მარუშის ძის გეგმა პირველ რიგში, მიმართული იყო სწორედ ქუთაისის ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ. ამ საკითხებზე ჩვენ სხვაგან გვაქვს საგანგებო მსჯელობა<sup>18</sup> და ამიტომ ამჯერად თემის გაშლისაგან თავს შევიკავებთ. რაც შეეხება დისერტანტის მიერ დასმულ კითხვას, თუ რატომ პირდაპირ (ანუ უშუალოდ დემეტრე „აფხაზთა“ მეფის გარდაცვალების შემდეგ – ზ.პ.) არ მოითხოვეს ბაგრატი მეფედ „აფხაზთოისა“, ვთიქრობთ, ეს არც თუ ისე ადგილი საქმე იყო, ვინაიდან, წესით ტახტი დემეტრე მეფის გარდაცვალების შემდეგ, პირველ რიგში, სწორედ მის ძმას ეპუთვნოდა და არა დისწულს. ამიტომ, ბუნებრივია, ოპანე მარუშის ძე და დავით ქურაპალატი იმთავითვე მოერიდებოდნენ ზედმეტ გართულებებს და მართლაც დაელოდებოდნენ ბაგრატის ქუთაისის ტახტზე „კანონიერ“ მოსვლას. მაგრამ მოვლენების ფორსირება

<sup>17</sup> გ. მჭედლიძე. ბაგრატ მესამის საქართველო. ქუთაისი, 1996, გვ. 478.

<sup>18</sup> მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და მისი დიპლომატიური უზრუნველყოფა. – წგნ.: ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, ტ. I. თბ., 1998, გვ. 210-212; მ. ლორთქიფანიძე, ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და მისი საერთაშორისო დიპლომატიური უზრუნველყოფა. – წგნ.: ქართული დიპლომატიის ისტორია. თბ., 2003, გვ. 136; 3. В. Папаскири. От Давида до Давида. Из истории международных отношений Грузии. 70-е годы X – 80-е годы XI вв. Тб., 2001, გვ. 17-19.

გამოიწვია ოეოდოსის უგერგილო მმართველობამ, უფრო მეტად კი მისმა პოლიტიკურმა გარიგებამ კახეთის ქორეპისკოპოსთან – კვირიკე II-სთან, რომლის ძალითაც, როგორც ჩანს, „აფხაზთა“ ახალი მეფე უთმობდა შიდა ქართლს თავის პარტნიორსა და მოკავშირეს. სწორედ ამ გარემოებებმა გადააწყვეტინა ოანჯ მარუშის ძესა და დავით კურაპალატის ოეოდოსის სიცოცხლეშივე ბაგრატ უფლისწულის ტახტზე აყვანა და, სხვათა შორის, ისინი სულაც არ დალოდებიან ბაგრატის გასრულწლოვანებას, როგორც ამს ფიქრობს შ. გლოველი. ბაგრატი სრულწლოვანი შეიქნა მოგვიანებით, Xს. 80-იანი წლების დამდეგს, როდესაც მან გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯები შიდა ქართლის სეპარატისტული განწყობილებების აღსაკვთად და იქ თავისი ერთპიროვნული ხელისუფლების განსამტკიცებულად. ამ საკითხებთან დაკავშირებით, ჩვენ მთლად არგუმენტირებულად არ მიგვაჩნია დისერტანტის მცდელობა გადასინჯოს ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ბაგრატ III და მისი დედა გუარანდუხტ დედოფალი, რომელსაც 975 წლიდან „ეპყრა უფლისციზე და ქართლი“ „საქართველოს ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაციისთვის მებრძოლი ძალების საპირისპირ ბანაკებში მოიაზრებიან“<sup>19</sup>.

ჩვენ ასევე ვერ დავეთანხმებით შ. გლოველს იმაშიც, თითქოს გურგენ ბაგრატიონის „მეფეთ-მეფის“ ტიტული მიეღოს მხოლოდ იმიტომ, რომ „ქართველთა“ მეფის ტიტული ბაგრატ II-ის გარდაცვალების შემდეგ დავით III კურაპალატს ჰქონდა. მართალია, 994წ. დავით კურაპალატის მიერ „ქართველთა“ მეფის ტიტულის მიღებას, გააჩნია საკმაოდ მყარი არგუმენტაცია<sup>20</sup> (თუმ-

<sup>19</sup> ზ. ალექსიძე. ატენის სიონის სომხური წარწერები. თბ., 1978, გვ. 52-57; ზ. პაპასქირი. ერთიანი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის ზოგიერთი საკითხი. თბ., 1990, გვ. 69-71.

<sup>20</sup> ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები. I. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო (V-Xსს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა 6. შოშიაშვილმა. თბ., 1980, გვ. 56; ქართული წარწერების კორპუსი. II. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. I (IX-XIIIსს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგაგამ. თბ., 1980, გვ. 52-53; М. Д. Лордкипаниძე. Возникновение новых феодальных государств.., გვ. 338-339.

ცა ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული ძო-საზრებაც),<sup>21</sup> მაგრამ, ამ შემთხვევაში, მთავარია ის, რომ გურგე-ნის მიერ „მეფეთა-მეფის“ ტიტულის მიღება არავითარ კავშირში არ იყო დავით კურაპალატის „ქართველთა მეფობასთან“. სუმბატ დავითის ძის სრულიად დამაჯერებელი განმარტებით, „გურგენს მეფეთ-მეფე ეწოდა“ იმის გამო, რომ გურგენის გამეფებამდე მი-სი ძე „ბაგრატ მეფე იქმნა აფხაზეთს“<sup>22</sup>.

მოცულობით ყველაზე ვრცელია სადისერტაციის ნაშრომის მე-5 თავი, რომლის სათაურია: „აფხაზთა სამეფოს“ შინაარსი“. მასში თანმიმდევრულად გაშუქებულია შემდეგი საკითხები: „აფ-ხაზთა“ სამეფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკა; „აფხაზთა“ სამეფოსა და „აფხაზთა“ მეფების რელიგიურ კულტურული პო-ლიტიკა; სენიორალური სისტემა „აფხაზთა“ სამეფოში; სამოხე-ლეო ინსტიტუტები და ბოლოს, „აფხაზთა“ სამეფოს ეთნიკური შედგენილობის საკითხი. ამ თემების განხილვისას განსაკუთრე-ბით გამოვყოფით მსჯელობას ანტიოქიის პატრიარქ თეოფი-ლაქტეს (744-750წ.) მიერ ითანხმე აფხაზეთის კათალიკოსად შე-საძლო კურთხევის შესახებ. არანაკლებ საყურადღებოა დაკვირ-ვები სენიორალურ სისტემაზე, „მამასახლისისა“ და „გალა-ტოზთაუხუცესის“ სამოხელეო ინსტიტუტებზე.

დისერტანტს საკმაოდ ვრცელადა აქვს მიმოხილული ეთნი-კური ისტორიის საკითხები. ნაშრომის ამ ნაწილში სავსებით სწორადაა შენიშნული, რომ თანმედროვე აფხაზეთის ტერიტო-რია უძველესი დროიდან მუდამ იყო ქართველთა საცხოვრისი, ამასთან, ის არ უარყოფს აწინდელ აფხაზთა წინაპრების მოსახ-ლეობასაც, თუმცა სწორად მიიჩნევს, რომ დროთა განმავლობაში ისინი „შეერწყნენ ძირძველ ქართულ მოსახლეობას“. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ის კარგად არის გათვითცნობიერებული პრობლემის ირგვლივ არსებულ აზრთა სხვადასხვაობაში და საკ-მაოდ ტაქტიანად აკეთებს ამათუ იმ თვალსაზრისის ანალიზს. დასანანია მხოლოდ, რომ ძირითადად კარგად გაკეთებულ ისტო-

<sup>21</sup> ზ. პაპასქირი. ერთიანი... გვ. 75-82.

<sup>22</sup> სუმბატ დავითის ძე ბაგრატიონი. ცხოვრება და უწყება ბაგრა-ტონიანთა. – ქართლის ცხოვრება..., გ. I, თბ., 1955, გვ. 382.

რიოგრაფიულ მიმოხილვაში ასახვა ვერ ჰქოვა აკად. დ. მუსხელიშვილის მიერ ამ უკანასკნელ ხანს გამოოქმულმა მოსაზრებამ აფსილ-აფშილთა ეთნიკური ვინაობის შესახებ<sup>23</sup>.

არასწორადაა გაგებული XVIIIს. არაბი ავტორის იაკუთის ცნობა აფხაზეთზე. კერძოდ, დისერტაციის უკრიტიკოდ იღებს ზოგიერთი ისტორიკოსის<sup>24</sup> მიერ მოცემულ ამ ცნობის ინტერპრეტაციას და იაკუთის „აფხაზეთში“ შეცდომით გულისხმობს დღვევანდელ აფხაზეთს. არადა, სრულიად ცხადია, რომ იაკუთი ამ შემთხვევაში საუბრობს „აფხაზეთზე“ ფართო გაგებით, ანუ სრულიად საქართველოზე, ქვეყანაზე, რომელიც ესაზღვრება „ბაბ ალ-ბაბვს“ ანუ დარუბანდს. თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია კი, როგორც ცნობილია, ძალიან შორსაა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიიდან.

ასეთია შ. გლოველის სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი შინაარსი. როგორც ვხედავთ ავტორს ჩატარებული აქვს უაღრესად შრომატევადი სამუშაო. ფაქტობრივად ეს არის შეჯამება და კრიტიკული გააზრება „აფხაზთა“ სამეფოს ირგვლივ არსებული მთელი ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობისა. მასში სათანადო მეცნიერული სიღრმითაა გაანალიზებული „აფხაზთა“ სამეფოს ისტორიასთან დაკავშირებული ყველა საკვანძო პრობლემა. თვალში საცემია შ. გლოველის მისწრაფება შეიტანოს სიახლე ამა თუ იმ ფაქტის, მოვლენის დადგენა-დაზუსტებასა და შეფასებაში. უმეტეს შემთხვევაში, მისი ეს მცდელობა უდავოდ წარმატებულია, თუმცა დასწრაფანტის ზოგიერთი მოსაზრება მოითხოვს უფრო დამაჯერებელ არგუმენტაციას. წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი არ არის დაზღვეული ცალკეული ხარვეზებისაგან, მაგრამ მთლიანობაში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის არის მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული გამოკვლევა, რომლის შედეგები უცილობლად ჰქოვებს სათანადო ასახვას ისტორიოგრაფიაში.

<sup>23</sup> Д. Мусхелишвили. Исторический статус Абхазии в грузинской государственности. – Развискиания по истории Абхазии/Грузия. Тб., 1999, გვ. 122-123.

<sup>24</sup> Д. Гамахария, Б. Гогия. Абхазия – историческая область Грузии. Тб., 1997, გვ. 583; თ. მიბჩუანი. აფხაზეთის მეფეები და მთავრები. თბ., 1997, გვ. 56.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოება  
აფხაზეთის ორგანიზაცია  
საისტორიო ძეგლი, 7, 2004

## ედიშერ ხოშტარია-ბროსე

### ქართული ისტორიოგრაფიის მინიჭებულოვანი შენაპარი

**რეცენზია ბეჟან ხორავას წიგნზე: „აფხაზთა 1867 წლის  
მუკაჯირობა“ (თბ., 2004)**

ბეჟან ხორავას წიგნი: „აფხაზთა 1867 წლის „მუკაჯირობა“ – აფხაზეთის ისტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემის მონოგრაფიულად შესწავლას ეძღვნება. მართალია, „მუკაჯირობა“ აქამდეც არაერთი აფხაზი თუ ქართველი მკვლევარის ყურადღების საგანი გამხდარა, ხოლო პროფესორმა გიორგი ძიძარიამ მას ფუნდამენტური მონოგრაფიაც უძლვნა, მაგრამ ბ. ხორავას ნაშრომი არაერთი სიახლის შემცველი ჩვენი ისტორიოგრაფიის კარგი შენაძენია. ჯერ ერთი, აქ ფოკუსშია მოქცეული ამ მოვლენის („მუკაჯირობის“) ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი – 1867 წლის ეტაპი, რომელიც განხილულია რუსეთის მიერ კავკასიის დაბყრობის და აქ გაბატონების საერთო ფონზე. ავტორი დეტალურად, არსებულ ლიტერატურაზე და უხვ პირველწყაროებზე დაყრდნობით განიხილავს კავკასიის ომის (1817-1864) მიმდინარეობას და მის დასრულებას, აფხაზეთის ადგილს ამ მოვლენებში, აფხაზეთის მოსახლეობის რეაქციას თუ პასუხს მხარის კოლონიზაციაზე და ამის ტრაგიკულ შედეგებს, კერძოდ, აფხაზთა მასობრივ გადასახლებას თურქეთში (1867წ., 1877წ.). მართალია, ყველა ეს ფაქტი არსებულ ლიტერატურაში ამა თუ იმ ზომით თუ სიღრმით გაშუქებულია და ცნობილია, მაგრამ ავტორს ბევრ შემთხვევაში მათდამი თავისი მიღვომა გააჩნია, თავი რომ დავანებოთ ახალი მასალის შემოტანასაც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ავტორის მიერ მოტანილი და გაანალიზებული

„მუჰპაჯირობის“ სხვადასხვა ეტაპის ამსახველი სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად აზუსტებენ აფხაზურ ლიტერატურაში არსებულ, ხშირად გაზვიადებულ, ციფრობრივ მონაცემებს.

ასე რომ, ყველა ამ თვალსაზრისით ეს მეტად საჭირო და სასარგებლო წიგნია, მაგრამ ჩემი შეხელულებით ნაშრომის ყველაზე დიდი ღირსებაა მუჰპაჯირთა 1867 წლის სიის შემოტანა სამეცნიერო ბრუნვაში – მისი გამოყენება და გამოქვეყნება.

ადსანიშნავია, რომ ეს სია (დაცულია საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში) ცნობილი იყო გორგი ძიძარიასთვის, მაგრამ მას, ჩანს, გარკვეული მოსაზრებით იყო არ განუხილავს. ასე რომ, ამ საქმის გაკეთება მოუწია ბეჟან ხორავას. რაში მდგომარეობს ამ სიის მნიშვნელობა?

უპირველეს ყოვლისა, ეს არის აფხაზი მუჰპაჯირების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაკადის ზუსტი აღწერილობა, გადასახლებულთა არა მარტო რაოდენობის, არამედ გვარების ჩვენებით და იმ ადგილების თუ სოფლების მითითებით, საიდანაც იქნენ გასახლებული. მეორეც ისაა, რომ ეს სია გვაძლევს წარმოდგენას, თუ ვისთან გვაქვს საქმე გასახლებულთა ეთნიკური შემადგენლობის თვალსაზრისით. ანუ აქ წარმოდგენილია აფხაზებად წოდებული მოსახლეობის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილის (ვინც გასახლებული იქნა 1867 წელს) ეთნიკური ვინაობის სურათი, რასაც აქმდე ცნობილი ჯამური მონაცემები არ იძლეოდა. სიის ზედაპირული განხილვაც კი გვიჩვენებს, რომ „აფხაზებად“ წოდებული თუ მიჩნეული მასა (გასახლებას კი სწორედ „აფხაზები“ ექვემდებარებოდნენ) ეთნიკურად არაერთგვაროვანი იყო. კერძოდ, აქ გვხვდებან ადილური წარმომავლობის გვარების მატარებელნი (-ბა და -იუა-ზე დამთავრებული გვარებით), თაორული გვარების მატარებელნიც, ხოლო გადასახლებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი (1/4-დან 1/3-მდე) ქართული (მეგრული) გვარის მატარებელი იყო.

ერთი სიტყვით, XIXს. 60-იანი წლებისთვის „აფხაზი“ ნაკრები შემადგენლობის ხალხია, უმეტესწილად ადილურ-ქართული შემადგენლობისა. ცხადია, ეს ისტორიული ვითარებით იყო გაპი-

რობებული. კერძოდ, ადილური ძირის მოსახლეობის, საუკუნეების განმავლობაში ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული ეთნიკური მასის, ადგილობრივ (ძირითადად ლაზურ-მეგრულ) მოსახლეობაში შერევით. ეს პროცესი ადრიდანვე დაიწყო, როდესაც ა.წ. პირველი საუკუნისათვის ჩამოსულმა აბაზებმა თანდათან თავისი თანამომებ, თავიდანვე ქართველურ მოსახლეობასთან მჭიდრო კავშირში მყოფი აფსილები, და ქართველური ტომი სანიგები შეირწყეს და ამ გზით ნაკრებ ეთნიკურ ჯგუფად მოგვევლინნენ, რომელსაც ქართული წყაროები „აფხაზად“ აღიქვამდნენ („აბაზი“ იმთავითვე კრებითი ეთნიკური სახელწოდება გახდა). ამან განაპირობა სწორედ VII-VIII საუკუნეებში, დინასტიური კავშირების გარდა, „აფხაზთა“ პოლიტიკური აქტივობის წარმატება მთელ დასავლეთ საქართველოში და, სრულიად უმტკივნეულოდ, „აფხაზთა“ სამეფოს შექმნა.

მართალია, გვიან შუა საუკუნეებში, XV-XVIIIსს. ქართული სახელმწიფოებრიობის კრიზისისა და ქვეყნის პოლიტიკური დაშლილობის პირობებში, აფხაზეთის ტერიტორიაზე ადილურაბაზურმა ეთნიკურმა ელემენტმა იმდლავრა (ახალი ძლიერი ნაკადების ჩამოსვლით) და აქაური მოსახლეობის ქართველთაგან (და საერთოდ ქრისტიანული კულტურისაგან) გაუცხოვება გამოიწვია („მცნება სასჯულო“, ა. ლამბერტი, ე. ჩელები), მაგრამ ჩამოსული ელემენტის ადგილობრივ მეგრულთან შერევა გრძელდება და საქმაოდ ინტენსიურად წარმოებს თუნდაც მათი ახლო მეზობლობის გამო, რამაც შედეგად მოგვცა აფხაზი ხალხის ჩამოყალიბება, როგორც შერეული ეთნიკური მასისა. სწორედ ამან იჩინა თავი და ასახვა პპოვა ჯვრ კიდევ XIXს. 30-ან წლებში აფხაზეთის რიგი სოფლების მოსახლეობის მიერ ნათლობის მიღების სიებში (გ. გასვიანის პუბლიკაცია) და 1867 წლის აფხაზ მუჰაჯირთა სიაში, რომელიც ამჟამად ბეჟან ხორავაშ შემოიტანა სამეცნიერო ბრუნვაში, სადაც ადილური ძირის პირების გარდა, მეგრული გვარების მატარებელი და ე.წ. „აგრუათა“ მნიშვნელოვანი პროცენტია წარმოდგენილი აფხაზებად! ასე რომ, „აფხაზებში“ ქართული ელემენტის ჭარბად შერევას ადგილი პქონდა არა მარტო საბჭოურ პირობებში, რასაც შერეული ოჯახების სიმ-

რავლეც (40%) მოწმობს, არამედ გაცილებით უფრო ადრე, გვიან შეა საუკუნეებში და ამაზე უწინარესაც.

ბ. ხორავას წიგნში ცალკე თავად არის გამოყოფილი „აფხაზეთში მიმდინარე ეთნიკური პროცესები და აფხაზ მუჭაჯირთა სია“, მაგრამ, ვფიქრობ, სამომავლოდ ამ მასალის უფრო ფართო და ღრმა ანალიზი არის სასურველი, რასაც ავტორისაგან ველოდებით. სასურველია აგრეთვე ამ სიის რუსულ ენაზე სრულად გამოქვეყნებაც.

მაგრამ წიგნი წარმოდგენილი სახით, მისი შესრულების მაღალი მეცნიერული დონისა და თემის აქტუალურობის გამო, როგორც თავშივე ვთქვით, ჩვენი ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია.

# Ó À Ó Ü Å Å É

## ÀxáÅÄÄÉÉ – ØEEÄÉÉÉ ÜÄÄÍÉ

**ÆÖÖÄÄ ĐÄÄÖÖÉÖÉ.** სეპარატისტული გამოსვლები აფხაზთში  
XX საუკუნის 50-60-იან წლებში ..... 3

## ØÅØÅØÉÄÄÉÍÓ ÉÓÓÍ ØÉÄ

**ÆÉÄ ÄáÄÉÄPÄ.** ქართული და სომხური წყაროები „აფხაზთა“ მეფეთა  
ტიტულატურის შესახებ ..... 26

**ÄDEÄÄTÄ ÄÄÄÄÄÖÄPÄ.** კონსტანტინე I და „აფხაზეთის ისტორია ბაგრატ  
მეფისა“ ..... 34

**ÄÄÄÄÉ ÄÄÄÄÄÖÄÉÄ.** აფხაზეთის სამთავროს ეკონომიკური მდგრადება  
XVIII ს. მიწურულსა და XIX ს. I მეოთხედში ..... 41

**ÄÄÄÄÉ ÄÄÄÄÄÖÄÉÄ.** ასლან-ბეგი შარგაშიძის ბრძოლა აფხაზეთის სამთავრო  
ტახტისოცვის ..... 52

**ÄÄOÍ I ÄÄÉÜÄÖÄÉÄ.** საექლესიო რეფორმა და რუსეთის პოლიტიკური  
მიზანი დასავლეთ საქართველოში (1815-1822წწ.) ..... 81

**ÄÄÄÄÍ áÍ ØÄÄÄ.** რუსეთის მიერ დასავლეთ კავკასიის დაპყრობა და  
აფხაზეთი ..... 109

**ØÄÄÄÄ äÄÄÖÖÖÉÄ.** ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკის  
გაძლიერება აფხაზეთში XIX ს. 70-90-იან წლებში ..... 133

**I ÉÄO IÉETI ÄÄÉÜÄÄÉÉÉ.** სერგეი მესხი და აფხაზეთის პრობლემა ..... 142

**ÉÖÄÉÉÉ ÄÄÄÄÄÄÄÄ.** ოვისუფალი – ოვითმოქმედი საზოგადოებები  
აფხაზეთში 1900-1917 წლებში ..... 156

## ÄÖÄÄÍ EITÄÄÄ, ÄETIÄÄÖÄÄÄ

**II ÄÄO ÄÄÖÖÄÄÄÄ.** ეშერის ნაქალაქარის მასალები და ელინისტური  
ეპოქის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ..... 168

**ÖÄÄT äÄÄÖÖÄÄÉ.** ადრე შუა საუკუნეების მცირე პლასტიკის ნიმუში  
სვანეთიდან ..... 182

**ÄÉOÍ ÄÄÄÄÄÖÄÄÍÉ.** რელიგიური დღესასწაულები დალის სვანეთში.  
„ქვებ“ ..... 189

## ІОЇ × ЕЕЇ ЕОЇ × ОЕÀ

|  |                                    |
|--|------------------------------------|
| ІІ ААО ААООАІЕÀ. Амброзій ІІІ (Іоанніс) – Маркелл ІІІ Іоанніс,                   | також Феодор ІІІ Іоанніс ..... 197 |
| ЕАААААО ×Е×ЕÀ. Аброзій Іоанніс Адамська генеалогія Іоанніс ..... 203             |                                    |
| ЕАААААО ×Е×ЕÀ. Іоанніс Адамська генеалогія Іоанніс ..... 211                     |                                    |
| ААЕОІА ДАООЕÀ. Адамська генеалогія Адамська генеалогія ..... 220                 |                                    |
| ЕАІАЕÀ (АООАОÀ) АІЕАЕААÀ. Народження та життя Іоанніса ХІХ-ХХ століття ..... 233 |                                    |
| ІІАО АОААУАЕЕÀ. „Святій Іоанн Кронштадтський“ ..... 255                          |                                    |
| АООАІ ІІАОАОЕЕÀ. „Святій Іоанн Кронштадтський“ ..... 267                         |                                    |
| ЕЕÀ АЕААООЕ. Масонство Ганфі – Кіндлі ..... 278                                  |                                    |
| ЕАЕІООАЕ ДАДАООЕОЕ. Іоанн Кронштадтський ..... 284                               |                                    |
| ЕАЕІООАЕ ДАДАООЕОЕ. Германіс ..... 296   |                                    |
| <b>ЕОЕОЕЕÀ, АЕАЕЕЇ АОА×ЕÀ</b>  |                                    |
| ЕООАА ДАДАООЕОЕ. Іоанн Кронштадтський ..... 313                                  |                                    |
| ААЕУАО АІ УОАОЕÀ-АОЇ ОА. Іоанн Кронштадтський ..... 327                          |                                    |

# **С о д е р ж а н и е**

## *Абхазия – наша боль*

|  |   |
|--|---|
| <b>3. В. ПАПАСКИРИ.</b> Сепаратистские выступления в Абхазии в 50-60-х годах XXв. .... | 3 |
|--|---|

## *История Грузии*

|  |    |
|--|----|
| <b>Л. В. АХАЛАДЗЕ.</b> Грузинские и армянские источники о титулатуре царей „абхазов“ ..... | 26 |
|--|----|

|  |    |
|--|----|
| <b>Э. А. ГВЕНЕТАДЗЕ.</b> Константин I и „История Абхазии царя Баграта“ ..... | 34 |
|--|----|

|   |    |
|---|----|
| <b>Д. Р. ЗАКАРАИА.</b> Экономическое положение Абхазского княжества в конце XVIII – начале XIXв. .... | 41 |
|---|----|

|   |    |
|---|----|
| <b>Д. Р. ЗАКАРАИА.</b> Борьба Аслан-Бея Шарвашидзе за княжеский престол в Абхазии ..... | 52 |
|---|----|

|  |    |
|--|----|
| <b>Б. Т. ОДИШАРИА.</b> Церковная реформа и политическая цель России в Западной Грузии (1815-1820гг.) ..... | 81 |
|--|----|

|   |     |
|---|-----|
| <b>Б. К. ХОРАВА.</b> Завоевание Россией Западного Кавказа и Абхазия ..... | 109 |
|---|-----|

|   |     |
|---|-----|
| <b>Р. И. ЧАНТУРИА.</b> Усиление русификаторской политики в Абхазии в 70-90-х годах XIXв. .... | 133 |
|---|-----|

|  |     |
|--|-----|
| <b>О. Н. НИКОЛЕЙШВИЛИ.</b> Сергей Месхи и проблема Абхазии ..... | 142 |
|--|-----|

|  |     |
|--|-----|
| <b>И. И. ГЕЛЕНАВА.</b> Свободные – самодеятельные общества в Абхазии в 1900-1917гг. .... | 156 |
|--|-----|

## *Археология, этнография*

|   |     |
|---|-----|
| <b>Н. Б. БЕРУЛАВА.</b> Материалы Эшерского городища и некоторые вопросы истории Эллинистической эпохи ..... | 168 |
|---|-----|

|  |     |
|--|-----|
| <b>Р. Г. ХВИСТАНИ.</b> Образец раннесредневековой мелкой пластики из села Несгун (Сванети) ..... | 182 |
|--|-----|

|   |     |
|---|-----|
| <b>Д. Д. ДЕВДАРИАНИ.</b> Религиозные праздники в Дальской Сванети. „Керб“ ..... | 189 |
|---|-----|

## *Всемирная история*

|   |     |
|---|-----|
| <b>Н. Е. ДАРСАНИЯ.</b> Аменхотеп IV (Эхнатон) – фараон мечтатель или реформатор фанатик .....   | 197 |
| <b>К. К. ПИПИЯ.</b> Восточная политика Антония и Колхида .....  | 203 |
| <b>К. К. ПИПИЯ.</b> К истории восточного похода Траяна .....  | 211 |
| <b>Х. Б. ПЕРТИА.</b> Восточная политика Адриана и Иберия .....  | 220 |
| <b>Т.-Е. М. АНТЕЛАВА.</b> О некоторых вопросах российской колониальной политики на Северном Кавказе. 60-е годы XIXв. – начало XXв. .... | 233 |
| <b>О. В. АРДАШЕЛИА.</b> „Армянский вопрос“ в российской внешней политике 1910-1916гг. ....  | 255 |
| <b>Г. Р. МАРХУЛИЯ.</b> Об „Армянском вопросе“ на Южном Кавказе .....  | 267 |
| <b>Л. В. ГИГАУРИ.</b> Махатма Ганди – хинду или джайн .....   | 278 |
| <b>Т. З. ПАПАСКИРИ.</b> Конференция в Сан-Франциско. Создание Организации Объединенных Наций .....                                      | 284 |
| <b>Т. З. ПАПАСКИРИ.</b> Капитуляция Германии .....  | 296 |

## *Критика, библиография*

|  |     |
|--|-----|
| <b>З. В. ПАПАСКИРИ.</b> Интересный труд об истории царства „Абхазов“ .....         | 313 |
| <b>Э. В. ХОШТАРИА-БРОССЕ.</b> Значимое приобретение грузинской историографии ..... | 327 |

**ВСЕГРУЗИНСКОЕ ИСТОРИЧЕСКОЕ ОБЩЕСТВО  
им. ЭКВТИМЭ ТАКАИШВИЛИ**

**А Б Х А З С К А Я   О Р Г А Н И З А Ц И Я**

**И с т о р и ч е с к и е   р а зы с к а н и я**

***Е ж е г о д н и к***

**VII**

В 7-й том ежегодника „**Исторические разыскания**“ вошли статьи по актуальным проблемам истории Грузии, всемирной истории, археологии, этнографии.

Ежегодник рассчитан на специалистов и широкий круг читателей.

**ГЛАВНЫЙ РЕДАКТОР:**

**З. В. ПАПАСКИРИ**

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** Т.-Е. М. Антелава, Дж. М. Анчабадзе, А. Г. Атанелишвили, М. В. Барамидзе, В. Джапаридзе, Д. Ю. Джоджуа, О. К. Жордания, Б. Е. Кварацхелия, А. М. Киласония, Т. Ш. Мибчуани, Т. З. Папаскири, Б. К. Хорава.

**Адрес редакции:**

Г. Тбилиси, ул. Джикия 9

Тел.: 21-14-12

fax: 35-73-66

e-mail: [dziebani@gol.ge](mailto:dziebani@gol.ge)

w-site: <http://dziebani.gol.ge>

**Издательство Сухумского Филиала**

ТГУ им. И. Джавахишвили

Тбилиси – 2004

**რედაქციის მისამართი:** ქ. თბილისი, ჯიქიას ქ. 9.  
ტელ.: 21-14-12  
fax: 35-73-66  
e-mail: [dziebani@gol.ge](mailto:dziebani@gol.ge)  
w-site: <http://dziebani.gol.ge>

**გამომცემლობის რედაქტორი: რობერტ მესხი**

საბეჭდი ქაღალდი 60X84  
პირ. ნაბ. თაბ. 21,00  
სააღრ.-საგამომც. თაბაზი  
შეკვეთა №  
ფასი სახელშეკრულებო

**სტამბა „ანი-XXI“**  
თბილისი, სანდრო უკუნის ქ. №7.